

# ცისკარი

[www.opentext.ge/tsiskari](http://www.opentext.ge/tsiskari)

სამსაჯვართ სალიტერატურთ შერთნალი

1-2 | 2005





დამფუძნებელი:

ქართულ „ცისკარის“ ბეჭდვით

საქართველოს მწიგნობრობის კავშირი

# ცისკარი

www.opentext.ge/tsiskari

1-2 | 2005

მთავარი რედაქტორი:

ზაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

ივანე ამირხანაშვილი

ბალათერ არაბული

ლევან მალაზონია

ელზა მეტრეველი -

მთ. რედაქტორის მოადგილე

ჯემალ ქირია -

პასუხისმგებელი მდივანი

დაარსებულია 1852 წელს, აღდგენილია 1957 წელს

## შინაარსი

### კოეზია, პროზა

- 3. ჯარჯი ფხოველი. ლექსები
- 11. ნუგზარ შატაიძე. სპილოები უდაბნოში. რადიოიესი
- 16. ირაკლი ლომოური. კვატი. მოთხრობა
- 19. თემო ჯაფარიძე. უფროსების ბავშვური საუბრები. მოთხრობა
- 33. რაულ ჩილაჩავა. ლექსები
- 44. ნანა კაციაშვილი. მოთხრობები
- 58. ოთარ ნურნუშია. პუმპუ. რომანი. დასასრული
- 72. მანანა ჩაჩანიძე. ლექსები
- 77. მარიანა ნანობაშვილი. ორი მოთხრობა
- 86. ვლადიმერ ჯოლოგუა. ვეტერანები. მოთხრობა

### იუბილე დარდის იისფარი დროშებით

- 97. ზურაბ ნარმანია. ლექსები

### ახალი თარგმანები

- 102. მარატ გიზატულინი. ბულატ ოკუჯავას უნივერსიტეტები. თარგმნა ჯუმბერ თითმერია
- 116. ტიბორ ზალანი. ლექსები. თარგმნა სერგო ნურნუშიამ
- 121. ჰაინრიხ საიდელი. კეთილი ბიძია ლუდვიგი. თარგმნა თუთა ნარმანია

### წერილები

- 123. დალილა ბედიანიძე. „ფანქარი ცაში“
- 126. სალომე კაპანაძე. 1. ლექსთა ცვენა კოლხურ მოტივებზე ან 2. იგი გვჩუქებს „სიკეთის ძალას“
- 129. შორენა ქაჯაია. საუკუნის პარადოქსები ნოველის პრიზმაში
- 144. თამარ ბლიაძე. ტერენტი გრანელის ლირიკული ავტოპორტრეტი
- 148. გურამ ყორანაშვილი. დიდი მეცნიერი და საბჭოური ტოტალიტარნიზმი

მხატვარი:

გიორგი წერეთელი

ტექნიკური რედაქტორი:

ზიული სირაძე

გამომცემელი:

ლევან თითმერია





# ჯარჯი ფხოველი

**ნიმნიდან:**  
„დილის არაყი“

## შემოსავლიანი ცხოვრება

შემოსავლიანი ცხოვრება...  
ნეტავ, როგორია?

ახლა ყველაზე მეტად  
შემოსავლიანია ლექსი!..

შუალამისას გამოგადვიებებს,  
გეჯავჯგურება: ადექი, აქა ვარ!..  
აი, ფული მოგიტანე!..  
გუშინ მეზობლისგან რომ ისესხე,  
იმ ვალსაც ხომ გასტუმრება უნდა!..  
და, თუ ესეც არ გეჩქარება,  
მაშინ ეს ფული, ქარის ნაჩუქარი,  
ცოლს საყვედურით საესე თვალეზზე  
ააფარე!..

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ძონძების მაღაზიაში წავა  
ანდა, სულაც, ტყუილ სუპს გააკეთებს!  
თანაც, ლუკასთვის „ჰუმანც“ ხომ  
უნდა იყიდოს...

მაგრამ ასე ხომ არ აჯობებს,  
რომ ეს პატარა ქართველი,  
კავკასიის მთების შვილი  
მამაპაპურ ხანჯრით დაკეპილ  
ხორცის ხინკალზე გადავიყვანოთ!..

აი, ასეთი შემოსავლიანია ლექსი!  
ვალიც გაგისტუმრა!  
ცოლიც შემოგარიგა!  
შვილიშვილიც კმაყოფილია!..  
ტყუილი სუპიც ხომ კარგია „პახმელიაზე“!..

თუმცა, არა!  
ხომ არ აჯობებს  
ხაშზე წასვლა და... დილის არაყი?!

აი, როგორია შემოსავლიანი ცხოვრება!  
აი, რამდენი საფიქრალი გაგიჩინა!  
აი, როგორ შემოსავლიანია ლექსი!


2004

### შეუვარება ერთი ნახვით

პირველ იანვარს გადაიხადა  
წელიწადის დაბადების დღე...

ხოლო ორში  
ძან მაგარ „პახმელიაზე“  
შეიყვარა ბევრიდან ერთი:  
რენუარის  
რომელიღაც მობანავე მანდილოსანი...

2004



●  
პოეტი ეხლა ცას შეჰყმუის  
და იმას სტირის –  
ქართულ ენაში  
ვინც ფერები ვერ მოძებნა  
სიყვარულის დასახატავად!

2004

### სარკეები

ჩაეხედე სარკეს ლურჯ თვალებში და  
დავინახე სარკის გულის უსასრულობა...

სარკემაც ჩაიხელა ჩემს თვალებში  
და  
დაინახა კაცის გულის უსასრულობა!

2004

### ქალაქის გული

იმდენი ვინმე შეიყვარა შენმა ქალაქმა,  
იმდენი ვინმე დამარხა გულში,  
რომ იქ ადგილიც აღარ დარჩა,  
თუნდაც წამით რომ შეგიფაროს...

იქ აღარ დარჩა ნატამალი სიყვარულისა,  
დღეს ვინმეს რომ არ ეკუთვნოდეს!..  
გაითავისეს და დახარჯეს სუყველაფერი!..

იქ ახლა დიდი სივიწროვეა  
და ვერავის ვერ მიაღვები:  
„ცოტა ჩაიწი, მეც ჩამოვვლები!“

იქ ცალფეხზე დასადგომი  
ადგილიც კი არ იშოვება...

და შენს უდაბურ სიმართოვეში  
როცა ჩემი სიყვარული მოგენატრება,  
ქალაქის გულში ნუ მოძებნის:  
იქ არა ვარ,  
არც არასდროს არა ვყოფილვარ!..

მე აქა ვარ: გარეუბნის გზაჯვარედინზე...  
 და ვიყურები მთებისაკენ,  
 ყრმობის უცხო სიზმრებით  
 შორს რომ დარჩნენ  
 მთვარის ვერცხლით შეღებილები...

2004.

### ეს ბრმები

ეს ბრმები,  
 ვიცი, რომ უდავოდ გამიხსენებენ  
 რომელიღაც ათასწლეულში...

გამიხსენებენ სწორედ მაშინ,  
 როცა თავის დაბადების დღეს დასწყევლის  
 დედამიწა,  
 სიბუღვილის ცეცხლმოღებული!

2004.

### ქალი ეზრასი

გალაქულ ფრჩხილებზე  
 ეზრა პაუნდის ბუნდოვანი ლექსი წაიწერა...

მერმე ადამისთვის მისაცემი  
 მწიფე ვაშლი ჩაკბინა თვითონ...

და ჩაიხედა გალაქული ფრჩხილების  
 წვეტიან სარკეებში...  
 და იხილა თავის თავი  
 ეზრა პაუნდის სიტყვებს შორის გაბნეული,  
 დაშლილი  
 და ძირს დაცემული...

2004.



## საქართველოს მზის ანოლოგია

საქართველოს შზე სხვანაირია...

ისეთია,  
 დახატვითაც რომ ვერ დახატავ:  
 უსათუოდ  
 რომელიღაც ფერი დაგაკლდება!

სიტყვაშიც ვერ დაამწყვდევე,  
 რადგან მისი ღვთაებრივი გამოხედვა  
 სიტყვებს ნაცრად გადააქცევს!..

მოუხელთებელია,  
 თვალგაუსწორებელია...  
 ცვალებადია პოეტის გულივით...

2004.

## ცის ბაზრობაზე

ცის ბაზრობაზე, სადაც ბითუმად  
 იყიდება გალაქტიკები,  
 შენ სამყაროთა დარდი იყიდე:  
 შავნალეველი,  
 დროის ჩრდილი, უშემოსავლო,  
 რამაც უკვე დაიჭირა  
 შენი გულის მთელი ფართობი...

ცის ველ-მინდვრები დაითავისე,  
 თან წამოიღე გალაქტიკისოდენა დარდი:  
 იმას გამოჰყვა პლანეტები  
 ხურდა ფულივით...

აი, რამხელა მესაკუთრე ხარ!

2004.

●

ღმერთო ჩემო, ამ ქალაქში  
 კიდევ ვიღაც სულგრძელიც ცხოვრობს...

მე დაეინახე, იმისმა ჩრდილმა  
 ღამის ქუნაზე  
 კოჭლი წვიმა გადააცილა!..

2004.

●  
 და, რადგანაც შენს გზას ვერ ავცდი,  
 რადგანაც შენ გიბრუნდები ისევ და ისევ,  
 „მოჯამაგირედ მაინც დამიყენე!“

მამწვემსინე შენი მთები,  
 მღვრიე ნისლით თავწაკრულები...  
 მამწვემსინე შენი მინდვრები...  
 მამწვემსინე ეს ბებური მდინარეები...  
 მამწვემსინე შენი წვიმები!..

2004.

### დამსიტყვე, ცაო!

დამსიტყვე, ცაო, დამსიტყვე!

შენი სიტყვები ახლა ჩემს ლექსს  
 ისე სჭირდება,  
 როგორც ობოლს ნატერის ახდენა...

მახსოვს: მამაჩემს ეშინოდა შენი სეტყვისა,  
 მე კი შენი სიტყვა მაშინებს...

მამაჩემი დედამიწის ჭერზე ცხოვრობდა:  
 ცისპირს მიკრულ არახიჯაში...  
 ის მთებში იდგა, მწვერვალივით თავისუფალი...  
 და გული ჰქონდა გაუტეხელი...  
 მაგრამ მაინც ეშინოდა შენი სეტყვისა,  
 რადგან ესაა შენი წესი: ვინც ახლოს გიდგას  
 იმას დასეტყვავ  
 და ელვასაც იმას მოუქნევ!

მე კი აქა ვარ:  
 დედამიწის ძველისძველ ფსკერზე...  
 ჩემი გულიც გატეხილია  
 არქეოლოგის ხელშენავლებ ხელადასავით...

ცაო, ძალიან შორსა ხარ და შენი სიტყვები  
 ძირს ეშვებიან კომეტებივით,  
 გზადაგზა რომ იწვიან და  
 ჩემს თვალებში ბოლს აყენებენ...

დღეს ჩემი გულიც ძველია და გატეხილია...

მის მწარე არსებობას მარტო მაშინ გაიხსენებენ,  
 როცა ცრემლნარევე ლექსის ნაფშვენებს  
 გზებზე დაუყრი დაშვეულ ჩიტებს...

ჩიტების მეტი  
 დღეს ამ საკენკს აღარავინ არ დაეხრება:  
 თავს აღარავინ აღარ იტყუებს!..

დღეს პოეზია უცხო არის  
 და თავისთვის მოიცრემლება,  
 სულ სხვა ფერის და სულ სხვა ჯიშისა,  
 კუმანოიდის ნაბიჭვარივით...

დამსიტყვე, ცაო, დამსიტყვე!  
 შენს სიტყვას ახლა აღარ ელიან,  
 როგორც არავინ დაპატიუებს პურმარილზე  
 უცხოპლანეტელს,  
 ვისაც, ცხადია, ლვინოც უყვარს და ვარსკვლავებიც —  
 ისინი ზომ ცისპირიდან გადმოვარდნილ  
 მწარე სიტყვებს  
 მიწისაკენ მოაცილებენ...

დამსიტყვე, ცაო, დამსიტყვე!

2002.

## ნაკაფი

1. ●●●

აქ აღარ ისმის შენი „ვაიმე“,  
 მგონი, ცხოვრება გააყაიმე!..

2004.

2. ●●●

რატომ არ გიკვირს, ფურცელო,  
 და შენც, წარსულის ბურუსო,  
 მამული თითქმის უცრემლო,  
 უკომუნისტო, ურუსო!

2004.

3. ●●●

მისი სახელი იყო ფატიმა...  
შენ ჰგავდი იმის შინაპატრიარს!

2004.

4. ღრღჷა

არ იყიდება ფულზედა,  
არც გაიცვლება ხმაღზე!..  
ის დაგვიტოვეს ძველებმა:  
ის იფრიალებს ზვალ-ზეგ...  
ხუთი ჭრილობა სწურია  
წმინდა გიორგის ფარზე!

2004.

5. ●●●

უჭაშო ჟამი დადგა ძალიან:  
ახლა გულისთვის ვიღას სცალია!  
ესეც კაცი და ესეც ქალია:  
ორივემ სიმწრის შხამი დალია!..

მწარე სიტყვები ცასა კვეთავენ:  
ხმა წყდება გულთან: ჯავრით დამთვრალთან...  
ჩანს: სიყვარულის ერთი ქვეთავი  
ისევ ლალატის ცრემლით დამთავრდა!

2003.

6. ●●●

ეს წიგნი ისე მჩატეა:  
ყვრნისბუმბულა რომანი...  
შიგ გაჭირვებით ჩატია  
პოეტის ენებანდომანი!..

2003.

7. ●●●


გახსოვს დეკოლტე,  
საიდანაც ჩანჩქერებად იღვრებოდა  
მთვარის ვერცხლი,  
თვალისმომჭრელი!

2004.

8. ●●●

დავიზეპირე  
მაშინ შენი თმები, გაშლილი,  
როგორც რითმები ქარისა...

2004.



# ნუგზარ შატაძე

## სწილოები უდაბნოში

რადიოპიესა

მოქმედი პირნი:

მობუცი ქალი  
ახალგაზრდა ქალის ხმა

*მობუცი ქალი:* ქუჩის გადამკეტი ვარ მეე?! ქუჩა გადავკეტო კი არა, აი, აივანზე გამოვდი და თავებრუ დამეხვა, მუხლები ამიკანკალდა... კაბელი ყოფილა დამწვარი, ფიდერებიც ვერ უძღვებო... მესამე დღეა დენი არა გვაქვს... ნავთიც გამოომელია... მაინც რა უცნაურია — ეს თუნუქის სანაფთე დაძველდა, დაიჭეჭეა, გაშავდა, ქვეყნიერება კი თითქოს არც შეცვლილა... ისეთივე ცა, ისეთივე ხეები... ეს ეზოც ზუსტად ისეთივეა, როგორიც ამ სამოცი წლის წინათ იყო — აივნები, აივნები... აივნებზე ათასნაირი ხარახურა: სკივრები, კიდობნები, ძველი ავეჯი, რომელსაც პატრონები გადასაყრელად ვერ იმეტებენ, აგურის ნამტვრევებით საეცე ემალატკეჩილი აბაზანა... ქვემოთ — ეზო... სველი, მიუსაფარი... ისევ უინჟლავს... ძაღლები დასდევენ ერთმანეთს, სანაგვეში იქექებიან... ვილაც შეშას ჭრის... აქედან რომ გადაინიო და გადავარდე, ფარფატით ნახვალ ქვემოთ, ჯერ სარეცხის გასაფენ თოკებს გამოედები ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მერე ჰაერში გულაღმა გადატრიალდები და სველ ასფალტს ქვასავით დაენარცხები... შეშინებული ძაღლები გაიქცევიან... ვილაცა კივილს მორთავს... ის კაცო, შეშას რომ ჭრის, მოვა და ხელში ცულშერჩენილი უნებური მკვლელივით სახეგაფითრებული დაგაჩერდება...

ღმერთო, გამაგებინე, ეს ფიდერები რაღაა და მერე, თუ გინდა, მართლა მომკალი!!  
ბინდდება უკვე... ცოცა... იმ კაცმა ერთი იღლია შეშა აკრიფა და შინ შეიტანა... ქალბატონო წინაო... ქალბატონო კი არა, უნდა ადგე მართლაც და... ეს სარეცხის თოკები მაინც არ იყოს გაბმული... ქუჩა უნდა გადავკეტოთ... თუ არ გადავკეტეთ, ისე კაბელს არ გამოგვიცვლიანო... ქუჩის გადამკეტი ვარ მეე?! ჟაკეტი... ვარდისფერი ჟაკეტი...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** კარგი ეხლა, შედი შინ და ჩანექი ლოგინში! მაინცდამაინც ამ აივანზე უნდა ნაიქცე, არა?

**მოხუცი ქალი:** ამ ორ ბოძს შორის გაბმულ თოჯენ იყო გაფენილი... წვიმდა მაშინაც...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** შედი-მეთქი, ახლავე შედი, ვერ გაიგე?

**მოხუცი ქალი:** ხო, ხო... კარგი, აჰა!.. იი, შევედი... ნეტა მოწიგენა თუ მართლა გარეთ უფრო თბილოდა?

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** ჩანექი ეხლა ლოგინში... თავიდან გაგიჭირდება, თორემ მერე არა გიშვს, თანდღათანობით ჩათბები. აი, ასე... ეს საბანი კარგად ამოვიკეცოთ...

**მოხუცი ქალი:** ეხს... უაკეტი... ვარდისფერი უაკეტი...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** ხო ხედავ, როგორ ნელ-ნელა ჩათბი!

**მოხუცი ქალი:** იმასაც ათბობდა ალბათ, იქ, ომში... ცივ რუსეთში... გიმნასტურის ქვეშ იცვამდა თურემ...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** გეყოფა ეხლა, დახუჭე თვალები და დაიძინე!

**მოხუცი ქალი:** მეორე დღით რომ ველარ ენახე, გავგიჟდი — მომპარეს-მეთქი! სონიაზე მქონდა ეჭვი, ძალიან მოსწონდა, სულ მეხვეწებოდა, მათხოვე და მათხოვე!.. სანყალი სონია... საღამოობით ლოტოს ვთამაშობდით ხოლმე — სონია, მამიდაჩემი, მე და ის ორნი: ის და ვანო — ძიანიკოს ბიჭი... ვანოს ეტყობოდა, რომ სულ არ ეპიტიხებოდა ეს ლოტო, მაგრამ, რა ექნა, ძმაცაცის ხართით თამაშობდა... მაშინდა თვალს მიკრავდა, მიცინოდა... მე ვბრაზობდი... რამდენჯერმე გადავწყვიტე, ავდგები და გადავდებ-მეთქი, მაგრამ საბაბს არ მაძლევდა — იჯდა თავჩალუნული, ლოყებდა ვარვარებული და ალაგებდა ლობიოს მარცვლებს ნომრიან ქალაღებზე... „დებოლიპიტოს ჩხირები!“ — ამბობდა სონია და დადებდა ისიც ერთ მარცვალს თერთმეტ ნომერზე. „ახატული-ჩახატული!“ — იცინოდა სონია და ისიც პირუჩუმრად ალაგებდა ლობიოებს სამოცდაცხრანებზე...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** გეყოფა, ქალო, ამდენი ლაქლაქი, დახუჭე თვალები და დაიძინე!

**მოხუცი ქალი:** რას წარმოვიდგენდი თუ ის უაკეტი მისი ნაღებული იქნებოდა... დილაადრინა წასულიყვნენ და აივანზე რომ გაეკვლით, მაშინ ჩამოეგლიჯა თოკიდან... გიმნასტურის ქვეშ იცვამდა თურემ... ეხ... ქუჩა უნდა გადაეკეტოთ... ქუჩას გადააკეტებდნენ? რა იყო მაინც, რანაირი ცხოვრება გამოვიარეთ... ეხლა... ეხლა?... ადამიანი ორმოც დღეს უძლებს შიმშილს... ორმოც დღეს და ორმოც ღამეს... დაიჯერო, ვითომ მართალია?

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** ნუ დაიჯერებ, თუ გინდა!

**მოხუცი ქალი:** დენი რომ ყოფილიყო, ჩაის ავიდულებდი... ასკილი ხომ მაქვს, ასკილის ჩაის ავიდულებდი... აღარც კი მახსოვს, შექარი როდის გამითავდა... აბა, ვილას უნდა ეხლა შენი ლოტო... ეხლანდელი ახალგაზრდები... ფიჰ!

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** რატომ, ამასწინათ არ გამოიტანა იმ რუსის დედაკაცმა სანაპიროზე და შვიდ ლარად არ გაყიდა?

**მოხუცი ქალი:** ყველაფერი იყიდება, ყველაფერი!.. ჯერ ბეჭდები, საყურებები, ძველი ქამარ-ხანჯალი, დურბინი, ნიგნები, პიანინო... მერე ჭურჭელი სულ სათითაოდ — თევშები, ჭიქები, დანა-ჩანჯალი, კოვზები, ქვაბები, სამარილები... ბოლოს გიტარა, ნარდი, ფარდაგი, ზენრები, ბალაშისპირები... არა... უნდა ადგე მართლაც, გახვიდე და...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** დაიძინე, ადამიანო, დაიძინე-მეთქი! ახლავე დახუჭე თვალები!

**მოხუცი ქალი:** ხო, კარგი, კარგი... აჰა, დაეხუჭე... ვინები ასე მიცვალებულივით, ხომ იცი, რომ მაინც არ დამიძინება...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** სპილოები დათვალე და დაგეძინება.

**მოხუცი ქალი:** შენ რას გეტყვი, შენა... ეგ რაღამ გაგახსენა, ქალო!.. ეგ ხომ... ეჰ... როდის იყო...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** დათვალე, დათვალე!

**მოხუცი ქალი:** უი, მართლა! აკი ის თეთრი სპილოებიც გაეყიდე, პიანინოს თავზე რომ მქონდა ჩამომწკრივებული...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** დაითვალე-მეთქი!

**მოხუცი ქალი:** ერთი თეთრი სპილო უდაბნოში... ორი თეთრი სპილო უდაბნოში... სამი თეთრი სპილო უდაბნოში... ოთხი თეთრი სპილო უდაბნოში... ხუთი თეთრი სპილო... ვაი, ეს რა არის?! დღერთო,

ღმერთო, დიდებულო! დენი მოვიდა! არიქა, ჩქარა, სანამ ისევ გამოურთავთ! ღმერთო, შენი სახელის ჭირიმიე, რა ბედნიერებაა, რა სასწაულია! მოიცა, ავდგე... ამ გამათობოელს ჩავრთავ და ზედ ჩაიდანს შემოვდგამ... კიდევ კარგი, წყალი მაინც მოდის... ესეც ასეე... ხედავ, დათბა უკვე... როგორ დათბა!.. შალიც თუ მოვიხურე, აღარაფერი მიჭირს... აი, სადაცაა ადულდება... დავჯდები აქ ჩემთვის და... უპ, რა კარგია... აკი კაბელია დამწვარიო! აკი ფიდერები ვერ უღებესო! გაიგეს ალბათ, ქუჩის გადაკეტვას რომ ვაპირებდით და... იი, ციგნები, ეგ ციგნები!.. აპა, აი, ადულდა კიდევ!.. აპა, მითხარი ესლა, რად უნდა ამას შაქარი, ნახე როგორი გემო მისცა ასკილმა! თანაც მარგებელია, თირკმელებს უხდება... უიმე, ქალო, ამ ცხელმა ჩაიმ მადაზე არ მომიყვანა?! ცოტა პური რომ მქონოდა... სულ ცოტა... ერთი ნაჭერი... ნეტავ უპუროდ რამდენ ხანს სძლებს ადამიანი?.. უპუროდ, უცხიმოდ, უშაქროდ... ალბათ, ორმოც დღეზე მეტ ხანს... ორმოც დღეზე და ორმოც ღამეზე მეტ ხანს... არაუშავს, ღმერთო მონყალეა... პენსიამდე სამი დღეა დარჩა... რა არის სამი დღე... არაფერი.

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** იაფად მივეციო, იმ რუსის დედაკაცმა, ათი უნდა დამეფასებინაო.

**მობუცი ქალი:** გაზაფხულამდეც რაღაა — თებერვალი მოკლე თვეა, მერე მარტი და აპრილი!

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** რაც დავუფასე, მაშინვე მომცა, ერთი არ შემევაჭრებიაო!

**მობუცი ქალი:** არა, გენაცვალე, ეგ არა!

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** რატომ, ვითომ, რატომ, შიმშილით უნდა მოკვდე, არა?

**მობუცი ქალი:** მოვკვდე და მოვეკვდე, ჯანდაბას ჩემი თავი...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** ხო და მოკვდები!

**მობუცი ქალი:** სულ მე მიყურებდა ხოლმე, სანყალი... ლამფის შუქზე თვალები უელავდა... ყველა ხედებოდა — მაშიაღაც, სონიაც, ვანოც... მე ვერაზობდი, ავდგები ერთხელაც და გავადგებ-მეთქი...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** მერე, რატომ არ გააგდე? დროზე უნდა გაგველო, დროზე!

**მობუცი ქალი:** გამინასტურის ქვეშ იცვამდაო, — ვანომ, — საყელო რომ გავუხსენი, მაშინ ვუნახეო... სისხლით იყო შედებილიო... წამომელო, მინდოდაო...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** შენა? შენ გინდოდა? სულ რომ არ გქონოდა ის ჟაკეტი, არ გერჩინა? იმან დაგლუპა, შე საცოდავო, შენა, იმ ჟაკეტმა!

**მობუცი ქალი:** რატომ, ქალო...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** ვითომ არ იცი, რატომაც! გიხდებოდა და იმიტომ... ხო გიხდებოდა?

**მობუცი ქალი:** ხო... მიხდებოდა... სონიასაც ძალიან მოსწონდა... გამინყალა გული, მათხოვე და მათხოვეო!

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** მერე, რატომ არ ათხოვე... ეჭვიანობდი, არა? გამოტყდი, რომ ეჭვიანობდი!

**მობუცი ქალი:** უიმე... აპა, რას ამბობ...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** მე რას მიმაღა, ქალო, მე მიმაღავე?! საცოდავი სონია...

**მობუცი ქალი:** კარგი, გეყოფა.

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** ნავთლუღის სადგურზე გაქცეულა, მატარებლისთვის ძლივს მიუსწრია, იმ ვაჭბატონს კი თურმე შენი ჟაკეტი ეცვა უკვე... ის სულელური ჟაკეტი!

**მობუცი ქალი:** კარგი, გეყვები, კარგი, გეყოფა!

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** არა, მაშინ რაღა იყო, ქვა რომ ააგდე და თავი შეუშვირე — არაო, უწინამც დღე დამლევიო! ახლა ხომ ასე უპატრონოდაც აღარ იქნებოდი...

**მობუცი ქალი:** აპა, რა მექნა, თვალები დამეხუჭა, ავმდგარიყავი და გავყოლოდი ვიღაც უცხო კაცს ქუთაისში?!

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** რატომაც არა, ვითომ რა ჰქონდა შენი დასანუნი?!

**მობუცი ქალი:** ეპ, კარგი, ერთი... რას გავდა — ლიპიანი, მელოტი... ფუპ!

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** სულელო, შე სულელო... მაინც რას ელოდებოდი, ვიღას ელოდებოდი, რისი იმედიღა გქონდა, მკვდარს ხომ ველარ გააცოცხლებდი?!

**მობუცი ქალი:** რა გინდა ესლა, გინდა, რომ მართლა ავდგე, გავიდე და...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** ხო, კარგი, კარგი... მომისმინე, პენსიამდე სამი დღე დარჩაო, რომ ამბობ, ეს სამი დღე მშვერი იქნები? ჭამა არ გინდა?!

**მობუცი ქალი:** მერე?

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** რა მერე, არ იცი? ადექი, ადექი ეხლა!.. აი, ხო ხედავ, როგორ დასუსტებულხარ, ძლივს დაბრაცუნობ, კომოდის უფერასაც ვეღარ აღებ... აბა, აფშულუკუნდი ეხლა შენებურად! იცოდე, ცრემლი არ დამანახო, თორემ არ ვიცი, რას გიზამ!.. აპა, აი, რა გინდა, კოლოფი კარგად არის შენახული... ამ ნაჭრის პარკს კიდევ გარეცხავ, გააქათათებ და... ნახე, ეს ლოტოს კოჭებიც სულ ახლებივითაა!

**მობუცი ქალი:** ვაიმე... ეს... ეს მაშინდელი ლობიოს მარცვლები... ღმერთო, დიდებულო!

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** ბიჭოს, რამდენი ლობიოა! თითქმის ერთი მოხარშვაა... მთავარია, დენი არ გამოირთოს, მთავარია, შუქი არ ჩაქრეს! ეგ ხარშვაშიც მოიმატებს, ხო იცი... ლობიო ხარშვაში მატულობს!

**მობუცი ქალი:** აბა, რას ამბობ...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** ოღონდ არ იტირო, გაიგე? არ იტირო... ცრემლი არ დამანახო, იცოდე! ახლა სულ სხვა რამ არის მთავარი, გესმის? მთავარი ახლა ეს ლობიოა... ეს ლობიოა მთავარი... უმთავრესი... ყველაფერი დაივინყე, სხვაზე ნურაფერზე იფიქრებ!.. ახლა ასეა საჭირო, საჭიროა-მეთქი, გაიგე? ცრემლი, ცრემლი არ დამანახო, თორემ გავგიჟდები!

**მობუცი ქალი:** კარგი, არ ვიტყვირებ... რაღა დროს ტირილი და თავშიცემაა... თვალები რომ მიცრემლდება, სიბერის ბრალია, ვანა ვტირო... ამას ეხლა კარგად გავრეცხავ... გაეაჩხჩახებ და, აი, ქვაბით შემოვდგავ... ნეტავი მალე ადულდებოდეს... ამას, ხო იცი, რამდენი ხარშვა უნდა... ლობიოს ქონდარი უხდება... კიდევ ქინძი, ნიორი... მოიცი, მგონი, სადღაც მქონდა ხმელი ქონდარი... უი, აი, წინაკაც ყოფილა! მეტი რა? ჰო, ხახვი... მაგრამ, აბა?.. არაუშავს, ისედაც არაუშავს... წინაკაც, ქონდარი, მარლი და მისი ჯანი!.. ლობიო — ყველას მჯობიო... ლობიო — ყველას მჯობიო... აპა, აი, დაინყო... დუღს... დუღს!.. სუნიც რომ აუშვა?! ნახე, როგორი სურნელი აუშვა, თითქოს ის ძველი დრო დაბრუნდაო... ძველი, უზრუნველი დრო დაბრუნდაო...

ლობიოს, გენაცვალე, მწნილი უხდება! კომბოსტოს მწნილი, კიდევ პამიდერისა და წითელი ღვინო. ხო-ხო-ხო, წითელი ღვინო! საფერავი! ძია ნიკოს ბიჭს ჩამოჰქონდა ხოლმე კახეთიდან და...

ვაიმე!.. ეს რა ქნეს, ამ უსინდისობემა... ან მოსვლა რა იყო და ან წასვლა! ცოტა ხანს კიდევ ეცლიათ, რა მოხდებოდა... როგორ ჩამოხნებოდა... ეტყობა მთელი უბანი გამორთეს... თან რა ცუდად წავიდა — ჩაიბუტა, ჩაიბუტა და ჩაქრა... ქუჩა უნდა გადაეკეტათო... ქუჩის გადაკეტი ვარ მეე?.. რა ეშველება ახლა ამას... ერთი საათი მაინც ეცლიათ... ერთ საათში მოიხარშებოდა კიდევ...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** კარგი, რას იზამ, დანექი და დაიძინე.

**მობუცი ქალი:** ცოტა ხანს კიდევ დაველოდები, რა ვიცი, იქნებ მოვიდეს...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** მეტი არ იყოს ჩემი მტერი... დანექი, დანექი და საბანი კარგად ამოიგე... არა, ეგ შალი გეკეთოს!.. თავიდან გაგიჭირდება, თორემ მერე არა გიშავს, თანდათანობით ჩათბები... აი, ეგრეე... დახუჭე ახლა თვალები და დაიძინე.

**მობუცი ქალი:** აპა, დაეხუჭე, მაგრამ ხომ იცი, რომ მაინც არ დამეძინება...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** სპილოები დათვალე და დაგეძინება.

**მობუცი ქალი:** კარგი, ერთი!

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** მიდი, მიდი! ხომ გახსოვს, დედაც ასე გვაძინებდა ხოლმე...

**მობუცი ქალი:** დედა?..

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** ხო, დედა. ეხლა რა გინდა, მოგეცა, არა ტირილის საბაბი! შენი ხმა არ გავივონო, იცოდე!

**მობუცი ქალი:** რა იყო, ტირილის უფლებაც აღარა მაქვს?..

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** კარგი ჰო, კარგი... რა გითხარი, დაითვალე-მეთქი, რა გითხარი?

**მობუცი ქალი:** ერთი თეთრი სპილო უდაბნოში... ორი თეთრი სპილო უდაბნოში... სამი თეთრი სპილო უდაბნოში... ოთხი თეთრი სპილო უდაბნოში... ხუთი თეთრი სპილო უდაბნოში... კი, მაგრამ რა უნდათ სპილოებს უდაბნოში? იქ ხომ ქვიშის მეტი არაფერია — არც წყალი, არც საკვები... ნეტა რამდენ ხანს უძლებს სპილო შიმშილს?

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** დაითვალე!

**მობუცი ქალი:** ერთი მშვიერი სპილო უდაბნოში... ორი მშვიერი სპილო უდაბნოში... სამი მშვიერი სპილო უდაბნოში... ოთხი მშვიერი სპილო უდაბნოში... შიათ, სწყურიათ, სასმელ-საჭმელი კი არსად არის...



თვალსა და ხელს შუა დნებიან, იღვეიან... გამხდრები, გასაცოდავებულები, გაძვალტყავებულები მოლასლასებენ...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** რა ვითხარი მე შენ, რა!

**მოხუცი ქალი:** ერთი გაძვალტყავებული სპილო უდაბნოში... ორი გაძვალტყავებული სპილო უდაბნოში... სამი გაძვალტყავებული სპილო უდაბნოში... აი, ერთი წაიქცა... ზვინივით გადანვა გვერდზე... მეორემ წინა ფეხებზე ჩაიჩოქა, ეშვები ქვიშაში ჩაასო და... მოკვდა!

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** მორჩი ეხლა მაგ სულელურ სენტიმენტალობას და დაითვალე!

**მოხუცი ქალი:** კი, მაგრამ, შენ ეინა ხარ, რო მოსულხარ და მკამანდრობ აქა! ვინ ოხერი ხარ?

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** აი, ხო ხედავ, შე სანყალო, ისე გამოჩერჩეტდი, რო საკუთარ ხმასაც ვეღარა სცნობ!

**მოხუცი ქალი:** საკუთარ ხმასო?!


**ახალგაზრდა ქალის ხმა:** ხო, რა იყო, რა გაგვიკვირდა!

**მოხუცი ქალი:** უიმე... უიმე... მართალი ხარ — გამოვჩერჩეტდი... დავებრდი... დავილაღე...

**ახალგაზრდა ქალის ხმა:** კარგი ეხლა, კარგი, დაითვალე და ჩაგეძინება...

**მოხუცი ქალი:** ერთი მკვდარი სპილო უდაბნოში... ორი მკვდარი სპილო უდაბნოში... სამი მკვდარი სპილო... უდაბნოში... ღმერთო... ღმერთო, დიდებულო... რა არის ეს... რა არის?!... ჟაკეტი... ვარდისფერი ჟაკეტი... სისხლით შეღებილი ვარდისფერი ჟაკეტი!.. როგორ უეცრად განათდა!.. როგორი ნათელი ჩამოდგა... ნუთუ? მაგრამ ესენი?.. ამათ აქ რა უნდათ?.. ესენი ხომ დიდი ხანია, რაც... აი, მამიდა... აი, სონია... ძია ნიკოს ვანო და თვითონ ძია ნიკოც... აი, ისიც!.. ისიც... ღმერთო, როგორ ბრწყინავს, როგორ ნათდება ყველაფერი... ესენიც როგორ მიღიმიან, როგორ მიხმობენ... ხელეხს მიწვიან... ნუთუ ეს არის, რასაც ამდენ ხანს ველოდებოდი?.. ჰო, მოვდივარ... მოვდივარ, ჩემო კარგებო... დედა... ჩემო დედიკო... შენცა?.. მოვდივარ, საყვარელო... მოვდივარ, ჩემო ძვირფასებო... აი, მოვდივარ.

### დასასრული



# ირაკლი ლომოური

კვბტი

*მითხარი, რას კითხულობ ფეხსალაგში,  
და გეტყვი, რა ზეითოფა ბრძანდება.*

*მკვლი ჩინური ანღაზა*



ზოგჯერ ისეთი დამ-  
თხვევა ხდება, იფიქრებ  
— არა ხდება არავითარი

დამთხვევა!.. საერთოდაც არ არსებობს!..

ანუ, რაღაც სხვა ხდება, სხვა რამ, სხვა უნდა  
ერქვას...

აი, მაგალითად, ამ დილას, საუზმის შემდეგ,  
შევდივარ ჩვეულებისამებრ იქ, სადაც... მოკლედ,  
ყოველგვარი ევფემიზმების გარეშეც, ალბათ,  
ცხადია, სადაც შევდივარ, და თან, როგორც მჩვე-  
ვია, ხელს ვაყოლებ რაიმე წასაკითხს... ამჯერად  
საგანგებოდ არაფერი მიძებნია (მიმეჩქარებო-  
და! თანაც ისე, რომ სიგარეტის მოწევა არც კი  
გამხსენებია — მეჩვიდმეტე დღეა, თავი მაქვს  
დანებებულო!), რაც ხელში მომხვდა გზად პირვე-  
ლივე თაროზე, ის წავიკითხე... მხოლოდ მაშინ  
დავხედე, როცა მოვთავსდი და საქმეს შევუდ...  
მოკლედ, აღმოჩნდა ვინმე ვერკორის „ზღვის  
დუმლი“, მომცრო წიგნაკი (ასიოდე გვერდი  
თხელ ყდაში), რუსულ ენაზე, გამოცემული მოს-  
კოვში 1959 წელს, მოთხრობების კრებული... მარ-

თალი გითხრათ, ვერკორი დღემდე პოეტი მეგონა  
(ალბათ, ვერჰერის ხათრით)... და, თუკი გიკვირთ,  
რომ სახლში მაქვს წიგნები, რომელნიც არათუ არ  
წამიკითხავს, არც კი ვიცი, პოეზიაა თუ პროზა,  
ნუ გიკვირთ — მამაჩემისდროინდელ, მისი ხელით  
სათუთად ნაგროვებ ბიბლიოთეკაში იმდენი ხარაბ-  
ურაა (საბჭოთა ინტელიგენტი ხომ ლამის არის  
ყველა წიგნს ყიდულობდა, რასაც კი უშვებდნენ —  
რიგიანი ხელფასი თუ ჰქონდა, ცხადია — პროფე-  
სორის მაშინდელი ჯამაგირი კი, მოგეხსენებათ...),  
ყველაფერი რომ მეკითხა მიჯრით, წერა-კითხვა  
შემჯავრდებოდა კიდეც!

გადავშალე და დავინყე იქიდან, სადაც გადამე-  
შალა, ანუ მე-15 გვერდიდან — მინდა, ჯერ გავიგო,  
რა ზეითოა ეს არაპოეტი ვერკორი. როგორც წესი,  
ორიოდე ფრაზაც საკმარისია იმის მისახედრად,  
ღირს თუ არა კითხვად, თუნდაც ფეხსალაგში! და-  
ვინყე პირდაპირ გვერდის შუიდან — აღწერილია,  
როგორ მობაჯბაჯებს რიგში ოთხი კვატი, მეოთხე  
ყველაზე პატარაა, ყველაზე ყვითელი და სულაც  
წინილას ჩამოჰგავს... მაგრამ სწორედ ის ვიტ-



ვიტებს (თუ კვატკვატებს?) ყველაზე ხმამაღლა და ყველაზე ამაყადაც ის მიაბიჯებს, გაჯგიმული.. მაგრამ რადგან ციცქნაა, ერთი ბენო, ქვებზე გადასვლა უჭირს და წამდაღუნუმ ცეცმა, ცხვირ-პირს ინტერენის (ის, რაც ვერკორს უწერია, ალბათ, შეიძლება ითარგმნოს როგორც: როჟას იხევეს), თუმც კი არ ეპუება და ისევ თავანულო მისდევს ძმებს...

კვატების ამ პროცესიას (თუ აღლუმს) უყურებს სამი მამაკაცი, ქუჩის პირას გვერდიგვერდ მჯდომი — სიცოცხლე ვერ შეიკავებენ და, როცა კვატები თვალს მოეფარებიან, შუაში მყოფი წამოიწეწებს, დანარჩენს ორს მხრებზე დაეყრდნობა, ხელს მოუჭერს ისე, თითქმის ატკენს და ეტყვის,

— წავედით საეახსმოდ!.. არაფერია, გამოვძვრებით!

ეს ყველაფერი საკმაოდ ცოცხლად, შეიძლება ითქვას, სახალისოდ არის აღწერილი... დაინტერესდი და კითხვა ამჯერად უკვე თავიდან დავიწყე, და ბოლოშიც გავედი — სულ შვიდი გვერდი აღმოჩნდა, ასე რომ, ადვილზევე მოვასწარი... ერთი სიტყვით, გამოვედი ორმაგად გუნებაგაქეთებული, და, სულაც — თითქოს, რაღაცნაირად საესე, რაც, თუ ჩაუვუკვირდებით, ერთგვარ პარადოქსადაც კი უღერს... იმდენად კარგ გუნებაზე ვარ, სიგარეტის მოწვევაც კი არ მინდებდა (მეჩვიდმეტე დღეა, თავი მაქვს დანებებული)...

მოკლედ, ნოველა.

მართლაცდა! ნოველა (ვერ ვიტან ამ სიტყვას — ნოველა — მაგრამ რატომღაც მაინც ვხმარობ)... რაზეა? II მსოფლიო ომში საფრანგეთის სამარცხვინო დამარცხების შემდეგ (ვერკორს, ანუ ჟან ბრიულერს — ნამდვილი სახელია — 1942 წელს დაუწერია) ფრანგი ოფიცრები პატარა სოფელში არიან, საიდანაც გასვლის უფლება არა აქვთ — თითქოსდა ეს არც არის ტყვეობა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ყოველ შემთხვევაში, ნაციისტებს ისინი ინტერნირებულნი არა ჰყავთ სამხედრო ტყვეთა ბანაკში, მაგრამ, ფაქტობრივად, მსგავს მდგომარეობაში არიან: თავისუფალი გადაადგილების, ანუ სოფლიდან გასვლის უფლება წართმეული აქვთ და, მიუხედავად იმისა, რომ შედარებით კომფორტულად ცხოვრობენ (და საქმელსაც გემირელს უშზადებს საკუთარი პოლიკის შუფ-მზარეული), ახრჩობთ ბოღმა, სასტიკი განცხადებები და მორცხვები და ღირსების შელახვისა, ანუ მორალურად გაუპატიურებულნი არიან, სასონარკვეთამდე მისულები, სიცოცხლე აღარ უნდათ, არაფრის იმედი აღარ აქვთ... და, აი, გა-მოჩნდებიან კვატები...

გამოვედი ქუჩაში, ვდგავარ, "მარშრუტას" ველოდები, სუფთა ჰაერზე მონვეა მომინდა, მომინდა, მაგრამ ბაუბაუჯით ჩამიარა ვიღაც ბუთხუზამ, დედიკოსთან ხელჩაკიდებულმა, და თავი გმირულად შევიკავე!


მივიფიქრე სამსახურში, მიკროავტობუსში უეცრად გავაცნობიერე — ერთი-ორი ჩემკენ აღმაცურად მომართულ გავიცებულ მზერას გადავანჯიდი და, ალბათ, ამიტომ — ვიკრიტები, ანუ სრულიად უაზროდ ვიღიმები... მართალი გითხრათ, ერთი პირობა თვითონვე გამიკვირდა, დავეფიქრე: რა მიხარია?... რა?

ააა, მივხვდი... ვერკორი!.. ვერკორი მიხარია!.. საღამოთი დაბრუნდები თუ არა, ჩავეჯდები!

მაგრამ საღამოს კითხვა არ დამცალდა, ისე დათვევრი, ისე დათვევრი, ვიივე დედიკო!.. არც მეორე დილით დამიწყია — იმტომ კი არა, რომ „ნაბახუსესს“ (იმდენად ხელოვნური სიტყვა მგონია მშობლიურ პახმელიასთან შედარებით, არ შემიძლია, ბრჭყალებში არ ჩავსვა) წიგნის კითხვა მიმიძიმს — თუმც კი, რა თქმა უნდა, ეგრეც არის. არა. პირდაპირ წერა დაიწყე. იმისა, რაც გუშინ მოხდა თუ გადახმდა, ანუ იმისა, რასაც თქვენ კითხულობთ. რატომ?... მეც ევ მაინტერესებს... რა და რატომ... საერთოდაც...

მიკლედ, მივედი მედაცქიაში ერთობ გაბადრული და ჩემი უშუალო მოვალეობების შესრულებას შევეუდევი მორალურად მკლავებდა-კაპინებული. მაგრამ დახვედრე თუ არა ჩემს სანერ მაგიდაზე დახვავებულ ხელნაწერებს, ღიმილი ნელ-ნელა ჩამომძვრა სახიდან, ნაცემი არლექინის შელანძღული ნიღაბით, და სიმწრის დაჯღანულობად გადამექცა... აბა რადა! მთელე გორა იდგა სტატიებისა — კარგ ჰონორარს ითლევინარ, ხმა გავრცელებულა ქალაქში და წამოვიდა და წამოვიდა წერილები ნიღვრად, ძირითადად, რუსული უურნალებიდან მოთარგმნილ-გადმოკატავებული და უმოთავრესად კულტურ-მულტურაზე (მულტი-კულტურალიზმში არ ავერიოთ). ამოვიგინე ერთიც და, ყინულიან წყალში კაცი რომ ხტება თავით, ისე გადავემევი ესეისტიკის კანკამა მორევი. სხვა რა გზა მქონდა — ესეისტიკისა და თარგმანის განყოფილების გამგე მქვია და, მე თუ არ წავიკითხე ეს ე. წ. „მასალა“, ვინ წაიკითხავს? მით უფრო, რომ განყოფილებაში ჩემს გარდა სულიერი არა ჭჭანებს. და იმიტომ კი არა, რომ სამსახურში არ დავიან ანდა იგვიანებენ — უბრალოდ, მე ვარ ერთი, და სულაც, ერთადერთი სამტატორ ერთეული განრიგია: უფროსიც, უმცროსიც და შუათანაც!

აი, მრავალსახეობა ერთეულისა! უნივერსუმი!



ერთი სიტყვით, ვიკითხე ზუსტად ოცდათერთმეტი წუთი (მონევა სამჯერ მომიხდა: მე-13, 28-ე და 31-ე წუთებზე) და წერებები არათუ უბრალოდ მომეშალა, არამედ... მომერღვა!

ტიპი... უკაცრავად, ავტორი, სრულიად სერიოზულად ამტკიცებს, რომ აფრიკის კონტინენტი ქართველების მიერ კოლონიზებული ყოფილა უხსოვარ დროში, ვაცილებით ადრე, სანამ იქ პირველი დასავლეთეუროპელი (თორემ პირველი ევროპელი ვინ იყო და სად ბოგინობდა, ჩვენ კი მოგვეხსენებო!) ფეხს დაადგამდა. არგუმენტები ჰქონდა არათუ ქვის გამხეთქავი, პობედიტი ამირიებული რკინაბეტონისა და, ძირითადად, რასაკვირველია, ტოპონიმები: ტბა ჩადი (ღრმულშია და!), ქალაქი ადის-აბება (ბორცვზეა და!), რესპუბლიკა ჯებუტი (გურილიან არიან მაი გვარისანი სულაქი) და ა.შ...

ეთიოპიის რუკის ქსეროასლიც კი ჰქონდა სტატის სათუთად თანდათულ-მისტეპერებული, ზედ წითელი ფლომასტერით გაეხაზა ავტორს ისეთი სახელწოდებანი, როგორცაა: ბურჯი, ალგე, ადლოა, ტბა ჩამო, გურა-ფერდა, ფერფერი, გვა-სასალი, გელადი, დილა, არა, მიეფა, მოლაფე, დიდავი, დაბაისიმა, დანგური, გორგორა, ტბა ტანი, აიაიე, სერება, კვორამი და ა.შ.

ვიკითხე, ვიკითხე შორეული ეთიოპიის დაბასოფელთა სასუქვარ-შობოდიურად მჭელერ-ნარნარი სახელები და ძალიან მომიხდა აფრიკაში, ჩვენი ოდითიან გადახვენილი, ან უკვე თავით-ფეხამდე გარუჯულ-დაბრუკული ძმების მონახულება — საქართველოვ, შენ ვინ მოგვა შვილი დასაკარავი-ო?! და კიდევ, სივარტის მონევა მომიხდა მძლავრად (ანუ მოშწნად), არადა, დანებებული მაქვს ჩვიდმეტი დღეა... რა ექნა?. ავდექი, გამოვედი ოთახიდან და ვფიქრობ, ჩავალ „სალონიში“ და კიბეზე პირველი კარლ, ნუგზარი ან მალხაზი თუ შემხვდა, მოვწევ და, თუკი ინგა, ნინო ან ხათუნა — არ მოვწევ!.. ჩაფიქვარ, ვხედავ, ამოდის... თამრიკო! ბლომად საქალაღე ჩაუბლუჯავს, ზედას სულაც ნიკაბით იმავრებს...

— ოღონ-ლაქებს ძალ-ღონე არ გაკლიათ, — ვუბნები აქცენტირებულ-კალამბურისტულად, — მაგრამ მოიცა, მოგეხმარო...

— მაგარი ჰუმორი გაქვს... — ცალკობად იცინის ლამრიკო... აბა, ორყბად თუ გაიცინა, დაეშლება დასტა. — მაგრამ კაი ჰო, მომეხმარე... ზედები აიღე...

ოღონდ ჩემი ჯენტლმენობა ხომ უნდა დავამტკიცოდანყალგაუმტარიბექედცდავასვა?! ამისთვის კი მიუღი დასტა მჭირდება — ვველაფერი ან არაფერი (ასეთი დევიზი მაქვს ცხოვრებაში, და რა ექნა!) მაგრამ არ იძლევა მთელს. ვცდილობ, გამ-

ოვართვა და ამ ტაცება-ჯაჯგურში საქალაღეები კიბეზე ცვივა! წაყვითლებული ფურცლები ჰაერში დაფრიალებენ სადმე უესესის საგრაფოში გადაკარგული ციხე-კოშკის საგარეულო მოჩვენებებით...

როდის-როდის, ქალაღლის ქარბუქი მინელდა, ჩაღდა.

მიმოვიხედე... ჭირნახულის აღებს დროც მოსულა!

ერთი სულიერი მანიც ვაჭაჭანებულყო კიბეზე... შეშნედ... არადა, სივარტის მონევა მინდებდა და მინდებდა... ვეკითხები: „დათომ ვერ ამოგატანიანა ეგ საქალაღეები?!“ (დათო მთავარი რედაქტორის მძლოლია). „მთავარ ოფისში ექქარეღდა ძალიან“, მმასუხოზს და არ მიყურებს, ფურცლების შუგროვებას იწყებს. „მარსზეა ოფისი თუ ვენერაზე?!“ მანიც ვერ ვითმენ, რომ არა ვთქვებ სარკასტულ-გულისხმირად და მეც ცალ მუხლზე ვეშევი, ვინყებ ქალაღების შუგროვებას ახლად ნანვიმარზე ამოსული სოკოებივით. თამრიკოს თვალს ვარიღებ...

როგორც ექნა, ავიღეთ. მინდოდა, მეკითხა გზად, ამდენი რა ფირმან-გუჯრები გაქვთ ამ თქვენს წარღენამდელ მუყაოს ფოღდერებში დავანებული-მეთქი, მაგრამ არაფერი მითქვამს...

მიმიღა ზედერი ჯენტლმენისა! მაგრამ რას იზამ... გამართებს თავშეკავება!

მოკლედ, ისე მოხდა, რომ ერთი საქალაღე შემთხვევით ჩემს შავიდაზე შემორჩა... გვიანდა შევნიშნე, მას შერე, რაც სალონიდან ამოვბრუნდი კიდევ ერთხელ საკუთარ თავეღგამარჯვებულ-მოზიემე — არ მომიწევია!

სეციალიური მეღალი უნდა იყოს დანესებული ამ უბრობისთვის, ღმერთმანი! სრული კავღური ვიქნებოდი (კავღური მეღონი ჩოყლაყია, არა, ტპილქართულად?!)

გაღაგმაღე თამარ-ქალის საქალაღე — ოღონდ კი ესესტურმულტურული „მასალები“ არ მეკითხა და ამრიღის თეზისებსაც წავიკთავდი, მეღონი...

აღმოწნდა პირადი არქივი ვინმე არჩილ არჩილის-ძე ვაწნაძისა, ერთი ქართველი სტუდენტისა, რომელიც გერმანელ აგრესორებთან მოღალატური კავშორის გამო დაუპატიმრებიათ 1945 წლის 8 მაისს. „მოღკავშირი“ — ამგვარი შემოკლება შემხვედა ოფიციაღურ საბუთში! — როგორც მიხვდი, იმაში გამოიხატა, რომ ანეკდოტი მოუყოლია... უფრო სწორად, ანეკდოტის მოყოლა დაუსყია უნივერსიტეტის დერეფანში: „ჰიტღერი და სტალინი შეხვდნენ ერთმანეთს საიქიოში...“ და ვეღარ დაუმთავრებია... იდეოლოგიურად გაფაციცებულღ,

მარადღებელი თანაკურსელი, რომელიც თურმე ზურგსუკან ედგა, ცვა შეძრწუნებულ-გმინვითი ყვირილით: „რა უნდა სტალინს საიქიმოში?“ და გაათიროს... სადაც ჯერ არს.

მხოლოდ დასმენა-ჩაშვება კი არ ყოფილა, მართლა და მართლა!

სულ რაღაც 7 წელი მოუსაჯეს (ალბათ, ფაშისტებზე გამარჯვების ხათრიით).

საქალაქებში ოფიციალური საბუთებისა და პირადი წერილების გარდა აღმოჩნდა კიდევ თორმეტფურცლიანი ყდაახეული რვეული ქიმიურფაქტითანაწერი ჩანახატ-მინიატურებიანი და ერთნოველიანი (ისევ ნოველა!).

თვითონ ტექსტი ხელთ არა მაქვს — როგორც კი ჩავამთავრე, შემოვიდა ოთახში თამრიკო, დაინახა, რასაც ვკითხულობდი, სწორედ მაგას ვეძებდი, მჭირდებო! გამიღიმა, საქალაქე ამ-ართვა და ნაიღო.

ქალებთან ხელჩართული ბრძოლა არა მწვევია, თანდაყოლილი, ბუნებითი ჯენტლმენობისდა გამო, ალბათ...

ამიტომ შინაარსს მოგიყვებით, როგორც დამაზახსოვრდა...

როცა იმავე დღეს, მოსალამოვებულს, თამრიკოს ვუთხარი, ის რვეული კიდევ ერთხელ მათხოვე-მეთქი, გაუკვირდა, რა რვეულიო? არაა იმ საქალაქეში არავითარი რვეულიო! მხოლოდ საბუთები და წერილებიაო! და მაჩვენა — მართლაც არ იყო!

სად გაქრა? რამ გააქრა?

აი, არჩილ ვაჩნაძის ნოველა, უფრო სწორად, მისი მოკლე შინაარსი:

მოქმედება ხდება, მგონი, XVIII საუკუნეში. ყოველ შემთხვევაში, სანამ რუსთელმწიფე საბოლოოდ გაგვაბედნიერებდა, ჩაგვებუტებოდა... ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმი კვალში მისდებს მტერს, ოლონდ გაუტებარია, ვინ არიან, ალბათ, უფრო ლეკები. ქალი ჰყავთ მოტაცებული, თავმომწონე მურზაყან ვაჩნაძის ნიავეით ცოლი (ზუსტად ვერ ვუნერა, „ნიავეით“, კარგად მახსოვს). მდეგრებს თვით მურზაყანი უდგას სათავეში. მისდევნე ერთი დღე, მისდევნე ორი დღე, მისდევნე სამი დღე... თუ უღელტეხილზე გადაას-წრეს, მორჩა, დაკარგულია... თან კიდევ, გვიანი შემოდგომაა, ზამთრის პირი, უცერად გაავდრდება საზარლად, ქარაშოტია, თოში, ცხენები, ლამის არის, ლავჭყაპში ჩაეპიროთ... და აი, ბოლო ქართულ სოფელში არიან, უღელტეხილამდე აღარც არაფერია დარჩენილი... მაგრამ ქარბუქია და თან დამდება... გლეხის ქოხში სხედან კერიის გარშემო, დანა პირს არ უხსნი, მურზაყანი ყალიონს აბო-

ლებს, აბოლებს, შემდეგ დგება, კარს აღებს და გარეთ გადის, უნდა ნახოს, იქნებ, იკლო ქარმა, იქნებ, ოდნავ მაინც გადაიდარა... მაგრამ არა, თოვლმა უფრო და უფრო წამოუშინა, გადაბარდნა არე-მარე... უცერად ქარაშოტის ზუზუნ-ზმუილში ჩაესმის რაღაც ხმა, ვიტვითისებრი... ხედავს, ფანტელეებით მოჩითულ ბილიკზე შეუპოვრად მოინწეს ქოხისკენ ციცქნა კვატი, ოქროსფერი... ქარი პირში სცემს, მაგრამ არ ეპუება... დაპებრავს ქარი, გადაისერის უკან, მაინც ჯიუტად აგრძელებს გზას... მურზაყანი მივა, ხელში აიყვანს, შებრუნდება ქოხში, ერთ სიტყვას იტყვის მხოლოდ: „აქ დამელოდეთ... ხვალამდე“. და მიდის. უჩინარდება. ნკვარამში...

ნოველა ასე მთავრდება: რიბრაბოზე გაისმა — „ჰეი-ჰე!“ გაცვივდნენ გარეთ კაცები და ხედავენ, ნელამდე თოვლში დგას მურზაყანი, სისხლიანმკლავდაკაპინებული, ხელში ქალი ჰყავს, ბავშვივით გულში იხუტებს, ქალი კიდევ — კვატსა...

ვეუბნები თამრიკოს, ჩემი თვალით ვნახე ეგ რვეული, ნოველაც კი წავიკითხე! მოგიყვებით, თუ გინდა!.. არაო, მიმტკიცებს, არ ყოფილაო!.. მეთქი. სადმე იქნება შენს მაგიდაზე, აუცილებლად! ალბათ, ამიოდენ მექანიკურად და გადავი, აქვე იქნება სადმე, ქალაქებში მიმალული... ვეძებე და არ არის, შენ თვითონ ნახე, თუ გინდა! მეუბნება. ერთად ვნახოთ-მეთქი. მოდიო. ვნახეთ. არ აღმოჩნდა.

დავლონდი. მოწვევა მომინდა. „ლაიკას“ მოწვევ, ისე ვარ... უცებ თამრიკო მეუბნება — მზიასთან მივდივარ, დაბ.დღე აქვს, არ იხდის, მაგრამ გიო შატბერაშვილია გერმანიიდან ჩამოსული, იქ იქნება და წამოდიო!

ვაუ! და ვოუ! წავედით.

როცა ჩვენში კაცი, გინდ ქალი (ქალიც ხომ სინამდვილეში კაცია, ოლონდ + დედა...) არ იხდის დაბადების დღეს, სახსობად ტყდება. და, თუკი შინ არის და თან იცის, რომ მიადგებიან, იმდენი მაინც აქვს ხოლმე მომარაგებული პურ-ღვინო, პრუსიასი სამ-ოთხ ნვეულებას რომ გასწვდება!

ასეც იყო. თანაც, არ ჩვენ ავსულვართ უბრადა... გვესმის საგანი!

ხალხიც ბლომად შეიყარა. ძირითადად გოგოები. მე და გიომ შეეუბრეთ, გემოზე. მოვთქვი სული — მიმე დღე მქონდა, შენ მიშველ-მეთქი, ძმაო... რათაო?... ჰოდა, მეც ვყვები, რა ძვირფას სტატიებს ვამუშავებ და რა რაოდენობით, ვყვები აფრიკული საქართველოს შესახებ... უცებ იდება კარი და შემოდის... ნატურალური ზანგი!!!... სიმპათიური ზანგეზური ჯეული... მზია აცხადებს —

გაციანით, ჩემი ახალი მეგობარია, აბებე... ჩვენს სკოლაში ასწავლის ინფორმატიკას... ისიც კიდევ თავს გვიკრავს ღირსეულად და ცინცხალ-კამკამა ქართული მოგვემართავს — ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ძვირფასი მზიას ძვირფასო მეგობრებო!..

ვახმე! არა... ჰაივდი!

რატომღაც მახსენდება ჩემი უნივერსიტეტელი ჯგუფელის, მარინას ფრთიანი ფრახა თუ გამოთქმა: ჩემი კუჭი გალიაში, ნაველ პორტუგალიაში!

მოკლედ, ენა სარად მეტცა და გადამეყლაპა... ვზივარ გაჯგომული, მაგრამ თვალდახუჭული! ვერ ვუყურებ... აბებეს! არადა, მართლაცდა ჯიგარი ტიპი იჩითება, ასე ვთქვათ, ნელ-ნელა მელანდებდა, სუსურუკავმირისდროინდელ „პრაიავიტელში“ ჩაგდებულ მავ-თეთრ ფოტოსავით... თუმცა, მაინც შავად რჩება. კუნაპეტად...

არა, რასისტი კი არა ვარ... უბრალოდ, დამთხვევასაც თავისი ზომა აქვს, თავისი საზღვარი უნდა ჰქონდეს... თორემ, აბა, რა გამოვქეც ცხოვრება?! ფაიზალი ცირკი! ალალი შაპიტო!

თვალი მხოლოდ მაშინ გავახილე, როცა აბებემ თქვა, აფხაზეთში მეც ვიბრძოდიო. ყველაფერს წარმოვიდგენდი ამის ვარდა... და საიდან ხართო წარმოშობით, რომ ჰკითხეს თვალ-ფუფუნებმა, კინალამ მის მაგივრად ვუპასუხე: ეთიოპიიდან!

ასეც აღმოჩნდა — მეც ქართველი ვარო, ოღონდაც გაკოპტებულიო, ჩემი წინაპრები უსოვარდროს ჩასულან აბისინიაშიო, დამკვიდრებულან და გარუჯულანო, ამიტომაც ვარ შავტუხაო...

ზუსტად ასე თქვა — შავტუხაო!

მაგრამ ენა შევინარჩუნეთ, ქართველებად დავჩრითო შინაგანად და, როცა გავიგე, აფხაზეთში ომია, გულმა ველარ გამიძლოო, ჩამოვედი, ჩემს ისტორიულ სამშობლოს, დედა-საქართველოს რომ დავხმარებოდიო...

— მერე, დაეხმარეთ?! — ცოტა მჭახედ მომივიდა.

არ შეიმჩნია, მშვიდად განაგრძო: რაც შემიძლო, ვაკაკეთე, ღამეული სნაიპერი ვიყავი და მზვერავიო...

— ღამეული?! — გამიკვირდა.

თავისი შავტუხობის გამო თურმე სიბნელეში საერთოდ არ ჩანს, თითქოს არცა ყოფილაო, და ამიტომ ღამლამობით აგზავნიდნენ საბრძოლო დავალების შესასრულებლად...

მაგრამ დღისითაც ვომობდიო, მერე დაამატა, განსაკუთრებით, როცა საქმე ცულად ნავგივიდა... როცა პოლკის უფროსმა რამდენიმე კაცს გვითხრა,

წადით, გიშვებთ, თავი გადაირჩინეთ, წადით და აქ აღარ ჩამოხვიდეთ... ყველაფერი დამთავრდა აქ... მორჩა... თქვენ მაინც გადაირჩით, ბიჭებოო...

ასულა მთაზე, ჩანოლილა, შაშხანა მოუმარჯვებია, გადაუტენია, ოპტიკურ სამიზნეში პოლკის უფროსი ამოულია (პირდაპირ ვერ ვესროდი, ახლოდან, როცა გველაპარაკებოდა, თვალბუმი მიყურებდაო... მაგრამ როგორ მიყურებდაო თვალბუმი, არ მესმისო!! არაო!!!) და უკვე უნდა ჩახმახს გამოჰკრას, რომ დინახა...

ვიცოდი, რას იტყოდა.

ურუნატელმა დამიარა.

და უცებ ვიყვირე:

— კვატი!

გაოცებით შემომხედა, მეკითხება:

— თქვენ საიდან იცით?!

და, აბა, რა ვიცი, საიდან ვიცი?!

ავიღე და სიგარეტს მოუვკიდე.

...ვეწვეო და ვფიქრობ — რისთვის შექმნა ღმერთმა კვატი?

ბრძოლაში დამარცხებულ მამაკაცთა გასამხნეებლად?!



## თემო ჯაფარიძე

### უფროსების ბავშვური საუბრები

1.

რატომ მოინყინე, თემო, რა გჭირს; რატომ გაჩემდი, რატომ აღარაფერს აკეთებ, რატომ აღარ წერ. იმედები ხომ არ გაგიცრუვდა, გული ხომ არ გაგიტყდა; სად არის შენი ხასიათის სიმაგრე, შენი ნებისყოფა და უკომპრომისობა. რა იქნა შენი მოუსვენრობა, შემოქმედებითი ენერჯია და ხალისი. რატომ აღარ ფუსფუსებ საქმიანად და მიზანდასახულად. სად გაქრა შენი ენთუზიაზმი, შენი განუსაზღვრელი, აბსტრაქტული შეყვარებულობა. აკი თელიდი, რომ ადამიანი ყველაზე კარგად მაშინ გრძნობს თავს, როცა რაიმეს ქმნის, როცა ცხოვრების ევლურ ძალას სიტყვად, ანუ გონების ენერჯიად გარდაქმნის, აკი სულიერებაო, აღმაფრენა და ყოფიერების მოსაწყენი ჩვეულებრიობის წრის გარღვევაო. აკი მინიურ ყოფაში ყველაზე მომხიბვლელი და საიდუმლო მოვლენა ნიჭის გაბრწყინება არისო. ეჭვი ხომ არ შეგეპარა საკუთარ უნარებში და შესაძლებლობებში. გძლია ცხოვრების ქაოსმა? რატომ ზიხარ გათიშულივით შენს ღარიბულ ოთახში და რატომ გაპყურებ რომელიღაც მხოლოდ შენთვის ხილულ სივრცეს.

რა იქნა ლამაზი ქალი, რომელიც შენკენ მორბოდა, რათა გადაგხვეოდა, ხომ არ აწყენინე? იქნებ, კაპრიზი ვერ შეუსრულე და მიგატოვა? საერთოდ, მოირბინა კია ბოლოს და ბოლოს? ის სანყალი იმდენი არბებინე, რომ ქალად აღარ ივარგებდა, ალბათ, როცა მოირბენდა, ალბათ, არც გადაკონვის თავი ექნებოდა და არც კაპრიზის გამოთქმის ძალა. თავიდანვე შეცდომა დაუშვი, როცა პირველყოფილი ყადით ფეხით გამოაქცუნე შენკენ. რომელიმე კარგ მანქანაში უნდა ჩაგესვა და უცებ მოგრიალდებოდა. არა, მასხრად კი არ ვიგდებ მას, უბრალოდ, მინდა გაგამხიარულო. ღიმლის უნარი გაქვს და არ იღიმები. წერის უნარი გაქვს და არ წერ. ადე, მარკიზო, გაინძერი, გაულიმე სამყაროს ყოვლისმიმტვებელი ღიმილით. აპატიე, თუ რამე განწყენინა. იმოქმედე, გააკეთე რამე. გვიამბე, მოირბინა თუ არა ბოლოს და ბოლოს შენმა მახარობელმა ლამაზმა ქალმა. გვითხარი, როგორი სახე ჰქონდა. ფეხებზე რამე ეცვა თუ არა გაუთავებელი სირბილის დროს. იქნებ, ფეხშიშველად არბენინე, ისიც გვითხარი, ჭკვიანი იყო თუ ქარაფშუტა. რა კაპრიზი გამოთქვა. რამდენად სულელი აღმოჩნდა, ცოტად თუ ბევრად? ნუ დუმხარ, გამოცოც-

ხლდი. რატომ აღარ მეუბნები პროტესტის ნიშნად შენს აკვიატებულ პასუხს: "ნუ მეძახი მარკიზს!" რატომ მოგწყინდა წყალში კენჭების სროლა, ანუ ფრძობებისა და გონების შესაძლებლობებით უწყინარი თამაში სიმარტოვეში. ახლა რაღა უნდა აკეთო, სულ ასე მონყენილი და ჩამქარალი უნდა იჯდე? მდუმარების და უმოქმედობის აღთქმა ხომ არ დადე. იქნებ, ავად ხარ. აუტიზმი ხომ არ შეგეყვარა. ნუ ხარ გათიშული, ადე, გამოცოცხლდი, იყბედე, სულ დანვრილებით გვიამბე შენი გრძობების და ფიქრების შესახებ, იმ ქალის შესახებაც, რომელიც შენკენ მორბოდა თავგამოდებით.

- დამაცადე ჩემთვის ყოფნა. ნუ მაქვებ. არაფერს არა აქვს აზრი. არც წერას. ახლა მე იმ ქალს აღარ ვხედავ, რომელიც ჩემკენ მორბოდა. ახლა შემოიღო ქალს ვხედავ, რომელიც მემშვიდობება. ვის რაში უნდა მისი გამოსაღლებით აღძრული ჩემი შეგრძნებები და ფიქრები.

თავს ნუ იკატუნებ. ნუ გიჭირავს ისეთი, თითქოს აზროვნების და შემოქმედებითი თვითგამოხატვის არა გნამდეს. არა ხარ შენ ის ტიპი, ვისაც ყოველივე ამაოებად და ტყუილ მცდელობად მიაჩნია. გაახსენე შენი ჭკუამხიარული ფორმულა: დასაწყისამდე, ანუ ერთამდე რა იყო, არ ვიცით, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ერთი არსებობს, ბოლო რიცხვი აღარ არსებობს. ნინა რიცხვს ყოველთვის მოსდევს შემდეგი რიცხვი და შემდეგმა რიცხვმა არ შეიძლება არ გამოიწვიოს მომდევნო რიცხვი. ნახე, რა ოპტიმისტური მათემატიკაა. ახლა კი იძახი, რომ რაიმეს კეთებას აზრი არ გააჩნია. სად არის შენი ნინას მომდევნო რიცხვთა ენერჯის ეკვივალენტური შემოქმედებითი მუხტი. სად არის შენკენ გამოქცეული ქალის ნინას შემდგომი ნაბიჯების მთელი წყება.

- შემევი-მეთქი, ვითხარი. არ სჭირდება მსოფლიოს ხუთ თუ ექვს მილიარდ ადამიანს სადღაც მივარდნილ თბილისში ერთ-ერთ მიყრუებულ ქუჩაზე მცხოვრები ანონიმის მხატვრული ოფოფები. ისინი არსებობსთვის გააფთრებული ბრძოლით არიან ვატაცებული.

- ცუდი წარმოდგენა გაქვს კაცობრიობაზე.
- დამანებე-მეთქი თავი.

2.

- რა მაგარია ქვა და რა ნაზია ყვავილის ფურცელი. რა მძიმეა ოკეანე და რა მსუბუქია ზეცა, რა საშოშია ვულკანი და რა სანდოა შუის თბილი სხივი. რა ცივია ყინული და რა თბილია ადამიანის ლიმილი. რა მძიმეა დემოლი მწუხარებაში და რა მსუბუქია საფლავის ლოდი, როცა მკვდარი ხარ.

რა ძნელია გამომშვიდობება, მაგრამ, მეტი გზა არ არის, ახლა უნდა განუშორდეთ, იქით ნულარ წამოხვალ, აქ დავცილდეთ. — ხმაშალა ლაპარაკობს თავისთვის რუსთაველის პროსპექტზე გამვლელებს შორის მარტოდ მიმავალი ახალგაზრდა შემსლი ქალი.

3.

რომლის კეთება გიყვარს: კარგის, ცუდის თუ მესამის. მესამე — ადამიანის ის მდგომარეობაა, როცა არც კარგს აკეთებს და არც ცუდს. ზის დაქლიავებული და ზანტად გაჰყურებს არეულ-დარეულ ყოფიერებას. შესაზარმა ცხოვრებამ მოაჯადოვა იგი თავისი რთული შხამებით. ზის ახლა მონუსხული და მხოლოდ იმით სულდგმულობს, რომ მისად უნებურად უცემს გული. შიგადაშიგ სვამს ხოლმე და შემთრვალი ცდილობს, გაამართლოს თავისი გამოდებულეული ყოფა. ამტიციებს, რომ არაფრის კეთება არ ღირს. "რა იქნენ უძველესი ქვეყნები და ქალაქები, რომლებიც აღარ არიან," — ფილოსოფოსობს იგი სიმთვრალეში. რა იქნენ დიდი კულტურები, რომლებიც აღარ არიან. რა იქნენ კაპადოკიელი მორწმუნენი და ანტიოქიელი განდევილები, რა აზრი ჰქონდა მათ მხურვალე ლიცეებს. მათ თვითვემას ორგანიზმის და ფსიქიკის არამორწმუნეობრივი ქვეყნების გამო. რა იქნენ ინდოელი ოიგები, ტიბეტელი დალაი-ლამები, ეგვიპტელი ქურუმები ან ბერძენი ნინანარმეტყველები. რა აზრი ჰქონდა მათ ღვთისმომიშობას, თრთოლას საიდუმლოებების ნინაშე, რა აზრი ჰქონდა მათ ცდას, განწმენდილიყვნენ და ბავშვური ტაბით მიენვინათ ხმა გარინდული ღვთაებებისთვის. ვის შეუძლია, დაამონმოს, რომ მათი ერთი სულიერი ძალისხმევა მაინც აღსრულდა. რატომ აუწებდნენ მშენებლები ნატიფ ტაძრებს და სასახლეებს. ვინ ოხერა აშარდავს ახლა მათ ნანგრევებს. რატომ წერდნენ და კაზმავდნენ წიგნებს ბრძენები, პოეტები და ფილოსოფოსები. ვის აინტერესობს მათი ნააზრევი და შეგრძნებები. რატომ ნვალობდნენ, რატომ რუდუნებდნენ. რატომ აიკვიატა, საერთოდ, ადამიანმა, რომ მაინცდამაინც უნდა შექმნას რაიმე. ნუთუ ისტორიამ და დროთა ცვალებადობამ არ დაანახვა, რომ ამაოდ იღვწის. მაინც ინგრევა, ცვდება, უინტერესო ხდება, მოსაწყენი ძველმოდური რაობა ხდება ყველაფერი. ტელევიზორმა აჯობა ყველა ბრძენს, მწერალს და საიდუმლოთმცოდნეს. ზის ახლა ტელეყუთითან თანამედროვე ყვეყნი ადამიანი და სიამოვნებით უყურებს ეკრანს, რომელზეც ჰონკ-



ონგელი ბოზუკები ბიკინიან უკანალებს აქანქალებენ გამოშვევად. ტლეყუთმა თავისი მასობრივი ენით, დაბალი დონის კულტურით და პრიმიტიული აზრებით ხალხები გამოთყვეანებულების ზარმაც ხროვებად აქცია. ვის რაღად უნდა ღრმა აზრები, ნიგნები და სულიერება. ვის რაში უნდა ხარისხიანი ლიტერატურული განცდა. უნდა დუელში გამოიწვიო ყოფიერების უაზრობა, უნდა აჯობო მას იმით, რომ არაფერი არ უნდა გააკეთო."

უამრავი ადამიანი ფიქრობს ასე. იმის ნიჭი და ძალა არა აქვთ, რომ რაიმე შექმნან და წარმავლობაზე და ცხოვრების უკულმართობაზე ლაპარაკით იმართლებენ თავს. შენც მსგავს მდგომარეობაში ხომ არ აღმოჩნდი. ალბათ, გახსოვს, რომ წამწველი ნიჭს ვერავითარი წარმავლობა და უკულმართობა ვერ დააკავებს.

- დამანებე თავი.

4.

რა მშვიდობიანია მივარდნილ ქუჩაზე პატარა მალაზიაში ხელის საბანი საპნის და ერთი კოლოფი იაფფასიანი სიგარეტის ყიდვა. ეს არაფერს გავალებს. ეს ცხოვრების ყველაზე ჩვეულებრივი, ყველაზე წარმავალი ეპიზოდია. საპონი დაიღვევა და სიგარეტი მოიწევა. აღარაფერი დარჩება ამ ეპიზოდისგან. და მაინც რა მშვიდობიანია და გაუცნობიერებლად კარგია მივარდნილ ქუჩაზე პატარა მალაზიაში ხელის საბანი საპნის და ერთი კოლოფი იაფფასიანი სიგარეტის ყიდვა. უმნიშვნელო და ყოვლად წარმავალი ეპიზოდიც შეიძლება იყოს მომზიბველი თავისი უპრეტენზიო და უბრალო სიცოცხლისუნარიანობით. — გაიფიქრა ხელოვანმა კაცმა, როცა პატარა მალაზიიდან გამოვიდა.

ეჰ, თემო, თემო, სადამდე დახვედი. ოდესღაც მზად იყავი, ლამაზი ქალის ყველაზე გიჟური კაპრიზის აღსრულებისთვის დაცნენრილიყავი. რა ნახე ასეთი საპნის ყიდვაში. ნამო, თუ გინდა, არც ერთი მალაზია არ გამოვტოვოთ, ყველა მალაზიაში ვიყიდოთ საპონი.  
ნუ მასხარაობ.

5.

მშვიდობით, ჩემო კარგო. მე შენ მიყვარდი. ძალიან არ მინდა შენთან განშორება, მაგრამ რა ვქნა, თუ სამყარომ ყველა საგანი დასაწყისით და დასასრულით განანესა. ჩვენი დასაწყისი უკვე იყო. ახლა დასასრულის დროც დადგა. ამას იქით ნულა გამაცილებ, აქ დავშორდეთ. ანი მარტო ნავალ. ვინ

დაჯდება ანი მაგიდასთან ჩემს პირისპირ და ვინ დამიწყებს საუბარს. ვინ მომისმინეს, ვინ გამიგებს. ვინ გამცემს დამანყნარებელ პასუხებს მშფოთვარე შეკითხვებზე. ვინ გამიღიმებს სუფთად და თბილად. ისე, ტყუილად, არაფრის გამო. რა მაგარია ქვა, რა მიმხვედა წყალი, რა ცივია ყინული და რა თბილია ადამიანის ღმილი. მაგრამ ის დრო აღარ არის, როცა უნდა მიღიმოდნენ. ღმილის დასასრულის დროა. — ხმამალა და თავისთვის ლაპარაკობს სასიამოვნო სახისა და აღნაგობის ახალგაზრდა შერეკილი ქალი. ჩანჩურულად აცვია: მამაკაცური დიდი და გაცვეთილი "მათინკები", ტანს მოურგებელი, სრული და გრძელი კაბა, ძალიან პატარა ნითელი ფილტვი. ის თითქოს ბავშვობაში ჩააცვებს და იმის შემდეგ ერთხელაც არ გაუხდია. ხუჭუჭა თმა სახეს უპატარავებს. მისი პატარა თეთრი ხელები ნატიფი ავადმყოფურობის შეგრძნებას იწვევენ. მათი საშუალებით ქალი ემოციებს გამოხატავს. ხან მკერდზე იდებს ხელებს, ხან მუბლზე ხან თვალებზე იფარებს მათ, ხან წინ იშვერს, ხან კი დამშვიდობების ნიშნად იქნევს ხელის მტევანს. ფესტიკულაციის და მისი სიტყვების აზრი ხშირად არ თამბვედა ერთმანეთს. ამიტომ ხელების მოძრაობა მექანიკურად მშრალად და მოგზერებულ ჩვევად აღიქმება. სიტყვებსაც მშრალად და სწრაფად გამოთქვამს, აბსოლუტურად უემოციოდ, მკაცრი და გახვევებული გამომეტყველებით. მხოლოდ მისი სხეულისგან კომიკური განსხვავებულობა და სახის შემოილობისგან მორღვეულობა გამოხატავს უსიამოვნოდ ღია ემოციურობას. ეს ხმამალა მოლაპარაკე ქალი მთელი დღეების განმავლობაში დახეხებდა თბილისის ქუჩებში. ხან სად ხედავენ მას და ხან სად. ახლა ზემელის მოედანზე მიდის და კვლავ თავის მონოლოგს "უბერავს" ხმამალა: "ვინ დაჯდება მაგიდასთან ჩემს პირისპირ და ვინ დამიწყებს საუბარს. ვინ დამამშვიდებს, ვინ განწყობა ნდობით ჩემდამი, ვინ ჩამხედავს თვალებში... რა ნედლია წყალი და რა სველია იგი. რა ნედლია თვალები და რა ცცხლოვანი სინათლე მოედინება მათგან. თვალებით ვიყურები შენს თვალებში, სევდიანი ვიყურები შენს სევდაში. სინათლით ვიყურები შენს სინათლეში. ჩემი სიცოცხლის ნაკადი ჩემი თვალების საშუალებით უერთდება შენი თვალებიდან მომდინარე შენი სიცოცხლის ნაკადს. ჩემი სიცოცხლით ვიყურები შენს სიცოცხლეში. მაგრამ, სამწუხაროდ, განშორების დრო დადგა და ანი ჩვენ მხოლოდ შთაბეჭდილებები ვიქნებით ერთმანეთისთვის. შენ ჩემი შთაბეჭდილება იქნები უსაყვარლესი, მე შენი შთაბეჭდილება ვიქნები. ხედავ? რა უცნაური რამ ყოფილა ცხოვრება. მხოლოდ შთაბეჭდილებები

ყვოფიღვართ. ჩვენ კი გვეგონა, რომ მართლა ვარ-  
სებობდით. მშვიდობით, ჩემო კარგო, არ იწუხო,  
ჩვენ მხოლოდ შთაბეჭდილებები ვართ. შთაბეჭდი-  
ლებებს წუხილის და ტკივილის უნარები არ გააჩნ-  
იათ, ისინი მხოლოდ ინვევენ ტკივილებს. არა, ამას  
იქით ნულარ ნამოხვალ. ანი მარტო წავალ.”

6.

ძალიან გთხოვ, ნუ გააფუჭებ შთაბეჭდილებას  
იმ ქალის შესახებ, რომელიც შენკენ მორბოდა. არა  
თქვა, რომ ეს დამთხვეული ქალია ის მშვენიერი  
არსება. ნუთუ მხოლოდ იმიტომ მოისწრაფოდა  
შენკენ დიდი გამალებით, რომ დაგმშვიდობებოდა.  
ეს იყო მისი კაპრიზი? იქნებ, პათოლოგიური სექ-  
სიკენ გადაუხვიე და ახლა დარტყმული ქალების-  
კენ გაგიჩნდა მიდრეკილება. რატომ დაივიწყე ის  
ქალი, რომელიც შენკენ მორბოდა.

- ნუ მასხარობ უწნოდ.

- ოდესღაც შენ მარკიზი იყავი და ელეგანტური  
ქალები მოგმანდა.

- თავი დამანებე.

7.

დიდი ხანია, ეკლესიაში არ ვყოფილვარ. ხვალ  
აუცილებლად წავალ — გაიფიქრა ლერმონტოვის  
ქუჩაზე მიმავალმა შუახნის მამაკაცმა, რომელსაც  
მოზეზრდა ეკლესიური რიტუალები. დაბნეული  
თვალელები გახედა ჰ. იაშვილის ქუჩას, როცა რწმ-  
ენის დაკარგვის შიში იგრძნო, ამ დროს წინიდან  
წვერგაუპარსავი, მანანალურად ძეღმანებით  
შემოსილი კაცი შემოიფეთა. სახემოდრეცილმა  
უცნობმა საწყლად შესცინა და თვალი ჩაუკრა.  
“დებილია” — გაიფიქრა შუახნის მამაკაცმა და  
თვითონაც ჩაუკრა თვალი ავადმყოფ უცნობს.  
მერე, როცა გზა განაგრძო, კვლავ იგრძნო რწმ-  
ენის დაკარგვის შიში. რაც მეტი დრო გადის, მით  
უფრო უძლიერდება შიში. შინაგანი სიმარტოვე  
ბატონდება მასში.

8.

მალნიზანებენ ქართველები. სულმდაბლები,  
გაიძეერები, მოღალატეები, მარტივები, უკულტ-  
ურიები, ევლურები, დაუნდობლები. ერთი ავტ-  
ომატი მინდა და ყველას გადავბრიდავდი. — ფიქ-  
რობს ყველაზე და ყველაფერზე გაბრაზებული  
კაცი. საეჭვოა, რასაც ფიქრობს, იმის გამკეთე-  
ბელი იყოს. ალბათ, კოკეტობს აგრესიულობით.  
ასე ვთქვათ, მეტაფორულად აჩმახებს. ისე კი, ვინ

იცის. აღმაშენებლის ქუჩის N 25 სახლთან მიდის  
ახლა პირქუში სახით.

9.

სადგურის ბაზრობაზე უამრავ ადამიანს შორის  
ერთ-ერთ ცარიელ დახლზე წვერგავეგვლი  
ქუჩის მუსიკოსი ზის და აკორდეონს წელავს გულ-  
ინანად. საკრავი ღურტულეებს, მუსიკოსი მღერის:

*საქართველო ლამაზია,  
მაგრამ ძაან პატარა.  
საქართველო პატარაა,  
მაგრამ ძაან რთულია.  
ქვეყნად ყოფნა ვერ ისწავლა  
უჭირს თავის გატანა.  
საქართველო ლამაზია,  
მაგრამ უბედურია.  
თუმცა ამას რა აზრი აქვს,  
მინც მხიარულია.  
სულ ქვიფობს, სულ იცინის  
ოფოფები უვლიან.*

10.

მარჯანიშვილის ქუჩაზე მიმავალი მელანქო-  
ლიური სახის მქონე მამაკაცი, ალბათ, პოეტია,  
რადგან აკვიტებულ მხატვრულ სახეზე ფიქრობს  
ინტენსიურად. ვერ გადაუწყვეტია, მეტაფორაში  
ბავშვი უნდა მონაწილეობდეს თუ უფროსი ასაკო-  
ვანი კაცი. ბავშვის მონაწილეობით მეტაფორა ასე  
გამოიყურება:

“პატარა გოგონას ლოყა მაგიდაზე უდევს და  
ცალი ხელით მსუბუქ დაგორვლილ ნამცეცებს  
აგდებს ხოლმე რიგრიგობით წყლით სავსე და  
უთევებოთ აკვარიუმში. პურის ეული ბურთულია  
ნელა, ძალიან ნელ-ნელა ეშვება ქვებით მოფენილ  
ფსკერზე. დიდხანს და დაუზარებლად უყურებს  
გოგონა ბურთულას წყალში ზემდინენით ნელ  
ჩაძირვას. როცა ბურთულა ფსკერზე დაესვენება,  
გოგონა მეორეს აგდებს წყალში. ვერ არის მხიარ-  
ული თამაში, მაგრამ, რადგან გოგონას არ სწყინდ-  
ება საგნის ნელი ჩაძირვის ყურება, ალბათ, ამისი  
შინაგანი მიზეზი აქვს; ალბათ, ასეთი განწყობა  
აქვს. რა უნდა იყოს საგნის წყალში შენელებული  
ჩაძირვის ცქერით გართობის მიზეზი, როცა დედა  
სამოვარზუა წასულია და გოგონა მარტოა”.

ასაკოვანი კაცის მონაწილეობით კი მეტაფო-  
რას ასეთი ფორმა აქვს:

"გაუგებრად სასიამოვნოა დიდ წყალში მარტო-ხელა საგნის ძალიან ნელი ჩაძირვის ყურება. გეჩვენება, რომ დალუპვა ტკბილია".

პოეტს მეორე ვარიანტი უფრო ლაკონური ჰგონია. მაგრამ პირველი ვარიანტის ეს ფრაზა ენაზე: "ვერ არის მხიარული თამაში, მაგრამ, რადგან გოგონას არ სწყინდება საგნის წყალში დიდხანს ჩაძირვის ყურება, ალბათ, აქვს ამის შინაგანი მიზეზი".

## 11

ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე მიდის ქუჩის პრიმიტივი ფილოსოფოსი, რომელსაც სიარულის დროს გამველეების თანდასწრებით უყვარს ფიქრი: "სარკეში თუ არ ჩაეხიხედე, ჩემს თავს ვერასდროს ვერ ვხედავ, ყოველთვის სხვებს ვხედავ. ამ ფაქტორში რომელიღაც მნიშვნელოვანი აზრი უნდა იყოს დაფარული. სხვების ყურებით, ჩემს მიღმა მყოფი უცნობი საგნების და მოვლენების ჭჭრეტით ვგრძნობ ჩემს "მე"-ს. იქნებ, სამყაროსთან განუყოფლობის, მასთან ერთიანობის აზრი იმალება იმაში, რომ ყოველთვის ჩემს გარეთ მყოფი სამყაროს ჭჭრეტით ვგრძნობ ჩემს თავს. თუ ასეა, მაშინ, რაც სამყაროს სჭირს, ის მჭირს მეც. რა სჭირს სამყაროს? სამყარო უამრავი საგნის სახით არის განფანტული. სამყარო საგნებს შორის იდუმალი კავშირია. სამყარო უაღრესად საყვარელია, ისეთია, რომ ვერაფრით ვერ შევლევ. ვითომ მეც ასეთი ვარ? არა მგონია, ეს გამველეები ვერ შემელიონ. ვიღაცებს, ალბათ, მაგრად არ მოეწონება. ვიღაცებს ნერვებს ვუშლი კიდევც, ალბათ. აი, განფანტული და იდუმალი, მგონი, მართლა უნდა ვიყო. განცვიფრებული სულელივით შევცქერი სამყაროს და ვერაფერი გამიგია მისი. მომწონს, ძალიან მომწონს იგი, მაგრამ არ მესმის მისი. არც ჩემი თავის მესმის. ჩემსავე თავში მყოფი ვეძებ ჩემს ნამდვილ თავს. თითქოს ნედლი მასალა ვიყო, რომლისგანაც ათასნაირი ტიპის გამოძერწვა შეიძლებოდა. მაგარი გაუგებრობა ვარ. ერთი რამ ნალდია: ყოველთვის სხვებს ვხედავ და არა ჩემი თავის ყურებით ვეძებ ჩემს თავს".

## 12.

გულაღმა ვინეტი ღამით და ვარსკვლავებით მოჭედოლ ცას ვეკითხებოდა: რა იქნენ ისინი, ვინც აღარ არიან. რა იქნა ის განცედა, სამყარო ჩემთვის გაჩენილი რომ მეგონა. მხოლოდ გამომშვიდობებები შემერჩა ხელში. ჩვენ იქიდან ვართ, საიდანაც ყველა და ყველაფერი მიდის და აღარ ბრუნდება.

ვინ გამოემშვიდობება მათ, ვინ დაიტირებს მათ შინმოუსვლელიობას. მალე ჩემი წასვლის დროც დადგება. ვინ იტყვის ჩემ სახელს და ამასთან ჩემი სახე ვის გაახსენდება. ანდა დღეს ვინ მიხმობს მოულოდნელად სახელით, ვინ დამძიხებს ჩემს სიმარტოვეში. ვის ეჭირდები. გაუქმდა ჩემი სახელი, რადგან არავინ ახსენებს მას ჩემს გასაგონად. უსახელო ჩრდილივით დავდივარ ყოველდღე ქალაქში. უცნობად ვიქეცი და ახლა დროა, ყველაფერს გამოვემშვიდობო. მშვიდობით, საქართველოვ, მე შენ მიყვარდი. დედა მეუბნებოდა, რომ შენ ნესტან-დარეჯანივით, აბესალომის ეთერქალივით და ალუდა ქეთელაურივით თავისი ნამდვილი თავისგან მონყველილი და დევნილობაში მყოფი უცხო თავის თავის მქონე ერთი პეშვი ქვეყანა ხარ. ნეტა, არ აეჩვილებინა დედას ჩემთვის გული, ახლა მეც ჩემი თავის სანაცვლო სხვა ვინმე მგონია თავი. ახლა მე გამოემშვიდობების წმინდანი ვარ, მგონია. ხომ სასაცილოა! რა უნდა შესთხოვო გამოემშვიდობების წმინდანს. რაც უყვართ, იმის გულგრილად დაკარგვის უგრძობელობას ხომ არ შევედრებინა. როგორ დავკარგო თბილისი გულგრილად. ვაი, ჩემს თბილისს, რა ვეშველება უჩემოდ! გასოფლდება და გაღარბდება სულით. ვინღა შეინანებს მის მტკივნეულ ამბებს და დასასრულებს. ვინ დაიტირებს მის უბედურებებს. ვინ მოუსმენს თბილისის ქუჩებში მოხეტიალე ქალის შეჭრებულად აღამიანურობის სულს და ვინ გაუგებს მას: ვინ ივლის მის ქუჩებში შეყვარებული. ვინ ივლის მის აღმართებზე ნელი მიფერებასავით. ვინღა შეხედავს მის ღატაკ სახლებს სიყვარულის შურით. ვინ ეტყვის გუნებაში ფანჯრის რაფაზე მჯადარ ბავშვს შენი ჭირიმე. ვინ დაინყებს გამველეების თვალებში იესო ნაზარეტელის სისუფთავის მსგავსი გამოხედვის ძიებას. ვინ შემოეხვევა მთანმინდას ფეხებზე. ვინ დამარტყის თავის საიდუმლოებებს, ცოდევებს, იმედებს და ოცნებებს ქუჩების თხელ მტვერში. ვაი, ჩემს თბილისს, რა ეშველება უჩემოდ!

## 13.

რა დაგემართა, თემო, რა გააჭირე საქმე ამ დამთხვეული ქალით. თუ გგონია, რომ გულს მიჩუყებენ მისი უგემოვნებო არქაული სანტიმენტალობები, ძალიან გეძულება. როგორ შეგიძლია, გაერთო მისი ავადმყოფური კოკეტობით. ნუთუ ვერ ხედედი, რომ კაცი აკლია და იმიტომ ბოდავს ამდენს. როგორც ჩანს, სიმარტოვემ და უბოქმედობამ ავადმყოფური ჩვენებები შეგძინა. სხვაგვარად გაუგებარია, რატომ უნდა გელანდებოდეს

დარტყმული ქალები, გაბრაზებული მანიაკები და საცოდავი პოეტები და ფილოსოფოსები. რა კარგი იყო ის ლამაზი ქალი, რომელიც შენკენ მორბოდა. რატომ დაივინყე იგი.

- თავი დამანებე.

- ეჰ, დრო იყო, შენ მარკიზი იყავი და ელვგანტ-ური ქალი გიყვარდა.

- ნა მასხარაობ.

14.

პოეტი, რომელსაც ვერ გადაუსყვებია, მის აკვიტებულ მეტაფორაში ბავშვი უნდა მონანი-ლეობდეს თუ ასაკოვანი კაცი, ისევე მარჯანიშვილის ქუჩაზე მიდის და ფიქრობს: "სულაც იქნებ ასე აჯობოს: "წყალში საგნის ნელ-ნელი ჩაძირვის ყურების დროს თვითონ ყურებაც იძირება, ანუ, ქუთუთოები თანდათან ეშვება და თვალ-ები იხუჭება. არ ვიცი. ვერაფერი მოვუხერხე ამ "საგნის წყალში ნელ-ნელა ჩაძირვას".

15.

ქუჩის პრიმიტივი ფილოსოფოსი, რომელსაც ქუჩაში სიარულის დროს უყვარს ფიქრი, ახლა ბარნაობის ქუჩაზე მიდის. ფიქრობს: "მოეკითხება თუ არა ადამიანს გრძნობები, რომლებიც მის მიღმა მყოფი საგნების ყურების დროს აღეძვრება. პასუხს აგებს თუ არა ადამიანი იმ შეგრძნებების გამო, რომლებიც ქალაქში სიარულის დროს ქალების მაცდური მიზრა-მოხრის და მათი არანაკლ-ებად მაცდური თვალების ყურების შემთხვევაში წარმოეშვება. გრძნობები ადამიანს არ შეუქმნია. ისინი მისდა დაუკითხავად აღმოჩნდნენ მასში. თავისი თავიც, ხასიათიც და მიდრეკილებებიც მისი ნების გარეშე აღმოაჩნდა ადამიანს. არც ის საგნები და მოვლენები შეუქმნია ადამიანს, რომელთა დათვლა შეუძლებელია და რომელთაც გან-უსყვებელივ აღიქვამს და გრძნობს. ვერ ყოფილა ადამიანის საქმე კარგად. რადგან არაფერი შეუქმნია და სხვის შექმნილს წარმოადგენს, არც არაფერი მოეკითხება. მაგრამ რატომ მოინწყენს ხოლმე ადამიანი უსაშველოდ, როცა არაფერი მოეკითხება. რატომ ეჩრება იგი სამყაროს ხილულ და უხილავ ამბებში. რატომ ეჩვენება, რომ ის სამყაროს პრინცი, ანუ სრულყოფილიანი მემკვიდრეა. საი-დან აღმოაჩნდა კატეგორიული ამბიცი, რომელ-იც ასევე მზა ვნების ფორმით გამოქვლივდება მის რსებაში. ამ ამბიციური, მაგრამ ბუნებრივი შეხე-დულების გარეშე ნაბიჭვრულ არსებად განიცდის ადამიანი თავს. საერთოდ, შეხედულებების გარ-

ემე ვერ ძლებს. უსიტყვები შეხედულება, თვალს-აზრისი და მრწამსი არ არსებობს. რატომ ალაპა-რაკდნენ ნიუთონელები ადამიანში. რატომ იქცნენ გრძნობები სიტყვებად, სიტყვები კი შეხედულებ-ად. რა უნდა სამყაროს ამ კომიკურ "პრინცი", რას ეძებს, რას იწყლებს ტვინს, რას ყვებდობს. იქნებ, მყუდრო სანაყინეში დაჯდეს, ნაყინით ყელი ჩაი-კოკლოზინოს და ეს იკმაროს. მაგრამ მცირედით დაკმაყოფილების გრძნობა არ აღმოჩნდა მზამზა-რეულად მასში და ი, ეს ლუპავს.

16.

შეშლილი ქალი ახლა ინგოროვყვას ქუჩაზე მიდის. კვლამ ხმამალა "უბერავს": "ღმერთო ჩემო, რამდენს ვლაპარაკობ. მაგრამ რა ვქნა, თუ პირის ღრუ სავეს მაქვს სიტყვებით. საერთოდ, სხეულში ხორცზე მეტი სიტყვები მაქვს. სიტყვის გრძნობები მაქვს. ასე რომ არ იყო, ვერ გევაჩრე-ვდი, რომელი გრძნობა რას ნიშნავს და ყველაფერი ერთმანეთში ამეროდა. ძალიან დავიზნეოდი, ცივ ლოგინში წოლა წყალში ჩაძირვა მეგონებოდა, წყა-ლში ჩაძირვა კი ის, ბავშვობაში მწარე წამალს რომ გასმევენ ძალად. გრძნობები, რომელთაც სიტყ-ვებით ვერ ვამბობ, ძალიან მანვალევენ, ბუნდოვ-ანებში და გაურკვეველობაში მამყოფებენ. ასეთი გრძნობების მეშინია და ტირილი მიჩნდება. კიდევ კარგი, რომ უმეტესი გრძნობა სიტყვის მაქვს. აი, ამ გრძნობას შვის ჩასვლის ჩუმად ჭვრეტის გრძნობა ჰქვია, ამას კი ფეხის ნაბორძიკების დროს წონასწ-ორობის დაკარგვის გამო გამონვეული საფრთხის გრძნობა, ამას კიდევ ასფალტის ჭუჭყის შეგრძნ-ება. ეს ის აუტანელი გრძნობაა, რომელიც მაშინ იჩენს თავს, როცა არ ვინდა, რომ გტკიოდეს და მაინც გტკივა. ამ გრძნობას ვინმესთან გამოლაპ-არაკების მოთხოვნილება ჰქვია, ამას კიდევ გამო-უვალ მდგომარეობაში ქვედა ტუჩის მოკეცვით გამოხატული ორჭოფობის ან რთული, გადაუსყე-ვტელი არჩევანის მტკივნეული ყოყმანი ჰქვია, ამ გრძნობას სიყვარულის ამაო მოლოდინისგან გად-აღლა და ვაგულგროვება ეწოდება, ამას კი დაკინ-ყებული ამბის ბუნდოვანი განცდა. სხვათა შორის, ამ განცდის დროს შეიძლება გეგონოს, რომ სწო-რედ იმ ამბის დეტალს იხსენებდ, რომელიც დაგ-აინყდა, სინამდვილეში კი სულ სხვა ასეთი მოე-წყებულ ეპიზოდს იგონებდ და მახინჯებულად. ყველა გრძნობის სახელს ვერ ჩამოვთვლი, დრო არ მეყოფა. ყველა გრძნობას თავისი სახელი აქვს, ამიტომ ვარ სახელებით სავეს. ფიქრებიც სიტყ-ვის მაქვს. ამიტომ ვარ მართლა თვითონ მე კი არა ვარ, არამედ ჩემი საიდუმლო თავის სახელი ვარ.

გაუთავებელი საუბარი ვარ ჩემი უცნობი თავის შესახებ. ახლა კი დავცილდეთ. აწი მარტო წავალ. მშვიდობით. მე შენთან საუბარი მიყვარდა. არ იდარდო ჩვენი განშორება, მაინც მხოლოდ სიტყვიერი შთაბეჭდილებები ვართ ჩვენი შეუცნობი თავის შესახებ. ჩვენი ჩვენი თავის სიტყვიერი სამაგიერო ვართ, მოკლე შინაარსი ვართ ჩვენი სრული, მაგრამ ილუმინირებული რაობის”.

17.

პოეტი ისევ აწვალებს თავის მეტაფორას. ვერ გადაუწყვეტია, რა მოუხერხოს აკვიტებულ მხატვრულ სახეს. ახლა ასე ფიქრობს: იქნებ, არც ბავშვი იყოს და არც ასაკოვანი კაცი. ქუთუთოების თანდათან დაშვებასთან წყალში საგნის ნელ-ნელი ჩაძირვის პარალელიზებას თითქოს არა უშავს, მაგრამ ზედმეტად რთული მიყვებება ამ წუთში. არ ვიცი, შეიძლება, მერე მომეწონოს. იქნებ, ძალიან მშრალი არამოციური ფორმა მივცე. მაგალითად, ასე: წყალში საგნის ძალიან ნელი ჩაძირვის მსგავსად ვცხოვრობ. მგონი, უფრო სწრაფად იწურება ფორმა, ვიდრე მის ცხადად შეგრძნებას სჭირდება. არ ვიცი, ვნახოთ.”

18.

ცხოვრება მიცილებს თავიდან ნელ-ნელა. ისეთ სიტუაციებს ქმნის, რომლებშიც საჭირო აღარა ვარ. ჩემი ზედმეტობის განცდას მივითარებს ყოფიერება. რა გაუგებარია სიკვდილი, თუ ადამიანს სული არა აქვს. რა გაუგებარია და მოსაწყენია უიღბლობაში და სიღარიბეში სულის იმედით ყოფნა და მილიარდი შეჭრეების თმენა, თუ ადამიანს სული არა აქვს. რა მოსაწყენი ტუტუტუცობაა სამართლიანობის და ჭეშმარიტების ძიება, თუ ისინი არ ახასიათებს მინას, სიცოცხლეს და, საერთოდ, არსებობას. რა თეატრალური და სასაცილო შეცდომაა ლოცვა, თუ ლოცვის დროს ადამიანს არავინ უსმენს და, როგორც თეოლოგები ამბობენ, ღმერთი თუ მინიერ საქმეში არ ერევა. ათეისტები დარწმუნებული არიან, რომ მინას კოსმოსში არავითარი მეთვალყურე და მეპატრონე არა ჰყავს. რომ მინა და ადამიანი ყოველგვარი ზეციური მყურებლის გარეშეა მიგდებული სხვადასხვა მიზიდულების ძალების ზემოქმედების ანაბარა. ისინი თვლიან, რომ მინაც და ადამიანიც შემთხვევით წარმოიშენენ. რატომ წარმოისახა გონებამ, რომ ადამიანს სული აქვს და კოსმოსს უნივერსალური გონება და ყოვლისხედევა. რაში სჭირდებოდა გონებას ეს მზაკერული თამაში, ანუ ადამიანის ილუზიებით

დაიმედება. არა, ასე აღარ შეიძლება. მგონი, გული მიბოროტდება. ვერაფრე და ვერაფერზე ვეღარ ვფიქრობ ნათლად. ხვალ აუცილებლად წავალ ეკლესიაში. — ფიქრობ მშრალ ხიდზე მიმავალი შუახნის მამაკაცი, რომელსაც ეკლესიურ რიტუალებზე გული აეყარა.

19.

არა, ნამდვილად ვერა ხარ კარგად, თემო. სად პოულობ ამ დამთხვეულებს, გაბრაზებულებს, დაეჭვებულებს, რწმენადაკარგულებს. შემთხვევით, წყალში საგნის ნელი ჩაძირვის ყურების სიტყვიერი იმიტაციას ხომ არ აკეთებ. რატომ ფიქრობ ამ დარტყმულებზე. შენმა დამთხვეულმა ქალმა ტვინი რომ წაიღო გამომშვიდობებით, რატომ აღარ წავიდა იქ, სადაც მიდის. დამიჯერე, რომ კარგ მამაკაცთან უნდა მაგას წასვლა და არა დამშვიდობება. რახან მარკიზი აღარა ხარ და გემოვნება გაგიფუჭდა, რახან ამ სულელი ქალით შეგიძლია თავის შექცევა, ნამო, ნამდვილ ქალებში წავიყვან და აღარ მოგეჩვენება, რომ დიდი და უცხო წყალში იძირები დიდხანს და ნელ-ნელა.

- ნუ ღლიცინებ.

- რა ვქნა, მაგიფებს სექსი.

20.

შერეილი ქალი კვლავ განაგრძობს: “ვერა და ვერ გავანაწილე დრო საგნებთან გამოსალმებითვის. საგნები ბევრია, დრო კი ერთი. ერთი სანაწილი დრო, რომელიც საათის ნიკნაკით იზომება, ვერაფრით ვერ ყოფნის იმ სიხარულებს, რომლებიც აურაცხელმა საგნებმა, მოვლენებმა და მოვლენების მეთასხედებმა წარმოშვეს ჩემში. ყველა სიხარულს თავისი დრო სჭირდება და თავისებური გამოსალმება. არიან საგნები, რომლებიც დროის გარეთ რჩებიან. ეს მოპარული გრძნობებით არის. არა, მოპარული სწორი სიტყვა არ არის, უფრო არაკანონიერი შეფერება იმ სიხარულს, რომელსაც დროის გარეთ დარჩენილი საგანი იწვევს. მაგალითად, იმედები; ისინი საიდუმლო ძალები არიან და ყოველთვის დროის გარეთ რჩებიან. ისინი ხომ არასდროს არ სრულდებიან და ყოველთვის იმედები არიან. არა, ნულარ დამაიმედებ. აქ დავცილდეთ, ნულარ გამაცილებ, ამას იქით მარტო წავალ.

21.

აი, ხომ გითხარი, წყალში საგნის ნელი ჩაძირვის სიტყვიერ იმიტაციას აკეთებ-მეთქი. გააჩუმე ბოლოს და ბოლოს ეს დარტყმული ქალი. გახდი ისევ მარკიზი და ისევ შეიყვარე ის გენიალური ქალი, რომელიც შენკენ მორბოდა.

22.

სადგურის ბაზრობაზე აკორდეონისტი ისევ მღერის:

*საქართველო ლამაზია,  
მაგრამ უბედურია.  
მაგრამ ეს არ ენადლეობა  
მაინც მზიარულია.*

23.

ყველაზე და ყველაფერზე გაბრაზებული კაცი ლ. ასათიანის ქუჩით ეშვება პურის მოედნისკენ. ფიქრობს: "აი, ფიტულების ქალაქი. ქუჩებში დადიან, მაგრამ იქ არ მიდიან, სადაც უნდა მიდიოდნენ. ფიქრობენ, მაგრამ იმას არა, რასაც უნდა ფიქრობდნენ. ლაპარაკობენ, მაგრამ სულ სხვას. სულ სხვა რამეებზე კამათობენ. არ იციან საუბარი. არ ესმით ერთმანეთის. თითოეულ მათგანს სამშობლოდ ის ადგილი მიაჩნია, სადაც თვითონ დგას. ჯანყდებიან, მაგრამ არა იმის წინააღმდეგ, რასაც წესით უნდა უჯანყდებოდნენ. უკან მიჰყვებიან, მაგრამ იმას არა, ვისაც უნდა მიჰყვებოდნენ. გიჟებს, ფსიქოპატებს და მოძალადეებს გმირებად აცხადებენ, თვალეზში შესცივინებენ, ემლიქნეულებიან, მესიად ნათლავენ. ბრბოდ უყვართ ყოფნა. დევნიან, მაგრამ იმას არა, ვისაც უნდა დევნიდნენ. იმას იძულებენ, ვინაც თავისუფლება მოუტანა. არ ძიობენ, ვინ არიან და რისთვის არიან. ერთ ქალაქში ცხოვრობენ, მაგრამ არაერთი კავშირები არ არსებობს მათ შორის. ფულის ძიებით და უაზრო ქეიფით გამონეული მათი შემთხვევითი ურთიერთობები შემთხვევითვე და სწრაფად ირღვევა. მიმეცა მათი გულები. მტრობით, ღვარძლით და შურით არის სავსე. ანჩხლი და უგონოა მათი ვნებები და განცდები, თუმცა კი ბევრს იცინიან. ავტომობილი, ავტომობილი მინდა ერთი. ყველა უნდა გადაბრიდოს კაცმა".

ეჰ, თემო, თემო, თემო. ოდესლაც შენ მარკიზი იყავი და წესიერ ხალხთან გქონდა ურთიერთობა. სად აიკიდეს ეს მანიაკი.

24.

ქუჩის პრიმიტივი ფილოსოფოსი განაგრძობს ფიქრს: "ადამიანი მაშინ გრძობს თავს კარგად, როცა აგრძნობინებენ, რომ მისი არსებობა საჭიროა. როცა არ იფიქრებენ, როცა უყურადღებოდ არ არის მიგდებული. როცა სანაგვეში მოსროლილი ვით არ განიცდის თავს. როცა რაღაც მოეკითხება. როცა უსაშველოდ მარტო არ არის. ამ თაობაზე პატარა თეორიაც კი მაქვს: ადამიანის არც ერთი ინსტინქტი არ არის ისეთი ძლიერი და პირველადი, როგორც საკუთარი თავის საჭიროების აღიარების განუწყვეტელი მოთხოვნილება. როცა ადამიანს ყურადღება და აღიარება აკლია, ნაკლოვან არსებად, არასრულფასოვან სულდგმულად შეიგრძნობს თავს და უიღბლობის სინდრომით ავადდება. აქ იწყება მისი ჩუმი გაგიჟება, აქ იჩნენ თავს მასში სპეციფიკური ხასიათობრივი გადახრები, სხვადასხვა გაუგებარი ჩვეულებები და ბნელი მიდრეკილებები, ე.წ. ოფოფები. რადგან მისი ადამიანური განუმეორებელი ერთადერთობა აუღიარებელი და გაუთვალისწინებელია, იგი თვლის, რომ არაფერი მოეკითხება, არც საწყაროს ამბები მოეკითხება და არც კაცობრიობის. რადგან არაფერი მოეკითხება, იგი თავისუფლდება ყოველგვარი საზოგადოებრივი და სამყაროს შვილობის აზრის მატარებელი პასუხისმგებლობისგან. იგი თვლის, რომ მისი დაკარგვით სამყარო, კაცობრიობა და ნაცნობები არაფერს კარგავენ. ამიტომ განუზომელი მოწყენილობა ისადგურებს მასში. საკვირველია, სექსუალური რევოლუციის თეორეტიკოსებმა რატომ არ გამოიკვლიეს უყურადღებობით და აუღიარებლობით გამონეული ფსიქიკური მოშლილობები. სექსი ძლიერი ინსტინქტია, მაგრამ მაინც მეორადი. პირველადი ინსტინქტი ყურადღების და აღიარების მოთხოვნილებაა. უყურადღებობით გამონეული მოწყენილობისთვის სექსი მხოლოდ თავდავიწყების საშუალებაა".

25.

ეხ, თემო, თემო, რა კარგი მარკიზი იყავი. რაღაც ნიჭის მსგავსიც გააჩნდა. მარტო ყოფნა და წყალში კენჭების სროლაც შეგეძლო. ელეგანტურ ქალსაც უყვარდი გაგიჟებით. იუმორიც გქონდა. რა შეგემთხვა ასეთი, რა დაგემართა. როგორ ამოყავი თავი დამთხვეულების, მანიაკების და დებილების წრეში.

- ნუ ღლიცინებ.

- ბოდიში, ბოდიში, დამავინყდა, რომ საგანი იძირება ნელ-ნელა წყალში.

სწორედაც რომ იძირება საგანი ნელ-ნელა წყალში, ანუ დიდი ხანია, კარგი არაფერი გამოკეთებია. არავის დავხმარებივარ. არავინ გამომხნევებია. ერთი ნაქვეულციც კი არ წამომიყენებია. არავისთვის მითქვამს გულწრფელად, რომ მიყვარხარ. არავისთვის არ თანამიგრძობია. არავისთვის არ მიპატივებია ადამიანური სისუსტე, შეცდომა ან ცუდი საქციელი. გავუხვმდი, კარგად ვერ ვფიქრობ ადამიანებზე. სულ ვიგინები. გავტლანქდი. ჩემი თავის სმენის უნარიც დამიქვეითდა და მომჩიუნდა. გრძობა გამიხვედა. ველარ ვწვდები ინტუიციის უნატიფეს მინიშნებებს. არის ადამიანის გონებაში ძნელად საწიერი ნიალი, რომელშიც ყველა ადამიანური საფიქრალის, თემის და საკითხის უსუფთავესი განვიფიქრებ მესაძლებლობები შეყუჟულან. ეს პოტენციები საფიქრალი თემების და მოტივების კრისტალიზებას ახორციელებენ და მათგან უმარტივეს, ელემენტარულად ცხად და სუფთა აზრებს, მიხვედრებს და ნედომის მუხტებს ქმნიან. ეს არის წმინდა აზრების სახეობები, რომლებიც სამყაროს სირთულეს ბავშვურობად, გულწრფელ და ჩველ ღიობად და წმინდანურ მიამიტობად განაცდევინებენ ადამიანს. თავისებურ ეთერულობას და ნორჩ სხივოსნობას იძენენ გონების ამ განზომილებაში ადამიანის საფიქრალეები. ყოფიერებაშიც კი იჩენს ხოლმე თავს ამ განზომილების არაცნობიერი, გრძნობისმიერი გამოვლენები, მაგალითად; უფროსების ბავშვური საუბრები, რომლებიც ადამიანური თბილი სისულელის და მოულოდნელი სისუფთავის ელემენტარული ნაერთის შთაბეჭდილებას ტოვებენ. მაგრამ ადამიანური თბილი სისულელე შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ თბილი სისულელე იყოს და კრისტალური აზროვნების შესაძლებლობათა სფერო არაფერ შუაში იყოს. გააჩნია, ვინ უფროსობს ღაპარაკობენ ბავშვურად. ეინშტეინმა თავის თეორიულ მუშაობის პროცესში ისეთ მათემატიკურ სიმარტივეებს მიაგნო, რომლებშიც ღმერთი შეიგრძნო. — ასე განმარტავს ვერნერ ჰაიზენბერგი ეინშტეინის რელიგიური განცდის ხასიათს. ეს უფროსის ისეთი ბავშვური საუბარია, რომელიც კრისტალური აზროვნების შესაძლებლობათა სფეროდან გამომდინარეობს და ბავშვურობა აქ ღია და ჩვეილი სისუფთავის წმინდანურ მიამიტობას გამოხატავს. მათემატიკური სიმარტივე რომელიც სხვა რიგის სიმარტივეს უნდა ნიშნავდეს. ეს ისეთი სიმარტივე უნდა იყოს, რომელშიც ღმერთის განსაცვიფრებელი უბრალოება და ელემენტარული სისუფთავე სასწაულებრივად ცხადი მშვენიერების სახით აიხილებოდა. თუ ამ "მათემატიკურ სიმარტივეებს" ხელ-ოვნების სფეროში მოვეუძებნით შესაბამისობებს,

მარტივი ფორმებით გამოხატულ სირთულეებს დავინახავთ, ალბათ. მაგალითად, ჰოლდერლინის უმარტივესი ორი სტრიქონი:

*მას შემდეგ, რაც ვართ, ჩვენ საუბარია  
და ერთმანეთის ძალგვიძს მოსმენა.*

ეს უფროსის ბავშვური საუბარი "ი აი"-სავით მარტივია და "წმინდა იყავ სახელი შენი"-ს სირთულეს შეიცავს. რას ნიშნავს "სახელი შენი". ადამიანის თვითგამოვლენების რომელ სფეროშია, გარდა სიტყვისა, სახელის ფენომენი? არც ერთში. სიტყვა არის სახელი, ანუ სიტყვის შინაარსი არის სახელეებით საუბარი. ანუ სამყარო სახელში შინაარსი ხდება გონების საშუალებით. ღმერთის სახელი არის სიტყვის შინაარსად ქცეული ღმერთი. საუბარი არის ღმერთის სახელში, ანუ სიტყვაში ყოფნა. სახელი სიტყვაა, სიტყვა კი იმის შინაარსია, რასაც სახელი ჰქვია.

იმისთვის, რომ კრისტალური აზროვნების შესაძლებლობათა განზომილებაში ააღწიო, მხოლოდ მძლავრი გონიერება არ კმარა. აზროვნების უნარი დამუხტული უნდა იყოს საიდუმლოებებში წვდომის ინტერესით. იგი განწმენდილი უნდა იყოს არსებობისთვის ბრძოლის ანგარებიათა განსაცდელი-სგან. ანუ მოფიქრალ ადამიანს უნდა შეუძლებდეს სრული აქტივობის მქონე ზნეობრივი პასუხისმგებლობა სამყაროს სიმართლისადმი. სამყაროს სიმართლე მარტივად არის და რთულიც. სამყაროს სიმართლე დაუზარებლად და სავესდ უნდა გიყვარდეს, რომ მარტივად განიცადო და შეიცნო. უნდა ისე გიყვარდეს, რომ მისი ყველაფერი, ყველა საიდუმლო და რთული წინააღმდეგობრიობა გაინტერესებდეს. ეინშტეინი ვერ მიაგნებდა ღმერთის სიახლოვის განცდის აღმძკრელ განსაცვიფრებელ "მათემატიკურ სიმარტივეებს", სუფთა ადამიანი რომ არ ყოფილიყო და სამყაროს სიმართლე რომ არ ჰყვარებოდა დაუზარებლად. შეუძლებელია გაბინძურებულ შეგრძნებებით და გაუხეშებული მსოფლგანცდით სამყაროს სიმართლის სიყვარული და გონების კრისტალური აზროვნების შესაძლებლობათა სფეროში აღწევა.

## 26.

აუპ, რა სერიოზული და მიმეე მონოლიე მკეცს. ძალიან ცხოვო, ეე არ დაწერი. ნუ გაავაჟებე მკეცს ხვევლს შენი ტვირის ჭყულებით და რთული აბდაუბდით. აჯობებს, ისეე ჩუმად იყო. ისეთი სერიოზ-

ული ხარ, რომ შენი "უფროსების ბავშვური საუბრების" ჯინაზე რამე უმსგავსობის ჩადენა მინდებოდა, სტვენა მინდებოდა. ხულიგნობის გაკეთება მინდებოდა. ძალიან გთხოვ, არა თქვა, რომ შენი დამთხვეული ქალის პრუტუნიც "უფროსის ბავშვური საუბრების" დამიჯერე, მაგ დარტყმულს კაცო უნდა.

- ნუ უხამსობ.

- რა ვენა, მაგიჟებს სექსი. სად ვუპოვეთ ახლა ქალი ჩემს სექსუალურ ცულულუტობებს. ასე ადვილი კი არ არის თბილისში ქალის შოვნა. იქნებ, შენი დარტყმული ქალი დამითმო, განვეკურნავდი ოფოფებისგან. რას იტყვი უფროსის ასეთ არაბავშვურ საუბრებზე. ესეც უმსგავსობაა, მაგრამ ჩემი ბრალის არ არის, შენი ძალიან სერიოზული "უფროსების ბავშვური საუბრები" მანდამთებენ უმსგავსობის ჩადენას.

- ნუ უხამსობ-მეთქი.

- ეჰ, თემო, თემო. რა კარგი ვინმე იყავი და რას დავმსგავსე. გთხოვ, გამოფხიზლდი, იგრძენი დრო. დღეს პოლიტიკა, ძალაუფლება და ფულის ხარბი ძიებაა მოდამი. ნუ იქნები ძალიან ჭკვიანი და აზრიანი. ნუ იქნები ასეთი მორნმუნე, ნუ ექვბ სუფთა აზრებს. ვის რაში უნდა შენი კრისტალური აზრების სისუფთავის წმინდანური მიაშიტობა ან შენი "უფროსების ბავშვური საუბრები". თუ მართლა მაგარი ხარ, მოქებნე შენში სითბოები, იუმორები და სიხარულები. დღევანდელ ადამიანს მხოლოდ სითბო სჭირდება. სჭირდება იმაში დარწმუნება, რომ აუცილებლად უნდა დაბადებულიყო. დანახვა, ყურადღება და აღიარება სჭირდება. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ფული სჭირდება, მგონი. ისე, რომ სჯობია, კვლავ აუტიზმის მდგომარეობაში დარჩე და არ დანერო "უფროსების ბავშვური საუბრების" შესახებ. განაგრძე შენი საგნის წყაღში დიდხანს და ნელ-ნელა ჩაიხრავს ყურება.

27.

მრავალმა ადამიანმა თავისი მასობრივი და ზედაპირული მსოფლგანცდის გამო არც იცის თავის გონებაში არსებული აზროვნების კრისტალური პოტენციების განზომილების შესახებ. ყოფიერების ქაოსი და არსებობისთვის აზარტული ბრძოლა ახვევს, სექულკანიანს ხდის ეგომიზნებით თავდავიწყებულ ადამიანს. ვმშობ ასეთი გასექულკანიანება ხომ არ დამეძარა. ზედმეტად ხომ არ შემოიჭრა ეპოქის წინააღმდეგობრივი, კონფლიქტური და ვაჭრული სული ჩემში. ხომ არ მძლია ყოფიერების უხეშმა მოუწესრიგებლობამ და მისმა დაფეთებულმა უგონო ძალებმა, უსულობამ და პრინციპთა განურჩევლობამ მისმა, მისმა

უპრინციპობამ, უიდეობამ, ყველა იდეის საჭმლის შოვნის და ქალთან გართობის ღონეზე დაყვანამ, ღირებულებათა დაცემამ და ბნელი ვითარებიდან გამოუვალობამ. ყველაზე გამოცოცხლებულ მდგომარეობაში ყველაზე დიდი, რაც შემიძლია გავაკეთო, არის ის, რომ შექნუნებულ კითხვას ვსვამ: - სად უბედურებაში მივმართება კაცობრიობა, რა ამბავია ამდენი ტექნიკა და პოლიტიკა, რა ამბავია ამდენი უსულგულობა! მაგრამ ასეთი გამოცოცხლება მხოლოდ წამიერია. უმეტესწილად ჩამქარალი ვარ. ვეღარ ვნუგდები ჩემი გონების კრისტალური აზრების შესაძლებლობათა სფეროს. "გულის სიზანტე" დამიუფლა საგნების, მოვლენების და მათი საიდუმლოებების მიმართ. ამრეზილობა გამიჩნდა უფროსების ბავშვური საუბრების, ანუ სულიერი ლიაობით გამოვლენილი სისუფთავის მიაშიტობის მიმართ. არ მაინტერესებს სამყაროს მილიარდი საიდუმლოებები და შინაარსები. მაღიზიანებენ უზომოდ გამარჯვებული ადამიანები. ისინი უსახურ და უსულო ორგანიზმებად იქცნენ ჩემთვის. ვზივარ გაოგნებული და ხშირ-ხშირად ვიძახი:

- არაფერს არა აქვს აზრი. ყველაფერი ამაოა. სულიერ ძალისხმევას მაინც სექულკანიანი სიტლანქის მქონე გონებაშეზღუდულობა, ზედაპირულობა და ქარაფუტობა ძლევს. დადუმდა სული ჩემი, რადგან სიხარული შია. ელემენტარული სიკეთის ჩადენით გამონვეული სიხარული. მაგრამ როგორ უნდა ფუკეთო ვინმეს სიკეთე, თუ ის სიკეთეზე მაღლა ფულს აყენებს. ვის რად უნდა ჩემი ელემენტარული უბრალო სიკეთე. ეს ხარისხი დებილობის სიმპტომად იქცა. ან ჩემი მხატვრული ლეღვები და სინაურული ვის სჭირდება. უგემოვნებო ტელეკულტურა და სულელური გასართობი კინო სავსებით აკმაყოფილებს დღევანდელ ადამიანს, რომლისთვისაც ნამდვილ ხელოვნებაში ჩალრმავება სასჯელის ტოლფასი რამ გახდა. ამაში მდგომარეობს ჩემი აუტიზმი.

28.

ოოოო! შენ მართლაც ღრმა აუტიზმი გქონია. ასეთ მდგომარეობაში თუ ხარ, აჯობებს, არაფერი არ გააკეთო. მძინე წინარმოები გამოვივა. ბედნიერ მკითხველს გულს გაუტეხავ. საერთოდ, მართალი რომ ვითხრა, არ მესმის, რატომ უნდა გააკეთო რამე. მოსაწყენ ნერას ქალთან მხიარული ლაპარაკი სჯობია. ქალთანაც გამოდის ბავშვური საუბრები.

- ნუ ლლიცინებ.

- შენ გგონია, ცოტა სექსი გააფუჭებს "უფროსების ბავშვური საუბრებს?"

- ნუ ლლიცინებ-მეთქი.



- ბოლოს და ბოლოს, ქალები ბავშვებს აჩვენენ.

- გეყოფა.

- რა ვქნა, მაგიჟებს სექსი. მაგრამ მართლა ვერ გავიგე, რატომ უნდა იკითხონ მკითხველებმა შენი ნაჯღაბნები და არა მხოლოდ შენი. რაში სჭირდება მკითხველს შენი შეგრძნებები, შენი კაზმული სიტყვები, შენი შეხედულებები, შენი გამოგონილი სახეები, შეთხზული სიხარულები და მწუხარებები. რა გაუჭირდა მკითხველს ისეთი, რომ შენი შეთხზული ტრაგედიებით, გამოუვალ ვითარებებით, მიუსაფრობით და სიმარტოვით დაიმძიმოს გრძნობები და გონება. ისედაც შეჭირვებულია და კარგს ვერაფერს მოუტანს შენი "იაზური" ნამოძახება, რომ უბედურია. ცხოვრება ისედაც საესეა თან რეალური და თან იდუმალი სახეებით, აუხსენელი სიტუაციებით, შეკითხვებით, უპასუხოებით, აღამიანთა უცნაური ბედებით, შეუცნობელი მოვლენებით, სულელური და ჭკვიანური მოვლენაცდებით, ყბედობით, ფიქრებით და მილიარდობით სიტყვებით. რა დაემართა მკითხველს ასეთი, რომ მაინცდამაინც შენი მიეთმოეთი უნდა იკითხოს.

- მაიმუნობ, მაგრამ მართლა ევრეა.

- ნუ მეთანხმები, კარგად იცი, რომ მნიშვნელობა არა აქვს, ვინმეს აინტერესებს თუ არა შენი ნაჯღაბნები. მთავარი ის არის, რომ სხვანაირად არ შეგიძლია, არ შეგიძლია, რომ არ ჯღაბნო. ეს შინაგანი შეუოკებელი მოთხოვნილებაა. ამიტომ მიკვირს, უქმად რომ ზიხარ. შენ და აუტიზმი შეუთავსებლები ხართ.

- დამანებე თავი.

- "უფროსების ბავშური საუბრების" ხათრით მაინც გამოცოცხლდი.

- გეყოფა.

## 29.

ზოგიერთ საგანს ვერ შეველევი, ვერაფრით ვერ გამოვემშვიდობები, მაგალითად, იმის იმედს, რომ ერთხელაც ღმერთი ყველას გვიხმობს, დაგვიყვავებს, თავზე ხელს გადაგვისვამს და ყველაფერს განგვიმარტავს. აგვისხნის, რატომ იყო საჭირო გამომშვიდობება იმასთან, რაც გვიყვარს. დავგანყნარებს და თავის მყუდრო სახლში მოგვასვენებს. ძალიან გთხოვთ, არ შეამენინაღმდეგეთ. მეც კარვად ვიცი, რომ ეს მხოლოდ იმედი. მაგრამ ისიც არის, რომ არავინ იცის, ეს იმედი სრულდება თუ არა ბოლოს და ბოლოს. ჰოდა, რაც არ იცით, იმაზე რატომ კამათობთ. თქვენ ისიც არ იცით, რომ ღმერთს და სიკეთეს სიხარულით ვგრძნობ, გონებით კი ვერაფრით ვერ ვწვდები ამ მოვლენებს. გავაკეთებ პატარა სიკეთეს და შევბისმომგვრელად

გავგრწყინდები შინაგანად. ამაზე კარგი გრძნობა არ არსებობს. თქვენ კი არ გჯეროდათ; თქვენ გეგონათ, რომ სიკეთე გონებით გამოითვლება. არა, არ არის ასე, მერწმუნეთ. სიკეთე მხოლოდ სიხარულით ვიცი. არა, ჩემი პატარავ, ნუ იტყრებ. ეს ყველაფერი არც ისეთი სევდიანია, როგორც შენ გგონია. ტირილით მაინც ვერაფერს შეცვლი, თანაც შენ მაინც შენ არა ხარ. შენ შენი თავის მაგიერი ხარ. ტყუილად განიცდი განშორებას. ნახე, რა კარგი სახე გაქვს. 10 ზედიზედ ალტაცების სილაამაზე გაქვს. ყველას ათმაგად შეუყვარდები, მაგრამ ამაოდ, რადგან შენ მხოლოდ შენი თავის მაგიერი ხარ. მხოლოდ ზედაპირი ხარ. მთვით კი ის არის, ვინც მართლაც შენ უნდა იყო. ნუ ტირი ამაოდ. სხვის განსაცდელს რატომ განიცდი. მაინც არაფერი გამოვა მაგით. თვალებს და ნარბებს შორის გამომშვიდობების ჩრდილი შეგექმნება. ტუჩები მტირალა გაგიხდება და ყველა მიხვდება, რომ შენ შენ არა ხარ. ნუთუ ეს არ იცოდი. ნუთუ ერთხელაც არ მოგიკრავს ყური, რომ ყველანი ჩვენი ნამდვილი თავის მაგიერები ვართ. ამაოდ ვწუხვართ და ამაოდ გვიხარია, რადგან ნამდვილ ჩვენს თავს ის სულ არ აწუხებს, რაც ჩვენ გვადარდებს. ჩვენ ხომ ნამდვილი ჩვენი თავის მაგიერად ვცხოვრობთ და არ ვიცი, რა არის სასიხარულო და რა არის სამწუხარო. აბა, კარგად დაუყვირეთ: შენი ხალისი უკან ვინ იმალება, იცი? "მე" ის რომ ამბობ, ვის ვახლისხმობ, იცი? ვინ იყურება შენი თვალებიდან, იცი? აი, ხომ ხედავ, არაფერი არ იცი. რას იზამ, ასეთი სასაცილო არსებაა აღამიანი. თავისი არაფერი არა აქვს. სისხლი სხვამ დაატრიალა მის ძარღვებში. სხვამ შთაბერა ფიქრი მის გონებაში. სხვამ შთანერგა გრძნობები მის გულში. სიხარულის უნარიც სხვამ გამოიკონა. იმ სხვა ვილაცის მაგიერია აღამიანი. ნუ ტირი, ჩემო კარგო. ყელზე, აი, აქ, გამომშვიდობების ნაოჭი დაგაჩნდება.

## 30.

არა, ეს ქალი არ გაჩერდება, მანამ არ გავაუპატიურებ. მაშინ ნახავს, "უფროსების ბავშური საუბრები" როგორ უნდა. ეჰ, თემო, თემო, სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ შენი "უფროსების ბავშური საუბრები" შენელებული კადრების რიტმით იძირება დიდ და ცივ წყალში. იმასაც ვაღიარებ, რომ ახლა მართლაც არაფერი არ უნდა დანერო. დამთხვეულების, მანიაკების, დაექვეუბლების და დებილების უშნო შენელებული კადრების რიტმით გამოგავა. აჯობებს, ისევე აუტიზმის მდგომარეობაში დარჩე.

31.

იქნებ, საგანი რომ დაკონკრეტდეს, უკეთესი მნიშვნელობა შეიძინოს მისმა წყალში ჩაძირვამ. მაგრამ რა საგანი უნდა იყოს. იქნებ, წიგნი? ან ველოსიპედი. რამ გამახსენა მაინცდამაინც ველოსიპედი, არა, საგნის დაკონკრეტებას სულ სხვა გეზით მიყავს წყალში ჩაძირვის პროცესის აზრი. მაგრამ ისიც ხომ არის, რომ რეალობაში ზოგადი საგნის ჩაძირვა შეუძლებელია. ველოსიპედის დიდხანს და ნელ-ნელა ჩაძირვა არ იქნებოდა ცუდი საცქერალი. ველოსიპედი შენელებულად ყირაზე ამოტრიალდება ერთჯერ ან ორჯერ. მაგრამ მერე რა. ველოსიპედის გიჟი ხომ არ არის, ვინც ჩაძირვას უყურებს. საერთოდ, ეს ტიპი რატომ უყურებს საგნის ჩაძირვას, უნდა და უყურებს. ალბათ, აქვს ამის შინაგანი მიზეზი. მაინც რას ნახულობს ასეთს მასში. აკვარიუმიც ნაკლებ ეფექტურია. აკვარიუმი მხოლოდ იმ შემთხვევაშია კარგი, როცა პატარა გოგონა უყურებს. ასაკოვანი კაცის შემთხვევაში ბუნებრივი დიდი წყალი იქნებოდა უფრო შესაფერი. მაგრამ ეს ასაკოვანი კაცი ბაყაყი ხომ არ არის, რომ წყალში იმყოფებოდეს და საგნის ჩაძირვას იქ უყურებდეს. მოკლედ, არ გამოვიდა ეს მეტაფორა. მოიცა, მოიცა, ძალიან ნუ უკირიკიტებ, თორემ უაზრობად იქცევა. საგნის წყალში ჩაძირვასთან ერთად ქუთუთოთა ნელი დაშვება არც ისე ცუდი იყო.

32.

რა მშვიდობიანი და უბრალო რამეა მივარდნილ ქუჩაზე პატარა მალაზიაში ხელის საბანი საპნის და ერთი კოლოფი იაფფასიანი სიგარეტის ყიდვა. ეს არაფერს არ გავალებს. ეს ცხოვრების ყველაზე ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული და ყველაზე წარმავალი ეპიზოდია. საპონი დაილევა და სიგარეტი მოინევა, აღარაფერი დარჩება ამ ეპიზოდისგან და მაინც რა მშვიდობიანია და გაუცნობიერებლად კარგია მივარდნილ ქუჩაზე პატარა მალაზიაში ხელის საბანი საპნის და ერთი კოლოფი იაფფასიანი სიგარეტის ყიდვა. ყოვლად უმნიშვნელო და წარმავალი რამეც შეიძლება იყოს მომხიბვლელი თავისი უპრეტენზიო და უბრალო სიცოცხლისუნარიანობით.

- როგორ უნდა გამოთავყვანდე კაცი, როგორ უნდა იძირებოდეს ნელ-ნელა წყალში, რომ ხელის საბანი საპნის ყიდვაში არაჩვეულებრივი უპრეტენზიობის პოეზიას ხედავდეს. სამწუხაროა, ოდესღაც შენ მშვენიერი მარკიზი იყავი, ელეგანტურ ქალს უყვარდი და შენს სიტყვას ცეცხლოვანი ხიბლი ჰქონდა.

2003 წელი.  
იენისი - დეკემბერი



## რწულ ჩილხჩავა

ციკლიდან:  
„შუადღის ლანდი“

### ქართული თოვლი

ბნელში უეცრად გაბრწყინდა ლავრა,  
როგორც ვარსკვლავი ბეთლემის თავზე.  
თოვს და ეს თოვა სინათლით მავსებს,  
როგორც პეტრარკას სონეტს ლაურა.

მაგრამ მე მანსოვს სხვაგვარი თოვაც,  
თოვა ზემელზე, თოვა ვერაზე,  
თოვა, როდესაც ღამის ვარაზი  
ცამ ფანტელებით მოაუთოვა.

მე მივდიოდი თბილისურ თოვლში,  
როგორც სამშობლოს უცნობი მეკვლე,  
და ვგრძნობდი: თავის უხილავ კვლებს  
ჩემს საამებლად თელავდა თოში.

მე მივუნათებ იმ ღამეს კვარს კვლავ,  
სულ ერთი წამით, სულ ერთი წამით,  
რომ ვთქვა: „ნეტარი წასულა ჟამი!..“  
და გაეავრძელო გზა ვარსკვლავ- ვარსკვლავ.

## შეგვარებულნი

შენთვის ჰყვავიან ვარდნი, ტიტანი,  
მზეც შენთვის მწველი ჟინით ციალებს  
და ცისკიდურზე, როგორც ტიტანი,  
გიწერს გიგანტურ ინიციალებს.

შენ არ ბერდები... უბრალოდ დღენი  
გიქსოვენ ფარჩის ახალ სამოსელს,  
რომ ამას აქეთ სამას სამოც წელს  
კიდევ მზიბლავდეს მშვენება შენი.

მონუსხულივით მადლობას ვწირავ  
იმ სიხარულის გამო მეც ზატებს,  
რომ უცხო ყმაწვილს ციური ცირა  
მხსნელ ანგელოსად გამომეცხადე.

სხეულში ისევ ბობოქრობს ვნება  
და შენკენ ლტოლვას არა აქვს ბოლო!  
ო, სიყვარული არასდროს კვდება,  
შეგვარებულნი კვებიან მხოლოდ!

## სისხამი

მყვარებია, მძულებია, მინანია  
სიმულვილის, მეტიც, სიყვარულის გამო.  
ის ცრემლები, ბანოვანთა საწამწამო,  
აწ დაფშენილი ბროლნია და მინანია.

მზურებია არა ჩალმა, არა ფესკა,  
ოდენ — ჩემი ცის ნაჭერი ფაფანაკად!  
ყველგან, სადაც ბედისწერამ მამანაკა,  
დამჩენია სულის სუფთა არაბესკა.

თუ გაჭირდა, მე გავხდები ატლანტი და  
თავგანწირვით თავს შევუშვერ ქარაშოტებს,  
რომ გადარჩეს და არ გახდეს არასოდეს  
საქართველო — ჩაძირული ატლანტიდა.

სისხამია... გზას გავყურებ საქარაუნეს.  
საწიერი ცისკრის შუქით იკოცნება.  
ო, შეისხამს ფრთებს უვნებლად იქ ოცნება  
თუ ბოღმისგან ვანდალებმა აქ არ ავნეს.

## პორფიროსანი

შენ შეიძლება გეცვას პორფირი  
 და ბევრი ქვეყნის მხსნელად გასაგედეს,  
 თვითონ კი სულში შხამს ინახავდე,  
 იყო ბნელი და იყო ორპირი,  
 ხალხთან ბრუდერშაფტს სვამდე ფიალით,  
 ედავებოდე ვერძისთვის ბერძნებს,  
 ვარდის კოკორი გებნის მკერდზე  
 და სულში იყო ჭინჭრის ტრფიალი,  
 წყალს უთბილებდე წმინდა ემბაზებს...  
 შენ შეიძლება მოკვდე ელბაზე  
 და ბონაპარტე არ იყო სულაც.

## საკუთარ ჩრდილში

რომ უფლის მონად ვარ მონათლული,  
 არ ნიშნავს: მონად ჩამთვალთ თქვენაც...  
 გაძლება ვიცი – მხოლოდ ქართული,  
 ღვთიური – მხოლოდ ქართული ენა!

მომეჩვენება ანაზდეულად:  
 ვარდი... აკვანი... ვარდი... აკვანი...  
 თითქოს სამშობლო ტაძრად ქცეულა  
 და მის გუმბათქვეშ ვარ ღიაკვანი.

ეს გზნება სხვას თუ ვეღარ გადავდე,  
 მე პირნათელი ქვეყნად მაინც ვარ!  
 გულო, ქართულად უნდა გათავდე,  
 სულო, ქართულით უნდა დაიწვა.

მინახავს ბევრი კერპის დამსობა  
 (არ გამჩენია დამსობის შიში!)...  
 ვინც როსმე თავის ჩრდილში მამყოფა,  
 დღეს დავპატიჟე საკუთარ ჩრდილში.

## ესოტერია

როცა სახლი და ეზო მტერია  
 და ამრეზილად გიყურებს ყველა,  
 მაშინ ხსნა არის ესოტერია  
 და ჩრდილის ჩრდილში სიზმრების სტელა.

იქ, უნაზესი, როგორც ლილია,  
 მიტვიფრულია ტვიფარს ტვიფარი.  
 თითქოს ლურსმნულით ჩამოთვლილია  
 ხალხი ნატიფი თუ... უტიფარი.

დადექ, ქარაგმებს მთარგე კოდი,  
 მიუსადაგე სახელს სახელი  
 და მიუჩინე საფლავის ლოდი,  
 ვისაც არ დარჩა თვალგასახელი.

ნახე: მათ უკვე დატოვეს სტელა  
 და ყვაუბივით ფრენენ გუნდებად,  
 რადგან მიწაზე გაურბით ყველა  
 და... ბუმერანგიც არ უბრუნდებათ!

## დღიური

ასე მგონია, სხვისი ცხოვრების  
 დღიურს ვწერდი და გამოძრჩა ჩემი,  
 რომ ჩაიძირა თაობის გემი  
 და არც არავის ვემახსოვრები.

ვეჭკვევი ბინის უფრო შიგნიდან  
 დაკეტვას, ვიდრე გარედან, რადგან  
 მივხვდი ცალსახად: ის უამი დადგა,  
 როცა მთავარი გახდა წიგნი და

საკუთარ თავთან მშვიდი ბაასი,  
 სუფთა ფურცელთან ცოდვის გამხელა.  
 თურმე მომქონდა ტვირთი ამხელა  
 და ტანჯვა იყო მისი  
 ფა-  
 ა-  
 სი!

ვიხსომებ დღეებს მიმქრალ კადრებად,  
ვით კინოებზე მიმსხვრეულ ბოთლებს,  
ვით შემოდგომით დატკეპნილ ფოთლებს,  
გაზაფხულზე რომ მომენატრება!

### ფრანკფურტი

ბოინგი ჯერაც ბოინობს ცაში,  
ფრთებს გადაჰკვრიათ ფერი ლაინის.  
დაბლა მიღელავს მღვრიე მაინი  
და თითქოს მესმის ტალღების ტაში.

ოდნავი რყევა შიშს სულ არ თესავს  
და, რომ არ იყოს ეს გზა უქალო,  
მინეზინგერის მსგავსად ვუგალობ  
ნარნარით ჩავლილ სტიუარდებსა.

სად საქმიანი ბოსი და სად მე  
(თუმც მემახიან უცხო ფირმანი!)...  
თითქოს ფარულად მომაქვს ფირმანი,  
რომ ფირმის მფარველს გადავცე სადმე.

გულო, არ ასცდე კეთილ მაინძელს  
(კვლავ უნდა მეყო, როგორც მყოფნიდი!)...  
სულ ეს წამია, რაც ჩამოვფრინდი  
და ფრანკფურტის მზეს ვხვდები მაინზე.

### სტრასბურგი

ჩემი სასტუმრო – ძველი „კალმარი“,  
ძილმორეულად ღიღს გადაჰყურებს.  
აქ უცხოვრიათ მუზის მსახურებს,  
ბევრი მათგანის მაქვს ნაკალმარი.

გაბრუებული მათი სტროფებით  
წუხელ ნოტრ-დამში ვუსმენდი მესას.  
მიწყვიე მაპულის მერმისზე მესავს  
მეგონა, მეცხრე ცად ვიმყოფები.

გვიდასტურებენ მართლაც დენდები  
ფიცით შეკრული სამშოს წვერობას.  
ძვირფასო საბავ, ჩვენ ვართ ევროპა,  
მის შუაგულში შენ მასხენდები!

ვლიდინებ ჩემთვის: „ეგრო, ახ, ეგრო!“  
 და მზად ვარ თითქოს, ურჩხულს შევება...  
 მე მოვესწრები ჩვენს აღზევებას,  
 თუნდაც სიცოცხლე გამინახვერონ!

### პარიზის გავლით

დღეს დიდ პერცოვთან არის მიღება,  
 წავალ, „ბორდოთი“ გავიბრანგები.  
 გაცდებიან, ალბათ, ფრანგები,  
 პერანგი წითლად თუ შემეღება!

მე, სადღეგრძელოს თქმას შეჩვეული,  
 უსადღეგრძელოდ გამოვცლი თასებს  
 და მღელვარებას გამოათასებს  
 შენი შეხება ანაზღუელი.

როს მოეღება პანგი ბიზესი  
 დარბაზს და ემხში შეივვანს ნადიმს,  
 შენთვის ისედაც გახდება ცხადი  
 უცებ დაღვრილი სითხის მიზეზი.

და შენ მიხვდები: სიყვარულს ყველი  
 რომ არ გასვლია თუნდაც იოტით,  
 რომ დღე და ღამე მე მოვდიოდი  
 შენკენ, შენს გამო – პარიზის გავლით!

### ქარიზმა

უსათნოესო, ეშმაკმა ამ ტანს –  
 სიცივის ამტანს და სიცხის ამტანს,  
 ხელი სად ახლო?

ვაითუ, გახლა ღვთივეკურთხეული  
 ალვად რხეული შენი სხეული –  
 ხორცი სადახლო?

მე ვგრძნობ, დღითი-დღე უფრო  
 გშორდები,  
 შენ კი ერთი ხარ, არ მეორდები!  
 ქარი... ქარიზმა!..



ჰოი, რამდენი მართლაც სინაზე  
 გახუნებულა უღვთოდ სენაზე,  
 იცის პარიზმა!

### კაპიტან გრანტის შვილები

ყველგან გრანტები... მხოლოდ  
 გრანტები...  
 როგორ მომრავლდნენ გრანტის  
 შვილები!  
 როგორც ანაშით გაღმეილები,  
 დადიან სულით ემიგრანტები.

არის სერობა და მისტერია,  
 ზეობენ გრანტი და მისი სია.  
 გამოიხედავ — ეს მისისია,  
 გადაიხედავ — ის მისტერია!

გაიძახიან — გრანტი, გრანტიო,  
 თითქოს მალამო მხოლოდ  
 გრანტია.  
 აქ გრანტიანებს აქვთ  
 გარანტია,  
 დანარჩენია უგარანტიო.

თითქოს გრანტებით ცა  
 მოჩითულა!  
 ჰეი, კაპიტან, ჰეი, კაპიტან,  
 მოკლე შარვლებდან, ციცქნა  
 კაბიდან,  
 ეს რა თაობა წამოჩიტულა!

### მოქცევაჲ ქართლისაჲ

მობრძანდა ნინო მოქცევაჲ ჩვენდა,  
 გაკრთა მთებს შორის ჯვარი ვაზისა  
 და მცხეთა იქცა იმ ღაზისად,  
 რომელსაც ღმერთი შარავანდს ჰყენდა.

თითქოს გახსნოდა მტკვარს სხვა სადენი  
 და უცნაური თრთოლით დიოდა,  
 მზე ზარ-ზეიმით ამოდიოდა,  
 დამსხვრეულიყო ბინდში ზადენი.

ულმობელ ქროლვას მესიურ ქართა  
მიმოუფანტა ირგვლივ წყვდიადი,  
რომ ქვეყანაჲ, მართლაც ფრიადი,  
აღრაცხულიყო ჭეშმარიტ ქართლად.

ქართლად – მთა-ბარი, ქართლად – ტყე-ველი,  
დამშვენებული ჯვრიანი ღერბით  
და რწმენით: ჩვენში არც ერთი კერპი  
არ გადარჩება დაუმსხვრეველი.

### ტკბილი კატასტროფა

ეშვება ფარდა თანდათან, ნელა,  
როგორც საყვარლის ღამის პერანგი,  
ბუნდიერი ვარ, რომ ირგვლივ ბნელა,  
და შემწულ მექცა მტერი ვერაგი.

ვაშა სიბნელეს!.. ანთებულ მზერით  
ისეც მივაგნებ შენს ყოველ ასოს.  
ო, ჩემზე უკეთ ვინ შეაფასოს  
ტრფობით მოთენთილ თვალების ფერი!

ლექსში განვფენდი მას ათას სტროფად  
(მუზას არ უყვარს სიტყვაძვირები!..),  
მე შენში ვყვინთავ, მე ვიძირები  
და რა ტკბილია ეს... კატასტროფა!

### სიზმარი

სიზმრად მოფრინდა ცისფერი  
აერობლანი „ილ-2“  
და უცებ გადამატარა  
მოქვი, ბელია, ილორი.

მე დავეურებდი წართმეულ,  
გავერანბებულ მთა და ველს  
და ვერ მიმეგნო, საღ არის  
ჩვენი დაქცევის სათავე.

მსურდა, მეყვირა: „მამულო,  
ჩემი დარდი და კენესა ხარ!..“  
მაგრამ ვერ ვნახე ღვთისშვილი,  
რომ ჯვარი გადამესხა.

ჩამომეძახა სალამი,  
 მეკითხა: „მა ქოგიორქო?...“<sup>1</sup>  
 შენ უპატრონე ჩვენს მოდემას,  
 ილორის წმინდა გიორგო!

### გვირაბი

გვირაბი იყო ძალიან გრძელი,  
 დლითაც, ღამითაც შავი და ბნელი,  
 ამონისლული მხრჩოლავი კვამლით.  
 სიკვდილმისჯილებს ჰგვანდნენ მეზავრები  
 და ორთქლმავლები-დინოზავრები  
 გზას მიიკვლევდნენ წყვდიადის გავლით.

გადაწურვოდა მრავალს იმედი,  
 რომ ნათურებით, მოციმციმეთი,  
 შემოხვდებოდათ სადმე სადგური,  
 და ამ დროს ცივი და დაწურტილი,  
 გამოჩნდა შუქი, როგორც წრეტყილი  
 რაც თურმე ვეღარ გაანადგურეს.

ატყდა ჩოჩქოლი, ატყდა ხმაური,  
 ექოდ გავრცელდა ხმა უცნაური:  
 „ჩვენ კიდევ გვახსოვს ცხოვრება ამო!...“  
 და მოელოდნენ სანამ საშოთხეს,  
 გვირაბის ბოლოს შუქი გამორთეს...  
 გადაუხდელი ვალების გამო!

### თავშესაფარი

გაცრუებული იმედის მიღმა  
 თუ სხვა იმედი არ ილანდება,  
 ჯანდაბა ჰქვია იმნაირ ილბალს,  
 სისხლის ჩაქცევა, ტვინის ანთება.

(ვინ იტყვის: ტვინმა რა დააშავა,  
 ან სისხლი, სისხლი რად არის შავი?)

და როცა ისმის: აქიმს მიხმეთო,  
 ყალყზე უდგებათ დღეებს ფაფარი,  
 ფიქრისმიღმეთო, სიტყვისმიღმეთო,  
 თქვენ ხართ იმედის თავშესაფარი!

<sup>1</sup> მა ქოგიორქო (მეგრ.) — მე თუ გიყვარვარ?

## მშვიდობა

რომ საკუთარ თავს უკვდება ყველა  
 და სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია, —  
 აქ უსაფლავო ძვლები ყვირიან,  
 სიკვდილის მერე ითხოვენ შევლას.

თქვი, რა უყავი, ბაბუ, შენ რაში,  
 რომელიც თითქოს იყო ფრთოსანი,  
 ან ის კოჰორტა პატიოსანი  
 რად ჩააწვინე ბაბუშერაში?

ჩვენზე ამბობენ, დაიქსაქსენო,  
 შინ ეზრდებათო ხე საფულურე...  
 როცა შავოსან დედას ვუყურებ,  
 მე დედაშენი მინდა ვახსენო!

ყველა თოფიანს, ყველა ისრიანს  
 გაურბის ელჩი თუ ემისარი.  
 ნუთუ მშვიდობა მართლა ის არი,  
 როცა შენგან შორს, სხვაგან ისვრიან?

## აბსურდოთარგმანი

ვთქვი და არავინ დამიგლო ყური,  
 არ ვთქვი და გული დარღმა დაღაღა,  
 თითქოს დამადეს დაჭრილს ყაღაღა,  
 ზედ დამადულეს ღვარძლი და შური.

სანამ ვარჩევდი უმცროსს და უფროსს,  
 ქცევის და ფიქრის საერთო თარგმა  
 დამიდასტურა: ჩვენს სურდოთარგმანს  
 ერქვა აბსურდოთარგმანი უფრო.

ჩვენ დღეს რანი ვართ და ზვალ-ზეგ რანი  
 ვიქნებით, ბევრმა კიდევაც ნახა,  
 როდესაც ბრბოსთვის თითქოსდა ახალ  
 გზას ირეკლავედა ძველი ეკრანი.

ის ჩვენს მაგივრად სხვებმა დასახეს,  
 თან მოაყოლეს სიტყვები ბასრი,  
 თუმცე წინსვლას, ალბათ, მაშინ აქვს აზრი,  
 როდესაც ხელაგ უკან დასახეხს.

## ჩუმ მესაფლავეს

შენ, ვინც ყოველდღე სამარეს მითხრი  
 და მზად ხარ, ჩუმად წესი ამიგო,  
 არ დაგიჯერებ, რაც უნდა მითხრა,  
 „ბატონო“ მითხრა, თუნდაც „ამიგო“.

არ დაგიჯერებ, რადგან სიტყვებით  
 დიასაც შავბნელ ზრახვებს ფარავენ.  
 სიტყვებს ყოველთვის მოსდევს კითხვები  
 და განმკითხავი არ ჩანს არავინ.

მე კარგად მესმის ბევრის ქარაგმა,  
 ვინ ვისთან როდის რატომ ცრუპირობს,  
 და ვუხიზლობ, რათა სხვისმა არაკმა  
 ჩემს ივავს წაშლა არ დაუპიროს.

სადაც არ ელი, ჯაჭვი იქ წყდება,  
 და, სანამ ყველა უცდის თავის დღეს,  
 მახსოვს ნიადაგ, რა დამავიწყდეს,  
 რა დამახსოვდეს, არ მავიწყდება.

## შუადღის ლანდი

შუადღის ლანდო, თან რად არა მდევ,  
 რატომ არ ჩანხარ თაკარა მზეში?  
 თითქოს უშენოდ დაკარგე გეში  
 და ველარ ვაგნებ ეზოს კარამდე.

მე მაინც ვბედავ, ვთქვა დამშვიდებით:  
 „ბევრს ვყვარებივარ... მეც მყვარებია!“  
 მაგრამ ის ჟამი მორჩა... მშვიდობით!..  
 თავს რომ დამატყდა, სხვა ღვარები.

მე გავაბიჯე აღთქმულ წრფეს იქით,  
 სადაც ბალახი თითქოს მოვია,  
 სევდის ბაღს შეველ, როგორც ბესიკი,  
 მაგრამ ვარდები ვერ მიპოვია.

თითქოს გალაკანს მოადგა ლანდო,  
 რათა არ ვიგრძნო თავი ბეჩავად.  
 ჩვენ კვლავ შევხვდებით, სანამ მზე ჩავა,  
 მკვდრეთით აღმდგარო შუადღის ლანდო!



## ნანა კაციაშვილი

ქექელი

— მაპატიე, ჩემო იუნ... ვერც აღვწერ, რა გამოვც-  
იარეთ... ოდნავადაც ვერა... წლები შევალეით  
კედელს... თვეები კი გზაში ვიყავით... მძივრები,  
ბინძურები... მალულად... უნდა მაპატიო... დღეს  
აქ რომ ვარ, შენს გვერდით, ეს მისი დამსახურე-  
ბაა, მხოლოდ მისი სიჯიუტის წყალობით გიხილე...  
ისე კი — არ მეღირსებოდა, დამიჯერე... მე ვალი  
უნდა მოვიხადო, მარტოს ვერ გავუშვებ... დაილუ-  
პება... თანაც, თქვენი ნახვის ოცნება უკვე ავის-  
რულე... ბედნიერი მოგვედები... ან სულაც, იქნებ,  
გზაში გადაეთქმევიინო? რა იცი, რა ხდება, ხომ?  
სასონარკვეთილება ადრე თუ გვიან გაუვლის, ის  
კი დარჩება... მე მის გვერდით უნდა ვიყო... მისმენ?  
— მის გვერდით, ისე, როგორც მთელი ცხოვრების  
განმავლობაში... შენ კი, ვთხოვ... ყურადღებით იყა-  
ვი... დღეს მისი ცოლი და შვილები სხვას ეკუთვნის,  
მდიდარ და უსინდისო კაცს... მაგრამ, იქნებ, მოე-  
იდეს დრო და მათ ცულით ჟამი დაუდგეთ?... ვთხოვ,  
სულაც ყველამ რომ შეაქციოს ზურგი, შენ ამას ნუ  
იზამ... შეიღები ხომ მაინც ჩემი ჩიუნის სისხლი და  
ხორცია?... ჩვენს ბავშვებს მიხედე... დედას... მამას...  
ვხედავ, ისე აღარ გიჭირთ და ამიტომაც უფრო მშ-  
ვიდად გტოვებთ... აბა, შენ იცი... — ძიანი ზურგშე-  
ქცევით იდგა და ისე ლაპარაკობდა... ერთხელაც  
არ მოუხედავს იუნისკენ — ქალისკენ, რომელიც

სიცოცხლეზე მეტად უყვარდა... იუნი იდგა ჩუმიად...  
ყველაზე მეტად ამ წუთას ის სურდა, რომ მთელი  
გულით ეტირა, ებღავლა და ქვეყნისთვის მოე-  
ფინა თავისი აუნონავი ტკივილის ამბავი, რაც მის  
გულს ღრღნიდა და მარწუხივით მუჭში აქცევდა...  
მაგრამ იდგა უძრავად... კუნთი არ უტოკავდა სახ-  
ეზე... ზურგზე მისჩერებოდა შვიდი წლის უნახავ  
და გუშინინი მოულოდნელად გამოჩენილ ძიანს...  
თავის ერთადერთ და უსაზღვრო სიყვარულს... —  
თანაც... — განაგრძო ძიანმა, — იქნებ, ისევ დაე-  
ბრუნდეთ? — იუნისკენ შემობრუნდა, იმედიანად  
გადაეხვია და მთელი ძალით ჩაიკრა გულში, —  
იქნებ, ისევ დაებრუნდეთ? ჯიუტია... მაგასთან  
ბრძოლა ძნელია... მაგრამ მის სიჯიუტეს უნდა ვუ-  
მადლოდე, აქ რომ ვარ... მჯერა, ცხოვრების მიზანს  
ოდესლაც იპოვნის და საღად დაინყებს ფიქრს... ასე  
რომ, დაებრუნდებით... დამიჯერე... ერთხელ ხომ  
უკვე დაებრუნდით?..

●  
— მომეზრდა ერთი და იგივე... კალთიდან  
გადმოყარე, მევე დაფით მოასწორე, გადმოყარე  
— მოასწორე, გადმოყარე — მოასწორე... ესაა ჩემი  
ცხოვრება... — ძველებურად წუნუნებდა ჩიუნ სუ.



— კარგი, რა... შენ სამუშაო მოგებურდა, მე კი შენი ნუნუნო. როდისღა უნდა გაჩუმდე? ხომ ხედავ, არაფერი იცვლება... მეც მენატრება ოჯახი, ჩემი ოფისი... ჩემი შვილებიც გაიზარდებოდნენ... მენატრებოან... მაგრამ სხვებს კი არ ვანუხებ?... ყველას თავისი საფიქრალი აქვს, — ძიანნა ნებოიანი ხრეშის ზედაპირზე ქვის მორიგი ფილა დაღო. იქვე სულის მოსათქმელად ჩამოვარდა; მერე ჩაფიქრდა, ერთხანს მზერა უსასრულოებაში გაეყინა; მერე ხელები თავზე შემოიქოძო და გულსაკლავად ჩაილაპარაკა: — ნეტავ, როდის დავბრუნდები?

— ძიან! — გაისმა ზედაპირდევლის ხმა, — ნუ ზარმაცობ, დღეს აქამდე უნდა მოხვიდეთ... — და კედლის ერთ-ერთ ნიშნულზე მკაცრად მიუთითა.

ძიანი წამოდგა და ქვის ახალი ფილის ასაღებად უხალისოდ გაემართა.

— მომბეზრდა... რაც გინდა, თქვი, მაგრამ მომბეზრდა... ეს კედელი, როგორც ჩანს, უსასრულოა... მე კი... მე ხომ მშენებელიც კი არ ვარ, მე გლეხი ვარ, სოფლის გლეხი... ჩემი საქმეც ბევრი მაქვს, ოჯახი მყავს მისახელი... ვალი, რა ხანია, დავფარეთ, მემოვიდე ნელია, მუხლჩაუხრელად ვმუშაობთ; მეც და შენც... — ჩიუნ სუმ ჩუმად განაგრძო ნუნუნო, თან კედელს შუა ჩაყრილ ქვებსა და მიწას დაფას უსვამდა... ზედაპირს ასწორებდა.

— მომისმინე, ჩიუნ, გაჩუმდი-მეთქი... რამდენჯერ გთხოვო? ჩვენს ბატონს, ალბათ, აღარც ვახსოვართ... გამოგვისტუმრა და მორჩა... 5 წლით კი არა, იქნებ, 30 წლითაც გაგყვიდა?... ვანა მისთვის სულერთი არაა? ჩვენ მონები ვართ! ბატონის ვალი გვაქვს, ვერ ვუხვდით და მორჩა! დავემვიდობე ყველაფერს და იმუშავე! დაივიწყე, რომ ოდესღაც გყავდა დედა, მამა, და-ძმა, ცოლი და შვილი... იმათ მიიწვ ალარ შეანუხებთ ჩვენი ვალი... იფიქრე, რომ ეს ოჯახს სჭირდება და ჩვენც მსხვერპლად ვენიერებით. — ძიანი ძირს, კედლის კიდვე მიწყობილ ქვის ფილებთან ზურგით დაჯდა, მერე ერთ ფილას ჩაეჭიდა, მხრებზე მოიროგო, მიძიმედ ასწია და თავის სამუშაო ადგილთან წვალებით წაათრია; მერე ისევ ჩაჯდა, ფილა ნელ-ნელა დაუშვა ნებომოსხივ ხრეშზე და ფეხზე წამოდგა. — ხედავ, ჩვენი საშველი არ არის? მაგრამ სხვებსაც შეხედე... მარტონი არიან. ჩვენ კი ერთად ვართ, ბავშვობის მატორბები... ერთად ვცხოვრობთ, ერთად ვჭამთ, ერთად ვმუშაობთ... ვანა ეს ცოტაა? ვანა სხვებს ასე გაუმართლათ? დააფასე, რაც ბედმა გარგუნა, და საქმე აკეთე, ნუ ჩერდები... — ძიანი ფილაზე ფეხებით შედგა — ხრეშს უკეთ დაეკრობათ.

— ხედავ? — საღამოვდება, კუჭი კი საცოდავად მიბუყბუყბებს, დავიღალე, თავბრუსეულობის, შენი კი, მოითმინეთ, ამბობ. — ისევ დაიჩურჩულა ჩიუნ სუმ, დაიკუზა და ჯოჯოხი ქვების ხელით მოსწორება სცადა. — ერთხელაც იქნება, სულს გავაფრთხობ და აქ, სხვებისა და აქ კედელში ჩამატანენ, მოხვალ-ხოლმე და კედელს თაყვანს სცემ... აქ ხომ ჩემი საფლავი იქნება... — გულაჩუყბულმა ნაბობრძიკა კიდევ

და ხრეშზე დაჯდა — ოღონდ ადგილი არ შეგეშალოს, სხვის საფლავთან არ იზღუტუნო-ხოლმე.

— ასე ადვილად არ მოკვდები, ოცდარვა წლისა ხარ, ჯერ სისხლი გიჩქევს. — გაეცინა ძიანს, ფილიანი ჩამოხტა და მომდევნო ფილის ასაღებად გაემართა.

— თურმე, თვით დიდი კონფუცი ამბობდა...

— დაივიწყე კონფუცი... — ადვილზე გაუმცდა ძიანი, — დაივიწყე, თორემ ამ კედელში ცოცხლად დამარხავ არ ატვდება. ხომ ხედავ, რა დროა? ნუ რომავე სისულელეებს. — და შიშით მიძობიდა, ვინმე ხომ არ გვისმენდაო.

— დაივიწყო?... ვანა ისეთს რას გვასწავლიდა?..

— რას და, მმართველს დავემორჩილო... შენ კი, რას აკეთებ? ამდგარხარ და ტვინს მიჭამ, შეიდი წლის სიცოცხლე ამით წააბრთვეს, შენ კი უფრო მეტი... მომისმინე, ვთხოვ, თავი დამანებება და შენი საქმე აკეთე; რაღაც, ცუდად აცქმუტდი და მართლა არაფერი მოიწიო. — გაბრაზებული ძიანი ახალ ფილას დაეჭდა.

— გახსოვდა, რა ახალგაზრდები ვიყავით?... — ჩიუნ სუმ კალათი ვადმობირქვევა — რიყის ქვები დაგადუგით დაცვივდა მოსწორებულ ხრეშზე, ჩიუნ ქვების თანაბრად გადაწანაწილებას გაუმდგა. — როგორ მიხაროდა ყოველი გათენება, მზის ამოსვლას მუდამ ბუნე ვხვდებოდი... გახსოვს, რა მოვლილი მექონდა ბრინჯის ყანა? ან გახსოვს, რა აბრეშუმი მივიღეთ იმ წელს? ბატონს, სულ ბევრი, ორიოდ წელიც რომ იცლია, გადასახადებსაც დავფარავდი და ცხენებს ვიყიდდი, — წამით გაირინდა, შორს, სივრცეში გაუმედა ოცნებები საესე მზერა, — ეჰ, — დააყოლა გულდანყვეტით, — ეეჰჰ, ცხენი მაინც მყოლიდა...

— კარგი, რა? — თვალები დაენამა ძიანს, — წარსულს ნულარ მისტირია... ხომ იცი, ვერაფერს შევცვლით... მაგას ჯობია, საქმეზე იფიქრო... ნეტა, დღეს რა იქნება, ბრინჯი თუ ბოსტნეულის შექმანდი? შენ როგორ ფიქრობ?... მე თვეს შეეჭამდი... იფ!... გახსოვს, შორანს იმპერატორის სტუმრობის დროს თევზით რომ გავვიმასპინძლენენ? — ბოლოს თევზი მაშინ ვავსინჯეთ... კარგი კეფალი იყო... რას იტყვი? ისე, იმპერატორიც მომწონდა, არ ჩანდა ცუდი კაცი, მაგრამ... ეჰ, ღარიბისთვის ვის ცავდა, ჩემო კარგო?

— აჰა?! შენც აწუნუნდი, მეგობარო? — ჩიუნ სუს სახე გაუბრწყინდა, წამში მეგობართან გაჩნდა და ყურში ჩასწურულა: — შოდა, მომისმინე, რომ გეუბნები, უნდა...

— ჩიუნ სუ, მობრუნდი შენს ადგილას, თორემ ქვების მოგროვებაზე ვაგამწესებ, როგორც ჩანს, მაშინ ძალიან მოგწონდა... — ზედამხედველი მეგობრებისკენ მუქარის ღიმილითა და ბამბუკის ჯოხის ქნევით წამოუძრა. — ჰა, მოგვანატრა?

მეგობრებმა ერთმანეთს ცივად აქციეს ზურგი და საქმე განაგრძეს. ზედამხედველიც, ცოტა

სანს თვალს რომ არ ამორებდა მათ თავლაუ-ზოგავ შრომას, ბოლოს უკან გაბრუნდა და სხვა ზედამხედველების გუნდს შეუერთდა.

— კარგი, — დაიწრულა ძიანმა, — რადგან შენ-სას არ იშლი, მითხარი, რა გეგმა გაქვს? ვახშამზე ასეთ ლაპარაკს ვერ გაგებდავთ, იქაურობა ჯა-შუშებით არის საესე...

— ნაშამ ახლავე გეტყვი — უნდა გავიქცეთ.

— ოჰ, რას მეუბნები? ახალი ამბავი. — დამ-ციანავად ნილაპარაკა ძიანმა და უკვე მერამდენე ფილა ძლივს მიათრია ადგილზე, — ეგ ხომ ისედაც ეიცვარი... მთავარია... — ამოისუნთქა ქოშინით, — მთავარია, როდის, როგორ და რა გზით.

— აი, ეს მომზონს... ჩემო ძიან, იცი, რა? — და ჩიუნმა ქურღულად შიშითიდა — ზედამხედველე-ნი მოშორებით იდგნენ და ერთმანეთს ელაპარაკე-ბოდნენ... ბევრი ვიფიქრე და, აი, რა მოვიფიქრე: ჯერ...

①

რამდენიმე დღეში მდინარეზე სახარაოე ბამ-ბუკები და მშენებლობისთვის საჭირო ხის მორე-ბით დატვირთული ნაგები უნდა გამოჩენილიყო; სახარაოებს ხანდახან შეცვლა ან სულაც ახლების დამატება სჭირდებოდა. მორებს კი კედლის მშენებლობას საყრდენ ძელებად იყენებდნენ. ძლიერი მდინარე ძიანისა და ჩიუნის ადგილსა-საყოფელთან ძალიან ახლოს, თითქმის კედლის გას-სწორე მდებარეობდა, ასე გრძელდებოდა კიდევ რა-ღაც გარკვეულ მანძილზე, მერე კი უკვე მკვეთრად შორდებოდა მშენებლობას და ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, რკალისებური მონაკვეთის გავლით ზღვას უერთდებოდა. მეგობრები შიშითა და იმეკით ელო-დნენ ნაგებს. სხვა დანარჩენი კი ჩვეულებრივად იყო — ისევე ძველებურად აგებდნენ ფილებს და ასწორებდნენ ხრემს. ერთ საღამოს, როგორც იქა, ბამბუკებითა და მორებით დატვირთული ნაგების ქარავანიც გამოჩნდა, ნავის მეგზურები მშენებ-ლებს შეძახილებითა და სპეციალური საყვირით აგებინებდნენ თავიანთ გამოჩენას — წესი იყო ასეთი, თორემ უკვე ყველა კარგად ზედავდა მათ. ზედამხედველებმა რამდენიმე მუშა, მათ შორის ძი-ანიც, შერაჩიეს და ნაგების დასახედრად გაემართ-ნენ.

ორ-სამ მენიწავე ნავს მხოლოდ მცირე ხნით შოყენებულენ ნაპირთან, დანარჩენები ისევე გა-ნაგრძობდნენ გზას; მწერებულებიდან ბამბუკს და მორებს ჩამოზიდავდნენ და, ტვირთისგან დატლი-ლებით, ახლა უკვე კულმი გაპყვებოდნენ ქარავანს. ამ ნაგების უმეტესობა მშენებარე კედლის გასწვრი-ვ იცლებოდა; კედლისა და მდინარის გასაჯაროარ კი რამდენიმე დარჩენილი სავსე ნავიდან ბამბუკებს გორებზე ტვირთავდნენ და ახლა ასე გადაჰქონდათ საჭირო მასალა.

სამი ნავი ნაპირს მოადგა, მუშები შეესივნენ და მათი ჩამოღვა დაიწყეს, ტვირთის უმეტესობას თავად მეგზურები ნავიდან პირდაპირ წყალში, ნაპირ-ის მხარეს ისროდნენ — სხვა ნაგებისგან ჩამორჩენა არ სურდებდა და ჩქარობდნენ, მაგრამ, რადგანაც ძლიერმა დინებამ ერთი-ორი ბამბუკი თან წაიღო, მუშებმა პირდაპირ ნავიდან იწყეს ჩამოტვირთვა.

მშენებლებისთვისაც, მათი ზედამხედველები-სთვისაც და ქვეყნის შიგარაღებული მცველები-სთვისაც, კედლის კომპლექსზე დღედაღამ რომ მორიგებობდნენ, ეს სანახაობა ერთადერთ გას-ართობს წარმოადგენდა, თუ არ ჩათვლით უბე-დურ შემთხვევებს, რომლებიც რომელიმე მუშის დასახირობით ან სიკვდილით მთავრდებოდა; იყო სიკვდილის სხვაგვარი შემთხვევებიც, როცა ვინმე უცებ, ყოველგვარი უბედური შემთხვევის გარეშე განაცხებდა სულს, ასე უფრო ხშირები და ფიზი-კურად სუსტებს ემართებოდათ; მაგრამ ბამბუკის გადმოტვირთვა მაინც სხვა იყო — მას ხალისი და ერთგვარი მზიარულება კი სდევდა თან; გადმოტ-ვირთვის დროს მშენებლობა წყდებოდა — უკლე-ბლივ ყველა მუშებიცა და ზედამხედველებიც, მცველებიც, რომლებიც მიჩენილ სათვალთვლო აღილებს ტოვებდნენ, კედლის პარაპეტებიდან გადმოყუდებულიყვნენ და მოლიმარი სახეებით მისჩერებოდნენ მთელ ამ რიას-რიას. და სიხრეად ასეთ დროს ჩიუნმა დრო იხელთა; კედლის ნახევრად აშენებულ მონაკვეთზე, იქ, სადაც კედელი შესამ-წევად დაბალი იყო, კურდღლის სისწრაფით გად-მოიბინა; და მაშინ, როცა ძიან მდინარის პირას მომდგარ ნავთან მორს მთელი ძალით ეჯავჯურე-ბოდა და ნაპირისკენ მის გამოცურებას ლაშობდა, დანარჩენ მტვირთავებს შეერია.

②

სიბნელეში ჩაძირულიყო მდინარეცა და მთელი სანაპიროც, შორს რომ მოსჩანდა ნაგებიდან. აქა-იქ გაიშოვილებდა მდინარის დიდი ფრინველი, საიდ-ანაღაც ყრუდ გასიშოდა ცხენის ჭიჭინი ან ვირის ყროყინი, ამახ საქონლის ზმული და აუცილებლად ძალის ყვეა და მამლის ყივილიც თან მოჰყვებოდა — სოფლების გასწვრივ მიცურავდნენ.

არც ძიანს და არც ჩიუნს არ აღულებდათ თავისუფლების ეს ხმაური, წარმატებულ გაქცევის სიხარულსაც მალევე გაუწედათ — ნავს გარედან ხელეჩაფრინებოდა, კარგა ხანია, სიცივით კან-კ-ლებდნენ, გათოშილებს ვალუმპული ტანსაცმელი ტანზე ეკვროდათ; ფრთხილობდნენ, ნავზე მოყოფ-ავან ვინმეს არ შეეშინა, მაგრამ ვერც ნაპირისკენ გაცურებას ბედავდნენ — მათი სოფელში გამოჩენაც საშიში იყო.

მეორე საღამოს, როცა მდინარის რკალისებურ მონაკვეთს მიუახლოვდნენ და სოფლებსაც ვასცდ-ნენ, მცობრებმა ნავს ხელი უშვეს... მიცურავდნენ



მიძმედ და სვენებ-სვენებით, ერთმანეთის მხარ-  
 დამხარა... როგორც იქნა, შლაშიან, უკაცრიელ ნა-  
 პირს მიაღწიეს...

— ძიან, — დაიწურულა ჩიუნმა და ნაპირზე უძ-  
 რავად, პირქვე განრთხმული მეგობარი ფრთხილად  
 შეაჯანჯღარა, — ძიან, უნდა ნავიდეო... მღვევარი  
 არ დაგვენიოს...

ძიანი უღონოდ შეიშოშუშა, ზანჯად გადმო-  
 ბრუნდა და შლაშიზე სანახევროდ ნაშოვად, მდინა-  
 რის მოვარდნილი ტალღები ფეხებს მუხლებამდე  
 უფარავდა. არაქათამოცლილს ჩიუნმა ნელზე ხე-  
 ლები მოხვია და ხვეით, უფრო უსაფრთხო ადგილ-  
 ამდე მიაჩინა.

— ცოტაც მადროვე, ველარ ვინძრევი...  
 ყველაფერი მტკიცია... — ძიანი ახლა პირალმა განვა  
 და თვალები უღონოდ მიაშტერა სახვე მთვარეს.

კარგა ხანს ორივენი უძრავად იყვნენ და მდინა-  
 რის დინების ხმას თავიანთ დაღლას ატანდნენ...

● — რამე თუ არ შეეჭამეთ, სახლამდე კი არა, უახ-  
 ლოს სოფლამდეც ვერ მივალწვთ, ნუნუნებდა ჩი-  
 უნი და საღვაც ნაპოვნი ფოთლებგასხეპილი სწორი  
 ტოტით ბარდებში გზას მიიკვლევდა, უკვე აღარსად  
 ჩანდა მდინარის შლაშიანი ნაპირები, ახლა აღ-  
 მოსავლეთით, ტყისკენ მიიწევდნენ. ტყე ნახევარი  
 დღის საკალზე მოჩანდა. დღლის მზე დაუნდობლად  
 აცხებუნდა, ჩიუნს დაწინკნითი ტანსაცმელი ტანზე  
 მიხმობოდა და შორიდან ჩიტების საფრთხობელას  
 უფრო მიაჯავდა, ვიდრე ცოცხალ ადამიანს. უკან ასე-  
 თივე „საფრთხობელა“ მიჰყვებოდა, უმეტესად, ხმას  
 არ იღებდა და ინტერესით ათვალიერებდა გარემოს;  
 მეგობრის გაუთავებელი ნუნუნით მოთმინებდაკ-  
 არგული შიგადაშიგ ეხმიანებოდა მენიხვას.

— შემიკალი ამ შენი ნუნუნით... ბარემ, მდი-  
 ნარეშივე დაგეხრჩე და დავისვენებდი, აღარც შიმ-  
 შილი შემანუნებდა და აღარც შენი მოთქმა... მიდე  
 და იპოვნე, ბატონო, ასე თუ გშია, გიმოდ თუ რა?  
 ოღონდ ნულარ ნუნუნებ... ვაი, შეხედე... — ძიანი  
 შეშრდა და მეგობარს უნაყოფო ბუჩქზე შემომ-  
 წყნარი ფრინველისკენ მიუთითა, — ხედავ? უნდა  
 დავიჭიროო... სულს ცოტათი მაინც მოვიტყავით...  
 იმედმოცემული ძიანი ბარდებში ჩაიცუცქა და ფრ-  
 ინველს ფრთხილად დააკვირდა.

ჩიუნი უხმაუროდ მიუახლოვდა ბუჩქს, მისკენ  
 მონადირის სიფრთხილით დაიხარა და ჩიტისკენ  
 ნელ-ნელა გაიწვინა ხელები. ჩიტს გრძელი, ჭრელი  
 ბოლო და ნაცრისფერი ბუმბული ჰქონდა; თითქოს  
 ჩიუნს ელოდაო, მისკენ თავი მიაბრუნა და, სწორედ  
 მაშინ, როცა ჩიუნს ხელს უნდა ნაველო, მშვიდად,  
 ჭკუჭკით აფრინდა ჰაერში.

— ეეჰ, ახლა სანამ ტყეში არ შევალთ, არაფერი  
 გვემეღვლება... — გულდაწყვეტილი ძიანი ნამოდგა  
 და გაბუტულმა განავარძო გზა.

ტყე თითქოს არც ისე შორს იყო, მაგრამ იქამდე  
 მისვლა მხოლოდ შეზინდებისას შეძლეს, მზისგან  
 დახებითსულენი პირველივე ხის ძირში მიეყარნენ.

— შშია. ჩემი საუ ლის მომზადებული ტკბილი  
 ბრინჯი რომ მომცა... — ჩაბუტბუტა ჩიუნმა. —  
 დავისვენოთ და მერე რამე მოვძებნოთ, არ დაგვიბ-  
 ნელდეს.

მაგრამ შიმშლის დაღლამ აჯობა. — აისამდე  
 გაუნძრევლად და უშფოთვლად ეძინათ. ტყეც მშ-  
 ვიდად, ძლივსგასაკონად ზუზუნებდა — ნიავი არ  
 ჭაჭანებდა იმ არე-მარეზე.

● ჩიუნ სუმ თვალი რომ გაახილა, უკვე ერთ-ერთ  
 ხეზე ამჭვრალი ძიანი გაბალებით და გემრიელად  
 მიირთმევდა ტყის ვაშლის მუყავე ნაყოფს. ნაწილს  
 პერანგის უბეში იყრიდა, ალბათ, ჩიუნს საუზმისთ-  
 ვის უგროვებდა.

ძიანმა ქვემოდან მომზირალი მეგობარი შენიშნა  
 — მსვენედ გაფოთილდ ტოტებში მიმალულს თვა-  
 ლების ფშვინებით ეძებდა.

— ამოდი, ამოდი... თუ გინდა, ჯერ წყალი დალიე,  
 აქვე მივაგვნი, გაიხედე, — და მიმართულება ხე-  
 ლით მიანიშნა, — იმ ბორცვს ხომ ხედავ... აი, იქ,  
 აკაციებით უკან... ჰო, აი, მანდ... ბორცვს შემოუარე  
 და იქ იპოვნი, პირდაპირ მიინდან ამოდის... მერე აქ  
 ამოჭვრი, — და ვაშლის ჭამა განავარძო.

ჩიუნმა ადვილად მიაგო კამკამა წყაროს, ხარ-  
 ბად დაუნაფა, მერე სახეზეც შეისხა, სველი ხელები  
 თავზე გადაისვა. წყაროსგან მოშორებით პატარა,  
 უცნაურად გრძელფოთლები ბუჩქი შენიშნა — ნი-  
 თელი, ბურთულავით მრგვალი და ოდნავ გამ-  
 ჭვირვალე ნაყოფი ესხა, არასოდეს ენახა აქამდე;  
 ერთხანს დაფიქრდა, არ მომწამლოსო, თან ყურ-  
 ადლებით ათვალიერა ნაყოფი, მერე ხელი ჩაიჭინა  
 და რამდენიმე ბურთულა პირისკენ გააქანა, ეგემ-  
 რიელა, ახლა უკვე მუჭებით ჩაიყარა პირში, ვერა  
 და ვერ გამდა... პერანგის კალთა უცნაური ნაყ-  
 ოფით გაივსო, წყალი ისევ ბლომად დალია და ვაშ-  
 ლის ხესთან დაბრუნდა...

მაღე გზა განავარძეს. სახელდახელოდ მოგროვი-  
 ლი სხვადასხვა ხილით უბეამოვსებულეს მხოლოდ  
 ის ადარდნილი, წყალი ვერაფრით ნამოვიღეთ,  
 მაგრამ გზად ახალი წყაროს პოვნის იმედი ჰქონ-  
 დათ... ტყეში სხვადასხვა საკვებს აგროვებდნენ —  
 უმეტესად ხილსა და კენკრას. ერთგან ტყის პირას  
 მობალახე გარეულ ბატყებს გადააწყენდნენ; მოგროვი-  
 ლი ხილი ფრთხილად დაყარეს მინაზე, უბეები დაი-  
 ცარიელეს, მერე ფრინველების გუნდს სხვადასხვა  
 მხრიდან შემოუარეს და ერთი მსუქანი ბატი შუაში  
 მოიმწყვდიეს. მართალია, დიდი წვავლისა და და-  
 კორტნილი ხელ-პირის ფასად, მაგრამ ბატი ხელში  
 მოიგდეს, კარგა ხანიც მის გააუტყვას შეაღიეს. მერე  
 რის ვიავებლახით დაანთეს ცეცხლი — ხელის-

გულით აუნითლდათ. სამაგიეროდ, მშვენივრად იცაშმეს და ისევ ტყეში გამოიძინეს...

● მიდიოდნენ დღისით...

დასახლებულ ადგილებში გზას მხოლოდ ღამით აგრძელებდნენ — ერთდღიოდნენ ადამიანებს; მიდიოდნენ საძირეთ-აღმოსავლეთით, მდინარე იანძისა და ყვითელი ზღვის შესართავისკენ... იქ სახლი, ოჯახი და სიმშვიდე ელოდათ... მიდიოდნენ გამაღვითელ, ჯიუტად და იმედით, რომ ეს ტანჯვა ენით აუნებოდათ სიხარულით დაგვირგვინდებოდა. გზას კი არადა არ უჩანდა ბოლო...

●

გვიანი შემოდგომის წვიმა სოფელს დაუზოგავად ასველებდა — აცოცხლებდა უდღეურ და უხალისო საღამოს. მშვენიერი ოუნი მშვიდად უსმენდა წვიმის ხმას; ბაგშვებს უკვე ეძინათ. ფრინველი და თხები დაბინავებული ჰყავდა; სწორედ საღამოობით რჩებოდა თავის თავთან მარტო და ფიქრით ერთობოდა... ნაღვლიანი ღამითი იხსენებდა წარსულ დღეებს, შიგადაშიგ ქრაქის ფითილს შეავლებდა თვალს, ხომ არ ქრებოა, მერე ისევ უსმენდა წვიმას და ისევ ფიქრობდა... აი, წყალმა ოთახშიც დაიწყო ნკაპუნი — სახლის კედლებს, დიდი ხანია, დამცავი ლაქი ასძრობოდა, კრამიტიც დაქვევდა, გამოსაცვლელი იყო — ახლა სახლის შეკეთებაზე დაიწყო ფიქრი, ვინ მოვიხმაროა, მეზობლებს გულში გადავლო თვალი... მერე ადგა, ქერზე ჩამომავალი წყლის რამდენიმე კვალი იპოვნა და წვეთების ნაკადებს სათითაოდ შეუდგა თიხის პატარა ქოთნები... მერე დიდი ქოთნიდან საღამოს მოწველილი თხის რძე თიხის ჭიქით ამოიღო და მოსვა... ძაღლის ყეფაზე ეზომი გაიხედა, გარეთ არავინ ჩანდა; ძაღლი რომ აღარ გაჩუმდა, სახლში შემობრუნდა, რძიანი ჭიქა ქოთანთან დადგა, ქრაქი აიღო და გარეთ გავიდა, ეზოს ჭრაქი მოავლო, საქათმის კვერდით ორი დამონძილი და ბედნიერად სახეხვერტილი მათხოვარი შერჩა ხელთ; შემცბარი ოუნი უსიტყვოდ შედგა, არ დაუყვირა, იგრძნო, მათხოვრები ბოროტი ზრახვით არ უნდა ყოფილიყვნენ; ნელა მოუახლოვდა და მოულოდნელობისგან გახედა: მის წინ ძიანი და ჩუნ სუ იდგნენ, დამონძილი ხალათებში გაბოხებული, გრძელ, ბინძურ წვერებში და გაბრურძენილ თმებში შემალულები.

●

რადგან ჩიუნ სუ სოფლის ბოლოში ცხოვრობდა, ჯერ ძიანთან მივიდნენ. ჩიუნს გული სახლისკენ მიუწევდა, მაგრამ ძიანმა და ოუნმა თავიანთ სახლში ლამის გამოკეტეს — ვერსად გავიშვებთ, ჯერ უნდა გიხასპინძლოთ. ძიანმა და ჩიუნმაც იბანავეს, ნვერი გაიპარეს, ძიანის შვიდი წლის წინანდელი ხალათები შემოიკვეს და სავახშმოდ დასხდნენ, ოუნი სანატრელი ტკბილი ბრინჯითა და მოხარული თევზით გაუმასპინძლდა, თან გაუთავებლად ჰყვებოდა სოფლის ამბებს. მეგობრები გემრიელად

შეეცქეოდნენ ნავიანებ ვახშამს და სულგანაბლები უსმენდნენ დიასახლისის ნაამბობს. მათდა საბედნიეროდ, ბატონი დიდი ხნის წინ წასულიყო იმ ქვეყნად, ისე კი, ოჯახი არ დარჩენილა, რომლის თითო წევრი მაინც სადმე არ გადაეკარგა... მერე იხსენებდნენ მძიმე, მაგარამ მაინც ბედნიერ, ერთად გატარებულ წარსულ წლებს: თავიანთ ბავშვობას; ჩიუნ სუს მიერ თავისი ოჯახის შესახებ დასმულ კითხვებს ოუნი ოსტატურად არიდებდა თავს ან რაღაცს მიკბო-მოკიხავდა და ისევ ზოგადად სოფლის ან თავისი შვილებისა და ნათესავების ამბებს ჰყვებოდა... გადადილი ჩიუნს ფიქრიც აღარ შეეძლო, ამიტომ ექვადაც არ აუღია, რა უბედურება ხდებოდა მის თავს, რატომ დატოვეს თავისი ოჯახის ამ ხნის უანახვი კაცი თავისთან ასეთი დაჟინებით, არ იცოდა ის, რაც მოხერხებულ წუთს ოუნმა ჩუშად უჩურჩულა თავის ქმარს — ჩიუნის ულამაზესი ცოლი საუ ლი ბატონიშვილის საყვარელი გამხდარიყო... ყველამ იცოდა სოფელში... ჩიუნის დედ-მამა გაჩანაგებულ ოჯახზე დარდს გადაჰყოლოდა...

მეგობრები გემრიელად შეეცქეოდნენ დიდი ხნის ნანატრ ოჯახურ ვახშამს და ხალიჩაზე ფეხმორთბულეებს სასიამოვნო სიმღერასავით ჩაესმოდათ ოუნის მონაყოლი ამბები, ამ მთისა თუ იმ მთისა... ძიანი უხერხულად მალავდა ახალ საფეხიანს და მოჩვენებით მხიარულებით ართობდა სტუმარს... მერე მკვდრებივით დაეძინათ, მშვიდად, ბედნიერად...

და მაინც, ძიანმა დილით ცველაფერი შეიტყო...

ჩიუნს სოფლის ბოლოსკენ, ლელიანში მიიპარებოდა — არავინ დამინახოსო... უცებ მეგობარი ქურდული ნაბიჯით წამოენია და ზურგში ხელი დაჰკრა... ჩიუნს გახედა, თითქოს სული სხეულში ჩაეყინა...

— მარტო სად მიიპარები, მოვლადატე? — ძიანმა მხერხულ შეშინებული ორი ტომრიდანი ერთი მოისინა და გაოგნებულ ჩიუნს გადაჰკიდა, — ამას შენ ათრევ... ოუნმა ჩაალაგა... საქმელები, ჩასაცემელები... — უთხრა და ლელიანში წინ გადაასწრო: — ჩემს უკან იგლი... აქეთობისას ეგრე უფრო გვიმართლებოდა... — ჩაილაპარაკა უკანმოუხედავად.

— შენც... ნამოხვედი?... რატომ? — თქვა ჩიუნმა გაცოცხებით, — შენ რაღაზე?... არა, მე შენთან ერთად ვერ ნავალ! შენ სახლში უნდა დაბრუნდე! — ჩიუნმა ხალათის ბოლოზე ჩაალო ხელი და უკან მოქაჩა, — გესმის? არა-მეთქი!

— ჩემო ჩიუნ... — ძიანი შემოტრიალდა, — ნულარ აყონდე, საცაა დაგვაზამდინებდა და გზაში გავიყინებო... იცოდა, უჩემოდ ვერ ნახვალ! არ გავიშვებ! — და ძიანმა ჯიუტად განაკრძო გზა.

— არა-მეთქი! შეჩერდი! — ჩიუნს ადგილიდან არ იძვროდა.



— ჩიუნ, მისმინე... — ძიანმა ტომარა მოის-  
სნა და მიწაზე დადო, — რომ არა შენი სიმამაცე  
და შემართება... სიცოცხლის სიყვარული... შენ  
ხომ უბედნიერეს ადამიანად მაქციე? — მაჩვევ  
ჩემი ოჯახი, რომელიც ამ წლების განმავლობაში  
სამწილად მენატრებოდა... ასეთ საჩუქარს ვერავინ  
ვერასოდეს მალირსებდა, დამიჯერე... საოცარ ძა-  
ლად და იმედს ვგრძნობ... იცი, ცხოვრება არ იწყება  
და არც მთავრდება ერთი წერტილით, სიკვდილს  
ან სიცოცხლეს არ ვგულისხმობ... შენ ცოცხალი  
ხარ... რაც მოხდა, განგების ნება იყო და ვერავინ  
გაექცა... წინ მომავალი... მე იმ იმედით მოვიდვარ  
შეთან ერთად, რომ მგვარა, ისეც დავბრუნდებით...  
და, რახან წასვლას არ იძლი, რადგან თვლი, რომ  
კედლის მშენებლობა — ეს ის არის, რაც ბედმა გარ-  
გუნდა და იმის იქით ველარაკებს ხედავ, მამ, იცოდე,  
მეც ბოლომდე შენთან ერთად ვიქნები... ოჯახსაც  
ვტოვებ... ყველაფერს... მაგრამ შენთან ერთად ბო-  
ლომდე ვიქნები... ერთად თუ ვიქნებით, არ გაგვი-  
ჭირდება... იქაც, და თუ ბედმა გაგვილიმა, უკანაც  
ერთად დავბრუნდებით... თუმცა, იმასაც ვაგვიმო-  
რებ, რომ წამოსვლას დარჩენა მირჩევნია... მაგრამ  
უშინოდ ვერ დავრჩები... მაინც წამოვალ...

ჩიუნ უსიტყვოდ უსმენდა, მერე თავი დაღუნა  
და ცრემლები ორ ნაკადად წასკდა.

— ჩიუნ, შენი საუ ლი...

— ნულარ მისხენებე! — დაიძახა ვახლებით.

— ძალიან ლამაზია... ალბათ, მოხევენა არ მის-  
ცა იმ ვერაგმა, სიმდიდრესაც დიდი ძალა აქვს, მერ-  
მწუხე... დღეს მისი ცოლია, მაგრამ შვილები შენგან  
წყავს... დამიჯერე, მასაც და შენს შვილებსაც მუ-  
დამ ეყვარები... მაგრამ, კიდევ ვამბობ, ცხოვრება  
წინაა... არავინ იცის, სად რა გველოდება?

მეგობრის უსაზღვრო ერთგულებითა და თავ-  
დადებით გულაჩუყებულმა ჩიუნმა ნაბიჯი გადად-  
გა, უსიტყვოდ გადაეხვია, მერე თავის ტომარა  
მოიგდო და გზა განაგრძო დასავლეთისკენ, სადაც  
ისევ ელოდათ უსასრულო კვირები და... იქნებ, სუ-  
ლაც, თავგადასავლებით სასვე ცხოვრება... ძიანმა  
სინანულით ამოიხორა და დროებით დამარცხებუ-  
ლის იმედინი ღიმილი მეგობარს ჩუმი ნაბიჯებით  
გაჰყვა.

## მე ლექსო მქვია

მე პოეტი ვარ. ეს მხოლოდ მე ვიცი, იმიტომ,  
რომ ჩემს ლექსებს არავინ იცნობს... ჩემს გარდა,  
რა თქმა უნდა.

მე ლექსო მქვია.

ალბათ, სწორედ ჩემი სახელის გამო, ულექსე-  
ბოდაც პოეტური ბოჰემის ჭაობში თოსრამდე ან  
თუნდაც ყურბამდე ვარ ჩაფლული... თუმცა სხვა  
რამებიც ხელს მიწყობს, მაგალითად: 1). ვარ ძა-  
ლიან გამხდარი, ჭლექიანით, რაც პოეტს ძა-

ლიან უხდება... ალბათ, ჭლექით გარდაცვალებაც  
ძალიან დამამშვენებდა, მაგრამ, სამწუხაროდ,  
გერმანიის ეკონომიკასათვის კიდევ ერთი ვარ...  
თუმცა, ვინ იცის, მომავალი ხომ წინ არის? 2). ვარ  
ძალიან გულმაფინი, რასაც ჩემი უკიდურესი რო-  
მანტიზმით ვამართლებ. 3). ვიღვიძებ საღამოს 3-4  
საათზე, ვიძინებ დღის 4-5 ან 6-7 საათებზე, რაც  
პოეტისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი წყა-  
მუშევალი მტრია. 4). ვენევი ბევრს. სუფთა ჰაერ-  
ზეც რომ ვიყო, თვლებში მუდამ სივარტის კვამ-  
ლიდან გამოყოლილი იმპრესიული ბურუსი მაქვს.  
ალბათ, ამიტომაც, ხშირად აღნიშნავენ, სევდიანი  
თვალებით ვაქვს, ნიჭი რომ გქონდეს, შენგან პოეტი,  
და თანაც კარგი, პოეტი დადგებოდაო. 5). ე.წ. მო-  
სანევეს შიგადაშობ ვეტანები, დიდად არ ვგიჟდები...  
უფრო სწორად, ვგიჟდები, და სწორედ ეგაა, რომ  
არ მომზონს... უფრო სწორად, მომზონს... მაგრამ  
ამაში ზომიერი ვარ. 6). პო, სმით ხშირად ვსვამ,  
ოღონდ ბევრს არა, ადვილად ვთვრები. მიყვარს  
კონიაის წრუპვა და შედეგად — მუდამ გარკვეულ  
გაურკვევლობაში, ანუ განსაზღვრულ განუსაზ-  
ღვრელობაში ხეტივალ.

არა, მე პოეტი ვარ! უდავოდ!

მოკლედ, ჩემი თავი გაგაცანიო, ახლა კი მთავარ  
სათქმელზე გადავალ: ამასწინათ დილით გამეღ-  
ვიძა... დიდი ხანია, ალბათ, წლებიც, რაც დილა  
არ მიწაზავს, ჰოდა, ახალშობილივით გავიცე-  
ბულმა მიმოვიხედე; მერე რატომღაც დაუზარლად  
წამოვხტი, ფანჯარა გამოვალე და მაისის ანკარა  
ჰაერი ხარბად ჩავისუნთქე. რა პოეტურია-მეთქი,  
მასხოს, ესეც ვაგიჟებო...

მზეს მთის წვერზე იდაყვი შემოუდვია და, იქნებ,  
იძულებითაც, ჩვენს ყოველდღიურ ტანჯვას ზემო-  
დან გადმოჰყურებს...

მომიჩვენა, რომ მზე ნალვლიანი იყო; არა, რო-  
გორ არ ანათებდა, ზომაზე მეტადაც კი — მე თუ  
მკითხავთ; მაგრამ აშკარად დარდი დაუფლებოდა.  
მისი გამხევება გადაეწყვიტე და ხმაილადა შეეძ-  
ახე:

— მზო! მზო, ელვარო...

გაანათ დღეო... დილით-დაღალეო...

მზე შეიმშუშნა, ჩანს, სიტყვებმა იმოქმედა...  
გაკვირვებული, სევდიანი და თანაც კმაყოფილი  
მზერა შემავლო, მერე გამიღიმა, მზერაში გაიშლა,  
არაბუნებრივად ფართოდ გაანათა...

ფანჯრიდან ეზოში ქვედასაცვლისამარა გა-  
დავეყვარი; ის იყო, კედლის გასწვრივ გამავალი  
ვინრო ასფალტიდან ნაშინ ბალახზე დავაპირე  
გადასვლა, რომ ფეხის დასველების თუ ბალახის  
გათოვლის პერსპექტივით შემეძინა უკან დავიხიე,  
ისევ საცალფეხო ასფალტს ვაუწყებო და შუა ეზოში  
აღმოვჩნდი... რამდენიმე ნაბიჯზე სადღაც ზემო-  
დან ჩამომოქვებული თეთრი ძაფი შეენიშნე, მოგწ-  
ყევტ-მეთქი, ვაგიჟებო (რატომღაც დავასკენი,  
რომ უშიზნოდ ეკიდა) და მთელი ძალით ჩამოვხტი  
— ქვასავით მაგარი და სლიკინა აღმოჩნდა, არადა,

ბამბის უბრალო ძაფს წაავსებდა... მეორედაც მოვქა-  
ჩე, ისევე უშედეგოდ, მომეჩვენა, რომ უსუსურ ძაფს  
ქ არა, მსხვილ თოქს ვეჭაჩებოდი. სლიკინა ზედა-  
პირმა რატომღაც ზემოთ ამიტაცა, მეც ავეყვი...

ძალაუნებურად თვალები დავხუჭე — რადგან რამ-  
დენიმე ქინქლა ჩემი თვალის ირისს სასიკვდილოდ  
დაეკრო. თვალები დავხუჭე იმიტომ, რომ ჩემი ირი-  
სი შემებრალა... და, რასაკვირველია, ქინქლებიც.

კარგა ხნის სრიალის მერე შევჩერდი, შიშველ  
ტანში სიცვიემ გამპურძგლა, თვალი გავახილე —  
ღრუბლებში ვიყავი, საღამოს ბინდი ტრიალებდა,  
გამიკვირდა, მზე სად დაკარგულა-მეთქი. ღრუ-  
ბელზე გადმოვედი, ნესტიანი ბამბასავით იყო... ღრ-  
მად ჩავეფალი; არა, აქ ასე ვერ გავჩერდები-მეთქი,  
გავიფიქრე ღრუბელში მუხლამდე ჩარგულმა და  
ფარდავის ამოტანა გადავწყვიტე.

ძაფზე დავეყვი... კი არ ვეშვებოდი, ვეცემოდი.  
ჰაერი ყურებში მიწოლდა, ძარღვებში სისხლი მეყ-  
ნინებოდა, შიგნეულთა თითქოს ერთ მუშტად შემე-  
კუმმა და საცოდავად აეკრა ხერხემალს; თითქოს  
შემხედრი ჰაერი ჩემი სხეულის ყველა ატომში  
გადიდოდა. შიში ვიგრძენი, სული სადმე გზაში არ  
დამჩრდა და არ დაეკარგა-მეთქი... სხვათა შორის,  
აფრენა უფრო იოლი პროცესი აღმოჩნდა... არა,  
მაინცდამაინც არც დაშვება გამჭირვებია, მაგრამ,  
დამეჯერეთ, შედარებაც არ იყო. სიჩქარის შესამ-  
ცირებლად ერთი-ორჯერ ხელეც კი დავიქინე... მე  
თვითონ გამეცინა... დავეძვი ჩემს ეზოში, ბუმბუ-  
ლეით რბილად, უმტკივნეულოდ.

ფარდაც ისევ დიდი ცელოფანი და თბილი  
პლედები ვამფობინე, ტანსაცმელი გადავიცვი,  
ჩანთაში ჩავყარე საბონი, კბილის პასტა და ჯაგ-  
რისი (ტანის დასაბანი ღრუბელი არ ნამომიღია —  
ღრუბლებში ამის მეტეს რას იპოვინ?), ავიღე,  
აგრეთვე, ცოტაოდენი საჭმელი, ფურცლები,  
სანერი პასტა, ფანარი, მზის სათვალე, პლასტის  
დიდი ქოლგა და ეზოში ისევ ფანჯრიდან გადავძ-  
ვერი... ჩანთაშოკიდებული საცალფეხო ასფალტით  
გავემართე ჩემი საოცარი ტრანსპორტისკენ —  
ათიოდ ნაშმი თვალგებუა, ანუ ზედ ცხვირინი კონ-  
ნიალობდა. მხარზე ჩანთაპიკედებულმა სათვალე  
მოვირგე, მერე თოქაძაფს ჩავავლე ხელი, ჩამოვქაჩე  
და ავსრიალი... თვალბიძარ დაძმობუჭავს, მივსრი-  
ალებდი სწრაფად, ჰაერის სიმსუბუქით, ვიყურე-  
ბოდი ზემოთ, ხან მზე დამნათოდა, ხან მანვიმდა,  
ხანაც მსუბუქად მათოვდა, გულში სიტყვებით რით-  
მას ვანწყობდი და რატომღაც გვერდით გავიხედე —  
ათიოდ თუ ასიოდ მეტრში ვილაც ჩემსავით მისრი-  
ალებდა... კარგად დავაკვირდი... ჩემი თავი ვიცანი,  
უზარმაზარჩანთაპიკედებული მივექროდი ზემოთ,  
ვიყურებოდი აქეთ-იქით და მერე უცნოდ ლექსი წარ-  
მოვიქვი — შორს კი ვიყავი, მაგრამ ჩემი ხმა მაინც  
შესანიშნავად მესმოდა:

*სხეტაკი, როგორც ჩემი სინდისი —*

*თოვს!*

*და პოეზია მსხვერპლად მე ბნკარებს —*

*მოხოვს!*

— ყოჩაღ! — გავიფიქრე ჩემი მისამართით,  
ერთხელაც დავწამუნდი, რომ ნამდვილი პოეტი ვი-  
ყავი.

ღრუბლებს ვუახლოვდებოდი...

ზემოთ თანდათან ბნელდებოდა.

ჩემსკენ გავიხედე — ერთმანეთს ღიმილით  
შევეცქეროდით და გამამხნეველად ეუქნევიდით  
თავებს.

როგორც იქნა, მივედი, თავი ყრუდ ამტკივდა,  
წინდამინდელი კონიაკის ბრალი იყო, ან წნევის  
თამაშის...

ღრუბელზე ჩემი ბარხანიანად გადავედი, არა,  
უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვი — გადავე-  
ფალი-მეთქი, ისევე მუხლამდე ჩავიძირე.

ღრუბელს დიდი ცელოფანი გადავაფარე, მერე  
პლედი. ცელოფანს ვერ ბოლოსთან გამაღილი  
ქოლგა ჩავარქე და გვერდით დავხარე — ქოლგის  
ერთი კიდე ღრუბელს დაეყრდნო. მეორე პლედი მე  
შემოვიხვიე და ღრუბელზე გავგორდი — ვერ ვი-  
ტყვი, წყლის ლეიბს ჰგავდა-მეთქი, წყლის ლეიბი  
მონაგონია, უსუსური იმიტაცია, სასაცილო შარტი,  
უნიჭო ესკიზი და ა.შ. ეს იყო რალაც ფუმფულა,  
ფაფუკი და ჟღერად, როგორც სიტყვები: ბუმბუ-  
ლი? არა! უფრო — ფთილი, ბლითი, ქულა; ეს იყო  
ენით აუნერული რალაც სილბილე, რომელსაც ვერ  
გრძნობ. თითქოს ვინეტი ორთქლებ... ან საანის  
ქაფზე... ღრუბელზე ხელის მოკიდება თითქოსდა  
შეეძელი, ფიფქების გროვის მსგავსი მასა მუქში  
მოვიციქე — გაქრა. თავში ლექსი ამომიტკივტევდა,  
მაგრამ ჩემი ხმა გვერდითა ღრუბლიდან გავიგონე:

*ფოფო, ფოფო,  
თეთრი ფიქრო...*

*მიხმობ...*

*ნამიყვანე,*

*იქ დავეშვიდდე —*

*ვინძლო...*

*სეკვადამ ამახლო.*

ჩემსკენ გავიხედე — ერთმანეთს ნაღვლიანად  
შევეყურებოდით. თავი დამნაშავედ ვიგრძენი, თითქოს  
ბრალი მიმიძლოდა, ისიც აქ რომ აღმოჩნდა... აქ არ  
იყო ცუდი, მაგრამ იყო რალაც ცოცხალი... თუმ-  
ცა ტრაგიაკული მართლაც ყოველთვის არ ნიშნავს  
ცუდს.

მიდი, ყველაფერს ფეხზე დავიკიდებ-მეთქი,  
გავიფიქრე და პლედში გახვეულმა სუფთა ჰაერზე  
დაძინება ცვადე.

დავიძინე.

ძიღში ვინახე — უფრო დაბნელდა, მე და მე  
ღრუბლებზე დავხტოდით, ხელში ანთებული ფა-  
ნარი მეჭირა; დროდარო თვალს მისი, ფანრის  
შუქი მჭირდა; დავხტოდი სწრაფად, რადგან სიჩ-  
ქარის შემცირებასთან ერთად ღრუბლის უძირო  
პლანში ვინყვები ჩაფლობას; რატომღაც არ  
ვიღლებოდი, ფილტვები თავისით სუნთქავდნენ,  
გული მშვიდად მიცემდა; არაფერზე ვფიქრობდი,

ანუ არაფერზე მაინც ვფიქრობდი; ახლა უკვე უკუ-  
 ნი სიბნელე იყო, არც მთვარე ჩანდა, არც ვარსკე-  
 ლავები; თავში სიტყვები მომივიდა და მათი წარ-  
 მოთქმა დავაპირე, მაგრამ დამასწრო და შორიდან,  
 თუმცა ძალიან ახლოდან, ჩამესმა ჩემი ხმა — იქ რა-  
 ლაც სტროფებს ვამბობდი... ბევრს... ისლა მასსოვს,  
 კმაყოფილება დამეფულა — სტროფები სწორედ ის  
 იყო, რის თქმასაც ვაპირებდი.

ხტუნვა-ხტუნვაში ფანარი მივანათე (თუმცა  
 მისი სახე ბნელშიც კარგად ჩანდა), გამილიმა. უცებ  
 ფეხი დამიციდა, ნავიბორძიკე... თვალში მომხვდა  
 მისი სასონარკვეთილი მზერა... ღრუბელზე დავე-  
 ცი... უფრო სწორად, მეგონა, რომ ღრუბელზე დავე-  
 ცემვოდი, სინამდვილეში კი მის გარეთ აღმოვჩნდი,  
 მოვანსარი და ღრუბელს ცალი ხელით დავეკიდე.  
 ჩვენ ჩვენს ღრუბელზე ვეკიდეთ. ფანარებს უსასოდ  
 გატრიალებდით აქეთ-იქით. ფანარი მოვიჩინე და  
 ღრუბელზე შევავადე, ჯერი ჩემზე მიდგა... ღრუ-  
 ბელს ქულები სწყდებოდა, ვეღარ მაკავებდა, მე  
 თავგანწირვით ვებღალუჭებოდი და მოწყვეტილ ქუ-  
 ლებს ჰაერში ვფანტავდი... ვიბრძოდით.

რატომღაც თავი ჩემსკენ მივებრუნე: იქ მე უკვე  
 ღრუბელზე ვიდექი და ღრუბელზე ჩამოკიდებულ  
 ჩემს თავს ზემოდან დავცქეროდი. დაკუნული  
 ღრუბლიდან ნელ-ნელა ცალდაფერი დარჩა და  
 მე დაბლა ჩავვარდი, ზემოდან ჩემი ვანწირული  
 ბლავიანი მომესმა და ჩემი შემინჯული თვალები  
 შორიდან დავინახე — უფრო და უფრო ვშორდე-  
 ბოდი. სუნთქვა მეკვროდა, ვიღვრობოდი...

...ვიღვრობოდი, სუნთქვა მეკვროდა... გამელ-  
 ვიდა... ჩემსკენ გავიხიდე — პლედში გახვეული  
 და ღრუბელზე ნამოწოლილი დაბნეული მიყ-  
 ურებდა; შემინჯულს სწორედ ასეთი სახე მაქვს  
 ხოლმე. ნამოვდექი; გაბრაზებულმა პლედში საჩ-  
 ქაროდ მოვიცილე და გარემო შევათვალე —  
 სულ ღრუბლები. ოდნავ განათებულიყო. ის მეც  
 აქეთ-იქით იყურებოდა. ჩემმა დანახვამ გამაღიზ-  
 ნადა, გამასხენდა, როგორ ცადავრჩი და დავილუპე.  
 გაბრაზებული შევცქეროდი — თითქოს სარკვეში  
 ვიყურებოდი. მისვლა და ახლოდან ნახვა გადავწ-  
 ვიტივტი. ერთმანეთს მივუახლოვდით. ბოლოს ერთ  
 ღრუბელზე აღმოვჩნდით — ჩემი ასლი იყო, მა-  
 გრამ უფრო ნალვლიანი მომიქვენა. უცებ გაილევა.  
 ახლა მეხი გავარდებამ-მეთქი, გულში სიხარულით  
 გავიფიქრე. სადღაც ახლოს ღრუბელს მეხი დაეცა  
 — ღრუბელმა დნობა იწყა, ამიშინდა, მის ქვემოთ  
 განვიბედა. ის მე იღიმებოდა.

— რა გიხარია? — შეეკითხებ.

— შენ უკეთ იცი.

მივხვდი, რასაც გულისხმობდა — იღიმებოდა  
 იმიტომ, რომ მეხით ჩემსავითი კმაყოფილი იყო.

— შენ ჩემი კლონი ხარ? — შეეკითხებ.

— კლონი არა, ტორილა!

— აბა?

— რა აბა?

— აბა, ვინა ხარ?

— ოოოჰ! კაი, რა... მეც მაგას გეკითხები? ვინა  
 ხარ?

მხრები ავიჩიქე. იმნაც, ანუ მეც. ნამოვდი.  
 ნავედი.

ჩემი ღრუბელი ზანტი რწვეით მელოდებოდა.  
 ამოვფავალი. მერე გადავფავალი — ისევე ჩემს ღრუ-  
 ბელზე აღმოვჩნდი. პლედზე დავჯექი. ჩემსკენ  
 გავიხიდე. იქაც ვიჯექი და ჩემსკენ ვიყურებოდი,  
 აქაც და იქაც მისალმების ნიშნად ხელი მაღლა  
 ავნიე.

უცებ ამოვსები სიცარიელე ვიგრძენი. თავს  
 რალაც უკიდებოდა და უმიზნო დამატყდა.

რა გამაძლიებინებს? აქ რამ ამომიყვანა? აგარა-  
 კიეთასა. სულთა ჰაერი ჩაისუნთქე და ჩაიდი. იქ ჩემი  
 ბოჰემა მელოდება. დიდი პოეტებით ფურცლებისა  
 და პასტის ამოტანას, მობოლური მაინც ამომეტანა.  
 ვინმესთან გადავრეკავდი, ანუ დავერეკავდი. არა, აქ  
 მომბეზრდა, უნდა ჩავიდე, ვის სჭირდება ეს უსაც-  
 რიელი და ნესტიანი რომანტიკა? ეეეჰ! — გარე-  
 მოსთვის შეუფერებლად უგვანო ფიქრები დამე-  
 სია.

ჩემი ბარგის აკრეფას შევუდექი. იქაც კრეფდა  
 — ანუ ვკრეფდი. მერე თოქაფთან მივედი. მე იქ  
 კი რატომღაც სხვა ღრუბელზე გადასაფლობდა  
 ვემზადებოდი. თითქოს სარკე გამიმრუდდა. სასო-  
 წარკვეთილმა შევხედე. იქაც მოვტრიალდი. გაო-  
 ცებულვით ვუყურებდით ერთმანეთს. რა? არ ჩამო-  
 დის? — გავიფიქრე.

— არ ჩამოდიხარ? — ჩემს თავს დავუყვირე.

— რა გაყვირებს? ისედაც ისმის, — ჩემი ნალე-  
 ლიანი ხმა მეცნო, — დაბლა ვეღარ ჩამოვალ. მე აქ  
 დავრჩები.

— მე? — ამიკანკალდა ხმა.

— რა შენ?

— მლუპავ?

— რატომ? პირიქით.

გამალბებული ფიქრი დავიწყე... გონება მანქანა-  
 სავით ამოძრავდა, ისევე ამტკიცდა თავი.

— აქ რას ვაკეთებ? სად იმუშავებ? რას შეჭამ?

— მე ჭამა არ მჭირდება; აქ უნდა ვისუნთქო;  
 ჰაერი კი, იცოცხლებ, იმდენია... — იქ მე ვალვლი-  
 ანად ვიღიმებოდი.

ისევ გამალბებით ფიქრობდა ტვინი. მე მენანე-  
 ბოდა მე. ვიცი, არ ვკარგავდი, მაგრამ მენანე-  
 ბოდა. ან, იქნებ, ვკარგავდი? აი, ჩემი ექსპრესიული  
 ხილვაც! უცებ ფიქრიდან სტრიქონები გამოძვრა,  
 რიგრიგობით, ხმამაღლა მინდოდა მათი თამყმყრა,  
 პირი დავალე... და იმ ღრუბლიდან მომესმა:

*გულში მომხვდა ისარი,  
 თავში — თითქო ფიცარი...*

*ვიცანი!*

სწორედ ის იყო, რის თქმასაც ვაპირებდი. დამ-  
 ასწრო. გამეღიმა.

მისი ადგილი აქ იყო.

მან, ანუ მე იმ ღრუბლიდან ხელი დამიქნია მე,  
 აქ, ამ ღრუბელზე; მერე, მხრებგაშლილი, სხვა მხ-





## სიბნელე

მოხუცი ეზოში დაბალ ჯირკოზე იჯდა და ზურგით დიდი კაკლის ხეს ეყრდნობოდა. მთვარე ოდნავ ანათებდა იქაურობას. ჭრიჭინა გაბმულად ჭრიჭინებდა. აქა-იქ ციციბითელად გაიციმციმებდა. შორიდან ისმოდა ბაყაყების ყიყინი. ოდნავ უბერავდა სიო. ბერიკაცი იჯდა და სიოს შუბლს უშვერდა. თან უფილტრო შაპირის ნება-ნება, ღიმილით აბოლებდა. თითქოს ვილაცას ელისო, ჭიშკრისკენ სიბნელისთვის თვალი გაესწორებინა, დაჟინებით უცქერდა ერთ წერტილს; მერე, იფიქრებდა, ყურში ვილაცამ უჩურჩულოდ, ისე მოულოდნელად გაეციმციმებოდა; მერე ისევ... ისევ — წარსულს იხსენებდა. კაცო, შემოდი, ნივამ არ დაგკარასო, ცოლი თუ დაუძახებდა, არც ტოკვებოდა. უძრავად იჯდა. მხოლოდ ჩუმი გასძახებდა, აქ მო, რალაც გამახსენდა, შენც უნდა გითხრაო. არავინ პასუხობდა. ისევ გასცქეროდა ჭიშკარს. შგავადა მოგ ძილში წამოკისპნებული დედლებს ხმა გაისმოდა — ქათმური სიზმრები არ ასვენებდათ. ხეხილიანი უკანა ეზოდან ფიჩხის ტკაცატკუცი ბერიკაცის ფეხებთან მიწოლილი ბალახგაცვენილი ძაღლის უსაგნო და ზანტ წკაწკავეს ინვევდა. მერე ძაღლი ისევ მინაველდებოდა და ბალახებში მოკალათდებოდა. მოხუცი იღიმებოდა, ხან ისევ გაიციმციმებდა. გაოცებული ფინია ცალი გახელილი თვალით ახედავდა, მერე ისევ ხუჭავდა თვალს. მოხუცი ჭიშკარს გასცქეროდა.

შაპიროსიანი და დაკოჟილი მარჯვენა მუხლზე ჩამოიღო; მერე თითქოს თვალეგში აზრი გაუკრთაო, მზერა სხვანაირი გაუხდა, ერთფერი. ღიმილი — ძველებურად იღიმებოდა. ალაღავის ელოდა თითქოს. ძაღლი ახლოს მიუცუცქდა და ახლა იქ განვა, ლამის ფეხებზე შემოეხვია მოხუცს. კაკლის ფოთლები ქურდულად ამრიალდნენ, ეს არ იყო ნიავის ბრალი. აქამდე მზაკერულად მომლოდინე, ახლა უშიშრად უახლოვდებოდა კაცს, ჩუმად წამოშპარვოდა ზურგიდან. ეს იყო სიკვდილი, უსაზღვროდ ბოროტი, მაგრამ, მაინც ბევრი რომ ინატრებდა, ისეთი. მოხუცი მშვიდად იღიმებოდა.

## ანკიმადა ქალაქს

(ერთი ფილმის შინაარსის ინტერპრეტაცია)

სალამო.

შე ქუჩაზე მივდივარ თავით ფეხამდე სველი — ნემს, და მერე — როგორ.

მე არაფერზე ვფიქრობ, შენს გარდა.

მანქანამ გამიქროლა და გუბის წყალი უდარდელად შემომამსხვფა. შეკურთხება არც მიფიქრია. დამასველა თუ რა? პირიქით, მესიამოვნა კიდევ. გაზაფხულიც, აი, ეს არის, ზალხნო. ნემსა, ჩიტები, მზე, სითბო, იმედი, ყვავილები...

მე შენთან მოვიჩქარი. აქვე ვარ, შენთან ახლოს, რალაც ორ ნაბიჯზე. შენთან მოვდივარ. ბევრი მაქვს სათქმელი. ძალიან ბევრი. იმას ვფიქრობ, რომლით დაინყო. ჯერ მთავარს გეტყვი. გეტყვი, რომ ვილადა. გეტყვი, რომ მომინატრე. გეტყვი, რომ... ისევ გაიქროლა მანქანამ, თავიდან გავილუმბე. მიხარია. აი, კიდევ... კიდევ... მოვალ და მოგეტყვი, სველი, ტალახიანი, ბედნიერი, თვალახელილი, შენი. გეტყვი, გამარჯობა! აი, მეც მოვედი! აქა ვარ! შენს თვალში!... გოგოებმა გამირბინეს, იცინიან, ტანსაცმელი ტანზე მიჰკრობიათ, საზაფხულო ფეხსაცმელებს მიაჭყლაუნებენ, გზა დაუთიშე და, მე თქვენი მიყვარხართ-მეთქი, მივაძახე. ისევ იცინიან და გარბიან. მერე ისევ გამწუნა სატიკითომ. წარღვნაა. საიდანღაც ხის ჭახანი მესმის — ალბათ, დიდი ტოტი მოტყდა. ეს ხმაც მსიამოვნებს. ახლა, მგონია, მთებს გადავდგამ, ისეთ ძალას ვგრძობო... ძალას და აღმაფრენას. შენთან მოვედი... არა, მოვერბივარ... აი, ყვავილიც — ფარდულის ძირში ერთი ცალი ყაყაო ნითლად ფუთქავს — წარცხიფერ ნემსს აცოცხლებს. ყაყაოს სახურავის გადმომშვერილი კიდე იცავს. დავიხარე და მიწიანად მოვიჩქიქე — მოსაწყვეტად დამენახა. შენთან მოვრბივარ. ყაყაო და გული მომაქვს...

კიბე ამოვირბინე. შენს კარზე ვაბრაზუნებ.

კარს უცხო კაცი მიღებს. შენც გამოდიხარ და მის გვერდით დგები, დაბნული, მაგრამ მტკიცე ხარ. ეს ჩემი ქმარიაო, მაცნობ. ღიმილი მეყინება. უსიტყვოდ გტოვებთ და მივდივარ. მიწაში ასრესილ და ნამცეცხებად ქვეულ ყაყაოს და ჩემს გულს ნემსამი ვფანტავ.

დავიგვიანე...

## მამაკაცები ნადირობენ... და ბრუნდებიან

(მე მინდა სახლი, რომ იქიდან გავიქცე სადმე, ერთი მგვიდა, რომ არაფერი აღარ დავნერო)

1996 წელი.

— თათი... მიყვარხარ... შენ?

— არა!

1997 წელი.

— თათი... ძალიან მიყვარხარ... შენ?

— მე — არა!

1998 წელი.

— თათია, მიყვარხარ... შენ?

— მე... არა!

1999 წელი.

— მიყვარხარ, თათია... შენ?

— მე... არ ვიცი!

2000 წელი.

— თათია, ძალიან მიყვარხარ... შენ?

— მეც მიყვარხარ!

2001 წელი.



— თათია! მე შენ ძალიან მიყვარხარ.  
— მეც ძალიან მიყვარხარ, ირაკლი!

2003 წელი.

აი, ასე შემაბა ბუნთულა ბიჭი თათიამ... ახლა უკვე ჩემი ცოლია... ყოფილია.

ორიოდე თვეა, მივატოვე და სახლიდან წამოვე-  
დი... რითი დაიწყო, აღარ მახსოვს, მაგრამ დაიწყო...  
და რომ აღარ დამთავრდა, წამოვედი.

ზურასთან ვცხოვრობ. ჩემი არ იყო, არც მშო-  
რები ჰყავს და არც ნათესავები, ცოლს ისიც გაშ-  
ორდა — ყველანაირად ობოლია ჩემი რაჭველი.  
ზურა და მე ერთად გავიზარდეთ და, ჯანდაბას,  
შევაბერდებით კიდევ ერთმანეთს, როგორც ამბო-  
ბენ, ყველი და პურივით ანდა სულაც ცა და დედამი-  
წასავით; იმიტომ, რომ ჩვენი თავის გარდა სხვა არც  
აღარავინ გვაბარია.

დღეს მე, კახა, ზურა და ლაშა ვსვამთ.

არაყი... ლუდი... ზოგი ქარხნისაა, ზოგიც ფალ-  
სიფიციერებული... ალბათ... რას გაიგებ? ჩვენ მაინც  
ვსვამთ. სახეები გვემანჭება. მერე ლუქმას ვაყ-  
ობლებთ.

— ბიჭო, ევა შენი ბრალია! — ამბობს ლაშა. ევა-  
ტივა, ვიცი, შეყვარებული ჰყავს, მაგრამ ჩვენთან  
არ ამხელებს.

— ევე, გამაგიჟებს ეს. ოჯახი თუ დაინგრა, ქა-  
ლის ბრალია, მაგრამ... ჰო, უფრო შენი, იმიტომ,  
რომ პალაფენიას ვერ უყურებ. ქალი თავზე არ უნდა  
დაისხე, ძმაო... თავზე არა, ხელისგულზე უნდა ატა-  
რი... ეგრეა! — სვენებით ლაპარაკობს შაქვებლი-  
ჭნარევი კახა.

— არა, არა, სეზონზე რაჭაში უნდა წავიდე.  
გეუბნებით, დათვის გავაგორებთ. ეგ არი კაცური  
საქმე. მთები! იარალი! სისხლის ყივილი! ჰაერი,  
ძმეო, ჰაერი! მერე დაჭრილი დათვის ბლავილი...  
რა ცოლი! ეგ დაბალი განზომილებაა. ნოლი კლა-  
სი. ქალი აქეთ უნდა გეხვეწოს. — ზურას სისხლით  
ნაყვილებ მონოლოგს ლაშას სადღეგრძელო აგ-  
ვირვინებს: — აბა, ეგრეთ წოდებული წამოსული  
ბიჭების თამაშობით ყველა მარტოხელა მგელს  
დავლოცავ!

ჭიქებს ხმაურით ვაჭახუნებთ და ვსვამთ.

— ჩემი ბალთაზარიც წაიყვანოთ, მონადირეა...  
ის კი არა... ვილაც „დვარნიამკა“... — ამბობს  
ობოლი რაჭველი და თვალს ჩემსკენ აპარებს: — აი,  
ნახე, დაეღს რო გავაგორებთ, რა მაგრა იგრძნობ  
თავს... ეგრე ამბობენ.

— ოოჰ, მორჩი, რა! დათვიროს საქმეს შეველოდეს...

— რა ვქნა, თათია მახსენდება და გულაჩუყებული  
გვასუსობ.

— ბიჭო, ცოლი კაია ან როგორც მეგობარი, ან  
როგორც ქალი, ორივე ერთად არ არსებობს, გაიგე,  
რა.. გახსოვს, კუქიაზე რო მოხდა... აი... აი... შენც  
ხომ გახსოვს, ლაშა? ერთი, როგორ იყო? იმას...  
საიყოლე რო გაუთხოვდა... სახელი აღარ მახსოვს...  
მთელმა თბილისმა იცის ეგ ამბავი, ბიჭო... სამასკაც-

პალატკიან ქორნილს მიაყენა დიდი „გაენაყოზი“ და  
რო მიუშვა მთელი „ნაპორით“ და პატარძლიან-სიძ-  
იან-სტუმარ-მამურიონიანდა... რა, არ იყო ღირსი?...  
აი, ძმაო... ქალები კიდევ ეგეთები არიან. „რას“ და  
ლალატხი.

ბიჭები უაზროდ ხარხარებენ... უკვე მერამ-  
დენედ. მე აღარ მეცინება — ასჯერ მაინც გვაქვს  
მოსმინილი... არ მობეზრდით მაინც?

— არა, მივცალით რაჭაში! — ფეხზე წამოხტა  
ლაშა. — რა, ვერ მოვკალით ერთი დათვი?... ზუ-  
რას ხათრით მაინც. იარალი გვაქვს, სურვილიც, და  
მუხლიც მგლისა — იცოცხლე, არ გვაკლია. ო-ო-ო-  
უ-უ-უ-უ-უ! — ლაშამ გულზე ბრაგუნით ტარხანის  
პარტია შესასრულა.

— ისე, კაია, ხო იცი... ტრუხა ბაზარი მოვრჩეთ  
და... მივდივართ... რაჭის ზონა მაგრა ასწორებს...  
ე, ბიჭო, ანი თავი!.. ხმა გავგეცი! — მხარზე ხელი  
დამკრა კახამ.

თავი გმინე და ხმა გავეცი: — მე არსადაც არ  
წამოვალ!

— მართლა... ახალს როდის წავგაკითხებ... რა-  
მეს? პირობები გვაქვს — ხელს არავინ გიშლის... —  
ლაშას გულუბრყვილოდ დასმულმა ამ კითხვამ ისე  
უადგილოდ გაიჟღერა, როგორც ზანგმა გრენლან-  
დიის აბორიგენებში. ჩემს გარდა ყველამ გაცივებით  
გადახედა.

— ევე, რალას ვნერ, რო? რაც დავგორდით... —  
ჩავიღმუღვე იმ ჩვენი ჯერარდაჭრილ არმონადი-  
რებულს დათვივით.

— შეუვივ, ბრატან, რა დროს ეგ არი? — აღმ-  
ფთობა ვერ დაფარა კახამ, რა ქნას, სხეულებით  
ევეც რაჭაზეა გადაართული. — მოკლედ, წავეითი.  
— მომიბრუნდა ისევე.

— არ წამოვალ-მეთქი რაჭაში! გა-ი-გეთ! — გან-  
ვაცხადე ოფიციალურად.

● შემოდგომა. რაჭაში ვართ. ზურას მამაპაპური  
სახლი აქვს — იცოცხლე, თითებს ჩაიკენცხ.

თოფებიც დავმწინდეთ.

მოკლედ, მზნად ვართ.

— სადაა, ბიჭო, ნაროდი? — უკვე მერამდენედ  
ეკითხება კახა ზურას. — დაცილია ზონა. — რა-  
ჭას გულისბნობს.

ეჰ, მართლა დაცილია „ზონა“, კანტიკუნტად  
რომ ვინმე გამოჩნდეს.

ახლა ლაშა, გათენებამდე კი სანადიროდ უნდა  
წავიდე. თვალს ვატყუებთ. მერე საათიც რეკავს.  
ბალთაზარი ეზოში წკმუტუნებს. ერთდროულად  
წამოვხტით — მობილიზებული ვართ. მოვკლავ  
დათვის და ჩემს კაცურს მაინც გავიტან. ძაღლი მი-  
აკვდა ყველაფერს სულში... აღარაფერი მადარდებს,  
უკვე კარბან ვდგავართ და უცემა... დაჭრილი დათ-  
ვის საცოდავი თვალები წარმოვიდგინე, მერე

რატომღაც თათია გამახსენდა, მერე შვილი, რომელიც არა მყავს, და: — მე ვერ წამოვალ! — ისევე ოფიციალურად განვაცხადე.

ყველაფერი გაიყინა. აი, ახლა ტყვიებს დამაყრინა.

წუთის მერე ყველა უხმაუროდ და უბრად გალაგდა კარში.

— არ მეშინია, ეგ არ იფიქროთ... ვერ ვესვრი და მორჩა... მე რამეს დავწერ... — სიტყვები გზადაგზა დავაწინე, ენის ბლუკუნით.

— კაი, კაი. — ღიმილით მითხრა ზურამ და მხარზე ხელი მომიტათუნა. — მოვალთ და მოვიტანთ ნანადირევს. შენ თუ გული არ დაგწყდება?..

აბჯარასხმული სამი ბრვე ვაჟაყვი და ბალთაზარი დათვზე სანადიროდ გაემართნენ.

მე სახლში დავრჩი. ფიქრებმა გამიტაცეს. მერე დაეჯვრე და ნერა დავიწყე. თავზე დამათენდა.

ეზოში თვალების ფშვნიტით გამოვედი.

ნახად დამჩხავლა ყვავმა.

— ...და, ბოლოს, ამ ჭიქით, არა, ჩვენ გავვიმარჯოს, ძმებო. — დაასრულა ზურამ უხვსიტყვიანი სადღეგრძელო და ხვანჭკარა მძიმედ აითვისა. აეთვისეთ ჩვენც.

ეზოში ქვის დაბალ მაგიდას გარშემო ვუსხედვართ. ბალთაზარი მაგიდასთან ცქმუტავს.

სუსხიანი ბინდია. გადაღლილები ვართ — „გრადუსი“ გვათბობს.

— ქალი... — ზურა ისევე აგრძელებს სადღეგრძელოთი განწყვეტილ „საყვარელ“ თემას.

— აღარ გინდა, რა... დათვზე ილაპარაკე. როგორ იყო? — აწყვეტინებს გაღიმებული ლაშა და ხვანჭკარას ნრუჰავს.

— ბიჭო, გეუბნები, ღმუილი გავიგე... ნაღღში დათვი იყო, მარა, ეს ბალთაზარი რაღამ დააბლაგვა?.. — ზურამ დანახებით შემოაფცქენა კურდღლის შემწვარ ბარკალს ნარჩენი ხორცი და ძვალი ბალთაზარს გადაუგდო. ძვალი ჰაერში გაქრა. — აქ კი აქვს პენტუმ-5-ის რეაქცია და?..

— მაშ, ისროლეთ დათვის და მოხვდა კუდელეს, არა? — ვითომ ვერც გაიგეს ჩემი შეკითხვა, უფრო ზუსტად — „ტოპკა“. — იქნება, და... არც იყო დათვი? — გული მომიღბა და „პროფესიონალი“ მონადირეების გამხნევენას შეეცადავ.

— იყო-მეთქი, აბა, სხვა რა იქნებოდა?

— რა გი მე? — მხრებს ვიჩიჩავ და შემწვარ კურდღელს ვიკინგივით დაუნდობლად ვაცლი ნეკნებს. — არა, კურდღელიც საქმე... მარა... ტყვიები რო სულ დაგიცლიათ, ჭამდით თუ ისროდით... — მაინც ვკებენ... მშვიდად. თან კურდღელს ენის ნკლაპუნით გახალხებთ.

— დანერე რამე? — ზურა თავს არიდებს ტყვიანამლის თემას და ისიც ენის არანაკლები ნკლაპუნით

ნით განაგრძობს ჭამას. — კარგია, ცოლი თვალებს რომ არ მიბრიალებს, პირი მოკუმე და ისე ჭამეო.

— სვამოდა, ძმებო! სვამოდა! — შესძახა კახამ და ჭიქა ასწია. ჩვენც ავწინეთ და კიდევ ერთხელ გავიმდიდრეთ სისხლი დალოცვილი ჰემოგლობინით.

— არა, რომ დავუმიზნე, არა...

— რას? კურდღელს? — ვისინებ.

— რომ დავუმიზნე, არა? — სტრანნი გრძნობა დამეფლავა, ასე მეგონა, ჩვენ მენტები ვიყავით, ეგა კიდევ — კაი ბიჭი. — მგონი, ცრემლი მოადგა კახას, ისე ჩალუნა თავი, — ეჰ, ეს იმ კაი ბიჭს გაუმარჯოს, თავისი „მე“ რომ აქვს და სხვები მის წართმევას რომ ცდილობენ.

ისევე დავლიეთ.

— ველარ გავიგე, დანერე რამე? — ახლა უკვე ხმამალა მეკითხება ზურა, — მოგივიდა მუზა?

— ჩემი მუზაც და ჩემი წიგნიც თათია... სვალევე უნდა დავებრუნდე სახლში... ბავშვი უნდა გავაჩალიჩო. — ვთქვი სხვათა შორის. — ხვალევე დავიწყებ.

ყველა მომჩერდა, ენის ნკლაპუნიც კი მიატოვეს.

— ბიჭო! „ბიჭო“ არა! — ძმო!.. — ძლივს ამოთქვა ზურამ, — როგორც, აი, ამ ვერ უბადრუკ კურდღელს, არა... ზედ რბილი აღარ შერჩა... — ყველამ ბედნიერი ბალთაზარის წინ დაყრილი ძვლების ნარჩენებს გადავხედეთ. ძალღს ლუკმა შეეყიდა და, გაოცებული, აქეთ შემოგვაცქერდა.

— ტყავი? — ჩააზუსტა ლაშამ.

— ტყავი? შკურა, რამკი... ეტა დრუგოი ვაპროს, დარაგო. — კახა შევანარევი რომ არ ყოფილიყო, ფილოსოფოსი იქნებოდა.

— ისე, არა, ძმო... შენ არ შეგრჩა თავში ტვინი. — ბოლო-ბოლო ზურამაც დაამთავრა სათქმელი და ჭიქას ხელი წამოავლო.

— რა გქნა? ეგრეა, და... — თავი ვიმართლე.

— ეგრეა და... ეგრე იყოს! — გადაჰკრა რაჭველმა.

ჩვენც გადავკარით მძიმედ — ხვანჭკარა მანიც.

2004 წელი

### იპოვებოდა

ის დაიბადა. თავდაპირველად კი ივრძნო — როგორ იშვა სხვა სხეულისგან. ოღონდ შემდგომში ვერაფრით იხსენებდა ამას. არ დარდობდა — ლამაზი იყო და თანაც გარემომცველ სილამაზეში ჩაფლული.

იზრდებოდა და სიცოცხლით ტკებოდა. სითბოსი და სიცოცხლის, ერთი შეხედვით, ულევ წყაროს გამამაგებით ენაფუბოდა...

დრო კი გადიოდა. მის შეჩერებაზე არ უფიქრია — ყოველთვის ლამაზი და ახალგაზრდა დარჩებოდა, ეგონა. იქნებ, არც სცდებოდა?

სასიამოვნო ამინდი თუ იყო — საათები გარ-  
ბოდნენ. სიცივესა და წვიმამი კი, თვალის გახელა-  
საც რომ დაგაზარებდათ — წამები საუკუნეებს  
უტოლდებოდნენ... და, როგორც უნდა გაჭინაწურე-  
ბულიყო ეს უამი, უკან მიხედვისას ერთი კითხვა  
მაცინე ებადებოდა: ნუთუ წარსული ნამდვილიაო?

ამის დაჯერება თითქმის შეუძლებელი ხდებო-  
და — რომ არა მის ხასიათში შეპარული ის სიღარ-  
ბისლე და სიღინჯე, ასაკმა რომ იცის.

ცხოვრება სიტკბო ეგონა. მაგრამ დროდადრო  
მასაც ეწეოდა-ხოლმე ბედისწერის სიძნელეები. და,  
რაგინდ რთულიც არ უნდა ყოფილიყო ისინი, რწმე-  
ნა არასოდეს დაუკარგავს... რწმენა, რომელიც მაც-  
დუნებლად უკეთესი მომავლის ნაყოფი გახლდათ.

ერთი რამ კი მის გულს არასოდეს მოშორე-  
ბია — შიში, რისი და ვისი კი, ეს გაურკვეველი  
იყო... თითქოს სიკვდილისას... მაგრამ მასზე რომ  
დაფიქრებოდა, არა და არ ეკუმშებოდა გული  
საშინელებით — სჯეროდა გარდასახვის. სხვების  
ნამბობიდან და საკუთარი გამოცდილებიდან,  
შეიძლება, ითქვას — ძალიანაც კარგად იცნობდა  
ბუნებას, მის უცნაურ, საკვირველ კანონებს და გა-  
მოცანებს.

აბა, რა აშინებდა? შთამომავლობა, მართალია,  
არ ჰყავდა (ხვედრი ერგო ასეთი), სამაგიეროდ, ახ-  
ლობებულ-ნათესავენი და თაყვანისმცემლები გარს  
მონიწიებით ეხვივნენ.

ყველაფერი ჰქონდა, რასაც გული ინატრებდა.  
არა, ბედნიერების დაკარგვის შიშიც ნამდვილად  
არ აწუხებდა — იმდენად იყო ლამაზ ცხოვრებას  
დაჩვეული. ეს კანონდაც მიაჩნდა (არცთუ უსაფუძ-  
ვლოდ). ოპ, ამგვარ მომავლებზე ფიქრად წარ-  
სულ წვიმიან დღეებს ატანდა... და მერე უფრო თა-  
ვისუფლად სუნთქავდა დანმენდილი გულისა და  
ჰაერის მეშვეობით. ახალ ძალებს, ენერჯიას იკრებ-  
და და... ჰაიდა!

მოკლედ — ცხოვრობდა. ცხოვრობდა დიდხანს.  
არც ახალგაზრდა მომკვდარა, როგორც ეს ზოგ სხ-  
ვას ემართებოდა.

ხანდაზმულობის ასაკმაც მოაღწია. ახალგაზ-  
რდა აღარ იყო, მაგრამ სიღამაზე ისევ ჰქონდა —  
იქნებ, ადრინდელზე უფრო მეტიც. შემოდგომამ  
დააფრქვია ოქროსფერი სხივები და ჭალარა აჩუქა,  
ხან ახალგაზრდის სინორჩეზე მეტად რომ ფასობს.  
ბუნების კიდევ ერთი, გამოუცნობი მიზეზის გამო.  
და ამ ასაკსაც თავისი მომზიბველობა ჰქონდა.  
სულ სხვა აზრებით აივსო მისი გონება — ასე ნაცა-  
დი და ერთგული. წარსული ხშირად იხსენებდა, მა-  
გრამ ამქვეყნიური არსებობის ამაოებას უფრო და  
უფრო მკვეთრად შეიგრძნობდა-ხოლმე. ადრე ამის  
გამო, იქნებ, ედარდა კიდევ, ენაღვლა და ცრემლიც  
უხვად ეფრქვია... მაგრამ ახლა? — ყველაფერი სი-  
სულელედ მიაჩნდა... და, დარჩენილი ცხოვრებას  
მაცინე წყალნაღვლების თავგანწირვით ეჭიდებოდა,  
სურდა, ბოლომდე შეეგრძნო მისი აუნობავი სიტკ-  
ბოც და სიმწარეც — ნებისმიერის არსებობას რომ

ახლავს თან. არც თავს ზოგადად და არც სხვებს,  
არც ენერჯია ენანებოდა და არც არაფერს იძურებ-  
და — იცოდა, რომ ახლოვდებოდა დაბადების, ახ-  
ალგაზრდობის და ხანდაზმულობის მომდევნო,  
მეთოხე და ბოლო ეტაპი — სიკვდილი — უკვე არც  
საშინელი, არც სასიხარულო, არც უღმობელი, მა-  
გრამ დაუნდობელიც. იქითკენ გახედვაც არ გვინ-  
და და, უფალო, შეგვიწყალო, მაინც საინტერესო —  
სიკვდილი.

ბოლო დროს ხშირად გრძნობდა მის გვერდით  
ყოფნას. უკვე თავის ახლობლად, მეგობრად მი-  
აჩნდა — გაჭირვებისას რომ არ მიგატოვებს... მა-  
გრამ, მის დანახვაზე გული მაინც ეთანადრებოდა.

ბედს ეგუებოდა, თუმცაღა მთელი არსებით  
ეძლეოდა დარჩენილი სიცოცხლის ნეტარებას.

მისი არსებობის შემოდგომაც გაილია — თავისი  
სიბრძნით, სევდითა და ოქროსფერით.  
და ბოლოს: დაეცა.

სხვის ფეხქვეშ გათელილი საკუთარი თავი  
იგრძნო — ამის ეშინოდა... თურმე არც სიბერის,  
არც სიკვდილის — მხოლოდ უსასიამოის, უძლურო-  
ბის. სხვებმა აგრძნობინეს... იქნებ, შეუგნებლად,  
უმეტერებით, და მაინც...

ის მოკვდა.  
მისი საოცრად შემსუბუქებული სული ზეცას  
შეერწყა და ახეული კვლავ მინად იქცა.

...მისი ახვილას კი მომავალი გაზაფხულისთვის  
ახალი, ხასსახა და ნორჩი ფოთოლი დაბადებისთ-  
ვის ემზადებოდა...

1995 წელი





# ოთარ ვურჯუმია

## ჰუმანუ

კვირა საღამოს დათოსთან ერთად ქორნილში მიდ-  
ოდა (დათო, ბიზნეს-მეგობარი ოფისიდან).

ხუთასკაცინ ქორნილს (შვილის ქორნილს) პატა-  
რა, მექრთამე ჩინოსანი იხდიდა, როგორც ხმა დადიო-  
და, მტკვრის რომელიღაც სანაპიროზე მდებარე არც  
ისე პრესტიჟულ, მაგრამ ფართო, გრძელდარბაზიან  
რესტორანში, თანაც რატომღაც და მაინცდამაინც  
კვირა საღამოს (ალბათ, მეორე დღეს, „ნამცეცობაზე“  
არაფინ მისულყო?).

ბოთეს ქორნილში მისვლა და იმ გარემოცვაში  
მოხვედრა ისე უნდოდა, როგორც ჩრდილოეთ პო-  
ლუსზე გამგზავრება და იქ პინგვინებისთვის მუცლის  
მოფხანა.

ქორნილში მისვლა ოფისიდანაც არავის უნ-  
დოდა, ამიტომაც „ბიზნეს-ალიანსის“ ყველაზე პა-  
სიურ ნეერებს — ბოთესა და დათოს დავევალათ იმ  
„ლიონსიძიებაში“ მონანილეობის მიღება. მართალია,  
ჩინოსანს ჩინიცა და თანამდებობაც, ერთი შეხედვით,  
სრულიად უმნიშვნელო ჰქონდა, მაგრამ ბიჭების ნა-  
ციოდელიარი ოფისიცა და ბიზნესიც მისი სამსახურის  
გავლენის სფეროში მოქცეული „ობიექტი“ იყო, ქორ-  
ნილში მიუსვლელობის ფუფუნება, შესაძლოა, ერთობ  
სავალალოდ დასრულებულიყო.

რესტორანს დათოს მანქანით მიაღვენენ (ბოთემ

თავისი შინ დატოვა).

შესასვლელთან მანქანების დასაყენებელი ადგ-  
ილები უკვე დაკავებული იყო.

დათომ თავისი „მერსედესი“ მოშორებით, თითქოს  
მორიდებით შეაჩერა.

— რა მოხდა? — ბოთემ დალლილად გადახედა  
(იფიქრა, ვინმე არასასურველ ნაცნობს თუ მოპკრა  
თვალიო).

— არაფერი, მანქანა აქ ჩავაყენოთ...

— რატომ?

— დათომ ამოიხვნეშა.

უხმოდ გამოხედა.

— კაცო, მიდი, იქ კიდევ რამდენიმე მანქანის ად-  
გილია...

— ადგილს მეც კი ვხედავ, მაგრამ... შეხედე, რო-  
გორი მანქანები დგას!

— როგორი?

— ყველა ასი ათას, ას ორმოცდაათათასდოლარი-  
ანები.

— მერე?

— არაფერი...

— კაცო, მიდი, ჩააყენე!

— იქ ვერ ჩავაყენებ...

— რატომ, სირცხვილია?



— არა?  
— როდის აქვთ გავიხიდა „მერსედესი“ სასირცხვილო მანქანა?

— ადამიანო, შეხედე, იქ როგორი „მერსედი“ დგას... ეს ჩემი, ოცი წლის წინანდელი ათას ხუთასდოლარიანი მანქანა იმით გვერდით როგორ ჩაიყვანო?

— ჰო, კარგი... — ბოთე სივარეტის კოლოფს ვადანხვდა... — ჩააყენე, საცა გინდა...

— სანამ ეგ ვირეშმაკა ჩინოსნები ასეთი ფუფუნებით ცხოვრობენ, მე უკეთეს მანქანას ვერც ვეღირებო...

— კი, კაცო!  
— რაო, ტყუილია?  
— არა, მაგრამ... რას იზამ, საქართველო.  
— სწორედ რომ საქართველოა და არა ჩაგუჩაგუნის ქვეყანა.

— საქართველოში ადრეც კი იყვნენ მექრთამეები. როგორ გვეკადრებთ!

— რაო, არა?  
— საჩუქარი — კი, ბატონო; ეს, რა თქმა უნდა, მაგრამ ქრთამი?... კაცო, „ოთარანთ ქერივი“ არ გახსოვს?

— მერე?  
— ხომ ნაგიკთხავს?  
— კი, ბავშვობაში...

— ჰოდა, გაიხსენე... ქერივი რომ გენერალს კაბინეტში ცოცხალ ქათამს შეუყვანს, მიაქრთამებს...

— ჰო, გავიხსენე...  
— იქ ხომ ჩანს, როდის და საიდან შემოაღწია ჩვენში მექრთამეობამ?

— ეგ უკვე ლიტერატურაა...  
— ილია!  
— კი, მაგრამ მაინც...  
— სამწუხაროდ, ადამიანი ადვილად ითვისებს ყოველგვარ სივალხეს.

— სამწუხაროდ... — ბოთემ დაუმონმა და რესტორნის კარებთან შექუჩულ ადამიანებს გახედა. — არ შევიდეთ?

— კი, ბატონო! — დათომ მაშინვე გამოალო მანქანის კარი. — მიდი, მოგყვები...

— ნახევარი საათი ხომ გვეყოფა?  
— ჩვენ კი, მაგრამ იმას... იმ ვირეშმაკას?

— მისთვის მთავარი საჩუქარია... მივაქრთამოთ, რაც გამოგვატანეს, და მორჩა.

— რატომ მაინცდამაინც ნახევარი საათი?  
— ფიქრობ, კარგი სუფრა ექნებათ?

— ალბათ...  
— რაო, დალევასაც ხომ არ აპირებ?

— არა, კაცო!  
— დიეტაზე ხარ?

— არა, მაგრამ გაძლომა და უცებ ნამოსვლაც უხერხულია, დაველოდოთ... სანამ სიმღერებს ნამოიყვებიენ...

— მშვენიერი აზრია, მერე გაუჩინარებასაც ვერ შეინიშნავენ, ხომ?

— თუ შენიშნეს, გადაირვიან?...  
— არა, მაგრამ... მივაგოთ კეისარს კეისრისა...

— კი, ბატონო, მივაგოთ!  
— მიავეს.

რესტორნის დარბაზში, ორ-ორ წყებად დანყობილ მაგიდების ვაღმა-ვაგომლა, თითქმის ყველა ადგილი უკვე დაკავებული იყო (უფალმა უწყობდა, როდის და როგორ მოასწრეს ასე უცებ და ასე შემხმატკბილებულად მისდგომა).

ნუგბარ-ნუგბარ, ნაირ-ნაირი, ერთიმორეზე საუკეთესო კერძებით დახუნძლულ სუფრაზე ცარიელი ადგილი აღარ იყო, თეფში თეფშზე იდო.

ბოთეს უკეთესი, კომუნისტურ რეჟიმთან გამოსამშვიდობებელი (ასე გამოვიდა) ათასკაციანი სუფრა მხოლოდ ზუგდიდში და მხოლოდ ვიჭო თოფურისათან (ვიჭო ჯენევეზში არ აქვერიოს) ენახა. უნებურად უცხოეთში ნანახი, იქაურ ტელეარხზე გამოცემული, ჯეივის ფონდასთან აღებული ინტერვიუ მოაგონდა... ფონდას შეეკითხნენ — როგორ ახერხებთ ასეთი მშვენიერი ფორმის მხარწუნებას, რომელ დიტებს იცავთო...

კინოვარკვლამა (იმ დროისთვის ასე ცნობილი მილიარდერის მუფლემ) მაშინვე ხელები გაასავსავა — პა, პა, დიტაზე ახლა წერაფერს მკითხავთ, ეს-ესაა, საქართველოდან ჩამოვედიო...

არა, ჩინოსანი არ წუნურაქობდა (ბოთემ ერთი გაფიქრება ისიც კი გაიფიქრა, ალალი იყოს, ღმერთმა შეარგოს ასეთ ხელგამოლო კაცს ყველაფერიო).  
— სადღაც ძლივს, ვილაცებშორის, ჩაეკეხნენ.”  
დათო გაღმა ვილაც ღიპიანს მიესალმა.

მოიკითხა.

ბოთეს უწერწულა — სახლი ვაკეში, სახლი წყნეთში, საბურთალოზე, ორთაჭალაში... რამდენიმე ძალიან ძვირფასი მანქანა, ფული...

— ჰოო?  
— ბევრად მეტის შოვნა შემეძლო! — სრულიად მოულოდნელად სამი-ოთხი სკამის იქით მჯდომმა „ლიპიანმა“ ორივეს ფხიზლად გამოხედა. — კი, კი, უფრო ბევრისა და უფრო მეტისა... — თავი გადააქნია.

ბოთე გაოგნებული მიაჩერდა.

— დახა, კარგი სმენაცა მაქვს! — ღიპიანმა ყურებზე მიიცაცუნა ხელი, ორივეს ნიშნისმოგებით შემოჰღიმა.

— კარგია, კარგი! — ბოთემ ხელები ასწია, თვითონაც გაულღიმა.

კერძებს დააცხრნენ?  
ვინ ვის დაასწრებდა, აჯობებდა.

ჭამდნენ?  
მტრისას... თუმცა, რატომ „ჭამდნენ“? პირველყოფილი ველური სიურცხვით აჩანაკებდნენ.

ჩქაფაჩქაფით (ვინ-ვის აჯობებდა).  
ყბების ტაკატუკუკუცით.

(კი, ბატონო, პურ-მარილი მუქთა ხომ არ იყო).

ალბათ, როგორც — „კარგ მთქმელს, კარგი გამკონე“ ასევე კულნარის შედევრსაც კარგი მომზარებელი... პატივისცემელი, მცოდნე, თავაზიანი...

ბოთეს გვერდით ვილაც თვალებგამოკარკულული, ღიპიანი ყაძანი იჯდა, მსუქანი, ბანჯგვლიანი მკლავებით მაგიდას დაყრდნობილი ოლქუმებოდა, პირწმინდად ასუფთავებდა იქაურბობა.

ოვლი ღვარად ჩამოსდიოდა.

აღარ ცხრებოდა.

— თქვენ სად მუშაობთ? — ბოთემ ვეღარ გაუძლო, გაღიზიანებით ახედა.

— პოლიციაში. — ლიპიანმა წამით მოხედა.

— მინე მერე იქით გე შენი იდაყვი და მუხლი! ლიპიანი ოდნავ შეცბა.  
გასწია მუხლიცა და იდაყვიც.

— ასე ძალიან შეგანუხეთ? — შემდეგ ბრაზიანად მიაჩერდა, შეათვალიერა.

(ბოთემ კინალამ მიახალა: — ნუ მიყურებ, როგორც ხაჭაპურის ნაჭერსო).

წყალი მოსვა.  
არაფერი უპასუხა.

— უპაცრავად, თქვენ სად მუშაობთ? — მოპირდაპირე მზორიდან ვილაც ჩაკურატებული, ფაჭაფიანი ქალბატონი (პირდაპირ მწვანელების სანაყი ქვიჯა) დაინტერესდა, დაყინებით მიაჩერდა.

— არსად...  
— მაინც?

— „მაინც...“ ვზივრი ჯარგვალში და ველოდები მერცხლების მოფრენას.

— კარგია...  
— რას ვიზამთ... — ბოთემ მოზოდშიებით შეპღი-მა.

ნამოდგა.  
— ნავე-ვი! — დახიზრა, დათოს უჩურჩულა, პირის დაღებაც აღარ დააცალა, ისე მოშორდა იქაულრობას. კართან წამით შედგა.  
შეებით ამოისუნთქა.

— გეწყინა რამე? — დათოც მამოწინე გამოჩნდა.  
— აღარ მინდა, კაცო, ამითან...  
— მაგარი პურ-მარლია, მშაო... ნუ იბუტები, ქართველები ვართ! — დათოც ცალყუად ჩაიცინა.

— ქართველი კი არა, მექრთამე ვირიშვილები არიან... შენ რჩები?

— კი, დავლევ კიდევაც... მაგის დედაც ვატირე, მაგისი...

— კი, ბატონო! — ბოთემ სიგარეტი ამოიღო. — კარგი, მე წავალ... ჩავისეირნებ...  
ფეხით ჩაუსყვანა სანაპიროს გასწვრივ ტროტუარს.  
მერე შედგა.  
ამოიხვნემა.

ეს უკვე მერამდნეად იწინა, რომ სხვის მანქანაში ჩაჯდა, საკუთარი მიატოვა (რამდენჯერაც მიატოვა, იმდენჯერაც სანანებელი გაუხედა) თუმცა, ასე ვიხიოდა და ასე ნელ-ნელა სიარული, იქნებ, სასარგებლო და საინტერესოც კი ყოფილიყო (თუ არ გაძარცვავდნენ)  
— გზადაგზა რამდენ ღირსშესანიშნაობასაც იხილავდა... საინტერესოა, ასე ფეხითა და ასე შეუსვენებლივ რომ ეველო და ეველო, სად ამოჰყოფდა თავს?  
კალიფორნიაში?

ბოზოყვეთში? (თუ ბოზოყვეთი?).  
თუ „სალორიეს ტყეში?“  
ანდა...

დროის რომელ მონაკვეთში?  
ფიქრებში გართულს სრულიად მოულოდნელად ვილაც ახვარამა მხარი ისე გაპკრა, კინალამ წააქცია.

— რა იყო, ბიჭო! — ბოთე უნებურად შედგა, მიუტრიალდა. — ვეღარ გაეტიე ამხელა გზაზე?

— შენ? — ახვარიც წამსვე მოუტრიალდა. — შენ

გაეტიე? — ურცხვო, მსუსყე სახით მიაჩერდა.  
ბოთე უცებ გამოეხიზლა.

სქელშუბლიანი წამით უხმოდ შეათვალიერა.  
— კარგი, მოშორდი აქაურობას... — მერე გზის გაგრძელება დააპირა, ხელი ჩაიქცია.

იცოდა, ეგენი ვინც ბრძანდებოდნენ (სქელშუბლიანისთვის დიდი ბედნიერებაა, თუ ვინმეს მკერდზე ფეხი დაადგის, „გადაურა“); იცოდა, რანაირად დაესაჯა, როგორ აედრიალებინა, მაგრამ ისიც მშვენივრად უწყნად, რომ „სამართალ-დამცავები“ (საბჭოთა პერიოდში მაინც) მუდამაქედ და რატომღაც ამათ, ამ „დაზარალებულთა“ მხარეს დგებოდნენ, ამათ იცავდნენ... ქამის შთამომავალი, პროლეტარიატის დიქტატურის პირმის, ურცხვო მოძალადე რატომღაც გალაღებული ჰყავდათ (რამდენჯერმე ძვირად დაუჯდა მათი დასჯა).

— მე შენი „ბიჭი“ ვარ? — ახვარმა ნაბიჯი გადა-მოდგა.

— ვხედავ, ვინც ხარ!  
— ვინ ვარ? — დემიტი ვაფთირდა. — ჰა, თქვი!

— გითხრა მაინცდამაინც? — ბოთემაც გადადგა ნაბიჯი, მიუახლოვდა. — რომ გეწყინოს, ბიჭო?

— მე შეწყინოს? — ახვარმა ცალყუად ჩაიცინა, მაგრამ რაღაც იგრძნო, ფერი წაუვიდა.

— იცოდე, განწყინებ... სიცხევილია, ამ სიფართო გზაზე ორმა ერთმანეთს გვერდი ვერ აუაროს.

— მით უფრო ქართველებმაო? — დემილი უცებ „დაიშალა“.

— ქართველი ხარ?  
— აბა?... — მერე ისევ შეათამაშა მხარი.

ბოთეც უცებ „მოლაბა“.  
ისევ მიაჩერდა.

მშვენიერი, სიმპათიური სქელშუბლია.  
— აბა, ვინ გეგონე? — ახვარი მთლად გადაბილ-და.

— რა ვიცი... რა აღარ ვიფიქრე... — ბოთეს ახლა სულაც სითბო ჩაუდგა თვალებში (იმ დღეს, სხვა რომ არაფერი, მეს უკვე მორად აცილა შარი, შუებით ამოისუნთქა).

ფრიად „მეგობრულად“ დაცილდნენ ერთმანეთს.  
სადაღც ვილაც „ბრძენს“ უთქვამს: „საკომუნო გა-ნავალი არ ყარსო...“ შინ კმაყოფილი დაბრუნდა.

ჭიშკართან საფოსტო ყუთში ჩაიხედა.  
პუმუსუგან — არაფერი.

საერთოდ, არაფერი...  
დივანზე წამოწევა.

ტელევიზორი ჩართო.  
შემდეგ ლიპიანისკენ გადაინაცვლა.

ჩათბუნდა.

პატარობისას, სადმე მდინარის პირას საბანაოდ გასულნი ზოგჯერ „უბორო“-ს (ასე ეძახდნენ) თა-მამოზდნენ, უფრო სწორად, თამაზოზდნენ დიდები (უკვე ნაშობიბული, ვიხივით ბიჭები), მონანილიკო-და ორი („სქელშუბლიანი“ და „ბრტყელშუბლიანი“); სხვადასხვა მხარეს დგებოდნენ, შემდეგ გამორ-ბენი და, — ბაახ-ბუხო... მერე ისევ და ისევ... „დაბრულადამდე...“ თამაშის მთელი „ემში“ იმაში იყო, რომ „მხაერი“ გამარჯვებულს აუცილებლად კა-არგ, მაგარ-მაგარ „ბაჩურს“ პანჩურებს ამოტრყამდა

ხლომე...

მეორე დღეს შინიდან აღარ გასულა.  
 ტელეფონიც გამოართო.  
 რამდენიმე დღის შემდეგ კეკის შეხვედა (სრულიად  
 შემთხვევით, ფილარმონიასთან).

ბავშვთან ერთად იყო.  
 შეხვებია.  
 მიესალმა.  
 — ეგ ვინ არის, კაცო? — მანქანიდან გადმოვიდა,  
 პატარასთან ჩაცუცქდა, მოეფრა.  
 (ლამაზი ბავშვი იყო, თეთრი, ოქროსკულულები-  
 ანი).

— ჩემი შვილია. — ბავშვს კეკიმაც თავზე გადაუს-  
 ვა ხელი. — ხომ კარგი გოგონაა?  
 — ძალიან... რა პკვია?  
 — მარი.  
 — მარი, სკოლაში როდის მიდიხარ?  
 მარიმ დაირცხვინა.  
 ხმა არ ამოიღო.  
 — მითხარი, როდისო?  
 ისევ არ უპასუხა.  
 მეჩუთითები გაშალა, დათვალა, სამი მოკეცა, ორი  
 გამოიშვირა.

— ორი წლის შემდეგ?  
 — დიხ!  
 — ყოჩაღ შენ... ლაპარაკიც გცოდნია?  
 — დიხ!  
 — სად მიდიხარ? — ბოთე კეკის მიუბრუნდა.  
 — არსად, ისე... ესერიწობთ...

ბოთემ დედა-შვილს გადახედა, წამით შეათვალა-  
 რა და უცებ რაღაცამ წამოუარა, ორივე შეეცოდა.  
 — გინდათ... გინდათ, კუს ტბაზე აგვიყვანო!  
 — გცალია? — კეკის თვალები გაუბრწყინდა.  
 — ავიდეთ, კაცო!  
 — გინდა, დედი? — მარის გადახედა.  
 — ნაყინი?  
 — ნაყინიც იქ ავიღოთ.

ავიდნენ.  
 გაისერიწნეს.  
 მეჩუ რესტორანშიც შევიდნენ, ისადილეს.  
 ბოლოს, ის-ის იყო, წამოსვლას აპირებდნენ, რომ  
 ბიჭე გვერდითა მანქანიდან კარგა ხნის უნახავი (ცნო-  
 ბილი „აუტორიტეტი“, ახლა ფულიანი) ნაცნობი გად-  
 მოვიდა.

გადაკოცნეს ერთმანეთი, განზე გადგნენ.  
 — რას შვები.  
 — არაფერს.  
 — გამეზარდა შენი ნახვა.  
 — მეც...  
 — როგორ ხარ?  
 — ისე რა...  
 — რას პკვია, „ისე რა!..“ — ბენი (სადღაც პას-  
 პორტში, ალბათ, ბენიამინი) უცებ მოიღუშა, ბრაზიანი  
 თვალებით მიაჩერდა. — მაგრად დუნდა იყო!  
 — ვიქნები... თუ ვიქნები!  
 — როგორ?  
 — რა ვიცი, რაცხა ვეღარა ვარ ისე...

— შენ რეებს ლაპარაკობ, კაცო! — ბენმა სავარცხ-  
 ელი ამოიღო, თმის ვარცხნა დაიწყო (თავზე თმა სულ

ორიოდ ღერი ჰქონდა). — შენ იცი, ნაპოლეონმა რა  
 ქნა?

— რა ქნა?  
 — ნაპოლეონს ვატერლოს ნინ სიცხემ ოც-  
 დაცხრამეტამდე აუწინა...

— მეჩუ?  
 — გაგიჟდა კაცი, სარკე მომიტანეთო, იღრიალა...  
 მოუტანეს სარკე, ახლა ყველანი გარეთ გადიდითო,  
 ბრძანა... ჩახიხდა სარკეში — ნაპოლეონ, მე შენი  
 დედა მო...ნ, შენი, ახლა რაღა დროის შენი სიხეხა, ნინ  
 ვატერლოო გაქვს, მე შენი დედა, მე შენი მამა... აგინა  
 და აგინა სარკეში თავის ორეულს... მეჩუ დაუძახა ყვე-  
 ლას, ხელახლა გაუზომეს სიხეხე და ნახეს, რომ ნორმ-  
 ალური ჰქონდა... აი, ასე ორ-ნუთში მოიშორა ავად-  
 მყოფობა და მოიგო კიდევაც ის ბრძოლა, გაიგე?

— მართლაც? — ბოთე ლმობიერული მისჩერებოდა  
 (ეცყოდით, ასე არ ყოფილა ან სად ამოიკითხეთ?)

— რა მართლა!.. ასე იყო, გუგუნები... ჰოდა, შენც  
 სწორედ, აი, ასე მაგრად დადექი, რას მიქვია, თუ  
 ვიქნებიო!.. ასი წელი იქნები, ათასი, ათი ათასი წელი,  
 მილიონი, მილიარდი წელი იცხოვრებ, გაიგე?

— გავიგე! — ბოთეს გაეცინა (რომილილაც კარგი  
 ენერგიით დაიმუხტა). — კარგი, წავიდი...

— ეგ ვინა გყავს მანქანაში? — ბენი წამით ისევ  
 მოიღრუბლა. — იცნობ?

— კი, რა თქმა უნდა...  
 — ჰო, მაშინ კარგი. — შემდეგ რატომღაც მრა-  
 ვალმინიშენლოვნად შემოხედა. — აბა, მაგრად იყავი!

— იცოცხლე...  
 — დიდი მაყუთები იმოვეს! — მანქანაში რომ ჩაჯ-  
 და დაეპოეს, ერთხელაც გამოხედა.

— მაგარი!  
 — მეჩუ?  
 — რა მეჩუ?  
 — შენ რატომ არ მიხედედი?  
 — საად?

— იქ, იმასთან... რაო, ის კაცი აქეთ მოგძებნიდა?..  
 არიქა, ესა და ეს კაცი მომიძებნეთ, უთხარიტო, ვაუ-  
 ჩერები მოაგროვოს, ამა და ამ შენობის პრივატიზაცი-  
 აში მივალბინოთ მონაწილეობაო?

— არა, რა თქმა უნდა. — ბოთეს ისევ გაეცინა.  
 — აბა, რას წუნუნებთ, ფული იმან იმოვა, ვინც მი-  
 ვიდა და მზარნი ამოუღდა.

— არა, არ „ვწუნუნებთ!..“  
 — აბა?  
 — უბრალოდ, არ შემიძლია ასე...

— რატომ?.. „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო  
 გვარი მისი?“

— ზუსტად...  
 — ეგაც მართალია. — ბენიმ თავი გადააქნია.  
 მანქანა ბოთემაც დაქოქა.

შემოატრიალა.  
 — ვინ იყო? — კეკიმ გამოხედა.  
 — არი რა, ერთი... იცნობ?

— ვერ გეტყობ... მაგონ, სადღაც მინახავს...  
 — თბილისელია, სადღაც კი გეყოლება ნანახი.

— ალბათ...  
 — ახლა საით მივდივართ? — ბოთემ ჩახველა.  
 — თავისუფლების მოედანზე. — კეკიმ მობოდიშე-

ბით გამოხედა. — თუ შეიძლება...

— რა თქმა უნდა.

— იცი, როგორი მადლობელი ვარ შენი?

— კარგი რა!

— დედას ვფიცავარ; იმას, რაც შენ მე დღეს გამიკეთე, არასოდეს არ დაგივინებ... არა, მართლა, მართლა, დედას ვფიცავარ...

— კარგი, ქალო, არ გრცხვინია?

— ხომ არ გეყვინა, ახლა სახლში რომ მივდივარ?

— გაგიჟდი? — ბოთემ წამით ბავშვს გახედა. —

დაგირეკავ ხვალ-ხვებ...

— დარეკე.

— კი, აუცილებლად...

მოედანზე დაემშვიდობნენ ერთმანეთს. გამობრუნდა.

მანქანა ჭიმკართან შეაჩერა.

ჯიხურთან შექუჩულ „ბორჯიჭიკებს“ მისვალმა (რაც იგი ვახალისებულნი ჩანდნენ).

— რა ხდება?

— შეხედე, რა დღეში არიან! — მაღაზიასთან შეჩერებულ, კარებგამოღებული ტაქსისკენ ანიშნეს. — რესტორანში მიდიან ეგ დამპლები...

— ვინ ეგენი?

— ვერ ხედავ?... პენა, ნესტორა, სოსოიე...

— ფული?

— ფული იმოვეს.

— საიდან?

— ჯეფრომ აშოვინა.

— ჯეფრომ როგორ...

— ჯეფროს ხომ კომპიუტერი აქვს, ენებიც იცის, იქედან, ინტერნეტია თუ რაცხა უბედურობაა, იქ გამჭერადა და შეუტყვია, რომ საბერძნეთში ვიღაცას ცემენტით ჩირღებოდა...

— მერე?

— მერე შეკრიბა ეგ ნაგავები... ასწავლა რა და როგორ... დაუჯერეს, ცოტ-ცოტა ფული ყველამაც მამინევი გამოაჩინა, ზოგამც რაღაც გაყიდა, დააგირა... ცემენტს რუსთავიდან თურქეთში ეგ თოფიკ ესვენჯე გააყოლეს... თოფიკას ხომ იქ ნაცნობები ჰყავს... იქედან ბერძნებმა ნაიღეს და ფულიც მამინევი აქეთ ბანკში გადმოურიცხეს... ჯეფრო კომპიუტერითა და მობილური ტელეფონით ხელმძღვანელობდა ყველაფერს...

— ყოჩაღ!

— კაცო, რას ამბობ... ერთს კი არა, ხუთს ერთად ამოვინა ფული!

— ახლა სადაა, აღარ მიდის საქეფოდ?

— კი, კაცო, მეტი საქემ არა აქვს... ჯეფრო მხოლოდ შაბათ-კვირა ისვენებს... თანაც ახლა რაში ჭირდებათ, ერთადერთი, რასაც ჯეფრო ამათ ვერ ასწავლის — ფულის განიავება. ორიოდ კვირაში დედას უტირებენ იმ თორმეტი ათას დოლარს.

— თორმეტი აიღეს?

— კი, ხუთის სანილოდ...

— ცოტაა? — ბოთემ ჭიმკარი გამოაღო. — კარგია, კარგია! — მანქანა ეზოში შეიყვანა, მაგრამ მერე რაღაცემ წამოურა, ღამის თორმეტი საათზე წამოდგა, მანქანა დაქოქა, წავიდა, ღამის ქალაქში გაისივინა და შემდეგ ერთგან კაზინოშიც შეიხედა.

ფსონები აიღო.

ითამაშა.

ითამაშა, მაგრამ... მერე იქიდან იმ ერთადერთი ოცდოლარიანის ნაგებისთანავე სკიპიდანწასმული-ვით გამოვარდა.

(ინანა, რომ კუს ტბაზე ბავშვს არ აჩუქა).

წუნურაქობისთვის დაისაჯა (ასე დაასკვნა).

ისევ მანქანაში ჩავდა.

ისევ წელი სვლით, უხალისოდ ჩაუყვავა დაცარიელებულ ქუჩებს.

რამდენიმე უცხოურმა მანქანამ ჩაუქროლა.

გახედა, თვალთ ვაყოლა (იქნებ, სადმე, შემთხვევით, რომელიმე მანქანაში, პუმპუსთვის მოეკრა თვალი).

ყოფილი საბჭოთა — დღესაც „ტუზდაცემული“, ახლაც რბილ-რბილ საეარძლებში მოკალათებული ჩინოსანი (უკვე კარგად-კარგად მოსუქებული „ტახი“) საქმეებს გვიან ღამით აგვარებდა ხოლმე (დღისთმისთვის ქუჩებში აღარ ჩანდნენ).

ყველა ჯოკერი — ღამე.

ფულეების მიტან-მოტანა.

გადაცემ-გადმოცემა.

ჩანყობები.

ღამე...

მათი მსუქან-მსუქანი, ფუმფულა ქალებიც უფრო ღამით „მოძრაობდნენ“.

ყავა — ღამის სამ საათზე.

მიპატივება.

გადმობატივება, მისვლა-მოსვლა (გამანარებული ჰყავდათ „დაცვის სამსახური“).

ჭირიკანობა.

კონიაკი.

ისევ ჭირიკანობა (არა სატელეფონო, რა თქმა უნდა).

ტკბილეული.

სივარეტი.

„ჭიქაში ჩახედა“.

ისევ ყავა...

ბოთე შურიანი არ იყო (არც „შავი“ და აღარც „თეთრი“), მდიდრების სანიწაღმდეგო — არასოდეს არაფერი, პირიქით — რაც მეტი, მით უკეთესი, მაგრამ მექრთამე ჩინოსანს, ალბათ, მოზამბიკაშიაც ვერ იიტანდა (რა თქმა უნდა, თუ იქ ასეთები იყვნენ).

მეტი არაფერი.

სულ ტყუილა იხეტილაო.

ჭიმკარს გამთენიისას მიადგა (საფოსტო ყუთსაც სულ ტყუილა ჩახედა).

ღმის მეორე ნახევარში ოფისიდან პირდაპირ „დეზერტირების“ ბაზარში წავიდა, „ოქროს ბირვა“ იკითხა, შემდეგ მანქანა ჩააყენა, იქითკენ ფეხით გაისივინა და იქ უნივერსიტეტის კვის დაბალ „მოაჯირზე“ გაზეით გაშალა, ჩამოჯდა, სივარეტი გააბოლა.

„ბირვას“ გახედა, შეათვალევარა.

პუმპუ არ ჩანდა.

— გამარჯობა შენი! — ვიღაც მამინევი თავზე წამოადგა.

— გამარჯობა!

— როგორ ხარ?





— გმადლობოთ, თქვენ? — ბოთემ ახედა (ეს ვილაცა უკვე მთლად აფრენდა).

— გაბღური! (არ მოგეკვი) — უცნობმა რაღაცნაირად ჩაიციხა.

— ოჰ, მაგისგან ღმერთმა დაგვიფაროს, შუე კაცო!

— ჰამენ, ბატონო! (ამინ, ბატონო!).

— როდის ჩამობრძანდით?

— ოთხი-ხუთი დღეა... ლტოლვილების სასტუმროში ვარ გაჩერებული.

— ეგ რომელია?

— „აფხაზიაში“, საბურთალოსე რომაა...

— გასაგებია.

— მე შენ ვერ მიციანი, ხომ? — უცნობმა შემოპღიმა, მოაჩერდა.

— კი, როგორ არა, მაგრამ... რაცა მთლად ბოლომდე ვეღარა...

— ჩიკინე ვარ, ბიჭო, ბგათელია.

— აა, ჩიკინე? — ბოთე „გაიზადრა“.

გულითადად ჩამოართვის ხელი ერთმანეთს.

— გახსოვს, პატარაობისას რომ ჩაის ფაბრიკის დირექტორს მოტოციკლეტზე შეეპარე?

— უჰ, მაგას რა დამაინტერესებს, შეე კაცო!

ბოთე ღმერთული აპყურებდა, პასუხობდა. ეს კაცი, მართალია, სადღაც კი ენახა, მაგრამ სად და როდის, ვერაფრით გაიხსენა, ურთიერთობის ვერც ერთი შემთხვევა ვეღარ მოიგონა.

— მოტოციკლეტი? — შემდეგ ისევე ახედა. — რაღაც არ მაგონდება...

— კი, ბიჭო, როგორ არა, დირექტორი... ის მკვდარი სული...

— კარგი, ახლა რას აკეთებ?

— ახლა, ამნუთას?

— არა, საერთოდ...

— საერთოდ, „აფხაზიაში“ ვარ... მეხუთე სართულზე მშენებელი აივანიანი ნომერი მქონდა, აივანი პირდაპირ პროსპექტზე გადიოდა, შუქი ყოველდღე, ტელევიზორი... ტელევიზორი უფასო, ჩართე და უყურე, რამდენიც გინდა, გადასახდელი არაფერი, მაგრამ... გუმში პირველ სართულზე ჩამოვედი.

— პირველზე რატომ?

— გითხრა?

— მითხარი... ოღონდ, მოკლედ...

— გაგეცინება.

— არა...

— ბიჭო, იმ აივანმა გადამრია... რაღაც ცხვანტი (მოუსვენრობა) შემოჩნდა, არ მასვენებდა — მიდი, გადახტი, გადაფრინდი, გადაფრინდი...

— უყურე შენ!

— პირდაპირ ფრენა-ფრენით გადაადგოდები რომელიმე პლანეტაზეო...

— გაფრენა, იცოცხლე, კარგია, მაგრამ შემემინდა, ჯიმა; მივხვდი, რომ იქვე ცხვირით ჩავეჭობოდა ლაფაროში და ჩამოვედი პირველ სართულზე... ახლა ტელევიზორი არა მაქვს, მაგრამ დავისვენე...

— კარგად გიქნია.

— ხომ ჩავეჭობოდი?

— აბა!..

— შენ კოკო შანა გახსოვს?

— ცოცხალია?

— მართლა გახსოვს?

— კი, კოკო შანელი...

— არა, კაცო, კოკო შანელი არა, კოკო შანელი მილიონერი იყო... მთლად ცხოვრება პარიზში და სასტუმრო „რიტცში“ ცხოვრობდა... ჩვენ კოკო შანა კი აქ, კოლმეურნეობის მინას ჩიქქინდა...

— შო, ვიცი...

— შოდა, კოკოსაც შეჯდომია ცხვანტი — კოკო, ჩახტი, ჩახტიო, აღარ ასვენებდა თურმე.

— სად ჩახტიო...

— ჭაში, კაცო... მაგრამ არც ის არაა მთლად სულელი, უფეირია — ხომ არ მატყუებდს და, ჯერ ჭაში ისე ჩახსულა, წყალი გაუზომია... ტყუილა რომ არ ჩამტარიყო...

უფაღმა უწყოდა, ჩიკინე ბგათელია რას და საითკენ მიგრეკებოდა, რომ „ოქროს ბირფაზე“ პუშპუ გამოჩნდა.

ბოთემ დაინახა, გახედა.

მიაჩერდა.

ვიღაც ზღარბივით თმაშეკრეჭილი ღიბანი ჯუჯასთან იდგა.

პუშპუმაც დაინახა, გამოხედა, რატომღაც კოპები შეკრა.

თვალი აარიდა.

ბოთემაც მაშინვე აარიდა თვალი და, მერე რომ მიტრიალდა, არც პუშპუ და არც ის ჯუჯა იქ უკვე აღარ იყვნენ.

მოჩვენებასავით გაუჩინარდნენ.

— ვინმე ნაცნობი დაინახე? — ჩიკინე ხელზე ნაეპოტინა.

— არა, ისე... მივამსგავსე... — ბოთემ სიგარეტი ამოიღო, გააბოლა, მიანოდა. — მერე... კოკომ რა ქნა?

— არაფერი... ჭაში წყალი აქამდე... აი, ასე თავზე-მით ყოფილიყო... შესცივდა თურმე, უყვრია — მიმველო!

— გადარჩა?

— კი, გადარჩა, უცხოელმა ამოიყვანა... იქ ხომ „ობიესია“ თუ რაცა რომ პქვია, იმათ გაუგონიათ ყვირილი...

— ხომ არ გაციებულა?

— არა... შემინდა მხოლოდ...

ოდნე უხალისოდ დამშვიდობნენ ერთმანეთს (შემდეგ ბოთის გული დასწყდუკ ნახავდა კია ოდენზე კიდევ ჩიკინის, მუხვებობა?).

ბოთესაც კი, როგორ არა, ზოგჯერ რაღაც ნაშოუ-ვლიდა, მაგრამ მთლად ისე არა... უბრალოდ უყვარდა ხოლმე დროსა და სივრცეში გადაადგილება, თუმცა ჭირდა ისეთ პლანეტაზე მოხვედრა, სადაც არ იტყუებოდნენ... არ იპარავენ, არ კლავდნენ... (ძნელი იყო, ვეღარ პოულობდა, ვერა, ასეთ პლანეტას). ერთხელაც იყო და სულაც რომელიღაც ისეთ პლანეტაზე ამოყო თავი, სადაც ადამიანები თავდაყირა დადიოდნენ, ყველგან, კიბებზეც თავდაყირა ადიოდ-ჩამოდიოდნენ, ფეხებით უსალმებოდნენ ერთმანეთს, მანქანებსაც კი ფეხებით მართავდნენ... შეემინდა, დაფოდა, ცოტადა დააკლდა, კინაღამ ჩარჩა იმ თავდაყირა მოსიარულეთა პლანეტაზე... შემდგომ ამისა, კარგა ხნით შეწყვიტა დროსა და სივრცეში გადაადგილებიანას

თამაში.

პუმპუმ მეორე დღესვე მოაკითხა.  
სახეგანათებულმა და პირმოციწარმა პირდაპირ  
„შემოწაობა“ ეზოში.

— როგორ ხარ? — ლოყაზე აკოცა.  
— გამაღობოთ, თქვენ?  
— ვინ „ჩვენ“? — გამომცდელად მიაჩერდა.  
მერე ჟურნალების მაგიდასთან ჩანთიდან ფული  
ამოიღო, დააბრუნა (ბოთეს ძალიან გაუკვირდა).  
— ბევრი მოატყუე? — ღიმილოვანი მიაჩერდა.  
— ბევრი.  
— კაცები თუ ქალებიც?  
— ქალებიც... მე შენ მომიტყუებინარ?  
— უპ, რას ამბობ!  
— აბა, რა გინდა?  
— არაფერი.  
— არა, ერთი ქალი მართლა მოვატყუე... ასე გამოე-  
იდა... — პუმპუმ „გულაღალად“ შემოპოპიდა.

— როგორ?  
— ოპ, რა ვიცი მე... ძალად შემომეტენა.  
— მართლა?  
— მართლა, მართლა, მთელი კვირა მეხვეწებოდა  
ჩემი ოქროც ნაიღო...  
— სად ნაიღო?  
— თურქეთში... იქ ხომ ოქრო უფრო ძვირია.  
— თურქეთში იყავი?  
— გაგიჟდი?  
— აბა?

— ისე, ხუმრობით გამბობდი ხოლმე, თურქეთში  
მივდივარ-მეთქი... ახლა უკვე იქ ვეღარ გამოვჩნდები,  
ქვეყანა აანრილა... სულ ფანჩრები დაიგლიჯა...

— რამდენი ნაიღი?  
— ხუთასი დოლარისა იყო...  
— ეს ის ქალია, რომელმაც სამუშაოდ მიგინვია?  
— კი, ისაა... მიმინვია არა ისა...  
— ოთხი შვილის დედა?  
— ოთხის არა, შვიდისა... მე რა ვიცი!..  
— არ შეგეცოდა?  
— შემეცოდა?... იცი, რამდენი ოქრო აქვს?  
— ბევრი?  
— კი, ძალიან... თვითონაც არ იცის, რამდენი...  
— აბა, შენ ახლა ფულიანი ქალი ყოფილხარ...  
— საიდან? — პუმპუმ გაიკვირვა. — თამაზმა  
ნამართვა მაშინვე ყველაფერი, ჩემი ბეჭდები და საყ-  
ურებიც ზედ მიაყოლა... აი, ნახე, როგორა ვარ დალ-  
ურჯებული? — თმა გადასწია, ჩაშავებული საფეთქელი  
დაანახვა.

— ეგ რა არის...  
— მცემა.  
— რატომ?  
— არ ვაძლევდი, ძალით ნამართვა... არ ვაძლევდი  
ცოცხალი თავით...  
— თამაზი ვინაა?  
— ქმარი...  
— ჩამოგივიდა?

— კი, კაცო, რა ხანია... არ ვიცი, როგორ იყნოსა, რო-  
გორც კი ბიზნაზე დაინწყე მუშაობა, მაშინვე გამოჩნდა...  
საერთოდ, სულ ასეა, პატარა სულის მოთქმას როგორც  
კი დავაპირებ, ნამუშევრს აქ განხედება, ყველაფერს მართ-

მევს ხოლმე.

— თამაზი ჰქვია?  
— კი, თამაზი.  
— თამაზი და რუსი — რალაც არ გამიგია...  
— ვინ გითხრა რუსიოა... უბრალოდ, რუსეთში ცხოვ-  
რობს-მეთქი, გიხსარი.  
— ქართველია?  
— კი, დიდ ლილოში დაბადებულ-გაზრდილი.  
— ესეც, კაცო?  
— რატომ ესეც... კიდევ ვინაა იქედან? — პუმპუს  
გაუკვირდა, ღიმილით მიაჩერდა.  
— იყო ერთი... უღვაშა... შვილები გყავთ?  
— აღარ გვეყოლა, უნდოდა კია...  
— კარგი... ყველაფერი ეს კარგი და პატიოსანი, მა-  
გრამ, თუ გცემა და ნაგართვა, ეგ ჩემი ფული როგორაა  
დააბრუნე?  
— დაქალს ვესესხე...  
— რომელს, მადონას?  
— არა.  
— მაიკოს?

— ოპ, მაიკო ისეთი წუნურაქია, ზამთარში თოვლს  
არ მოგეცემს. რატომ მკითხები... რაო, არ უნდა დამე-  
ბრუნებინა? — შემოხედა, ცნობისმყოფარობით აევსო  
თვალები.

— ეგ არ მითქვამს.  
— აბა?  
— კარგია, რომ დააბრუნე...  
— მე სიტყვის ქალი ვარ!  
— რა თქმა უნდა... მადონა როგორაა?  
— კარგად...  
— ბავშვიც ხომ კარგად?  
— ლევანიკო?... ლევანი მართლა კარგი ბიჭია. მგონი,  
რომელიღაც საშხერო სასწავლებელში ეწყობა... რა-  
ტომ კითხულობ, მოგწონს მადონა?

— კი, წესიერი ქალია.  
— შეყვარებული ხარ? — გადაიკისკისა.  
— რატომაც არა... ესე იგი, გამოდის, რომ შენ ახლა  
უფულოდ ხარ?

— რატომ უფულოდ? — პუმპუს თვალი აუციმციმ-  
და. — აგერ, „მარშრუტის“ ფული კი მაქვს...  
— შოი? — ბოთეს გაეცინა. — რალაც უნდა გკითხო,  
ოღონდ არ გაბრაზდებ, კარგი?  
— კითხვ, არ გაგბრაზდები.  
— შენ ყოველთვის ასეთი იყავი?  
— როგორი?

— როგორიც ხარ... ასე შემდეგ და ასე შემდეგ...  
— ასე შემდეგ და ასე შემდეგ, მხოლოდ თამაზის  
ხელში... მაგან გამიბრუნა მთელი ცხოვრება, მასთან წყ-  
ლის ნაყვამი გატარებულმა წლებმა გამაუბედურა.  
— არ ვიცი...  
— არ გჯერა?

— სიძარბოვ გითხრა, არა. — ბოთემ ამოიხვნეშა. —  
შენ ახლა რაც აქ მოყვირი, იქიდან, იმ მენი ჩალურჯებული  
საფეთქლის გარდა, არაფრისა არ გჯერა.

— გამაღობო! — პუმპუ სიგარეტს გადასწვდა. —  
არც დაიჯერო, ვინ გეხვეწება?  
— არაინ... ყავას დალევ?  
— არა.  
— მიდიხარ?



— სად მიშვებ?  
 — მე რა ვიცი, საით გაგინვია...  
 — არ ჩაენვით? — ლოგინზე ანიშნა, ჩაიცინა.  
 — არა.  
 — რატომ?  
 — შენი ქმარი?  
 — გიშლის?...  
 — შენ არა?  
 — მე? — პუმპუმ ყელი მოიღერა, გადაიკისკისა. — მე მიშლის? — მიაჩერდა, ისევ გადაიკისკისა.  
 — გეყოფა...  
 — მართლა არა? — ისევ სანოლზე ანიშნა.  
 — არა... ქმარი თუ არ გედარდება, იმ შენს ჯუჯას მოეფერე... ანი როცა მოგინდება, იმას ჩაუნექი ხოლმე.  
 — რომელ ჯუჯას?  
 — ვისთანაც იყავი.  
 — სად... როდის იყავი?  
 — „ოქროს ბირფაზე...“ გუშინ...  
 — ბირფაზე, რა ხანია, ველარ გავდივარ-მეთქი, არ გითხარი?  
 — შენ გუშინ ბირფაზე არ იყავი?  
 — გავიჟიდი?  
 — არც მე დაგინახივარ, ხომ?  
 — როგორ დაგინახავდი, თუ არ იყავი?  
 ბოთე წამით თვალებში მიაჩერდა.  
 უცებ თავი ასტკივდა.  
 — გინდა, გითხრა, როგორი კაბა გეცვა?  
 — როგორი?  
 — ლელვისფოთლებიანი.  
 — რომელი? — ისევ გადაიკისკისა. — მე სადა მაქვს ფოთლებიანი კაბა?  
 — სულ ეგ არ გაცვია ხოლმე?  
 — მითხარი, მაგდებ?  
 — არა, მაგრამ... მე სხვაგან მივდივარ... — ბოთემ დალოლიდა გადახედა, წამოდგა, გაიარ-გამოიარა, მერე ჯიბიდან ფული ამოიღო, მიადგა. — აპა, ეგ შენი ფული ნაილე!  
 — ჩემი რატომბაა, შენია... — პუმპუ გაიბადრა, მიაჩერდა.  
 — აილე, ახლა არ მჭირდება.  
 — დიდი, დი-იდი მადლობა... ხომ იცი, ისევ მალევე დაგიბრუნებ...  
 — თუ ოდესმე შეხვდებით. ხომ გითხარი, ქმრიან ქალებს არ გეკარები-მეთქი!  
 — აუუჰ, ასე ნუ მეუბნები... მე შენ ძალიან, ძალიან მიყვარხარ! — წამოინია, კისრზე შემოაჭლო მკლავები.  
 — მე შენ არასოდეს, არასოდეს არ მოგატოვებ...  
 — მოიცა რა! — ბოთემ „თავაზიანად“ მოიშორა. — გაგაცილო?  
 — არ მინდა, მე თვითონ წავალ...  
 ჭიშკრამდე მიაცილა.  
 ლოყაზე აკოცა.  
 დადგა.  
 თვალი გააყოლა, ველარ მოაცილა.  
 შეეცოდა.  
 მაგრად შეეცოდა.  
 შეტრიალდა, თავაჩქინდრულმა მიხურა კუტიკარი.  
 სახლს ახედა, კიბის საფეხურზე ჩამოჯდა, დაცარიელებულ ეზოსაც შეავლო თვალი და იქ დარჩნა აღარ

მოუნდა... მერე საიდანაც მოაგონდა, რომ ბოლნისში ვილაც ნაცნობი ჰყავდა (მთელი ორი წელი ეპატოყებოდა, ეხებნებოდა — ჩამოდი, ჩამოდიო!).  
 ოდნავი ცოცხანის შემდეგ საბარგულში ერთი პატარა ჩანთა შეგდო და საქვს მიუჯდა... თუ მაინცდამაინც ბოლნისამდე არა, მარნეულში მაინც ჩავიდოდა (ბოლნისში არც იყო ნამყოფი), ბაზარში ყინაღას იყიდა...  
 ჩავიდა.  
 ბაზარში შეიარა, ვისკაც და კოკა-კოლა აიღო.  
 შემდეგ ბოლნისის გზაც იკითხა.  
 აღმოჩნდა, რომ ორი იყო — დიდი და პატარა ბოლნისი (დიდი და პატარა, მაგრამ ორივე ერთსა და იმავე გზაზე და ორივეც ერთიგვარი გამოკლებით).  
 ნაცნობის სახლს პატარა ბოლნისში მიაგნო, იქ შესვლა უკვე გადაიფიქრა, მაგრამ მანქანა ჭიშკართან ერთი წუთით მაინც შეაჩერა.  
 ეზო-კარს გახედა.  
 ჩამიჩქმი არ იყო.  
 ბოთლი აიღო. „მშვიდობა თქვენდა“ — მიანერა, ოდნავი ფიქრის შემდეგ თავისი ვიზაობაც მიამატა და მანქანიდან გადმოვიდა, კუტიკარი გამოაღო, ვისკი და კოკა-კოლა პარკიანად მიგნით, იქვე ჭიშკართან დადო.  
 თბილისისკენ ფრიად ნასიამოვნებმა გამოიბრუნდა.  
 არსად შეჩერებულა.  
 შებინდებისას საკუთარ ჭიშკარს მიადგა.  
 დაილაღა.  
 ტყუილადაც გაისარჯა.  
 არაფერი ახალი, მაგრამ ვინმემ (სულერთია — ვინ) თუ მყუდროება დადგირღობთ, წონასწორობიდან გამოგყვანათ, მით უფრო, ღმერთმა ნუ ქნას და, ვთქვათ, ხელოც დატყუათ... ჩათვალეთ, რომ სატანამ გაიმარჯვა.  
 უნდა შეეშვა.  
 შეეშვა უნდა...  
 გონიერება და უგონობაც, რა თქმა უნდა, სხეულის რომელიღაც ნაწილში ბუდობდა (ალბათ, უფრო თავის ქალაქში), თბილისიდან ბოლნისამდე და უკან, თბილისამდე, ორას ორმოცი კილომეტრი იმისთვის გაიარა, რომ ვილაც (თუნდაც ძალიან კარგი, კეთილშობილი ადამიანისთვის) ლომონათი ჩაეტანა, მის კუტიკართან დაედო?  
 სისულელე.  
 თანაც მაგარი.  
 (ვერსად გაამხელდით).  
 ლამე მშვიდად ეძინა.  
 ალონზე წამოდგა.  
 ქუჩაში გამოვიდა.  
 (ჭაჭანება არ იყო).  
 დილის ბინდებულდმი ქვემოთა ჯიხურებისკენ ჩასიყრინა, სიგარეტი აიღო.  
 ვილაც მიესალმა.  
 შემდეგ „რიყას“ ჭიშკართან გიჟ-ვანუაც შემოეფეთა.  
 — სალამი!  
 — სალამი...  
 — აბა, წავედით, წავედით!.. დრრ-დრრ!.. ბი-ბიი!  
 — გახალისებულმა „ჩაუქროლა“.  
 ორიოდ კვირის შემდეგ, ასე, საღამოს ცხრაზე ტელეფონმა დარეკა (მობილურის ეკრანზე რომელიღაც უცნობმა ნომერმა ამოაშუქა).

— როგორა ხარ? — პუმპუმ, თითქოს არაფერივით, ღმილიანი ხმით, მიუსალმებლად იკითხა.

— კარგად, შენ? — ბოთეს უნებურად პასუხი ოდნავ შეუყოვნდა.

— ცუდად...  
— რატომ!  
— ოჰ, რა ვიცი მე... — ამოიხუნუნა. — არ მოვიდე? — ჩაეარდნლი ხმით იკითხა.

— არა.  
— კარგო, დაგირეკავ მერე... — ტელეფონი მაშინვე გამოირთო.

ბოთე სივარეტს გადახსნდა.  
მერე კეკისთან დარეკა.

— გამოხვალ?  
— ახლა? — კეკი რალაცას ილუკემებოდა, ისმოდა.  
— რას შევბი?  
— ტორტსა ვჭამო...  
— რომელს?  
— „ნაპოლეონს...“ არ გიყვარს?  
— არა, მე ყველა საჭმელი მხოლოდ მომწონს... ან არ მომწონს... მოხვალ?  
— დილით რომ იყოს?  
— რატომ?  
— ბაფუი ნამოვიყვანო?  
— ნამოვიყვანე...  
— ხომ იცი, რომ დღე მეზობელთან ვტოვებ, მაგრამ ახლა უკვე საღამოა, ის ქალი ადრე იძინებს ხოლმე.  
— ნამოვიყვანე, კაცო!  
— მერე?  
— საერთოდ, დარჩით ამაღამ ჩემთან... ავერ, ოთახების მშენი რა მაქვს.  
— მართლა?  
— ტაქსით ნამოდი, ფულს მე მივცემ...  
— კარგი, მოვალთ... ტორტი ნამოვიღოთ?  
— არა, მე მანამდე, ავერ, მალაზიაში შევირბენ, რალაც-რალაცებს ავიღებ...  
— იქნებ „მოგენონოს“?  
— არა-მეთქი...  
გავიდა, ბირჟაიკებს უხმობ, ხელის აწევით მიესალმა. მალაზიაში ყველაფერი, რაც მოუნონა, აიღო.

მერე შამპანური, ნუშის ლიქიორი, კოკა-კოლა და ფანტაც მიაყოლა.

სტუმრებისთვის სუფრა დიდ სასდლო მაგიდაზე გაშალა, მაგიდას გადასაფარებელი გამოუცვალა, ძვირფასი თევშები და ჭიქები, დანა-ჩანგალი, ხელახოცები გამოიტანა.

შემდეგ ისევ გავიდა, კუტიკართან ჩაცუტკდა, სტუმრებს დაელოდა, სივარეტი გააბოლა.

ცნობისმოყვარეობით გამოხედეს (ჯიხურთან ისევ ის ორი იდგა, აბირჟაევებდა“).

— თქვენი საკბილო არაფერი... — ბოთემ ვახედა, ჩაიდულუნა და გაეცინა.

— ჰა, რა იყო? — ნამსვე ყური ცქვიტეს (არ გამოპარათ).

— არაფერი... ველოდები...  
— ახალი ამბავი! — ჩაიციინეს და... ტაქსიც გამოჩნდა.

— ჩემი სახლი! — მარიმ ვადმოსვლისთანავე გაიხარა, ორივე ხელი მალა ახნია. — ჩემი სახლი! — ისევ

ხმაშალა ნამოძახა. — ხომ, დედი?  
— ვაჩემდი. — კეკიმ ხელში ხელი ჩასჭიდა, დატუქსა.

ბოთეს ღმილი ჩაუქრა, რალაც ძალიან არ მოეწონა.

— როგორ „იმგზავრეთ“? — იკითხა და ცალი თვალთი „ბირჟაიკებს“ ვახედა.

— ჩემი სახლი! — მარიმ ისევ იყვირა, ისევ ახნია ხელი.

ჯიხურთან ჩაიციინეს, ტუმბურდნენ.

— ეს უკვე რალაც ახალია. — ჩაიდულუნა ერთმა.

ბოთე უხალისოდ მოუჯდა სუფრას, უკვე ინანა, რომ კეკი ბაფუიანად მიიწვია.

ბაფუეს ვახედა (არ შეუნიშნავს, დედამისმა როდის მოასწრო მისი ხელმეორედ დატუქსვა, მაგრამ უკვე თავაქინდრული, მოწვენილი იჯდა).

— მარი, სკოლაში რამის მიდიხარ?  
მარიმაც ისევ ისე ვაშალა თითები, სამი მოკეცა, ორი გამოუსვირა.

— ორის შემდეგ?  
— დიახ!  
— ყოჩაღ შენ!  
— ეს რა ამბავია, სტუმრებს ელოდები? — კეკიმ რომ საზეიმოდ ვაწყობილ სუფრას გადახედა, გაცოცდა, თვალუბაცინციმებული მოაჩერდა.

— თქვენ სტუმრები არ ხართ?  
— ჩვენ?  
— შენ არა, მაგრამ მარი... მარი ხომ ჩემთან პირველად; მე პატარები მიყვარს და, საერთოდ, მათი იმედია მაქვს...

— აი, მარიმ ტორტი ნამოვიღო! — კეკიმ პირკიდან ქალაღმში ვახვეული ტორტის ნაჭრები აშორებ, თევშზე დაანყო. — ავერ კიდევ ჭყრმის არაყი... ბოლნისიდან...  
— საიდანო?  
— ბოლნისიდან...  
— ვაა! — ბოთე თვალუბავართოებული მიაჩერდა. — პირდაპირ ბოლნისიდან, კაცო?  
— რა იყო?  
— არა, არაფერი... ბოლნისში რა გინდოდა?  
— მე არა, ნათესავმა ნამოიტანა.  
— ტორტიც იქიდან ხომ არაა?  
— არა...  
— ჰო, მართლა, ეგ „ნაპოლეონია“, ხომ?  
— რა თქმა უნდა!  
— თუ უფრო ღვთიური ტიტუსი მიჩვენებია...  
— ეგ რალაც არ გამოგია.  
— ჰო, მაინცდამაინც არც ახსენებენ...  
— ვინა?  
— ესეც იმპერატორი იყო... რომის იმპერატორი, ცეზარი, რომელიც მთელი ცხოვრება ყოველდღე რალაც სიკეთის გაკეთებას ცდილობდა და, თუ ვეღარა, მოიწყენდა — მეგობრებო, დღე დავკარგეო, — ამბობდა ხოლმე.

— მერე?  
— რა მერე!.. ჩვენს პლანეტას აღარც მერე და არც მანამდე მსვავხი იმპერატორი არ ღირსებია... ისე კი, როგორ არა, „ღვთისნიერები“ საჭიროზე მეტიც კი იყვნენ...

— ვიცი.  
 — რა იცი? — ბოთეს გაეცინა.  
 — ვიცი, რომ ბევრნი იყვნენ... კი, მაგრამ დანა-ჩან-გალი რად გინდოდა?  
 — რა ვიცი... მარიმ ხომ უნდა იცოდეს, ჩანგალი რომელ ხელში დაიჭიროს...  
 — იცის, დანა მარცხენაში, ჩანგალი — მარჯვენაში, ხომ, დედი?  
 — დიახ!  
 — ყოჩაღ!.. შენ რას დაღვე?  
 — მე ლიქიროს... შენ?  
 — მე, რა თქმა უნდა, ჭერმის არაყს... ბოლნისი-დან...  
 ბოთემ ჩამოასხა.  
 სუფრასთან ჯდომა მარის მალე მოზეზრდა.  
 ნამოდგა, ჯერ შეპარვით, ნელა გაიარ-გამოიარა.  
 მერე დღიანზე გადაინაცვლა, ჩამოჯდა, მოუსვენ-რობა დაეტყო.  
 კეკიმ თვალების ბრიალით, გამაფრთხილებლად გადახედა.  
 —სადმე რამე ქალაღი და ფანქარი ხომ არ გიგ-ღია? — შემდეგ ამოიხენემა, ბოთეს გამოხედა.  
 — კი, როგორ არა...  
 — მარი ახლა, აგერ, სამზარეულო ოთახში გავა, იქ მაგიდას მიუჯდება, რამეს დაგვიხატავს. ხომ, დედი?  
 — დიახ!  
 ბოთე მაშინვე წამოდგა (თვითონაც ხატავდა), სახ-ატავი რვეული და ფერად-ფერადი ფანქრები გამოი-ტანა.  
 მერე ისევ სუფრას დაუბრუნდა.  
 სასმელები წამოასხა.  
 — შენ იცი, რომ რუსული ენის მასწავლებლობა უსაფრთხოების ერთგვარი გარანტი იყო?  
 — მართლა?  
 — რუსული ენის მასწავლებელი, ისე უბრალოდ და ისე არაფრისთვის, თავიანთ „დილისორზე“ ვეღარ აყ-ავდათ...  
 — ესე იგი, კარგად ასწავლიდნენ?  
 — კი, ძალიან... — ბოთემ ჩაახველა.  
 წამოდგა, თვითონაც სამზარეულოში გავიდა.  
 — რა დაგხატო? — მარის გაეხარდა, ამოხედა.  
 — რა ვიცი... რაც შენ გინდა.  
 — მაინც?  
 — რამე ისეთი... კარგი.  
 — რა?..  
 — ვთქვით, ბელურა...  
 დახატა.  
 ძალიან შეეცადა, მაგრამ მერე წაშალა, წაშალა და ფურცელი დაჭმუჭნა, ზურგსუკან დამალა.  
 დამწაშვესავით შემოპოლიძა.  
 — რა იყო? — ბოთეს გაეცინა.  
 — შენ დახატე რამე!  
 — რა დაგხატო... ციყვი?  
 — არა.  
 — აბა?.. კურდღელი?  
 — არა.  
 — ცხენი?  
 — არა.  
 — სპილო?

— არა.  
 — ვეფხვი?  
 — არა... ისევ ვიუტად გადააქნია თავი.  
 — მაშინ მოთხარი, რომელი... რა დაგხატო?  
 — ბიჭი...  
 — ბიჭი?  
 — ჰო! — უცებ წამონიღდა, რაღაცნაირად შეიცვალა.  
 — კი, ბატონო... — ბოთემ თვალი აარიდა.  
 ფურცელი აიღო, ოთხკუთხედი ამოხაზა, მერე ხელ-ფეხიც მიახაზა... ამით დაამთავრა...  
 — აი! — მაინდა.  
 — ეს რა არის? — მარიმ ამოხედა.  
 — ბიჭი.  
 — ეს ბიჭია?  
 — აბა, ვინა?  
 — ეს ბიჭია? — გადიკისკისა და ფურცელი გადაა-ბრუნა.  
 ბოთე უხმოდ მიაჩერდა.  
 (გადაკისკისება ეცნაურა).  
 უხმოდვე გამობრუნდა.  
 სუფრას მიუჯდა.  
 კეკი უკვე სავარძელში იჯდა.  
 ტელევიზორი ჩაერთო, უყურებდა (ეკრანზე ვი-ღაც „გენიოს“ საკუთარ უვიციობას მთელი გრძნობით „აუღერებდა“).  
 — მოდი, გადაუკურათ! — სუფრაზე მიწვია. — გადართე, გეუხეხებ!  
 — რატომ, ეგ ტიპი არ მოგწონს?  
 — ჰო, კი, მაგრამ... მაინც...  
 — მარიმ ხომ არაფერი განწყენინა?  
 — რას ამბობ...  
 — მოუსვენარი...  
 — მშვენიერი ბავშვია.  
 — კი, რა თქმა უნდა, კარგი ბავშვია... მამას ჰგავს...  
 მართალია, ყველა ქორწინების ბედ-იღბალი ზეცაში წყდება, მაგრამ ჩემს შემთხვევაში, როგორც ჩანს, ანგელოსებმა რაღაც ტექნიკური შეცდომა დაუშვეს, თანაც ამკარად მაგ იდიოტის სასარგებლოდ...  
 — ჯვარდანერლინი იყავით?  
 — არა!  
 — აბა, „ზეცაშიო“?  
 — არა, მაგრამ ყველაფერი მაინც იქ წყდება.  
 — ვინ იყო?  
 — არავინ... „შავს“ აწვებოდა.  
 — რანაირად? — ბოთეს გაეცინა. — ბელურებს აფრთხობდა, ბრანდს უჩვენებდა ხოლმე?  
 — კი, რაღაც მაგდაგვარი... არ გეძინება?  
 — კი, ბატონო, დავიძინო!  
 — მე და მარი აღერ ვიძინებთ ხოლმე.  
 — აგერ საძილე ოთახი, წამო, კარადაში თეთ-რეულსაც განახებ...  
 — შენ სად წვები?  
 — მე ჩემს ოთახში.  
 — კარგი, შემოვალ, როცა ბავშვი დაიძინებს... გინ-და?  
 — კი, მაგრამ...  
 — ჩემი არ მოგერიდოს, — კეკიმ ამოიხენემა, — ხომ იცი, მე მაინც ყ...ს-ქვეშ უნდა გამძვრეს სული.

ორიოდ კვირის შემდეგ ისევ ამოაშუქა უცნობი ტელეფონის ნომერმა, პუმპუმ ისევ დარეკა.

— მოვიდე?

— არა.

— კარგი... — ჩავარდნილი ხმით, ნელა ჩაილაპარაკა და ტელეფონი მამინევე გამოართო.

ბოთემ უკრანს დახედა.

მერე უცნობი ტელეფონის ნომერი „ამოვადლო“ ცტუნებას ველარ გაუშულო და ლილაკს თითი მიაჭირა.

— გისმენთ! — პუმპუმ გულახდილად გაიხარა.

— ტელეფონი შეიძინე?

— არა, ახლობლისაა... გამოხვალ?

— უკვე გამოსული ვარ...

— სადა ხარ? — გადაიკისკისა.

— ფილარმონიასთან.

— იქ რას აკეთებ?

— ფულს ველოდები... უნდა მომიტანოს ერთმა...

— უი, რა კარგია! — აღვრთოვანდა. — ბევრი უნდა მოგიტანოს?

— ბევრი.

— ნილში ვარ?

— რომ არ ვიცი, ვინა ხარ?..

— მერე ჩემი ბრალია? — ისევ გადაიკისკისა.

— არა, რა თქმა უნდა.

— რესტორანში ნამიყვან?

ბოთე ნამით დადუმდა, პასუხი დააყოვნა.

— თუმცა, არა, არა, რესტორანში არა... — პუმპუ-

მაც მამინევე გადაიფიქრა. — ელიავაზე გავიდე, კომპასი ავიღოთ, კარგი?

— რა ვიცი...

— ხომ შეგპირდი, გითხარი, აგალებინებ-მეთქი!

— ბაზრობაზე?

— არ გინდა?

— კი, ბატონო, გავიდე...

— ფილარმონიასთან მოვიდე?

— მოდი.

ჭიშკარი გამოაოლო, მანქანა დაქოცა.

ფილარმონიასთან დადგა.

მერე მანქანიდან გადმოვიდა და პუმპუს გა-მოჩნდა.

— როგორა ხარ? — მოღმირამა შორიდანვე იკითხა.

— გამაღობო, თქვენ?

— არ მაკოცებ?

— არა.

— რატომ?

— ნიორი მაქვს ნაჭამი...

— მერე რა? — გადაიკისკისა, მოეხვია, აკოცა. —

ფული მოგიტანეს?

— მოიტანეს...

— ბევრი?

— საკმაოდ.

— გავიდე ელიავაზე?

— კი, ბატონო!

— ოღონდ მანამდე მაიკოსთან შევიაროთ, ხომ იცი,

სადაც ცხოვრობს. კარგი?

— კარგი... იქ რა გინდა?

— ათი ლარი უნდა მიცე... უფულოდაა, მელოდე-

ბა...

— ფულიანი ხარ?

— ოჰ, სულ რაღაც ოცი ლარი მიგდია ჩანთაში...

მერე რა?..

— მერე არაფერი... კედელს ცერცვი-მეთქი, გავიფიქრე გუნებაში.

— მართლა? — თვალეში მიჩერდა. — რატომ? —

შემდეგ „ყელი ნიავს გადაუდგო“ და გულიანად გადაიკისკისა.

მართლა კარგი გოგო იყო.

მაიკოსთან მივიდნენ (პუმპუმ შეირბინა, ოდნავ შეაგვიანდა, მერე რატომღაც შეფიქრანებულმა ჩამოირბინა კიბის საფეხურები).

— ბოდიში, ბანაობდა... მივედივართ ელიავაზე? —

ოდნავ უხალისოდ იკითხა.

— ხომ მჭიდობაა?

— რა თქმა უნდა!

— ფული დაუტოვე?

— კი, მივეცი...

— გაეხარდა?

— ძალიან...

— მერე იქიდან მეგრულ ოდაში შევიაროთ... ელარ-ჯეზე ხარ დაბატიყებული.

— მართლა? — შემოხედა, გაელიმა, მაინცდამაინც არ აღვრთოვანდა.

— არ გიყვარს“ ელარჯი?

— კი, როგორ არა!

— რაღაც ვერ შეგატყვე!

— ოჰ, რა ვიცი მე... — მიმედ ამოიხენეშა. —

ელარჯი ვის არ უყვარს, ჩემი სიცოცხლე... მაღლობა!

— შემდეგ გადმოიხარა, ლოყაზე აკოცა.

ბაზრობაზე ბევრი ხალხი იყო, ბოთე შესვლისთანავე მოიწყინა, მოითენთა, სულ ტყუილა შემოიარეს ფარდულეები, ჯიხურები, დახლები...

კომპასი არ იყო, არ ჰქონდათ.

შემდეგ ერთგან, იქ, სადაც ფარდულეებსა და ჯიხურებშირის ისედაც ვინრო გასასვლელი უფრო ვინროვდებოდა, „ჭედეში“ მოჰყვნენ, ვიღაც სოფლურად ჩაცმულმა, ფერმკრთალმა ბიჭმა ნინიდან გზა

„გადაკეტა...“ შეედა, ვიღაცას თუ რაღაცას მიაშტერდა...

გამველე-გამომველი ორივე მხრიდან ერთმანეთს მიანყდა, მიანვა.

— მიდი! — პუმპუმაც ცეცხლი მოიკიდა, მტკივნეულად მიაჭირა ზურგზე თითებში. — მიდი და მიდი!

— მოიცარა? — ბოთემ მოხედა, ბრაზიანად, საკმაოდ უხეშად მოიშორა თითი და შეგებითაც ამოისუნთქა, გზაც მამინევე გაიხსნა. — ბოდიში! — შემდეგ მკლავში ხელი გამოსდო. — მოდი, სიგარეტები ავიღოთ და გავიდე თქვენ!

— გავიდე.

სიგარეტების ჯიხურს მიადგნენ.

საიდანაც უცებ ისევ ის „სოფლელი“ გამოჩნდა, ნამით ბოთეს გამოხედა, მერე რაღაცნაირი ბრიყვეული სითავხედით პუმპუს მიადგა, ბრიყველივე ჩაჟინებით ჩააშტერდა სახეში და სადღაც ჯიხურებშირის გაუჩინარდა.

— ვინა? — ბოთემ შენიშვნის მიცემაც ვერ მოასწრო, მხოლოდ გაკვირვებითა გააყოლა თვლი. —

იცნობ?

— საიდან? — პუმპუს რატომღაც ფერი ეცვალა.  
— რა უნდოდა? ფერნასულმა, დაბნულად იკითხა და იქვე მიგდებულ მტკრიან ყუთზე მუხლმოკეითილი- ვით დაეძვრა.

— სულელია ვიდაცა... თუ შეიძლება, ორი კოლოფი სივარეტი! — ბოთე ჯიხურისკენ შეტრიალდა, პიჯაკის ჯიბეში ჩაიყო ხელი და ელდა ეცა, საფულე აღარ იყო. ხელმორედ მოსინჯა.

მერე ყველგან, სხვა ჯიბეებიც...

— პუმპუ! — წამით პუმპუს მიაჩერდა. — საფულე აღარაა...

— როგორ! — პუმპუ თვალბეგაფართოებული წამოხტა. — დაკარგე?

— კი, წაიღეს...

— რანაირად... შენ როგორ ვერ გაიგე?

— ვერ გავიგე... კარგი, გავიღეთ აქედან...

— მოიცა, იქნებ სადმე აქ ამოგვიარდა.

ბოთეს გაცენია.

ხელში ჩასჭიდა ხელი, გასასვლელისკენ წაიყვანა.

— მანქანაში ხომ არ დაგრჩა?

— არა.

— გქონდა კია აქ, ბაზარში?

— მქონდა.

— რა იცი?

— ვიცი, მანქანიდან რომ გადმოვედი და მერე აქაც რამდენჯერმე შევაბოძენე... ფული, ეგ არაფერი, ყველა საბუთიც იქ იყო.

— რომელი საბუთები?

— ჩემი პირადობის მოწმობა, მანქანის პასპორტი, მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა...

— დედაა, ეს რა მითხარი? — შეიცხადა, ლოყაზე ჩამოსცა ხელი.

— როგორია ახლა იმ მექრთამე ჩინოსნებთან მისვლა, მათთან ურთიერთობა, რიგში დგომა, ქილების კრეჭა!.. — ბოთემ ამოიხვნეშა. რომ წარმოიდგინა, კინაღამ გული შეუღონდა.

— მოიცა, კაცო, გავბრუნდეთ... იქნება სადმე ვიპოვოთ, იქნებ სადმე აგდია...

— კარგი რა!

— პოლიციას არ უნდა აცნობო?

— აზრი არა აქვს... მერე კი მომიწევს მისვლა, ცნობის აღება, რომ საბუთები დაეკარგე.

გამოვიდნენ.

მანქანას მიადგნენ.

ბოთემ უხალისოდ ამოიღო გასაღები, კარი გამოაღო და ნაშუე საზე გაუნათდა, საფულე წინა სავარძელთან იატაკზე ეგდო...

— პუმპუ! — გახარებულმა წამოიძახა. — მოდი, რა განახლა!..

— დედაა, აქ დაგრჩენია? — პუმპუმ ტაში შემოჰკრა.

ბოთემ მანქანის სახურავზე ოდნავ, სულ ოდნავ ამოწულ ლიუკს გახედა, მერე საფულე აიღო, დაათვალიერა.

ფულის გარდა ყველაფერი ადგილზე იყო (საფულეში სულ რაღაც ორმოცდარი ლარი ჰქონდა).

— თქვენ აგაშენათ ღმერთმა! — აღფრთოვანებულმა წამოიძახა.

— ვინ დალოცე? — პუმპუ ღიმორული მიაჩერდა.

და. — ის ჯიბიგირი... საფულე რომ მანქანაში შემოაგდო... ყველაფერი ადგილზე!

— ფულიც?..

— ფული... ფული გინდოდა?

— შემოავდო, როგორ, რანაირად... — პუმპუ ოდნავ შეტბა. — მანქანა ხომ ჩაკეტლი იყო?

— აი, შეხედე! — ბოთემ გამოღებული ლიუკი დაანახა და საფულე ჯიბეში ჩაიღო.

— ფული ბევრი წაიღეს!

— რი-იაიციც... ეეჰ, დღეს უკვე ელარჯზე ვეღარ დაგვატყვივ!

— მაინც რამდენი? — პუმპუ ისევ ფულით დაინტერესდა.

— რა რამდენი?

— ფული.

ბოთემ წამით გახედა.

— ბევრი. — მერე „ამოიხვნეშა“, არ უთხრა, რამდენი.

შემდეგ მონჯლრულ, დიდ სატიერთო მანქანას, როგორც იქნა, ძლივს გაასწრო და უცებ მოავლონდა, რომ საფულეში (ყველაზე უფრო „საიდუმლო და შორეული“ ჯიბის კუთხეში) სულ ორიოდ დღის წინ მოფიქრებულ, ხელუხლებელ მარაგად ნაგულსხმევი, პაპიროსის ღვრივით დაკეცილი ერთი ცალი ას-დოლარიანი ჰქონდა გადანახული.

გული შეეკუმშა.

საფულე ამოიღო (უკვე ჩახედვაც აღარ უნდოდა), პუმპუს ჩაუგდო კალთაში.

— აბა, ერთი ნახე...

— რა ვნახო?

— ნახე, კიდევ რამე ხომ არაა... ჯიბეები ამოქექე...

ნახა, ამოქექა და, დაკეცილი კუპიურიც გამოჩნდა.

— რა არის?

— აბა, გახსენი, გამაღე!

გამაღა.

— ასდოლარიანი? — პუმპუ პირდაღებული მიაჩერდა. — საიდან?

— გადანახული მქონდა.

— დედაა, რა ჭკვიანი ხარ!?! — აღფრთოვანდა, ისევ მიაჩერდა. — რა მაგარი ხარ, რა მაგარი!

— „სიციინს“ კაცი არ მოუტლავს.

— მართლა გეუბნები, მართლა! — თვალციმციმებულმა გამოხედა, მერე შეტრიალდა, გაშლილი კუპიური უკანა ფანჯრის შუშას მიაღო. — აი, თქვე მამაძაღვლებო, თქვენა! — ვითომ ჯიბიგირზე გაახსენდა, თითქოს ისინი სადღაც იქვე, მანქანების უწყვეტ ნაკადში იყვნენ! — აი, თქვე სულელებო, თქვენა! — ფული წაღმა-უკულმა შეატრიალა. — აი! აი! აი!..

— კარგი, შეუშვი. — ბოთემ ჩაიციინა. — ვის არ მოსვლია...

— ხომ სულელები არიან?

— ყოველ შემთხვევაში თავიანთი საქმის ვირტუოზები და სუპერ-სპეციალისტები კი გამოიგია, მაგრამ ჭკვიანზე რა მოგახსენო, არა, ჭკვიან ჯიბიგირზე არასოდეს არაფერი მსმენია.

— მართლა?

— როგორც ჩანს, ახლა მობილურნი გახდნენ...

— ეს რას ნიშნავს?

— ალბათ, მანქანებითაც დასდევენ თავიანთ მსხვერპლს?  
 — არ მგონია... უბრალოდ, ბაზრების შესასვლელებთან დგებიან, ნახულობენ, ვინ მოდის, მანქანას სად უყენებს, როგორ გადმოდის... ალბათ, უფრო ასეა, ხომ?  
 — ალბათ... კაცო, ეგ ელარჯი რა გახდა დღეს ასეთი, ბოლოს და ბოლოს, არ ნავიდეთ, აღარ ვჭამით?  
 — ნავიდეთ.  
 — მაგრამ მანამდე ფული გადავხურდათ, ხომ?  
 მანქანა პირველსავე შეხვედრილ გადასახურდავებელ ადგილას შეჩერეს.  
 — ო-ოჰ!.. რაც მართალია, მართალია, დავიღალე კიდევაც... ბოთემ სიგარეტი ზიზღით მოისროლა. — შენს გაზრდას, გადადი რა, გადახურდავე.  
 — მე? — პუშკუმ გაკვირვებით შემოხედა. — მე გადახურდაო?  
 — გეხვეწები, უზრდევლობაში ნუ ჩამომართმევ, — დალილიდა გაუღიმა, — ხომ არსად გაიქცევი?  
 — რატომ უნდა გაიქცევი?  
 — ეგ ვინ იცის...  
 გადავიდა, გადახურდავა. გამობრუნდა.  
 ჩაჯდა, ფული გადაანოდა.  
 — დათვალე.  
 — არ უნდა დათვლა.  
 ერთხანს უხმოდ იარეს.  
 — მერე შენთან არ მივდივართ?  
 — არა.  
 — რატომ?  
 — დღეს ხომ ვნახეთ ერთმანეთი.  
 — რა ნახე... — იკითხა.  
 დადუმდა.  
 — მე აქ ჩავალ... — შემდეგ ჩანთა აიღო, მხარზე გადაიკიდა. — აქ ერთი პატარა საქმე მაქვს.  
 ელარჯი?  
 — მე ახლა ელარჯი მინდა? — მიაჩერდა. — არ გენყინოს...  
 — რას ამბობ... არც მომაგონდება.  
 ჩავიდა, კარი მოაჯახუნა.  
 ბოთემ თვალი გააყოლა.  
 ნავიდა.  
 მერე არ გამოჩენილა.  
 აღარც დაურეკავს.  
 (მხოლოდ სამი-ოთხი თვის შემდეგ და ისიც მხოლოდ ერთხელ შორიდან სადღაც რომელიღაც ქუჩაზე ხის ძირას მდგარს მოჰკრა თვალი, სოფლურად ფონიან, კოჭებამდე კაბაში, გულ-მკერდ და ქია-ჩაბნელებული ძლივსლა იცნო, ვიღაც მკერდგამობერილ ბიჭთან იდგა, რაღაცას უმტკიცებდა).  
 შემდეგ ელარჯი თვითონაც აღარ მოუწინა, მანქანა შემოატრიალა, შინისკენ გამოხსნია.  
 ჭიშკართან ნესტორას თვალი აარიდა, ახლა მასთან ლაპარაკის თავი ნაღდად არ ქონდა.  
 — გამარჯობა! — ნესტორა ნელი ნაბიჯით მოუახლოვდა.  
 — გავიმარჯვოს... კაცო! ერთი ნესტორი ღიღიოდ

უკვე ვნახე, შენი კუტიკარიდან გამოდიოდა, ახლა შენც გამოინდი... მითხარი, სულ რამდენი ხართ?  
 — ბევრი... — ნესტორამ უკმაყოფილოდ ამოიხვნეშა. — შენთან საქმე მაქვს ერთი...  
 — ორი იყოს.  
 — კაცო, საქმე მაქვს-შეთქი, გითხარი, სერიოზული...  
 — მერე ავერ არ ვარ?  
 — აქ ვილაპარაკო?  
 — რა უჭირს... მოდი, ჩაჯექი! — ბოთემ სახლში მაინც არ შეიპატივა, სახელურს გადასწვდა, მანქანის კარი გამოაღო. — ჩაჯექი, გისმენ!  
 — ხედავ, როგორ დატრიალდა ყველაფერი? — ჩაჯდა, მიაჩერდა.  
 — როგორ!..  
 — არჩევნებამდე სულ რაღაც რამდენიმე დღე დარჩა...  
 — მერე?  
 — ხმა ვის მივცეთ?  
 ბოთემ შეხედა, პასუხი დაყოვნა.  
 — ვისაც შენ გინდა. — შემდეგ სიგარეტი ამოიღო, გააბოლა.  
 — შენ?  
 — შენ?..  
 — მე პირველმა გკითხე... რა გაბრაზებული ხარ დღეს!  
 — არ ვარ გაბრაზებული.  
 — ნახე, აფთიაქის კედელზე რა აწერია? ბოთემ მიიხედა.  
 „ქმარა“ კედელზე წითელი, მსხვილი ასოებით ეწერა, მერე ქვემოთ, ლურჯით — „ვარდნა“.  
 — ოო, კარგია... — ჩაილაპარაკა. — რა მითხარი, ხმას ვის ვაძლევო?  
 — მე გითხარი?  
 — არა?  
 — ჯერ არა, მაგრამ გეტყვი! — ნესტორამ უცებ გადმოიწია, ხმა დაიდაბლა, უთხრა, ვისაც აძლევდა ხმას.  
 — ყოჩაღ შენ... მე კი რატომღაც მეგონა, უფრო მისა ცხაკაიასკენ იწრებოდი...  
 — კაცო, მე არავისკენაც არ „ვიხრები“, ბოლოს და ბოლოს, რაღაც ხომ უნდა შეიცვალოს, ამოვიდა ყელში ამდენი ტყუილი.  
 — კი, მართალია, ამოვიდა...  
 — ეგ ხომ პატროსანია?  
 — მაგარი.  
 — მერე?  
 — მერე მეც მაგას ვაძლევ ხმას... გინდა, ერთად ნავიდეთ, ჩავყაროთ ბოულეტენები!  
 — მართლა ამბობ?  
 — გეუბნები.  
 — მოიტა ხელი! — ნესტორას გავხარდა, ხელი გამოუწინა. — შენ არ დაგვიძალავ... — შემდეგ ისევ გამოხედა. — ცხაკაიას არა, მაგრამ ცოცხალი რომ იყოს, ახლა ლენინს კი მივცემდი ხმას!  
 — რატომ?  
 — ტყუილებში არ უყვარდა.  
 — შენც, ლენინი ისეთი მატყუარა იყო, სტალინიც



გადასაგდებად მკედარიც ველარ გაიმეტა, მავზოლუმი აუშენა და იქ „დააკონსერვა“, თავი მის მონაფედ გამოაცხადა და მერე სიცოცხლის ბოლომდე მისი სახელით აშენებდა „კომუნისმს...“ დედამინის ერთ მეექვსედს ცხვირით მიწას ახვევინებდა...

— არა!.. — ნესტორამ თავი გადააქინა, არ დაეთანხმა. — „დააკონსერვებას“ სულ სხვა მიზეზი ჰქონდა.

— რომელი, რა მიზეზი?

— უნაგირზე ისე ველარ შევდებოდა...

— როგორ? — ბოთე გაკვირვებული მიაჩერდა (ნესტორას კი, როგორ არა, ჰქონდა ნიჭი, რაც მართალია, მართალია, კომუნისტებმა იცოდნენ „კადრების“ შერჩევას).

მანქანიდან გადმოვიდნენ.

აფთიაქიდან მირიანი გამოვიდა, მოვიდა, ორივეს — ბოთესა და ნესტორასაც ხელის ჩამორთმევეთ მიესალმა (ბოთეს ესაიამოვნა მისი დანახვა — მირიანი გონიერი, ნესერი კაცი იყო).

— კაკოშვილს გაუმარჯოს! — მირიანს ბირჟავიკე-ბიც შინაურულად მიესალმნენ. — როის ჩამოი, ჭოგ? — ერთმა რატომღაც აჭარულად მოუქცია. — „ვარდების“ რევოლუციამში იღებდი მონაწილეობას?

— ველბულობდი.

— იმ სიცოცხლესა და ქარში, წვიმამში იდექი?

— ვიდექი!

— პირდაპირ ვარძიიდან „ჩუმუსტარი“?

— კი, იქედან...

— ვარძია? — ბოთემ გადახედა, მირიანი რატომღაც თბილისელი ეგონა.

— ის ვარძია არა... — მირიანმა გამოხედა. — იმერეთშიც არი სოფელი ვარძია.

— მღეროდი? — ნესტორაც მირიანს მიადგა.

— ვიმღერეთ და ვიცეკვეთ კიდეცაც!

— ვინა და ვინ იყავით?

— მე, რაულა, ქალბატონი დოდო, მალხაზი, ეკა ცაიშელი... რაულამ იცეკვა, ჩვენ ვიმღერეთ...

— შო, ვიცი რაული... ეგ ცნობილი მოცეკვეა, ხომ?.. მაგრამ მე განსაკუთრებით აჭარული მომეწონა.

— რომელი, სიმღერა თუ ცეკვა?

— ორივე... აი, ის... რა ქვია?... „მე აქედან ვერსად ნა-

ვალ თქვენდა ჩუხუტებელიო“ რომაა...

— ტელევიზორში ნახე? — ჯიხურთან ვილაცამ ჩაიცინა.

— არა, კაცო! — ნესტორამ კოპები შეჰქურა. — ვიყავი იქნა... თქვენ სად იყავით, თქვე უბედურებო, თქვენა! — მოილუშა, მიაჩერდა.

— ჩვენ ისედაც არ გვიძინავს მთელი ღამეები.

— ოო, ბიძიკო, ლამაზობით ბევრი არ უნდა ჭამო, არაყსაც არ უნდა შეასკედ და დაგეძინება!

— ბატონო ნესტორ! — მირიანმა ჩაიცინა. — თუ არ ჭამეს, შეიძლება, სულ არ გამოეღვიძო!

ნესტორამ ჩაახეღა, დადუმდა.

— იცი, ახლა ამით რას ეძახიან? — შემდეგ ბოთესკენ გადმოვდა ნაბიჯი. — თუმცა, საიდან გეცოდინება, მანქანიდან არ ჩამოდისარ... ახლა ამით ბირჟავიკები კი არა, „ბესამე მუწოები“ შვარქვეს.

— ბესამე მუწოები რატომ? — ბოთეს დალილიად ჩაელიმა, მერე უნებურად „ბესამე მუწოებს“ გახედა და ნამით ისინი სომბრეროებითა და გიტარებით ხელში წარმოიდგინა...

— როგორ თუ რატომ? დგანან და სულ ქილიკობენ... რალაცი თუ უკმაყოფილონი არიან... ყოველდღე, „ბესამე მუწოსავით“, ერთი და იგივე და ერთი და იგივე...

ბოთე ისევე ჯიხურისკენ შებრუნდა... ბირჟავიკები ახლა უკვე თვალწარმტაც კოსტუმებში, ნელზე ფართო-ფართო, მოხატული ქამრებითა და თავზეც ასევე ლამაზად მოქარგული დიდი, დიდი სომბრეროებით, გიტარით ხელში იდგნენ... მღეროდნენ...

*მესამე მუწო,*

*ბე-ესამე მუ-უწოო...*

მერე ერთმა უცებ ხელი ასწია, ნესტორისკენ გამოიშვირა.

— შენ რა ვინდა, რა!.. — გამოსძახა. — შე ჩაბავეის მეფაიტონევე, შენა!

ბოთემ მაშინვე თვალები მოიფშვინტა, შეტრიალდა.

მერე ნამით თვითონაც ნესტორას გახედა და თავი ველარ შვიკავა, ხმაშალა, გულიანად გაეცინა; პენასი არ იყოს, ტუჩებზე აიფარა ხელი.

დასასრული

## მანანა ჩახანიძე

მინაწერი ვ. ქარჩხაძის  
მოთხოვნაზე „იუპიტერის სინანული“

კწუხვარ ძალიან,  
ერთი და ვფიქრობდი,  
გარდაიცვალა სინანული იუპიტერის;  
სუარე გალა, სუარე გალა —  
გუგუნებენ პიუპიტრები...  
ჭრელ მოგონებებს  
უხეშ რიტმებს უთმობს ქაოსი,  
შიშვლად თუ ტიტვლად  
ხელახალი ადამისათვის ტალახს აფუებს;  
მჯერა;  
ბუთპოვენს ყოველ ჯერზე მაინც აყრუებს...  
და ტაჯმაჰალის შინდისფერ ვნებას  
ისევ კენიდან ამოქაჩავს მთვრალი მხატვარი,

ისევ გადმოღვრის  
 ამპარტავნების პალიტრიდან ბედნიერ სხივებს,  
 რომ ნახატებზე დათესილმა მზეს-უმზირებმა  
 ამოუნათონ ჭეშმარიტი წყვილის თვალებს  
 ქვეცნობიერი:  
 ფუნჯის რაინდმა  
 მილიონი ვარდი მოკლა ცივი გულისთვის  
 და მერე ფუნჯი მიატოვა სამოთხის ახლოს...  
 რა მართალია პითაგორა ერთჯერ ორისთვის!  
 ყველაფრისათვის წერტილია ბოლოს ნუგეში  
 და აგრიპინას ნიჭიერ ტუჩებს არსთა გამრიგე  
 თანამოდმერთეს მხოლოდ იმად გამოუზოგავს,  
 რომ ყოველ ჯერზე გაახელოს ვან გოგი და  
 ცხონდეს რუბენსი!  
 აკი ვამპობდი, ვწუხვარ-თქო ძლიერ,  
 გარდაიცვალა სინანული იუპიტერის,  
 სუარე გალა, სუარე გალა –  
 ქვითინებენ პიუპიტრები...

●  
 მცხეთაში უნდა წავიდე,  
 უნდა დავანთო სანთელი –  
 ცოდვილი სულის საოხი  
 და ერთადერთი საშველი.  
 ზმამალა უნდა მოვთქვა  
 ჩემი ფიქრი და აჯა,  
 მარჯნის ჯაჭვივით მტანჯავს  
 ყველა ძვირფასი მაჯა.  
 უნდა ვევედრო უფალს,  
 წმინდა ფეშხუმს და ბარძიშს,  
 ფრთა გაუმთელოს, იქნებ,  
 ჩემს დღემდე დაჭრილ არწივს;  
 უნდა ვევედრო უფალს,  
 ცრემლი მაკმაროს აწი,  
 იქნებ, ზეღაშით ამივსოს  
 ჩემი ცის ფერი ყანწი...  
 მცხეთაში უნდა წავიდე,  
 უნდა დავანთო სანთელი –  
 ცოდვილი სულის საოხი  
 და ერთადერთი საშველი.

როგორ გერიღებოდი და ამეკიდე ცოლვად,  
 გულიც ისე მომპარე, ისე ცოტა-ცოტად...  
 ისე მორიდებით შემოაღე კარი,  
 კარგი, ვოქვი და მერე  
 ხელი ვეღარ გკარი...  
 უნებური ზემის უცნაური ზარებით  
 სხვადასხვა გზის მგზავრები  
 ერთად მივემგზავრებით,  
 ჭკუას მივეპარებით,  
 მაგრამ, ნეტავ, საით?!

მოვითავთავე დღე სითამამის,  
 უფლისციხესთან აქმახებ უფალს:  
 მსურს გათენება ვეება ღამის,  
 შენ ჩემი მგვანი და ხატი თუ ხარ,  
 სულიწმიდათი, ძითა და მამით  
 წამომშეველე, როგორც მე მსურხარ:

გაშალე ქართლი წელსა და მხრებში,  
 წამოუღულე გრძნობები წრფელი,  
 ვაზს ისე სურდეს მზის მიჯნურობა,  
 ნიკოფსიიდან დაიწყოს რთველი  
 და მობარბაცე დარუბანდს მუღამ  
 ალავერდებმა უნამოს ყელი...

იყოს დარები შეუდარები,  
 ნატვრის ახდენა ფიცხელ-ფიცხელი  
 და გიხდებოდეს, როგორც არავინ,  
 თაობა ჩემი – უახლესი უფლისციხელი!

### მონაზონის აღსარება

სულაც არ მსურდა, ვყოფილიყავ ვინმეს საფერფლე,  
 არ მსურდა, ჩემზე შეეწმინდათ მღვრიე ტუჩები,  
 წესიერების ცხრაკლიტულში მიტომ ჩაკვეთე  
 გულისთქმები და... აშარმაშარ სისხლს ვეურჩები...

●  
 ვაქას

ფშავს ამოართვი მშფოთი თვალებით  
 სამყარო, უფლის ნათვალთვალევი,  
 ჭადარა ლოცვებს მიაქვთ წვალეებით  
 სამადლობელი შენი გაჩენის...  
 ამოვიფერთხე გული და ახლა  
 ნამიანია ჩემი ბიბლია,  
 ამოვიხედე შენკენ და მაღლა —  
 სხვაგვარად სუნთქვა არ შემიძლია!

●  
 უღერს ჰიტები — რაქიტები,  
 წუხს ქართული ფიზიკა:  
 სულ სხვა ფარდობითობაა,  
 ველარავის ვიზიდავ;  
 ამომგდები ძალები  
 ააგდებენ ერდოს,  
 აუ, ჩემი კარგები,  
 აუ, ჩემი... რეტრო!

**ციკლიდან:**

**„საყოველთაო კომპიუტერიზაცია“**

მახსოვს ირონიები, დიდი დაპირებებიც,  
 როგორ ირონიებდი, თუკი მომინელებდი;  
 გაიჩენდი უთუოდ მხატვარს ახალ მეწვეილედ,  
 ახალ ფერთა გამები ძველ დიზაინს შეცვლიდნენ;  
 არ გეგონოს, შენს აზრებს ახალ ლოგოს ვაკერებ,  
 თუმცა ქურდი არა ვარ, დიდ პატივს ვცემ ჰაკერებს;  
 ყველაფერი წინ მიდის, დაიხვეწა გრაფიკა,  
 ანტარქტიდას ერთ წამში გადავიქცევ აფრიკად;  
 ორადორი კლავიში: მინდა ანდა არ მინდა,  
 ნემსის წვერზე ეტევა, მოკლედ, ძოელი ტაქტიკა,  
 ხელის ერთი შეხება და სტრატეგიაც აფრინდა...

●  
 კაი ხანია, მივხვდი, მძიმეა,  
 იდეა როცა რჩება იდეად;  
 სხეული მონსტრი და სხეული გიგანტი,  
 ვიცოდი, ულექსოდ ვერ გადავიტანდი;  
 გიძღვენი სტროფები ნაინტერნეტალი,  
 თუმცა სულ სხვა მსურდა ნანინანეტარი:  
 სულის ორნამენტებს დრო არ შეხებოდა,  
 ხსოვნას შეენახა ჟინი სამანდილე,  
 მსურდა, გყოლებოდა გვერდით სეკუნდანტი,  
 ღუელს კი არ ვჩივი, მანძილს — ჩემს გულამდი!

●  
 ჩემი დისპლეი გამოდგა პლემე,  
 კურსორსაც შეხვდა რალაც ბაცილა,  
 ვერ წამიშალეს სახელი ვაჟის,  
 სახლამდე პირვლად ვინც მიმაცილა;  
 მოგონებები ძაბავს ფაილებს,  
 უხდება პრინტერს ჯენტლმენის პოზა,  
 კლავიატურა — ჭორის სამშობლო —  
 მიმხელს, რომ არქივს ბარდება პროზა  
 და ინტერვიუს ართმევს ინტერვალს...

●  
 გუშინ შენ ჩემთან იყავი,  
 მილამაზებდი ბაითს,  
 დღეს კი დაგეძებ ყველგან,  
 დაერბივარ საიტ-საიტ;  
 სად წახველ, სიყვარულო,  
 საით გეძებო, საით?

## მარიანა ნანობაშვილი

„წყალი სომ არ გინდა, შვილო...“

პანუს



თვალწინ მინის კედელს ზემოთ — ცა. არანაირი ემოცია. კარგად ვარ... მატერის რბოლა ჩემს ირგვლივ... გიჟური სის-

იტომ რომ ტკივილისგან დაბუყებულია. არაფერი ესმის. უსასრულოდ უმადურია, რომ იჭერენ. „ენუხვარ, ჩემო კარგო“, — ჩამჩურჩულებენ ხელები. მართლა ნუხან. ვისრუტავ ამ ნუხილს. „ოღონდ არ ინერვიულო... არაფრით შეიძლება ახლა შენთვის ნერვიულობა...“ — თრთიან ისინი, როცა ხედავენ, როგორ ტირის სხეულში დაბუყებული სული...

ნრაფე.

ბინდში მოკაშკაშე ნერტილებიდან ორი რქა იზრდება. ბრწყინავს. შფოთი აიყალყა. „უფალო იესო ქრისტე... ძეო ღვთისაო...“ რქები უფრო მალღდება. „...შემიწყალე მე ცოდვილი“.

...არ შევხედე... ვერ შევხედე... ასე გადავწყვიტე რამდენიმე საათის თუ საუკუნის წინათ, როცა ჯერ კიდევ მოსიარულე კუბო ვიყავი. დედამ არ უნდა ნახოს მკვდარი შვილი. დედას არ უნდა ჰყავდეს შვილი მკვდარი... არ უნდა... უმაღლესი მდინარე აღმა უნდა წავიდეს... უმაღლესი კვერცხი უნდა განითლდეს...

რქები ქრება. მერე დარჩენილი ნერტილებიდან ისევ იზრდება. ვცდილობ. ძალიან ვცდილობ. ნამნამებს ვებრძვი. მეხსიერება უცებ იძრობს საბურველს. ორი კაშკაშა ნერტილი საბოლოოდ მშვიდდება ქერზე ჩასმულ ნათურებში.

დერეფნის ცივი კედლები დამნაშავედ მაცილებენ გორგოლაჭიანი საკაციით.

ხელებს ვილაც მიჭერს. არ მიშვებს, ისევ გავბრუნდე. ხელებით ჩემი მოფართხალე სული დაუჭერია არტახივით, მატერის გიჟურ რბოლას რომ არ ჩაყვეს გიგანტურ ძაბრში... სული კილაშობს, იმ-

დარდს ჩემი გულის ფორმა აქვს.

გაუსაძლის სიმძიმედ დამწოლია ჩემი მუცლის სიცარიელე.

● ტკივილი საკაციდან სანოლზეც გადმოიყვანა. ერთ ღია ქრილობად მაქცია, რომელიც იშულებულია, ილაპარაკოს, პასუხი გასცეს და არ შეანუხოს სხვები.

ისედაც ყველა შენუხებულია.

ახლა ორი ადამიანია ამქვეყნად, ვინც ბოლომდე გრძობს, რა ხდება ჩემს თავს ჩამონგრეულ სამყაროში.

დედა.

და დათო.

ორივე პალატის კარში დგას. ექიმი ელაპარაკება. თანხმდებიან, რომელი დარჩება ჩემთან ღამე. ყველანი ისედაც ვხვდებით, რომ დათო. დედა მერე, აქედან რომ გავალწე. მერე, როცა ცოტათი მანინც შევძლებ, ასე გასრესილი არ გჩანდე.

როცა მომეცემა ძალა, ჩემი ხილვით ისიც არ გავსრისო...

თეთრი ღამე — თმაში ჩარჩენილი ნაადრევ ქალარად.

დათოს დიდი ხელები, ლუხასავით რომ ვებლაუჭები.

დილა.

დათო მიდის.

ექთნები. სანიტრები.

გუშინდელი თამრიკო დედა. შუე ქაოსში არი-ადნეს ძაფად მახსენდება მისი ზრუნვა.

„გტკივა, შვილო...“ „წყალი ხომ არ გინდა, შვილო?“ „...არ იტირო, შვილო...“ „მე უარესი დამემართა, ორმოცი წლის გოგო დავკარგე შარშან...“

„ვიცი, შვილო, რა სიმწარეშიც ხარ...“ „წყალი ხომ არ გინდა, შვილო?“

ვიღაც თავშუკავებული ჩემს სხეულში ვერ ბედავდა მაშინ თავის კედელზე რახუნს...

ექიმები... შემონმება... ჩემთან სხვა... სხვანაირად შემოდიან... სხვანაირად მკითხულობენ.

ისევე ექთნები...

„ზუსტად ასე მომივიდა... ზუსტად შენსავით...“

„არა, დედა, არ იტირო... გეხვეწები... გეხვეწები... აქანე იმდენი იყო შენფერი. ვარესიც, დედა. პირველ ბოვზეც მოსვლიათ... ეკ კი არა, დედა, გაზრდილი შვილი გამოსცლიათ ხელიდან...“

ვიცი.

ვიცი.

არ მრცხვენია.

ჩემი საწყაული პირთამდეუ ახლა.

თვლენა. ტკბილი.

სამინელი გამოვხიზლებდა.

სადილი. საუზმეზე უარი თქვი.

მეორე დღეა, არ მიჭამია.

მეორე ლუკმაზე მოდის შიმშილი.

ზიზლი საკუთარი თავისა. საკუთარი შიმშილი-სა. ის აღარ არის... მე კი...

...საყვარელი, მზიარული ქალი, მასაჟისტი. მესამედ ვხვდებით. ცხადია, ვერ მცნობს — ბოლოს ექვსი წელი გავიდა და ათასი ჩემნაირი...

ვეცნაურები. რატომღაც გაუხარდა, რომ ადრეც ვიცნობდით ერთმანეთს.

მერე დარდიანდება. „შვილი მომიკვდა“. — ვიცხადებ. მახსოვს, ორი ვაჟი ჰყავდა. ცოლშვილიანი.

დეტალებს მიყვება. სპეციალურად. მხოლოდ მე. ვითომ შემთხვევით.

ჩვილების უსასრულო ჭყიპინი დერეფნიდან. ხანჯლები გულში.

„ღმერთმა უტოცხლოთ?.. ღმერთმა სულ კარგად უშყოფთ დედებს“ — თავს ვიმართლებ თავთან ხანჯლების გამო...

...ჩემი კი...

„მაპატიე, ღმერთო, სულ კარგად ამყოფე ესენი“.

მაგრამ...

ხანჯლები...

დათო.

ერთი ამბით შემოპარული.

ერთი ამბით დატოვებული.

მთელი ღამე გამაბრუებელი მონოლოგი.

არაფერზე.

ჩემთვის.

მძიმე ძილი დილის რვაამდე, სანამ დათო წავა.

ახალი ექთნები... ახალი სანიტრები... ახალი ისტორიები. ერთიმეორეზე სამწუხარო.

რატომღაც ყველას შკონია, რომ ეს გამაძლენბინებს.

თუ გამაძლენბინებს?

„ყველას თავისი ჯვარი აქვს საზიდი... ისეთს ღმერთი არ მოგცემს, რომელსაც ვერ დაძრავ...“

ბედნიერებისგან განსხვავებით, რა ყოველნამიერად განიცდი უბედურებას...

„მთავარია, შენ გადაარჩი...“

არ მესმის. მაღიზიანებს...

უსინდისოდ ვცოცხლობ...

...ჯერ არ მინახავს ჩემი შვილების დაფეთებული თვალები...

...ჯერ არ შემომჩვენია, როგორ წაშლია სახე დედას.

ეს მერე იქნება, ორი კვირის თუ ორი საუკუნის შემდეგ. ახლა კი...

ახალი ექთნები...

ახალი სანიტრები...

ახალი ნაღვლიანი ისტორიები...

არ მესმის, რატომ მიყვებიან ასე სათითაოდ...

...პირველად ვხვდები სიტყვებს „სიცოცხლე გრძელდება“. იმიტომ, რომ ახლა ჩემი — დგას. გაჩერებულია. იცდის...





● ...ალბათ, სიკვდილისა არ შემეშინდება... იქ ხომ პანუა...

● ახალი ამბავი. აღშფოთებული, გესლიანი რეპლიკები — ჩემს გვერდით მლოვიენ ბავშვს ტოვებს. მთელი დღე აღშფოთებამაა დრეფანი. „ეს აქ დარდით კვდება, ის კი...“

გული მტკივა, მაგრამ ლაპარაკის სურვილი არ მაქვს. პანია ბიჭი მეცოდება, ყველა გაუცნობიერებლად სათითაოდ რომ ნანობს მის მოვლინებას...

მე უკვე ნაკლებად ვინვევ ინტერესს. მანკიერება ყოველთვის მეტ ინტერესს იწვევს, ვიდრე უბედურება.

მოვხებრებ მარტოობა. დარდით რომ ვარ საცეს, მხოლოდ ჩემი თავიც მყოფნის. მარტოობას ვერ ვგრძნობ. მხოლოდ სისავეს.

დარდმა გული ამიძუსყა.  
...ცრემლი სულის სისხლია...  
ცრემლად ვიცლები...

● დღეს აღდგომაა.  
ორი თვე გასულა.

ქერქოკიდებულ ჭრილობას უხვად სდის სისხლი ძველ ასოციაციანზე ნამოდებისას.

დანარჩენი გულში შეიმსჭვალა ოთხი ლურსმნით...

ყველას თავისი ჯვარი აქვსო სატარები...  
თამრიკო დეიდა მახსენდება. ახალგაზრდა

პრაქტიკანტის მთრთოლარე ხელიები.  
მზიარული, საყვარელი მასაჟისტი.

ახლა ვგრძნობ, რატომ მიყვებოდნენ ამდენ უბედურებას. სიტყვა-სიტყვად მაყენებდნენ...

ნუგემ-ნუგემ... მაგალით-მაგალითად... როგორც თვითონ თავის ჯერზე სხვები აყენებდნენ...

...მინა ყველაფერს ინელვბსო...  
...და, თუკი ადამიანი მინაა...

მოგონებების შვე ქოსში ოდესმე არიადნეს ძაფივით გამახსენდება თამრიკო დეიდას „...შევილო... წყალი ხომ არ გინდა...“

● რატომ მოეკეცა ყოვლისშემძლე უფალს ფეხი გოლგოთას აღმართზე... რატომ უნდა აღნიშნულიყო ეს დეტალი ოთხივე სახარებაში...

„სყვარებოდე თუ რითიეროს...“  
დღეს აღდგომაა...

...სადღაც, გოლგოთას მტერიან აღმართზე, შემთხვევითი მგზავრი სიმონ კვირიელი ადამიანის ჯვარს მიათრევს ზურგით...

## ვარდების ეკოლუცია

სინამდვილეში ჩიტოს გელა ერქვა, სრულიად ჩვეულებრივი სახელი. ჩიტოს ჯერ ზურგსუკან ეძახდნენ, მერე პირში შეჰპედეს. გელას მშვიდი რეაქცია ჰქონდა — ირონიაშეპარულ აღერსად მიიღო. მალე მთელი ინსტიტუტი ჩიტოს ეძახდა, ფამილარულად და გულისფხვანით.

გულმოსაფხვანი კი ბევრს ჰქონდა — ვისაც საკუთარ თამამ სიტყვაზე ნაუტეხავს ცხვირი — ზურგსუკან ნათქვასა და წინდახვედრილობე. ჩიტოსაც ამიტომ ეძახდნენ, რადგან ამბავი მიჰქონდა. იგი გულმოდგინედ ახორციელებდა პოსტულატს — „არა არს დაფარული, რაც არ გაცხადდეს“ — იგულისხმებოდა დაფარული ინსტიტუტის რექტორისგან და მის წინამძვევ ჩიტოს მიერ გაცხადებულა.

რექტორი პრინციპული და ამბიციური კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტი კომერციული იყო და არაპრესტიჟული, ის მაინც ინსტიტუტი გახლდათ, არც სტუდენტები ელეოდა და არც უმუშევრობით სულგალული მასწავლებლები იყვნენ პრეტენზიულე-

ბი. რექტორს — ბატონ ნუგზარს — აღარც ახსოვდა, თავის დროს ხელწამოსაკრავი სტუდენტი და მოგვიანებით, — საოცარია, მაგრამ ასპირანტიც იყო. ახლა ის ამხანაგები, სასაცილოდ რომ არ ჰყოფნიდათ მისი პროვინციულობა და მწირი ინტელექტი, ლამის ეხვეწებოდნენ ხელქვეითობას, ოღონდაც როგორმე ერჩინათ ოჯახები. ჰო, დრომ ყველა და ყველაფერი თავის ადგილას დააყენა. ახლა ის ბატონი ნუგზარი გახდა, პატივსაცემი პროფესორი, მართალია, პროფესორი მხოლოდ თავისი ინსტიტუტის მასშტაბით... თავისივე შექმნილი სამეცნიერო საბჭოსთვის მინიშნული გადანყვეტილებით... რა მოხდა, რომ მისი საკანდიდატო დისერტაციის დაცვის მოწმობა ხანძრის დროს დაიწვა. ორიოდე თანამშრომელს ის ნაშენიც ანახა — მოწმობის მერვედი... ვინ არ დაიჯერებდა, რომ ნამდვილად დაენერა დისერტაცია... ბატონ ნუგზარს სიტყვაზე ენდნენ და პროფესორის ნოდებაც მიანჭეს.

რექტორს უყვარდა, როცა მთელ ინსტიტუტს აკონტროლებდა. იმდენი ოფლი ღვარა, საზოგა-

დღეობაში თავისი ნიშა რომ შეეკონინებინა... იმდენი ხოტბა ასხა საჭირო თავებს... იმდენი მიხვეული-მოხვეული ბილიყი გაიარა ნალმა-უკულმა... იმდენს გადაახტა და ხელი ჰკრა, რათა საჭირო დროს საჭირო ადგილებზე მიესწრო... იმდენჯერ გაზომა თავისი სინდისი, სანამ მოჭრა... ახლა ფულიც ჰქონდა და ჭიაც ჰყავდა, იმ ფულით რომ გავებარებინა; ჭია, რომელიც ზედგამოჭრილია მაგძმონობიერ მდიდრისთვის, რათა დეპრესიის ანკესზე სატყუარად წამოვაგოს.

ბატონი ნუგზარი სუნთქვისშეკავებამდე ამბიციური იყო და, აქედან გამომდინარე, ძალიან უყვარდა თავისი პატარა სამფლობელო — ინსტიტუტი.

ყოველ დღით ათ საათზე მოდიოდა. თავისი ვასალებით გააღებდა კაბინეტის მძიმე კარს. ზღურბლიდანვე შეისუნთქავდა საკუთარი დიდების შეგუბებულ ატმოსფეროს. მერე სოლიდური შესახედაობის მაგიდისკენ გაემართებოდა. მაგიდა სწორედ ისეთი იყო, სერიოზულ ჩინოვნიკებს რომ ედგათ კაბინეტებში — გრძელი მართკუთხა, მძიმე, ირვლევი შემოსუბილი სკამებითა და „სატატო“ სავარძლით თავში. შემოსვლისთანავე იგრძნობოდა, რომ უფროსის კაბინეტში იმყოფებოდით, თავიდანვე უნდა შეეპყარით უსუსური მონივნების გრძნობას.

სანამ სავარძლამდე მივიდოდა, გზად ფანჯარას გამოსხნიდა, ფიცილებს შეასწორებდა, ფაქის ხელს გადაუსვამდა, იატაკზე დაგებულ ხალიას თვალს შეაელებდა, ხომ ყველაფერი წესრიგშიაო. ყველაფერს შეეხებოდა, შეასუნთქავდა, შინაგანად მიუაღერებდა. დიდი ფიქრის შემდეგ შეძინულ დეკორატიულ ბალიშებს შეასწორებდა, ოჯახურ და მყუდრო იერს რომ აძლევდა საქმიან ტყავის სამეულს. მერე ხელისგულისოდენა მობილურს კაბინეტის ტელეფონთან დადებდა და სავარძელში ჩაეშვებოდა.

ამ მდგომარეობაში უყვარდა თანამშრომლების მიღება. სავარძელში მოკალათებული საუბრისას მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ „იხსენებდა“ — აჰ, დაჯექი გიზო... ან გურამ... ან ვინმე სხვა. და მხოლოდ ამის შემდეგ ბედავდა გიზო ან გურამი დაჯდომას.

ზოგჯერ აქ სტუდენტები და მათი მშობლები იღებდნენ აუდიენციას. სტუდენტთა თავჩაქინდრული ათვალეიერება ხოლმე თავის ბოტასებს, აღელვებისგან აჭარხლებული დედა კი პირდებოდა ბატონ ნუგზარს, რომ მისი შვილის რაღაც საქციელი აღარ განმეორდებოდა, უკანასკნელი იყო, ბავშვობით მოუვიდა და ძალიან ნანობს, ნუნუელ თვალიც კი არ მოუხუჭავს და... იქნებ, ამ ერთხელ აპატიოს ბატონმა ნუგზარმა.

რექტორი ამ მონოლოგს წარბანული და ტუჩგაბერილი ისმენდა, თვლებს, საოცრად რომ უგავდა შეფიქრიანებულ თევზს, რაღაც აზრების

კვალდაკვალ ატრიალებდა და დუმდა. როცა დედა მომზადებულ მინოლოგს ამონურავდა, ხოლო სტუდენტი ბოლო ძაფამდე შეისწავლიდა თავის ბოტასებს, ბატონი ნუგზარი დიდი სულიერი ბრძოლით სახეზე, თითქოსდა თავის საარტყულუაციო აპარატზე კეთილშობილების ძალდატანებით, პატიობდა. მხოლოდ ორჯერ იყო ურყევი და უღმობელი — პრეკლდენტისთვის. და კიდევ მაშინ, როცა სტუდენტი თანხას ველარ იხდიდა.

ოთხშაბათობით „რექტორატი“ იმართებოდა. ყველა მასწავლებელი ვალდებული იყო, დასწრებოდა ამ შეკრებებს. მაშინაც კი, თუ იმ დღეს ლექციები არ ჰქონდა. „რექტორატი“ სათანახევაკო გრძელდებოდა და თავისი არსით ბატონი ნუგზარის მონოლოგს წარმოადგენდა. რაზე ლაპარაკობდა — ეს გადაწყვეტი არ იყო... სწავლების მეთოდებზე, კვირის მოვლენებზე, ხდებოდა, შეგობრულად მოუყვებოდა დამსწრე საზოგადოებას თავისი ცხოვრების საკვანძო მომენტებს, ისაუბრებდა ყოფილ წარმატებებზე, გაუთხოვარ დაზე. თუ რაღაც საინტერესო ხდებოდა — ვთქვათ, რომელიმე ნერვული თანამშრომლის ამბობი და კარის მოჯახუნებით წასვლა, — ბატონი ნუგზარი ამ თანამშრომლის სულიერ და ფიზიკურ დეგრადირებაზე მსჯელობდა, მის შავბნელ წარსულსა და მის — ბატონი ნუგზარის გარეშე — უღიმამო პერსპექტივებსაც ვადასწვდებოდა ხოლმე. ან თავისი სასაქონლო წარსულიდან რომელიმე ეპიზოდს გაიხსენებდა, სადაც ფიგურირებდნენ ბრიყვი მონანაწილი და ღირსეული სიტყვა-პასუხის დიდოსტატი ბატონი ნუგზარი... იყურებოდა სადაც მორს, თავისი ხან ცუდლუტით და ხანაც შეფიქრიანებული თევზის თვალისით და არა და არ ჩერდებოდა. ვერც თანამშრომლების მონყენილ სახეებს ამჩნევდა, ვერც მუჭში ჩაჩურთულ მთქანარებას, ვერც წამწამებით დროდადრო ჩამოქნილ დამცინავ მზერას.

დანარჩენი ექვსი დღე კი ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი იყო შემდეგი ოთხშაბათისთვის.

კაცმა არ იცის, რას აკეთებდა მთელი დღე მარტო თავის კაბინეტში, მაგრამ როცა კი მასთან ვინმე შედიოდა, ბატონი ნუგზარი მუამდ ტელეფონთან იჯდა ყურმილით ხელში და ყოველთვის იგრძნობოდა, რომ ეს ყურმილი წამის წინ ჰქონდა ალებული. განყენებული მზერით თანამშრომელს კართან მილოტრსავდა და ყურმილში საქმიანად გამოსცრიდა მხოლოდ ერთ სიტყვას:

— ბუულუაშვილი...

ბუულუაშვილი მინისტრის მოადგილე ვახლდათ, ვისთანაც ბატონმა ნუგზარმა თავისი ინსტიტუტის საქმე მოაკვარახტინა და რომელსაც ბ-ნი ნუგზარი ხელის ჩამორთმეითი იცნობდა. მართალია, ბუულუაშვილი ამას უკვე რეგუმენტირებულად ნანობდა — ახლა ბ-ნი ნუგზარი ყოველდღიურად რამდენჯერმე ურეკავდა უაზრო



მიზნებით ან სულაც მოკითხვებით. ასე რომ, გაფორმებული მდივანი ქალი სულ უფრო იშვიათად აერთებდა გაბუნებულ მინისტრის მოადგილესთან. რა იცოდა სანყალმა ბულულაშვილმა, რომ „ამ იდიოტის“ ზარები სხვა არაფერი იყო თუ არა დაბნერ საზოგადოებზე შთაბეჭდილების მოხდენის სურვილი... ის, ბ-ნი ნუგზარი, ასე ფაქილარულად „ეკონტაქტებოდა“ თვით მინისტრის პირველ ხელს, რომელიც ახლა სიამოვნებით დაუბრუნებდა მთელ ქრთამს, ოლონდაც „ამ ტიპს“ მისთვის თავი დაენებინა.

ბ-ნი ნუგზარის თანამშრომლებში არავინ იყო მისი ძველი ნაცნობი — კურსელი, კლასელი, თანასოფელი. ერჩინვა, ძველ ნაცნობებზე შთაბეჭდილება შორიდან მოეხდინა. არ ესიაომენებოდა, ყოველდღე პირისპირ შეხვედროდა თავისი ყოფილი უმნიშვნელობის მოწმეს. ახლა ბატონი ნუგზარი თავისი პატარა სამყაროს ცენტრი იყო, რომლის გარშემო მოწინებთა, დისტანციაზე მოძრაობდნენ უმცირესი ნაწილაკები, დამუხტულები ამ მოწინებთა და უარყოფითი თავისი უმცირესობით... ნებისმიერი ძველი ნაცნობის შემოჭრა უეჭვოდ გახლენდა ამ ბირთვის მყუდროებას და სამიწელი ძალით დაუღრღვევდა პარმიონის. ამიტომაც ბირთვი, ანუ ბ-ნი ნუგზარი, უკომპრომისობას და პატიოსნებას ამოფარებული, ყველა ნაცნობს უარს ეუბნებოდა სამსახურში მიღებაზე. ერთადერთი გამონაკლისი, ვინც წარსულიდან ნამოიყოლა, ჩიტო იყო.

ჩიტო, ანუ გელა, საოცარია და, ბ-ნი ნუგზარის თანასოფელი იყო. გელა და მისი უფროსი უბანში იმით იყვნენ ცნობილი, რომ გიჟი ცისანას შვილიები იყვნენ. არა, ცისანა მართლა გიჟი კი არ იყო, უბრალოდ, დიდი აყალბაყალბის მოყვარული გახლდათ. მეზობელი არ იყო, არ ნაჩხუბებოდა. ნაჩხუბებოდა კი არა, თმებით ნათრევიც ჰყავდა ქალების ნახევარი. მეზობლების უმრავლესობა, რაღაც უცნაური გართობის მიზნით — ზოგჯერ გაუცნობიერებლად, ხშირად აძლევდა გახელების საბაბს.

სხვებზე აქნეული ჯოხი კი მის ბავშვებზე უფრო გადატყდა — სოფელში ერთ ბავშვთანაც არ მიესვლებოდათ — უფროსები ეზოდან ავადებდნენ. რამდენი ვინმეს ქათამი მოუკვებებოდა ან ძროხა გაუშრებოდა, სულ „გიჟი“ ცისანასკენ აგზავნიდა წყელა-კრულვას, ჯადოს ვაგვიკეთებდაო. გელა და მისი და, ძირითადად, თავიანთი ეზოს ჭიშკართან თამაშობდნენ.

თუმცა საკმაოდ ხშირად მოიხეტებებდნენ ხოლმე შარაზე მობორილად რომელიმე ბავშვს და საუბარს გაუბამდნენ. ბავშვს, სანამ ბრძანება

ახსოვდა, ამითან არ ითამაშოო, მკაცრად ეჭირათავი, თუმცა მალე მობობებოდა ხოლმე. რა ექნა, ვითონ კარგად ერთობოდა ცისანას შვილებთან და მხოლოდ დედის ავტორიტეტი არაგუშენტირებული აქსიომა ამ ბავშვების სიცუდის შესახებ მაშინვე იფუძნებოდა, როგორც კი პირადი კონტაქტი იწყებოდა. მით უმეტეს, გელას უფროს დას უკვე მიგნებული ჰქონდა იმ არაბავშვური დიპლომატიისთვის, გარემოებათა იძულებით და გამოცდილებით რომ შეიცნობა. ისე შემპარავად, ისე გულს-მომგებად, ისე გამაბრუებლად მოახლოებდა ხოლმე ნებისმიერ ბავშვთან დაამხანაგებას, დიდს შემურდებოდა. გელა კი მის შრომას იმკიდა... ის უფრო ხისტ და მოუწინელი იყო და ყველაზე მეტად დედის დარიგების შესრულება ემარჯვებოდა — მთელ სოფელში კრეფდა და მშობლებთან აბნევდა იმ „მარგალიტებს“, რასაც მათი ოჯახის მისამართით ისმენდა.

ცხადია, ეს ყველაფერი ბავშვობაში დარჩა, წლების მიღმა, მაგრამ, როცა ბ-ნი ნუგზარი შემთხვევით ქალაქში გელას შეხვდა, თითქმის განცხადება გაუნათდა და ბედისწერის შემთხვევითობას გულში მადლობა აღუვიწა.

სანამ კაბინეტში დაიბარებდა, ბ-ნი ნუგზარი ორიოდე კვირა შორიდან აკვირდებოდა გელას.

გელამ ზღურბლიდანვე მოწინებით მოათვალა კაბინეტი. მერე როგორღაც უხერხული ნაბიჯებით შევიდა, აქაოდა, აქუნის ჭჭჭუარ შემოვიტანო-ფესხაცმლის ძირებით, და შუა ოთახში გაჩრდა.

სავარძელში ჩასკუებულმა რექტორმა თავის ოდნავი ქიცინით გამოხატა ზოგადი კეთილგანწყობა. მერე მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო, ორივე ხელის თითები ფრთხილად შეახო ერთმანეთს, შორსმჭვრეტელი თევზის მზერა სადღაც შიდა უსასრულობას მიაპყრო და ალაპარაკდა.

დიდხანს ლაპარაკობდა — ვალდებულებებზე, ნდობაზე, პასუხისმგებლობაზე. მერე კი — აჰ, გელა, ჩამოჯექი, — ხელი გაიშვირა ერთ-ერთი სკამისკენ... რექტორის შეგონების გარეშეც იყო გელა მადლიერი. სრულიად შემთხვევით დაატყდა თავს კარგი სამსახური კარგი ხელფასით... არაჩვეულებრივი ხელფასით, რომლის სამ მეოთხედს სპეციალური პრემია შეადგენდა... მაგრამ, რის გამოც გადაუხდიდნენ ამ პრემიას, გელამ ჯერ არ იცოდა.

უცებ ნუგზარი წამოვდა. კართან მივიდა, დერეფანში გაიხედა. მერე კი — მისგან წარმოუდგენელი რამ — სავარძელს კი არ დაუბრუნდა, გვერდზე მიუჯდა გელას და თითქმის აწურწულდა:

— მისმინე ახლა, ყმანვილო. ამოდენა ინსტიტუტის თვალუფროსის დევნება ამ ერთ კაცს აღარ შემძლია... ხომ ხედები (გელამ თავი დაუქნია)? მე აქ მეორე თვალი მჭირდება და მეორე... მესამე ყური... მარჯვენა ხელი მჭირდება, ერთი სიტყვით

(გელა დაძაბული სახით იჯდა და ნამეტანი ერთ-გულელებისგან თვალის დახამამამებასაც ვერ ბედავდა)... სულ მინდოდა ვინმე საჩიო და ჩემიანი მყოლოდა, მაგრამ არჩევანი ვერაევისზე შევაჩერე... ვისაც ადრე ვენდობოდი... იძულებული ვაგვდი, სამსახურიდან დამეთხოვა (გელამ სევდიანად დაუქიცინა თავი და გამგებად ჩაიცინა)... — ახლა შენ გეკითხები... დაფიქრდი, კარგად დაფიქრდი და მერე მიპასუხე... შეგიძლია, ვინც თავზე ამოდენა პასუხისმგებლობა?

— რა პასუხისმგებლობა? — უცებ იკითხა გელამ.

ნუგზარმა ამოიხრა. გელა ნამდვილად არ ბრწყინავდა მიხვედრილობით.

— ჩემს თანამემხედ დავნიშნავ (გელას თვალეში გაუფართოვდა და იმ ზომამზე დარჩა). შტატს ვამოყვარე — რექტორის თანამემხედ... შენ ერთადერთი მოვალეობა იქნება, იყო ჩემი მარჯვენა ხელი, მესამე ყური, მესამე თვალი...

ნუგზარმა პირველად ჩახვდა გელას თვალეში... არა, უიმედოდ ბრყვიდა, მაინც ვერაფერს ხედვდა... მთორეს მხრივ, მით უკეთეს...

ერთი სიტყვით, გელას მოვალეობა აღმოჩნდა საპროფესოროში ტრიალი, თანამშრომლების ყურისგდება, სტუდენტების კუდში დევნა და რექტორთან ინფორმაციის გაუფიქრებლად მიტანა. ბატონმა ნუგზარმა არაერთგზის აუხსნა გელას ზემოხსენებული ინფორმაციის პროფესორების, შტატოვებისა და მოპოვების მეთოდები, ისე დეტალურად აუხსნა, ისე კონკრეტული მაგალითებით, რომ გელამ ძალიან იოლად დაიწყო დაკისრებული მისიის შესრულება... დაიწყო ამადლებული განცდით მადლიერი ადამიანისა. გელა ნუგზარის გამომთვალვად გადააბრუნებდა... პასუხისმგებლობას კი არა, ხელსაც აიღებდა თავზე გელა, ოღონდ ბატონ ნუგზარისთვის, ასეთი დიდი კაცისთვის, მის, გელას ნდობამდე რომ უშვებოდა, ესამოყენებინა...

მალე კი გელას ჩიტო შეარქვეს. მან ეს ირონიამპარულ აღერდა მიიღო და მშვიდად შეხვდა მეტაბოლურს. მერე პირშიც შეხედეს და მალე მთელი ინსტიტუტი „ჩიტოს“ ეძახდა — ფამილარულად და გულწინფხანით... ბევრმა ხომ საკუთარ კისერზე იწვინა რექტორის რისხვა, როცა გაუფრთხილებული სიტყვის თუ ქცევის შედეგად ნუგზარს „ჩიტმა“ ამბავი მიუტანა.

ერთმანეთთან ლაპარაკში ჩიტოს ყველა დასწოდა, ზიზხით მოიხსენებდა და ლანძღავდა. მაგრამ, ო-ო-ო, როგორ იცვლებოდნენ ეს ადამიანები ჩიტოსთან პირისპირ შეხვედრისას... თანამშრომლები უღიმოდნენ, მერე ჯივრიანად მოიკითხავდნენ და ძალიან ცდილობდნენ, მისი კეთილგანწყობა მოეპოვებინათ. ზოგი ხაჭაპურით უმასპინძლებოდა შესვენებაზე, ზოგს სახლამდე მანქანით მიჰყავდა. ზოგი მისლამი მტრულად გან-

წყობილ სტუდენტებს ჩათვლას არ აძლევდა და ამ ფაქტის მისარებას ჩქარობდა ჩიტოსთვის. მისი შესვლისა და შემდგომ მოქმედებებს საპროფესოროში დაბალაბავიანი ნათურებივით აიპყუტებოდა ხოლმე მოქმედებული დიმილიტი.

ჩიტო კი ნელ-ნელა განიხდა სხვისი სიტყვების დამასსოვრება-გამეორებამი. ბ-მა ნუგზარმა დაარწმუნა, რომ ეს სამართლიანი იყო. ყველამ, ვისაც მადლიერების გრძობა არ გააჩნია, ვისაც ბიღნი აზრები და ბიროტები ენა აქვს, ვინც დალბატს კადრულობს და კოლექტივს რექტორის წინააღმდეგ ამხედრებს, — პასუხი უნდა აგოს. სამართლიანია, ბ-მა ნუგზარმა იცოდეს იმ ადამიანების ნამდვილი „მე“, ვისაც ხელი გაუწოდა და სასახური მისცა. ჩიტო შინაგან ეკაყოფილებასაც კი გრძობდა, როცა „დამანაშვე“ ასე თუ ისე იწვეებოდა.

სამართლიანობა ხშირად ისე სწორწახნაგაა, ისე დამტევი, ისე შავ-თეთრი, რომ თავისუფლად თავსდება ჩარჩომი გამოსახულებით „კბილი კბილის წილ“. სამართლიანობა რომ სრულყოფისთვის განმსაზღვრელი იყოს, რატომ იქნებოდა ღმერთი არა მარტო სამართლიანი, არამედ გულმონწყალეც?..

ასე რომ, ჩიტო აქტიურად ანოციერებდა ნუგზარის პატარა, თავმოყვრებასა და ამბიციანზე აფუჭებულ სამართლიანობას...

ჩიტო-გელას გონებაში ადამიანების დაყოფა ასე დაიწყო: ცუდები, უცნობები და ბატონი ნუგზარი. ბატონი ნუგზარი იდეელი იყო. არავის არასოდეს გამოუხატავს გელას მიმართ ამდენი ზრუნვა და ყურადღება. მისთვის კლდიდან გადახტებოდა გელა. ნუგზარიც გრძობდა ამას და ხშირად აქებდა თავს გულში, ის ზიჯი რომ „აღმოაჩინა“. ამიტომაც არ იმურებდა სხვადასხვა ნამახალისებელ ფესტებს — მაგალითად, კაბინეტში სივარტის მოწვევის ნებას რთავდა (რაც მის გარდა ყველას ეკრძალებოდა). მასთან თვითონაც მოდუნდებოდა ხოლმე... მალე კი ჩიტო ნუგზარის მარჯვენა ხელი კი არა, მესაიდუმლვეც გახდა...

●  
ნუგზარი ორმოცი წლისა ისე გახდა, ცოლისთვის არ უღალატია. იმიტომ კი არა, რომ სიციქემდე უყვარდა ან მორალის ტყვეობაში იყო. როგორღაც შემთხვევა არ ეძლეოდა. ცოლიც გაურთივეს თავის დროზე, თორემ, კომპლექსებით დამძიმებული ქალის დანახვაზე არასოდეს ამჩატიებულა.

ახლა კი მის პატარა სამეფოში ყველაფერი შეიცვალა. თუმცა კარგახანი ფრთხილობდა ბატონი ნუგზარი — შარისა ემინოდა — გათხოვილების ქმრებისა და გაუთხოვართა მამების. მაგრამ ერთ დღეს სამდივნოში ახალი თანამშრომელი გაჩნდა — ქმარგაცილებული ლამაზმანი ლანა, სადაც იმ ხნისა, ბალზაკს რომ დააინტერესებდა.

●  
მალე მთელი ინსტიტუტი განიხილავდა ახალ



ამბავს და მის დეტალებს — ცხადია, როცა ახლო-მახლო ჩიტო არ დაფრინავდა...

ჩიტოს კი საზრუნავი მომატებოდა. მის მოვალეობა და უსუსხას ახალიც დაემატა. ის დროდადრო თავისი ფრთხილი, შემპარავი ნაბიჯებით რექტორის კაბინეტიდან სამდივნოსკენ შეცურდებოდა და ლანას რექტორის დანაბარებს გადასცემდა — ესა და ეს დოკუმენტაცია მჭირდებოდა.

ლანაც აუჩქარებდა ნამოდებოდა, წერილ ნელზე მომდგარ როლინგს გაისწორებდა, საჭირო „პაპაკას“ აიღებდა და სავსე გავის რხევით გავიოდდა. ოთახში დარჩენილი მონმეები (სამდივნოში ყოველთვის იყო ორიოდე თანამშრომელი) მიამიტი სახეებით აცილებდნენ, ხოლო, როცა ლანას მაღალი ქუსლით დერეფანში გაბაკუნდებოდა, ერთმანეთს გადახედავდნენ შეთქმულებივით. სახეებიდან მყისირად და შვებით იძრობდნენ ნიღბებს, როგორც მსახიობები კულისებში. ზოგი სამდივნოდან მალე ვალნევას ცდილობდა, რათა ლანას დაბრუნებისას მასთან თვალის გასწორების აუცილებლობა აერიდებინა. უფრო პრიმიტიულები, პირიქით, ცდილობდნენ, არ გაეშვათ მომენტი და უპიფრად ათავსებდნენ რექტორის კაბინეტიდან მობრუნებულ ლანას; ცდილობდნენ, არ გამოჩინოვდათ მისი გამომეტყველება, ინტონაცია, რათა მერე, შესაბამისი ვაფორმებებით, გავერცელებინათ. ისე, ლანას, უკაცრავად და, ფეხებზე კეიდა მასზე გავრცელებული ხმები და და მისი გამავრცელებლებიც. ცხოვრებისგან ნაცემ-ნათრევი ქალი ახლა აქეთ იყო ზეგონების იშტაზე, რაც და რა გზითაც ეძლეოდა, ხელიდან არ უშვებდა.

ჩიტო კრძალვით მიუხურავდა ხოლმე კარს კაბინეტში უსუსლ ლანას და ფეხაკრეფით მიდიოდა მოშორებით მდებარე ფანჯარასთან. იქ თითქოს ხევდებოდა და მორჩილად იცდიდა. თუკი ვიცი ამ დროს შეეცდებოდა დერეფანში გავლას, ჩიტო ვარიდებდა და გამოდიოდა. ერთგული ძალღვივით იძაბებოდა უცხო ნაბიჯების ვაგონებისას. შინაგანი ღრენით უჭრდა ვხას მომსვლელს და საქმიანად უხსნიდა რექტორი ახლა ძალიან დაკავებულიაო. მალე უკვე ყველამ იცოდა — როცა ჩიტო დერეფანში დარაჯობს, რექტორთან ლანა და უკან გაბრუნება სჯობს.

მერე ნუგზარი ისე გაუშინაურდა ჩიტოს, ჯერ კიდევ ლანას იქ ყოფნისას დაემატებოდა ხოლმე. არც მას და არც მდივანს არ ერიდებოდათ ჩიტოსთან თავის მონესრიგება. ის კი არადა, ხშირად ბატონი ნუგზარი „პაქაურობისთვის ხელის ნაკერასაც“ სთხოვდა ჩიტოს, რათა კაბინეტი იმ მდგომარეობაში დაებრუნებინა, როგორც გიჟმა აჟი ლანას შემოსვლამდე იყო.

ჩიტო არ თანაობდა სავარძლებიდან იატაკზე მიმოფანტულ ბალიშების აკრეფას, არც ჩამოფარებული ფარდების ისევ გადანევის, არც დივა-

ნის ძვირფასი გადასაფარებლის გასწორებას. ეს მოვალეობა სამატიოდაც კი ეჩვენებოდა... ის ხომ თავისი კეთილსამყოფელის საიდუმლოს ეფოფინებოდა, მისი ჩვეულებრივმოკვდავობის კვალს სპობდა. და... და... მართალია, ჩიტო ვერასოდეს მოუსვენებდა აკანკალებულ ხელს ლანას სავსე გავაზე, მაგრამ საიდუმლო ვნებათაღვლეობით გაუცენ-თილი ატმოსფერო თითქოს ამ სპონტანური ორგეების თანამონაწილე ხდოდა ჩიტოსაც...

შემდეგ, რაც უფრო გადიოდა დრო, ჩიტო უფრო უთამამდებოდა თავის ოცნებებს... მოუხურავდა ზურგსუკან კარს ლანას, უახლოვდებოდა „თავის“ ფანჯარას და, სადარაჯოზე მდგარი, უნებურად ფანტაზიას ეძლეოდა. ახლა ლანა, ალბათ, იხდის... თუ ბატონი ნუგზარი ეხმარება? როგორ გამოიყურება, ნივთი, როცა შემოტამასნილი როლიანი არ აცვია... მაღალეც, მაღალეც, ბატონო ნუგზარ, რა ქალი დაითრია...

თავისი მორიგი იუბილე ბატონმა ნუგზარმა პოპე ზურად აღნიშნა მოდურ რესტორანში, როგორც მალიმალ იმეორებდა, „ვირონრემი“. ყველა თანამშრომელი მიიწვია და რამდენიმე ცნობილი ტელედიპუტა სამინისტროდან. ეს უკანასკნელი თავისი მოზრძანებით ბატონი ნუგზარის ბრწყინვალე კარიერის ილუსტირებას ახდენდა. საკუთარი მნიშვნელობის ღრმად გაცნობიერებით იერი თ ისინი მხოლოდ ერთმანეთისთვის იმეტებდნენ ყურადღებას და, მუქთი ქვივით გახალისებულნი, მონყალედ ულოცავდნენ მათ მარაქაში როგორღაც შემოპირიბულ ეუბილარს.

ჩიტოს მართლაც ფრთები გამოევა. სადღაც გარბოდა, გამორბოდა, რალაცა ეწეროლებოდა ნუგზარს. გადაჭარბებული სერიოზულობით უსმენდა ჩურჩულითვე მიცემულ მის მითითებებს, ერთი სიტყვით, თავისი კერპის კლაუსტროფილიურ დიდებას მრუდე სარკის კარიკატურად ირეკლავდა.

ბოლოს ჩიტომ ნუგზარის ცოლს, მაიას სახლში მანქანით მიაკითხა. სანამ ეზოში ელოდებოდა, ქალის ნარმოვუნას ცდილობდა. მისი ვარაუდით, იგი ან ლანასავით სექსუალური კატა უნდა ყოფილიყო, ან დედოფალივით ამაყი უკარება. სხვანაირი ქალი ისეთ დიდ კაცს, როგორც ბატონი ნუგზარი იყო, არც შეეფერებოდა. ჩიტო ვერაფრით ნარმოვიდგენდა მისი ცხოვრების მეგზურად მუცელნაკეციბიან მრგვალ დედაკაცს... ანდა პირხმელ, მოუფლავ ინტელექტუალს... ანდა...

დაბალმა, მოზარდის აღნაგობის ქალმა სადარბაზო კოზე ჩამოირბინა, ჩიტოს გაულომა და მძლოლის გვერდითა კარი გამოალო. ჯერ კიდევ დაეჭვებოდა ჩიტო უხმოდ მიუჯდა საჭეს და ქალს მიაჩერდა. შორიდან ძალიან ახალგაზრდა მოეჩვენა. ახლოდან უფრო ეტყობოდა. რამდენიმე თვალის უპეებთან შეჩურჩულდა. ახლა კი ინამატიორო კი იყო, მაგრამ... ბატონ ნუგზარს თითქოს უფრო სხვანა-

ირი — ჩიტომ არ იცოდა, ზუსტად როგორი, მაგრამ სხვანიირი — ქალი შეეფერებოდა... აბა, ეს გვერდით მიუჯდა მძლოლს და მთელი გზა ტოლოვით ელაპარაკებოდა. ჩიტო ქალის მხარეს მიხედვასაც ვერ შეეძა და შეოფლიო ხელისგულებს მაგრად უჭერდა საჭეს.

...ბატონმა ნუგზარმა მეუღლე გვერდით მოისვა. რადგანაც, გასაგები მიზეზების გამო, არ სურდა, მაია კინმესთან კონტაქტში შესულიყო (მით უმეტეს, რომ, აკრძალვის მიუხედავად, ნუგულეზაზე ლანაც მობაკუნდა), მეორე მხრიდან ჩიტო დაუსვა.

ნუგზარი სტუმრებს „აქცევდა ყურადღებას“, ჩიტო — მაიას. უფრო სწორად, მაია მასპინძლობდა ჩიტოს — სთავაზობდა კერძებს, ჭიქას დროდადრო ბორჯოვით უყვებდა და დაბნეულ კაცთან საუბრის გაბმას ცდილობდა.

დასაბუთვად კი ჰქონდა მიზეზი ჩიტოს. ჯერ კიდევ გაცნობამდე მაიას აღიქვამდა, როგორც ნუგზარის მდებარეობით ვარიანტს, მის-სიმალეზე მყოფს, მთელი თავისი ჰაბიტუსით მონინების მომგებელს... თავგაუაყდრებულს.

ცული იყო რეალობის ეს კონტრასტი წარმოსახვასთან თუ კარგი, ჯერ ვერ გარკვეულიყო. ცოტათი უცნაურიც ეჩვენა მაია. მაგალითად, ათჯერ მაინც ადგა სუფრიდან ხელების დასაბანად, ხშირად აცვლევიანებდა თავის თევზს ოფიციატს და მალულად წმენდდა ახალ ჭურჭელს ქაღალდის ხელსახოცებით. სხვა მხრივ კი ერთი ჩვეულებრივი ქალი იყო, ზომიერად კეკლუცი და... გულუბრყვილოც... თუ არადა, შენიშნავდა ბატონი ნუგზარის დაბაბულობას და მის ვადახედვებს ლანასთან... უცებ ჩიტომ რატომღაც თავი მონინალმდევის ბანაკში აღმოჩენილივით იგრძნო — იმ ქალის ბანაკში, ვის მოტყუებამაც ასე გულდასმით ეხმარებოდა თავის უფროსს...

იმ საღამოს დიდხანს ვერ დაიძინა ნასევამა ჩიტომ. თავის ქაოტურ განცდებში გახლართულმა ბუნდოვანი დისკომფორტი იგრძნო. ჩიტოსთან თავის ვატოლებით მაიამ უნებლიეთ ნუგზარიც შეარყია წარმოდგენილ კვარცხლბეკზე. ამ ქალის მოპყრობამ მძლავრი შუქივით გაანათა ნუგზარის ყალბი კეთილგანწყობა, რომლის ჩრდილიდან ტარაკუნებით გამოცოცდა ათასი წვრილმანი: დამგეჰსვი „გულახდლიო საუბრები“, რექტორის ორგანიზის დამამცირებელი დარაჯობა, მისი აგდებულები ინტონაცია... ერთგული ძალის პატრონის ინტონაცია... თანამშრომელთა მლიქნელური ლიმოლები — ორსახა იანუსივით კეფაზე აკრული ბოროტი მზერებით... რამდენი დაუტყვია მასში ნუგზარის პრეველად შთაბეჭდილებას და მსუყე პრემიებს... მაიამ რა... არაფერი... უბრალოდ, სათვალის როლი ითამაშა ჩიტოს ახლომხედველ გონებაზე.

შემდეგ დღეებში ბატონმა ნუგზარმა ვერ

შენიშნა ჩიტოს ჩამოყრელი ფრთები. საერთოდ დაკვირვებული, როგორც ყველა ეჭვიანი ადამიანი, იგი ახლა თითქოს ჩიტოს მიღმა იხედებოდა. უწინდებურად იბარებდა „სასაუბროდ“, უწინდებურად ლლაგებინებდა კაბინეტს ლანასთან გართობის შემდეგ და ჩიტოს სიცივეს ყურ ამჩნევდა. თუმცა, ისიც ნელ-ნელა დაწყნარდა. ყოველდღიურობამ ისევე ჩაითრია და ძველ ადგილზე დააბრიალა.

მერე კი ბატონ ნუგზარს ახალი საფიქრალი გაუჩნდა.



— ჰა, გელა?

— კი ბატონო, ბატონო ნუგზარ. როგორც გნებათ... როგორც მეტყვიით...

— ჯოსს, ვოხს... — რექტორი წამოდგა და ფანჯარა გამოაღო, სივარტის ბოლი რომ გაეფანტა. გარედან ნაკადად შემოვარდა ცივი ჰაერი.

— დღეს აღარ წვიმს...

— გარეთ, ბატონო ნუგზარ? — გულისმომგებად ჩაეკითხა ჩიტო.

— არა, შვიანი („ღმერთო ჩემო, რა ბრიყვია!“) მაინც, ნაიღე ჩემი ქოლგა.

— არა, არა...

— ნაიღე-მეთიო... ეცადე, რამდენიმე საათი მაინც გაჩერდე. ხომ იცი, სადაც უნდა დადგე...

— კი. გნებათ, ღამეც ვიქნები.

— როგორც გინდა. მაინც შეგნიშნონ, რა! მე ხომ ვერ დავდეგები... მდგომარეობა არ მძძვეს უფლებას... კავშირებო... წრე... ბულუღაშვილი გადამერევა, რომ გაიგოს... მაგრამ შენ წაიცი. რა იცი, რა ხდება. შეგნიშნონ მაინც. ერთი ჩემი კაცი მაინც უნდა ჩანდეს...

— მართალია, ბატონო ნუგზარ. ვილაც უნდა ჩანდეს... რა იცი, რა ხდება, — გაიმეორა ჩიტომ ცარიელი ოთახის შეზღუდულ ექოსავით.



მაიასთან შეხვედრის შანსი უმცირესი იყო. არც ელოდა ჩიტო ამას.

ქალმა თვითონ დაინახა. ხალხში გამოძვრა და ჩიტოს სახელოზე მოქაჩა.

რამდენიმე საათი ერთად იდგნენ მიტინგზე. საერთო აღმავრენას აყოლილები, ერთად ყვიროდნენ „მიშას!“

უკვე გამიზარებული გელა უცნაურად ბედნიერი იყო ამ ხალხში, რომელიც იშვიათად კეთილი იყო ერთმანეთის მიმართ, რომელიც ათას პოდმის იხილდა ყოველი მიჯახებისას; ათას მადლობას ნებისმიერი მიზეზით. ამ ხალხმა არ იცოდა, რომ გელა ჩიტო იყო, გულწრფელი პატივისცემით ეპყრობოდა და მასში მხოლოდ ღირსებებს ვარაუ-

დობდა. და, თუ გელა ამას ყველაფერს ვერ აანალიზებდა, სამაგიეროდ, კარგად გრძობდა. აქ იგი არ ჰყვებოდა შებოჭილი ნუგზარის წყალობით გაღრმავებულ ბავშვობის კომპლექსებს. აქ დაბალი თვითშეფასება აღარ აყალიბებდა მის სიტყვებს შეპარავი ინტონაციების მთელი გამით. და — მაია. მაია თავისი უბრალოებით. უცებ გელამ ისეთი გაუცნობიერებელი მადლიერება იგრძნო ამ ქალის მიმართ... რაღაც განსაკუთრებულის გაკეთება მოუნდა... ძალიან ძლიერის... ძალიან სამართლიანის... ისეთის, მაიას რომ გამოადგებოდა... ჩიტომ ისევ იგრძნო თავი მონინალმდევის ბანაკში. იმ ქალის ბანაკში, რომლის მოტყუებაშიც თვითონ ეხმარებოდა ნუგზარს.

მაიას ყურთან დაიხარა...

...ზოგჯერ სამართლიანობა ისე სწორწახნაგაა, ისე დამტყვი, ისე შავ-თეთრი, რომ თავისუფლად ეტყება „კბილი კბილისა წილ“ ჩარჩოში...

მაიას სახეზე წამისწინანდელი აღტყინება ნაცრისფერმა ჩამოურევს. დაბნეულად გაუცინა ჩიტოს, მეტი არაფერი. „მი-შა! მი-შა!“ — გუგუნებდა ისევ მიტინგი. ჩიტოც აპყვა, მერე ქალს მოხედა. მაია იქ აღარ იყო.

ჩიტო შეეცადა, ადგილი გამოეცვალა. დიდხანს იძრომილა ხალხში. მაიას ვეღარ მიაგნო, მაგრამ მალე ისე გაიჭყადა, ვეღარც წინ გავიდა და ვეღარც უკან.

სიტუაცია ყოველნუსთს უფრო იმუხტებოდა. მალე ჩიტოს აღარც მაია ახსოვდა და აღარც ნუგზარი. სერიოზულმა შიშმა აიტანა. მისი აღმადრენაც უკვალოდ გაქრა.

მერე ყველაფერი ისე მოხდა, როგორც სიზმარში. მძლავრმა ტალღამ ნაფოტივით გაიყოლა, პარლამენტის კედლებს ახახუნა, კარს მიახალა და ბოლოს შენობაშიც შეადგო. იყო ერთი გნისი და ყვირილი. ყველა მხრიდან ისე ანეუბოდნენ, ძლივს ახერხებდა ჰაერის ყლაპვას. პანიკამ მოიცვა — რომ ნაქცეულიყო, გადათელავდნენ ეს ადამიანები, წელან ერთმანეთი რომ უყვარდათ და ათას ბოდისს იხდიდნენ...

მაგრამ ჩიტო გადარჩა. რამდენიმე საათის შემდეგ ვიღაცები ეხვეოდნენ, ულოცავდნენ მას და ერთმანეთს, ზოგი ტირონდა. ჩიტოს ლამის თვითონაც არ სჯეროდა, რომ შემთხვევით მოხვდა მოვლენათა ეპიცენტრში.

ღები ფეხაკრევით დადიოდნენ. სტუდენტებიც კი ცდილობდნენ უმიზეზო ახალგაზრდული მხიარულების დაოკებას.

ლანა ინსტიტუტადან გაქრა. ნუგზარს აღარც თანამშრომელთა საუბრები აინტერესებდა და აღარც ჩიტო. თითქოს სამუდამოდ დარჩა რაღაც შოკურ მდგომარეობაში. მობერებულ თევზის თვალვლებს ახლა უმწეოდ ატრიალებდა და, ცოტა არ იყოს, გონებადასუსტებულის გამოიმეტყველება ჰქონდა.

ერთხელ კი ორი ჰალსტუხიანი ახალგაზრდა დაადგა თავს.

სათქმელი ნათლად გამოხატეს — ბატონმა ნუგზარმა დიდ პატივად მიიღოს, რომ ასე იოლად გადარჩა. აგერ, აშხელა თანამდებობები ახლა ციხის გისოსებიდან იხედებიან. გადაიხადოს, რაც ეკუთვნის და სკამიც დატოვოს...



— ვაჰ, ამას ვის ვხედავ!

— ვაა, სად ხარ, კაცო, სად დაიკარგე! ერთხელ არ უნდა გამოიარო?!

— რა ვიცი, ორ სამსახურში ვარ, სახლშიც როდის-როდის მივივარ. რას ამბობ, შეილები დღის შუქზე ვეღარ მცნობენ...

— ისევ იქა ხარ, ნუგზართან?

— სადაა, ძმაო, ნუგზარა. მოაძრეს.

— კაი, ტო...

— რაღაცებს მაიმუნობდა ეგეც, როგორც ჩანს. თან რა მოუვიდა, კაცო. მაგის ცოლი ვარდების რევილუციის დღეს ასულა მეათე სართულზე და გადმომხტარა.

— ვაა! რატო, კაცო...

— ვინ იცის. ხან ესა თქვეს, ხან ისა... რა ვიცი, რა ჰქონდა ნაჭში ცოლ-ქმარს... ახლა რას გაიგებ...

— ვაა!

— ზერეა, რა... ახლა გადაირევი, რომ გაიგო, ვინაა მაგის ადგილზე.

— ?!

— მაგის „თანამემნე“ რომ იყო... ბატონი გელა... ჩიტო, — გადავიდა ჩურჩულზე, — როგორც ჩანს, რევილუციის აქტივისტი იყო... პარლამენტში რომ შეიჭრნენ, პირველ რიგებში ყოფილა... ვიღაცებს იცნობდა, როგორც ჩანს და...

— ვაა!

— აბა!.. ასე რომ, ჩვენთან ვარდების ევოლუცია მოხდა...

— აუ, შენ რა მაგარ რამეებს იტყვი ხოლმე.

— კარგი, აბა ჰე, მომიკითხე ოჯახი.

— ხარაშო, შენც არ დაიკარგო.

— კარგად.

## ვლადიმერ ჯოლოგუა

### ვეტერანები

— ბესარიონ, ერთი, ის თქვენბური „ჭაჭა“ ჩაგ-  
ვაცეცხლა ახლა?! — ინატრა მასპინძელმა. სტუმ-  
რისკენ არც გაუხედავს.

ის ტახტზე მოკალათებული ბესარიონი გაზეთს  
დაჩერებოდა. ხმის ამოღება დაეზარა, ეტყობა,  
მასპინძლის ნათქვამზე ოდნავ შეინძრა და ტახტიც  
აჭრილდა, თითქოსდა იმის მაგივრად დაუკრაო  
კვერი.

მასპინძელმა კი, ჩვენბური ჭაჭის არაყი რომ  
ინატრა, ვასილი პეტროვიჩმა ვისაც ბესარიონი  
ვასიკოს ეძახდა, ცალ მუხლზე ჩაკუნცხულმა ლუ-  
მელს შუა შეუკეთა და ხელები შარვლის ტოტებს  
შეაფერთხა.

მთელი ზაფხული იმარაგებდა შემას ახლომ-  
დებარე ტყეში. დაბალ, ხავსმოდებულ მორებს  
„დრუფითი“ ხერხავდა, ერთ ადგილას უყრიდა თავს,  
მერე კი კარის მეზობელს, ტუჩა-მძლოს ელიჭინე-  
ბოდა, სატვირთოთი შემოეზიდინებინა ეზოში შუმა.  
თოვდა.

კოჭებამდე თოვლი იდო ეზოში.

სახლი ორთვლიანი იყო, „ხატას“ რომ ეძახ-  
იან რუსეთში. გარედან ცისფრად შეღებილი, ალაგ  
სალეზავატკეცილი.

ლუმელზე კარდალი შეედგათ. კარდალში კარ-  
ტოფილი იხარშებოდა.

საშუალო სიმაღლის კაცი იყო ვასილი პეტრო-  
ვიჩი, ვისაც ბესარიონი ვასიკოს ეძახდა. გამხდარი,  
ომგადახდილი, ათასჭირვარამვამოვლილი... ლურ-  
ჯი, ბავშვურად გულუბრყვილო თვალები ზოგჯერ  
განმკითხავად უციმციმებდა, ხოლო მარჯვენა  
ლოყაზე ნაიარევი ვარდისფერს გადაიკრავდა ამ  
დროს. თმა ჯერ კიდევ ომის დროს გასაუკორებოდა,  
სრულიად ახალგაზრდას.

ვასიკო და ბესარიონი მანჯურიაში ომობდნენ,  
იქ დამეგობრდნენ და ომის შემდეგ ურთიერთობა  
არ გაუნწყვეტიათ. ის კი არა, ვასიკომ ცოლი რომ  
შეირთო, ბესარიონი ხელისმომკიდვე ჰყავდა. ქო-  
ნილისთვის საჭირო ღვინო და არაყიც ჩამოუტანა  
ფრონტულ მეგობარს. იმ დროისთვის ბესარიონს  
სამი წლის ვაჟი ჰყავდა უკვე.

ვასიკო და მისი მეუღლე, ლიზავეტა, თითქმის  
ყოველ წელს ესტუმრებოდნენ ბესარიონს ვაგრა-  
ში, მაგრამ ეს დასვენების ხასიათს კი არ ატარებ-  
და, ერთმანეთის ნახვის წყურვილით უფრო იყო  
გამონევეული. ბესარიონიც, ცოლშვილითურთ, რამ-  
დენჯერმე სწევვია ბალაშიხაში, ზამთრობით, დიდ-



თოვლიანობის დროს. ლიზავეტა და ბესარიონის მეუღლეც დიდებულად შეეწყვენენ ერთმანეთს, რაც მთავარია.

სუსტი აღნაგობის ქალი იყო ვასიკოს მეუღლე, ლიზავეტა. სევდაგარეული თვალები ჰქონდა, სევდაგარეული ღიმილი სჩვეოდა.

ვასიკო, როგორც კი დროს მოიხელთებდა, შავ-ნიღვისპირებისკენ გამოქანდებოდა. შუა ზამთარშიც დასდგომია თავს ბესარიონს, სულაც რომ არ ელოდა. იმის ზოგიერთ ჩვევას ბესარიონი უცნაურობას მიიწერდა, ფანტაზიის ნაყოფს... ვასიკო ხომ ცოტას ხატავდა, ლექსებსაც წერდა. მაგრამ ეს ისე, თავის გასართობად.

...თებერვლის იმ ჩვეულებრივ დღეს, ვასიკო რომ ენთია მოულოდნელად, არ წვიმდა, თუმცა ცა მოქუფრული იყო.

— რა უჩვეულო დღეა, ბესარიონ, — მიუბრუნდა სტუმარს მასპინძელს, როცა ფიქრებიდან გამოერეკვა.

— მაინც რა არი აქ უჩვეულო, გამხადე ამის ფილოსოფოსო! — ცოტა არ იყოს, უგულოდ მიუგო ამ უკანასკნელმა.

— რა არის და, — თვალები აუციმციმდა ვასიკოს, — ეს დღე ნაცრისფერია. წყნარი. მე რომ მკითხო, მონყენილი უფრო ეთქმის. ბუნება ამ წუთებში თავისთვისაა, თავის ტყავშია. მუხე სანაპიროს, უკაცრიელა, როგორც მილიონი წლის წინათ. ზღვას თითქოს რაღაც სათქმელი აქვს, მაგრამ ენას კბილს აჭერს.

ბესარიონს ვერაფრით ამოეხსნა, რა იყო „უჩვეულო“ იმ დღეს ანდა რით შეეძლო მოეხიბლა უკაცრიელ სანაპიროს ადამიანი. ზამთრობით აქ ხშირად წვიმდა, მარტი კი თოვლქაყაპიანი იყო. ბალღებს თუ უხაროდან ეს. ზამთრობით ზღვა თითქოს შორდებოდა ქალაქს და ხშირად წიხლი იყო გახვეული. ვასიკოს კი აჩემებინა, ზღვას რაღაც სათქმელი აქვს და ენას კბილს აჭერს...

ბესარიონს მშვენიერი ოდა-სახლი ედგა ზღვისპირას. ხეხილის ბაღი. ბოსტანი. ომის შემდეგ ააშენა ის ოდა. იმ დროს სახელმწიფო სამამულო ომის მონაწილეთ რაღაც შეღავათს უწევდა. სესხი გამოუყვეს, საშენი მასალაც მჭიდრო ფასებში შეიძინა. მთელი სამეზობლო ეხმარებოდა სახლის აშენებაში. ამას ნაღს ეძახდნენ. იმ ხალხს სასმელ-საჭმელიც შინიდან მოჰქონდა. ეზოს რომ გვერდით ღელე ჩაუდგოდა, ერთცუცნა, ერთი მტკავლი, ღვიზის ჩააგრილებდნენ შიგ, სუფრა კი, როგორც წესი, თხმელის ქვეშ უნდა გაშლილიყო.

როცა ვასიკოს ცოლი გარდაეცვალა, ბესარიონს შეატყობინა ამის შესახებ. იმასაც წუთი არ დაუყოვნებია, გვერდიდან არ მოცივლებია, სანამ საწყალი ილიზავეტა მინას არ მიპარავს. მეცხრე დღეს, პირის გახსნას რომ ეძახიან, სასადგამოდ ავიდნენ, თავი უღლები აიტანეს, წესრიგში მოიყვანეს იქაურობა. შინ რომ დაბრუნდნენ, ბესარიონმა იკისრა მზარეულოება. მოვიდნენ მეზობლები, მოკეთენი და, როგორც

წესი ითხოვდა, მოიხსენიეს ან გარდასული.

ვასიკოს იმდენი თანამებრძოლი, მეზობელი თუ ახლობელი დადღეუპა ფრონტზე, გული ჰქონდა გაკერებულნი, მაგრამ მეუღლის დაქარავემ განსაკუთრებულად იმოქმედა, მთლიანად შესძრა და გააღლო ეს კერკეტივთ კაცი... თუმცა იცოდა, რომ ქალს უკურნებელი სენი შეკურნდა და წინასწარვე იყო განწირული.

ამის შემდეგ ვასიკო გაგრაში არც ჩასულა. უწინდელი მეგობრობაც გაფერმკრთალდა როგორაც. ვასიკოს სახლში ტელეფონი არ ედგა, ბესარიონი შეხშიანებოდა ან იმას დაერეკა მეგობრისთვის. წერილი კი გაუგზავნა, ჩამოიღ, ძველი დრო გავიხსენოთ, ზღვას გული გადააყოლეო, მაგრამ არაფერი გამოვიდა ამ შეცადინებიდან. 23 თებერვალს დეკემბით იგი მიულოცავდნენ ერთმანეთს დღესასწაულს და ეკ იყო.

ბესარიონი ერთი პირობა თვითონვე აპირებდა ბალაშინაში ჩასვლას, მაგრამ ყოყმანს შეეპყრო, რამეთუ მეუღლის ნათქმამას ანგარიშს უწევდა, დაუწევებულ კაცს სტუმარმასპინძლობის თავი არც ექნებოდა...

ასე გადაიღო დრო.

და მიულოდნელად, სადაღაც ნოემბრის მინურულში, აფხაზეთიდან ლტოლვილი ბესარიონი ქრისტეს პერანკვივთ გამოეცხდა ვასიკოს... თუმცა ამ უკანასკნელმა, როგორც კი აფხაზეთში იმი დანიყო, დეპეშა აფრინა გაგრაში, თხოვდა, შენც ჩამოდი და ჯალაბობაც ჩამოიყვანეო ბალაშინაში... მაგრამ სინამდვილეში იმის ხელახლა ნახვის იმედი გადაწურული ჰქონდა.

ბესარიონის მეუღლე თავის ვაჟიშვილთან, რძალთან და შვილიშვილებთან ერთად ფოთში გადასულიყო გემით. ბესარიონს კი ქვა აუგდდა და თავი შეუშვერია, ჩემთან ვის რა ხელი აქვს, სახლ-კარს უპატრონოდ ვერ მივაგდებო. ჰოდა, დარჩენილა. ესეც რომ არა, აფხაზეტს ემოყვრებოდა და, ეტყობა, ცოტა ამის იმედიაც იყო. სწორედ იმ მოყვარეთაგან ურჩევია ერთ-ერთს, მშვიდობიანად გაცლოდა აქაურობას... მე სულ კედში ხომ ვერ ვსდებ, ბესარიონ ბიძია, — ასე უთქვამს, — თუ მშვიდობა იქნა, დაბრუნდებით და ესაა, მანამდე კი მე მივხვდავ ამ თქვენს სახლ-კარსო.

...ფსოუსწყალი უკან რომ დარჩა, ბესარიონს რატომღაც ვასიკოსს ვეგუანია გულმა. მითუმეტეს, ეს უკანასკნელი თვითონვე სთხოვდა ბალაშინაში სწევოდნენ. დეპეშა იმის მერე მიიღო, რაც ჯალაბობა გავაცილა ფოთში და იმათაც შეატყობინეს, მშვიდობიანად ვიმგზავრეთო. იქნებ გულში დაგუბებული ბოღმის გაქარწყლება ენადა?... ანდა კუდამოუყებულს ჯალაბობის წინაშე თავის გამოჩენისა მოერედა, ღმერთმა უწყის. ესეც რომ არა, ზღვისპირეთში ვერც მომხრეს გაუგო ვერაფერი, ვედარც მოქიშეს... ყველა — დანასავით ალესილი, არაფრის შემსმენი, არაფრის გამგონე.

მასპინძელმა აგვარგვარებულ კარდლის სახ-  
ელორის ჩვარი შემოახვია, დერეფანში გაიტანა და  
ორთქლიც თან გაიყოლა. მერე დრეფნის კარი გა-  
მოაღო, კარდლიდან წყალი გადაღვარა და იქვე,  
დითოვლილი კობის საფეხურზე რბილად დაუსვა.  
ოთახში შემოსული ტაბურაზე ჩამოჯდა და სიგა-  
რეტო გააბოლა.

— ფანჯარადაიორთქლა, — წყნარად ჩაილაპარა-  
კა ბესარიონმა და გაზეთი ფურცლებზე გადადო.

სიჩუმი შესასვებად უფრო იყო ნათქვამი.

— ჰო, ფანჯარა, — აჰყვა მასპინძელიც, — კარ-  
ტოვლილი თოვლში მალე გაცივდება და მუნდირიც  
შემოვაცალეთ. დომიც გვაქვ, ცოტა არაყიც მოიშე-  
ბნება ამ ჩვენს „კალხობში“.

— ხოდა, ვაცხონებთ მაშის სულს!

— ვაცხონებთ რომელია!

— თუეთის რა უნდა ინატროს კაცმა, შემოგვე-  
ლე.

— თუკი ვინმეს რაიმე გავებება...

— ნაფულად, — დაუმონმა ბესარიონმა და ხელი  
ხელს შემოჰკრა, — დიდებული სადილი მოგველის.

— კანას ქორწილი..

სტუმარს რაღაც შეითხვა გაუჩნდა. ვასიკო ამას  
ტახტის აჭრიალებზე მიხვდა, მაგრამ არ შეიმჩნია,  
სიტყვა სხვა რაღაცაზე გადაიტანა.

ტანში მოსული კაცი იყო ბესარიონი. ნარბჟექ-  
მუხენით რომ გალაკებდა, ნაბახუსევი მოგეჩვენე-  
ბოდათ, უზნობზე... სანახევროდ შეთეთრებული  
ჯაგარივით თმა „ბოქსით“ შეეკრიჭა. შუა გაპობილი  
ნიგაო, ოთხკუთხად მოყვანილი ყებები, მსუქანი ცხ-  
ვირი და შავად მოელვარე თვალები გაბრაზებული  
მოურავის იერს აძლევდა, თუკი შეიძლება დღეს ამის  
ნარბოვდება. ხმავე უცნაური ჰქონდა. სილით ვერკის  
რომ ბზარავ და ხრინინი გაუდის, იმგვარი. სიკეთე  
და კავთომოყვარება დედის მუცლიდან გამოჰყოლო-  
და, ხოლო სხვა დანარჩენი, რასაც მინიერს უნდა  
უთელიან ხოლმე, თვითონ ცხოვრებისგან შეეძინა  
და შეისისხლბორცებინა. ამ წუნს, რასაც პერანგი-  
ვით გატარებს უმრავლესობა, ჩინებულად გრძობდა  
ვასიკო, მაგრამ ბესარიონის „ნაბადაკეთება“ აზრა-  
დაც არ მოსვლია. უბრალოდ, ის ამას არც იმჩნე-  
და... დერეთს თუ კვირათი შვიდი ცოდვის მიტეგება  
უთქვამს, როცა სხვები გაცილებით მეტს ჩადიდ-  
ნენ, ბესარიონს ერთი ცოდვე კი ეპატებოდა, სადაც  
სიმართლეა. ესე რომ არა, ვასიკოს მეტი გაეცბო-  
და, მეტივე მოეთხოვებოდა. თავის დროზე ოფიცრის  
ჩინი ჰქონდა და რაღაცის გამო ჩამოუქვეითებიათ...

ეს მისი აქილევსის ქუსლი იყო და კრინტაც არ სძ-  
რავდა იმ წარსულზე... აღარც ბესარიონი ჩასძიებია,  
მაგრამ იმასაც ამჩნევდა, მისი ზოგიერთი ქვეყის ან  
გამონათქვამის შემდეგ ვასიკოს გაერცეცლ სახეზე  
ნაიარევი ვარდისფერს რომ გადაიქრავდა... სხვა თუ  
არა, გაუჭურბას მაინც ახერხებდა.

ვასიკო ზოგჯერ ისეთ აზრებს ახვევდა თავს,  
რისი გაგვეც ბესარიონს ნამდვილად უჭირდა ან  
სულაც არ შეეძლო, მაგრამ ვასიკო არ ცდილობდა,  
სათქმელი გაემარტივებინა. ის იმიტაც მადლიერი

იყო, რომ ყურადღებით უსმენდნენ, რომ მეგობარს  
გულით სურდა გაეგო თუ რას ეუბნებოდნენ. მან  
იცოდა, რომ ვასიკო ოდესღაც მექანიზატორად  
მუშაობდა, სანამ პენსიონზე გაევიდნენ. ამიტომაც  
იყო, ალბათ, მისგან მოსმენილს ხშირად სახსვავ და  
სალენ მანქანებთან რომ ავიგებდა... ვასიკო  
აქინებით უხსნიდა, რომ ეს ასე არ არის, რომ ნათქ-  
ვამს არავითარი კავშირი არ აქვს სოფლის მექა-  
ნიზაციასთან, რომ ეს ფილოსოფიაა; რაც ნიშნავს  
„აზრით მეტყველებას...“ მეათედ თუ ოცდამეათედ  
განუმარტავდა სიტყვა „ფილოსოფიის“ მნიშვნელო-  
ბას, რაც ბესარიონს განსაკუთრებით მოსწონდა და  
რასაც იგი თვისიებურად აღიქვამდა... თუკი რაიმე  
გაურკვეველი იყო, წამსვე ნაშობიძებდა: „გამზადე  
ამის ფილოსოფოსი!“

მაგრამ ხშირად იმის გულუბრყვილობას მოთ-  
მინებლად გამოჰყავდა ვასიკო. ეს საუბრები, ერთი  
შეხვედით, პატარ-პატარა გაკვეთილებს წააგავდა,  
მონაფისა და მასწავლებლის გარჯილობას. არადა,  
ერთ უბრალო მებადურს როგორღა შეეძლო, სი-  
ტყვაზე რომ ეთქვათ, ჰვეგლის აზრებს ჩანდო-  
მოდა... თუმცე კი ვასიკო, მისი ჭკუით, ძალიან გას-  
აგებად გადასცემდა „ბატონისა და ყმის“ შინაარსს.  
ბესარიონი მაინც ვეღარ მიმხვდარყო, რანაირად  
შეიძლება ბატონი გახდეს მონის მონა... ვასიკო  
ისევე უხსნიდა, გასაგები ენით განუმარტავდა, რომ  
ბატონი სინამდვილეში მონა კი არ ხდება, არამედ  
იმ მოთხოვნილებათა მონა, რომელთა შესრულება  
მონისთვის მიწინაა... სახედაროვით გაოჩნებული  
ბესარიონი მაინც თავისას გაიძახდა, ვასიკო თა-  
ვიდან იწყებდა ქადაგებას და ბოლოს ეს ყველაფერი  
ჩხუბითა და დავიდარაბით მთავრდებოდა.

ბოლოვამს ბესარიონს ერთი ქართული ანდაზა  
აეკვიპატა, რომლის მიხედვით სტუმარი პირველ  
დღეს ოქროსა, მეორე დღეს ვერცხლად იქცევა...  
ხოლო ბესარიონი უკვე დღეს მეტია, რაც თავის  
ფრონტელ მეგობარს შეხიზნებია. დაიხ, ხიზანია,  
სტუმარი არც ეთქმის. ტვითად დასწოლია ვა-  
სიკოს, ვისაც ეს ცხოვრება სულაც არ ანებებოდა.

პირველ ხანებში ცოტაოდენი ფულიც უჭყაოდა  
ჯიბებში, იმედვე ჰქონდა, რაიმე სამუშაოს რომ გა-  
მოხანხავდა უეჭველად. ერთი პირობა ავტოსადგომის  
დარაჯობაზე ეჭირა თვალთ. სალუდებში ვილაჯ-ვი-  
ლაჯებს ვაცნობია და დაპირდნენ, თურმე, ამ საქმეს  
ავიღილად გაგიჩალოვებთ, მაგრამ გაუცურებოდა.  
მერე მეუბნებოდა გადანყვობა, მაგრამ ამაოდ...  
ბოლოს ერთ თვისტომს გადაჰყრია, საზამთროებს  
რომ ჰყიდდა ჭუჩის კუთხეში. იმას უთქვამს, საზამ-  
თროების გამყიდველად მოგაყვებო, მაგრამ ათავის  
აქედან გამოვიდა რა... ჰოდა, ის ორიოდ გროში,  
ჯიბში რომ უჭყაოდა, იმ ვირეშმაკებს მიაფუნდ-  
ნტა, სამუშაოზე მონყვობას რომ ჰპირდებოდნენ, და  
დარჩა ბესარიონი უფულოდ, უიმედოდ... თითქოს  
ძილბურნიდან გამოერკვა და ნამსვე თავის სახლ-  
კარზე ფიქრმა ჩაიხვია. მასოსვლისას ძროხამ რომ  
მოაბღავდა, ყველაზე უფრო ამან მოუღალა.

ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თავის კარ-მიდამოს, ფრინველ-საქონელს კი არა, სიცოცხლეს ეთხოვებოდა სამუდამოდ. ცრემლგარეული ხმით ემუდარა კარის მეზობელს, ეროვნებით ბერძენს, თავისთვის დაეტოვებინა ის ძროხა, არ დაეკლა, არც გაეყიდა.

ახლა უკვე თვალნათელი დაინახა ერთცუცნა დღე, მის ეზო-კარს გვერდით რომ ჩაუდოდა... „უკაცრიელი ზღვა“ დაინახა და ზამთრის ის ჩვეულებრივი დღეც, ვასიკომ „მონეწილი“ რომ უწოდა.

ბესარიონის მონდომების, სამუშაო მონყობის მიზნით აღმა-დაღმა ხეტიალს, ვასიკო დუმილით პასუხობდა. ის არც ამედეგბდა, აღარც იმედს უკარგავდა, თუმცა წინასწარვე იყო დარწმუნებული, სულ ტყუილად რომ ირჯებოდა მისი ფრონტელი მეგობარი.

— რას ქვია კანას ქორწილი? — კითხვა, რომელიც ბესარიონს გასჩნდოდა, გამოსავალს ეძებდა.

— გრძელი ამბავია, — უგულოდ გადაუგდო მასპინძელმა, მერე დასძინა: — მე სხვას გეტყვი: ჯერ ქალს უნდა მოერიო, თუ გინდა მამაკაცს სძლიო.

— რასთან დაკავშირებით იძიხა მგას? რამდენადც მახსობს, ცხოვრებულ ლიზავეტასთან შეწყობილად ცხოვრობდი.

— ეპ, ლიზავეტა, ლიზავეტა... — ნაღლიანად ჩაილაპარაკა ვასიკომ, — ის სულ სხვა ქალი იყო, მართლაც, — მერე წყნარად დაურთო: — ლიზავეტა რა შუაშია...

— აბა, ქალთან ომისა არაფერი გამეგება მე, — თქვა ბესარიონმა, — ასეთი რამე თავშიც არასოდეს მომიხლდა, შემოგველე.

— არ მითხრა! — ჩვეულისამებრ, თვალები აუციმციმდა ვასიკოს, — ქალსა და მამაკაცს შორის გამუდმებული ომია, ხშირად უხმო, უჩინარი... ომი პირველობისთვის. და მტენილად ქალები გამოდიან გამარჯვებულნი.

— რატომ მაინცდამაინც ქალები?

— მტელ მოთმენის უნარი აქეთ და იმითომ.

— ცოლ-ქმარზეა ლაპარაკი?

— ცოლ-ქმარსაც ეხება, რა თქმა უნდა. ყური მიგდე: მამაკაცის სისუსტე ხელისუფლებით ჩანს, ქალის ძლიერება კი მისივე სისუსტეშია.

— რანაირი ლაპარაკი იცი, ვასიკო, ტვინი ელრძობა კაცს. ჩემთვის ეს ჩინურია, შემოგველე. ომია, საერთოდ, ეს ცხოვრება, მა რა ჩემი ფეხებია! აბა, ჩონგურით აწყობილი საღდაა.

— შეგიძლია წარმოიდგინო, რამდენ ადამიანს უცხოვრია ჩვენამდე? — ისევ აუციმციმდა თვალები ვასიკოს, — მილიარდობით ადამიანს, ბესარიონ... და საღდაა ახლა ის ხალხი, რომელ განზომილებაშია?..

— რალას მოგცემს ამეგზე ტვინის ყქულეტა, ჯერ მაგის ფილოსოფოსი გამახადე!

— და თითოეულ მათგანს თავისი საფიქრალი ჰქონდა, — მშვიდად განაგრძობდა დაწყებულ საუბარს მასპინძელი, — ცდილობდა, რაღაცისთვის

მიეღწია, ოცნებობდა, იმედოვნებდა, წვალობდა... და რა გამოვიდა ბოლოს აქედან? არაფერი. ისე ჩაირბინა ამ ცხოვრებამ, თითქო არც კი მიცხოვრია ამქვეყანაზე. რა უნდა უყო იმ სინანულს, არაფრის დაბრუნება რომ არ შეუძლია? კუსი მშურს და კურდღლის, ჭიხსა და ჭიანჭველასი, ეს ამბები რომ სულაც არ აწუხებთ.

— საიდან მოგდის ეს უცნაური აზრები, ვასიკო? შენ რომ თავის დროზე ხელი გამოგელო, დიდი კაცი იქნებოდი ნამუდამად.

— უცნაური აქ არაფერია და არც რაიმე სიახლეს ვამბობ. დედაკაცის მწიგობა ხომ ორსულობაა. აზრიც ორსულდება, ბესარიონ. ისიც კადის მწიგობის დროს და უნაჯერ ნაყოფიც გამოაქვს. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ყველა რაღაცის გამო ისევბა ამქვეყანაზე: ზოგი აზრის, ზოგიც უაზრობის გამო.

— მე და შენ რისთვის ვისჯებით, კიმარა, გამახადე ამის ფილოსოფოსი!

— მე და შენ, ბესარიონ, გამარჯვებულ ომში დამარცხებული ჯარისკაცები ვართ. გამარჯვება არ გვაპატიეს, ამიტომაც ვისჯებით.

— დაბაჯა ერთნუთს... ჩვენ ხომ არ დავსხმივართ თავს, აქეთ დაგვეცხა ფაშისტური გერმანია და ვძლიეთ მტერს, ხომ ასეა?

— რა თქმა უნდა, ასეა.

— მერედა, ამისთვის გესჯიან?

— ამისთვის.

— მერედა, რატომ, შემოგველე?

— ეს რთულია...

— რას ქვია, რთული! ბარე ორ-სამჯერ ერთად გადავსულვართ ხელჩართულ შეტევაზე, რაც დაგადე განჩია სახეზე. ძალის ბედი ხო გვეჩინა და ღალადე ჩინო... ჩვენ ხომ გადავჩინით, მარა რა ლომივით ბიჭები მოიცელა, გაიხსენე. ღმერთო, აცხონე, საღდაც არიან. ხოდა, ამისთვის ვისჯებით, ვასილი პეტროვიჩ?

— ამისთვის, ძვირფასო. მაგრამ ჯერ ის გავარკვით, რას ეძახი შენ დასჯას. რა გაქვს მხედველობაში?

— დასჯაა, შემოგველე, მა რა ჩემი ფეხებია, ვეტერანთა საბჭო ყოველ ნელს სამედიცინო შემონმებს რა გეჩინოს, თითქო რაღაცას ვიბრალუდებო... ათას საბუთს ითხოვს, იჩიხენება, რომ ის ერთსახე პენსია, რაც გვერდება, შეგვიმცირონ. ჯერ ის პენსია რაღა და მერე მისი ათასჯერ გადამონმება. დამარცხებულ ქვეყანაზე უარესი ცხოვრება რო გვერგო, დასჯა არ არი! ახლა აქ აღარც პენსიას მაძლევენ, ჩანწრა არ გაქო! ჩანწრას არ შობიან, სამუშაოს...

— პე, გახვედი უკვე სწორზე! — გაანყვეტინა ვასიკომ, მერე რბილად დასძინა: — ნუ გეშინია, ბესარიონ, ჩემი პენსიითაც გავალთ როგორმე. მალე ახალი კარტოფილი მოგვისწრებს, ბოსტანს გავმარათავთ...

— მე რომ მუქთახორობას არ ვარ მიჩვეული?! — ამუამად ბესარიონმა გააწყვეტინა სათქმელი მეგობარს, — კი იცი შენ, რა ხილიცაა მეზადურობა. დღე და ღამე ზღვაზე გამისწორებია, აქ კიდე მეეზოვის

ადგილს არ მაძლევენ, ჩანერა არ გაქო!

— მეუბოვის ადგილზე შენ კონკურსით ვერ გახვედი! — სიცოლი წასკდა მასპინძელს.

— შენ იცინე, მე კი გულზე ცეცხლი მიკივია. შენ რა გიჭირს, შემოგველე. ასეა თუ ისეა, მაინც საკუთარი ჭერი გიფარავს, მე კი ცასა და მინას შორის ვარ გამოკიდული.

— ეჰ, ბესარიონ, ჩემსა და შენს შორის, იცი, რა განსხვავებაა?... შე უკვე ყველაფერზე ჩაქნეული მაქვს ხელი, ძვირფასო. შენ კი მიზანი ვაგინდა — შინ უნდა დაბრუნდე... ესეც რომ არა, ჯალაბობა გელოდება და ჩემსავით მარტოკა არ ხარ ამქვეყანაზე. მოკვლები, დავიტირებენ, გაგასვენებენ, როგორც წესი და რიგია.

— ქვეყანა დიდია, ღმერთი ყველაფერს ხედავს, — დაიმედა ბესარიონმა.

— მე ხელი იმისთვის კი არ ჩამიქნევია, რომ ღმერთისა არ მწამს, — უპასუხა ვასიკომ, — ყოველ ნაბიჯზე უღმერთობას რო ვაწყდები, ამიტომაც ჩავიქნე ხელი.

— წინათ ცოტ-ცოტა ხატავდი, ლექსებსაც წერდი, — ფრთხილად შეაპარა ბესარიონმა, — ლიზავეტა გვიკითხავდა იმ ლექსებს. ძალიან მომწონდა, მართალი გითხრა, თუმცა ლექსის ბევრი არაფერი გამეგებდა მე.

— რა დროს ლექსია, საყვარელო, — ხელი ჩაიქნია ვასიკომ.

მერე ხელმარცხნივ შეაბრუნა თავი და კედელზე ჩამოკიდებულ პორტრეტს დააკვირდა, ფანქრით რომ იყო შესრულებული. იმ ნახატზე ყმანვილი ჯარისკაცი იყო გამოხატული, რომელიც გარმონს უკრავს და ისეთი მზიარული სახე აქვს, თითქოსდა ძალზე სასაცილო ამბავს უყვებოდეს...

— გრიცკო მეგარმონე გახსოვს, ბესარიონ? — წყნარად იკითხა მასპინძელმა, მაგრამ პასუხისთვის არ დაუცდია, განაგრძო: — პირველი ბუნდელი ჩვენი ნაწილის დალაქმა რო ჩამოპარსა. როგორ უკრავდა ის რჯულძალი, სულს ამოგიყვარებდა. ისიც მანაფურის მინაზე, სამომ საფლავში...

— მახსოვს, რა დამაინყებეს, — ბესარიონმა კედელზე ჩამოკიდებულ ნახატს ახედა, — ის რო „სულიკოს“ დაუკრავდა, ცრემლი ყელში მებეჭინებოდა, შემოგველე. ომი დამთავრებული იყო თითქმის, ბრმა ტყვიამ რო იმხვევრლა... მახსოვს, გარმონიც ჩავყოლიეთ.

— ჰო, გარმონი... მუსიკა, — საკუთარ ფიქრებში გახვია ვასიკო, — ჯარისკაცური ფაფა და მუსიკა. ჰმ, სული და სტრამაქი... ფაფას ხომ პირის გემოთი აღვიქვამდით, მუსიკას? — ჯიქურ მიუბრუნდა ბესარიონს.

— რა მუსიკას... — უცებ ველარ გამოერკვა ეს უკანასკნელი, მერე კი მოჩვენებითი ვაგბლისებით დაუმატა: — ყურები რისთვის გვაბია, აბა, შემოგველე?!

— უნდა გეთქვა, სმენით. თუმცა ეს ერთი და იგივეა თითქმის. პირიც იგივეა კუჭისთვის, რაც სმენა გონებისთვის, ანუ სულისთვის, მეთანხმები?

— თანხმობით კი გეთანხმები, მარა აზრი ვერ გამოვიტანე იმ შენი ნათქვამიდან.

— მუსიკით სული ტკებდა და არა სმენა, ამას გეუბნებიან სმენა, უბრალოდ, საშუალებება, რისი მეოხებით მუსიკა აღვიქვამდა. ასევეა პირიც სტრამაქისთვის...

— ადამიანურად შეგიძლია დამეღაპარაო?!

სად მუსიკა და სად კიდევ სტრამაქი... და კიდევ სული. გამხადე ამის ფილოსოფოსი!

— ადამიანი შედგება ძვალი-მყესისგან, ანუ ფიზიკური გარსისგან, რაც წარმავალია. ასევე სულისგან, რაც უკვდავია. ადამიანის მთელი ცხოვრება, ბესარიონ, სულისა და სხეულის სტილილი გავის. კაცს რო სინდისი შეაწუხებს, ჭილი აკეთებს ამ საქმეს, გამიგე? გარსს ვხედავთ, სულს ვეღარა. შენ შეგიძლია სული დიანახო?

— წარმოდგენითაც ვერ წარმომიდგენია.

— ჰაერი?

— ველარც ჰაერი... კი მარა, ჰაერი რა შუაშია?!

— ჰაერზე ხომ უხილავია, როგორც სული. ხოდა, განა შეიძლება ასრ აღიარო ის, რასაც ვერ ხედავ? მაგალითად, სული ან ჰაერი. არადა, ჰაერის გარეშე ხომ წუთსაც ვერ ვძლვებთ.

— აბა, რა, — დაყბაულდა ბესარიონი, მაგრამ იქვე დაუმატა: — ჩვენ ბრიგადაში ბერძენი იყო ერთი, მეთევზე. სამ წუთსაც ძლვებდა წყალში.

— თი იყოს! ეს მაინც არაფერს ნიშნავს, გამიგე?! — უეცრივ გაცხარდა ვასიკო, — სხვა რამეზეა აქ ლაპარაკი.

— ხოდა, გამხადე მაგის ფილოსოფოსი!

— არსებობს სული, რასაც ვერა ვხედავთ ისევე, როგორც ჰაერს, მაგრამ ის მაინც არსებობს და უკვდავია. სული თუ უკვდავია, ადამიანიც მარადია, ასე არ არის?

— ასეა ნამდულად, — დაუკრა კვერი ბესარიონმა.

— ვერცა ღმერთსა ვხედავთ, მაგრამ ღმერთი არის, რადგან არ შეიძლება უარყო ის, რისი დანახვაც არ ძალგისძი, როგორც სულისა და ჰაერის, გამიგე?

— გასაგებია, შემოგველე, — ეკვა მოიქექა ბესარიონმა.

— და ამიტომაც, — განაგრძობდა ქადაგებას მასპინძელი, — ეს ცხოვრება, რასაც აქ ვაძღვივართ, საწყისი ეტაპია მხოლოდ.

— რისი საწყისია, ვასილი პეტროვიჩ? — თვალეი დაყვლია ბესარიონმა.

— მარადიულობის, როცა სული საბოლოოდ განეწვავება სხეულს.

ეტყობოდა, მესარიონმა ბევრი ვერაფერი გამოიტანა ნათქვამიდან, მაგრამ მაინც დაუკანტურა თავი თანხმობის ნიშნად, რადგან დალალა ამ ლაპარაკმა. ვასიკომ კი განაცხადა, რომ ამქვეყანაზე შეუძლებელია თანახმობის მიღწევა, რასაც ბესარიონი არ დაეთანხმა. მაშინ მასპინძელმა ჰკითხა:

— ორი მკვლარე შეიძლება თანახმობა იყოს?

— რატომაც არა, — მიუგო ბესარიონმა.



— რანაირად, კი მაგრამ?

— დაეუშვათ, ორივე ერთნაირადაა განათლებული, ჭკუით და მობერებებითაც ერთმანეთს არ ჩამოუფრადებია, არც სიტყვა-პასუხით და გარეგნობით, არც ქონებით და გვარშვილობით. ეს ხომ თანასწორობაა, მა რა ჩემი ფეხებია!

— თუ ერთი მათგანი (ცდილობს, მეორეზე მაღლა დადგეს, მაშინ? ანდა რანაირად შეიძლება ორივე კმაყოფილი იყოს თანასწორობით. ასე არ ხდება. ან პირველი ეცდება, მეორეზე უკეთესი იყოს, ანდა მეორე — პირველზე...

— რატომ უნდა ეცადოს ამას ან ერთი, ანდა მეორე?

— ასეთია საერთოდ ადამიანის ბუნება, — მიუგო ვასიკომ.

ბესარიონი პასუხმა არ დააკმაყოფილა.

— ეს არ არის პასუხი! — თქვა.

— ყური მიგდევ: თუ პირველობისთვის სწრაფვა არ იქნა, აღარც პროგრესი იქნება მაშინ, ამას გუუბნებო! საქმე ისაა, რამდენად ამართლებს სწრაფვა და აქვს თუ არა ამას პერსპექტივა. პირველობისთვის უმეტეს შემთხვევაში ხომ ის იბრძვის, ვისაც საამისო მონაცემები არა აქვს... და ყოველნაირი ხერხით ცდილობს ამის მიღწევა. აი, რა არის ტაბასტა.

— თუ ორივეს აქვს ეს პერსპექტივა, მაშინ?

— ხდება, როგორ არა... და მაშინ შედეგიც დადებითი იქნება, ფიქრობ. მაგრამ ეს ხდება გამონაკლის შემთხვევაში.

— რატომ მაინცდამაინც გამონაკლის შემთხვევაში?

— იმიტომ, რომ უმრავლესობას ტვინი აქვს ნალრძობი, შენის არ იყოს. როგორც ბრძენს უთქვამს, ბევრია ნეკული, ცოტაა რწეული.

ცოტაოდენ ხანს გაყუჩებული იყო ერთიცა და მეორეც, მერე კი ბესარიონმა ნაშინიყო:

— ცოლი ვის არ მოკვდომია, შემოგვეყენე. უნდა შეგვექმნა ხელახლა ოჯახი, შვილები გაგვიჩინა და ერთი და მეორე.

განაჩენს ნაავად და ეს სიტყვები.

— უნდა. შემიქმნა, მაგრამ ანი ამაზე ღირს ლაპარაკი?!

— არ ღირს, რა თქმა უნდა.

იხვე ჩამოვარდა სირუფე. ორივე თავის საფიქრალს მისცემოდა. როდის-როდის მასპინძელმა ლუბუბი შეშა შეუკეთა, ფანჯრის რაფაზე ჩამოდებულ „პრიმას“ დასწვდა, გააბოლდა და თქვა:

— ამ ადგილას, ბესარიონ, შენც მოსწრებიხარ, კახელა სოფელი იყო. მერე შემოგვიტია მაღალ-სართულიანებმა. ნელ-ნელა აიყარა ხალხი აქედან. ეშპაქმა უწყის, ვინ სად გადააბარასალეს... რამდენიმე ოჯახილა შეერჩით ბალაშისას ოდინდელი მიწურებითი. მალე, ალბათ, ჩვენც ავაგებენ აქედან. ნინათ მეზობლები სახელითა და გვარით ვიცნობდით ერთიმეორეს. ჭირშიც ერთად ვიყავით და ლხინშიც. ახლა რა... ამისწინებულ ასეთ სურათს ნავან-ყო: გვერდით რომ მოცალბართულიანი შერბოდა დგა, ვხედავ, ერთ შესასვლელში სიძე-პატარძალი

და მაყრიონი შეცვივდნენ ჟივილ-ხივილით, ხოლო მეორე შესასვლელიდან მიცვალებული გამოასვენეს... ვაგვთიმა და დავგაზურდავა ამ ცათამბჯენებმა. მე ეს სულსულა მემრჩა წარსულის მოსაგონებლად. ხვალ ან ზეგ აქედან რომ გამომაპანდურებენ, მერე იკითხო შენი!

— რატომ, შე კაცო, ბინას მოგცემენ სამაგიეროდ. გათბობა, გაზი, ცხელი წყალი... ეგ არ ჯობია ამ წველებს?

— უშპაკს მავათი გაზი და ცხელი წყალი მიწაზე მიდგას ფეხი. იმ ბინაში კი, შენი თქმისა არ იყოს, ცასა და მინას შორის ვიქნები გამოკვირილი.

— თუ გეშინია, — დადიმედა ბესარიონმა, — იქნება არც ისე ჩქარა მოხდეს ეგ ამბავი...

— ნუხელ დედა ვნახე სიზმარში, — თქვა ვასიკომ, — საწყალს ჩემხნობამდის არც მიულწევი. ბავშვობისას, სულ პატარა ვიყავი მაშინ, ავად ვავნდი. ექიმმა თითზე ნემსი გამიკეთა და გული შემიღონდა. როცა მომპარუნეს, დედა ტიროდა. ცხადი სიზმარში განმეორდა.

— ნუ გეშინია, დედის ნახვა სიზმარში სიკეთედ აგისხდება, დაცლილი მაქვს.

— კი არ მემინია, ბესარიონ. მე არავინ მრჩება ამქვეყანაზე, ვისაც სიკვდილის შემდეგ დავესიზმრები. ამ მხრივ შენ თავი ქუღმე გაქვს.

— რაო ვითომ, მე რა ჩემიანებს დავესიზმრო, საიქიშოში ყოფნა გამიადვილებდა თუ?!

— კი არ გაგაიადვილებდა, მაგრამ სასიამოვნო მაინც, ვილაც რომ გრჩება ამქვეყანაზე.

— მეც ბევრჯერ დამისიზმრებია წარსულის ამბები, — თქვა ბესარიონმა.

— სიზმარი მხოლოდ წარსულს კი არ აღვიძებს ჩვენში, საყვარელი. ის ზოგჯერ წინ გვისწრებს.

— რას ქვია, წინ გვისწრებს?

— რასა და, ამაღამ რომ რაღაც დაგეზმანება და ორიოდ თვის შემდეგ აგისხდება, ამას ნიშნავს.

— რატომ, მაინცდამაინც, ორიოდ თვის შემდეგ?

— პირობითად ვთქვი, რა არის აქ გაუხუცებარი?.. კარგი, მოვეშვათ ამ ლაყობას, სადღის საქმეს მივხედოთ, უკეთესია.

კარტოფლი გაფცქვენს, თეხვი განმინდეს. ბესარიონმა, — როგორც ჩველად, პურის გორვალს დანა არ გააკარა, დატეხა და სუფრაც გავიშალა. ვასიკომ სუფრას დამუყავებული კომბოსტო, ნახევარი ლიტრი არაყი შემატა და ჩაილაპარაკა:

— შე, თამადობა და სუფრის გაძლოლა ქართვლებს არ გესწავლებათ!

— ერთი სახარება ვთქვით მაშინ!

— ამინ იყოს!

ჭინჭოლები ერთმანეთს მიუჭახუნეს.

ერთთხის უხმოდ ილუკმებოდნენ. მერე ბესარიონმა თქვა:

— ცუდია, რო ლობიო არ მოდის ამ თქვენ მზარეში. ლობიო რო მოდიოდეს, ცოტაზე მაინც გაადვილებოდა ცხოვრება.

— მერედა, ვინ გითხრა, ვინ მოგახსენა, ლობიო



არ მოდის რუსეთში? — ჩაიფრუტუნა ვასიკომ, — მოდის, რამდენიც გინდა, ოღონდ ამაში არაა საქმე.

— აბა, რაშია საქმე, გამზადე მაგის ფილოსოფოსი!

— რაშია და, — მისამძებლმა ისევ ჩაიფრუტუნა, — ჩვენ არ მოგვსდებამს იმდენი კირკიტის თავი, თქვენ რო ნახევარი დღე ანდომებთ ამ კერძის დამზადებას. იმ თქვენს სამზადში, „ქუხნას“ რომ ეძახებთ, დაკვირვებებიარ, შენი ქალი რომ ლობიოს სამფეხბო შედგამდა მოსარაბდა და მერე შუადღემდე გარს უტრიალებდა, ხან წყალს გამოუცვლიდა, მერე ნელ-ნელა ჩაამატებდა, მწვანილსაც ასევე დრო-დადრო ყრიდა შიგ, როგორც ხმელ, ასევე ბოსტანში ახალმოკრეფილს, კიდევ რაღაცას ყრიდა შიგ, იმასა ჰგავს, ლოსს რო ქერქი რჩება კარდალში...

— ტყლაპი?

— ჰო. ხოდა, ამდენი კირკიტის თავი ვისა აქვს, საყვარლო. ერთხელ ჩავეკითხე შენს ცოლს მაგ ტყლაპზე, ეგ რა არის-მეთქი? ტყელებისგან არისო, მითხრა. გენიალური გამოგონებაა, მე რომ მკითხოს კაცმა. არადა, ერთი სხეულები, არაფერიცა. მოხარზე ტყემალი, გაატარე საცემრო, გააბრტყელე ლანჩასავით, დაფინე მაგიდაზე და გაახბე მზეზე. ახლა აჯიკ-ას არ იკითხავ, მკვდარსაც რო პირს აუნეავს? ხოდა, ყველა ეს კომპონენტი აქ არ მოიძიება, ძვირფასო; ესეც რომ არა, თქვენთან ლობიოს კულტია. ეს რაღაც უცხო ხილვიეთაა. ის კი არა, სხვა რამეც ჩამონა გონებაში: თქვენთან ცაცს შეუძლია ნებისმიერ საქმელზე თქვას უარი, ცხელ ლობიოზე კი მაშინ-ათვე დაგყაბულდება. გასვენებაზეც ხომ ლობიოა მიღებული. ეს რაღაცასთან არის ურთველად დაკავშირებული, იქნება წარმართული დროიდან მოდის? არადა, რა დიდებულად უხდება ახალამოღესილ ლობიოს დამუშავებელი პრასი, შავი ადგსა. აბა, კარტოფილი, მე რომ მკითხო, ზარმაცების საქმეა.

— მაინც, რამოვდა იმი გამოვართო, ვასიკო? ახლაც მზურძგლავს ტანში. ამას ხომ მოვჩრით და მერე რა დღე დაგვადგა... ყველაფრის ახლად დანყემა, გეგმები, ხუთნოლები... და ახლა, ამ სიბერეში, ლობიო და პრასი უნდა გვენატრებოდეს?!

— ყოველ შემთხვევაში, ეს იმასა სჯობს, საერთოდ არაფერი გვენატრებოდეს ამქვეყნაზე.

— ეს საბჭოთა კავშირი, კარგი იყო თუ ცუდი იყო, ხან დავბაღვთო და გავანიავეთ, — თავის სათქმელს გადარქმობდა ბესარიონი, — მოვედეთი მერე და ტყეები დაგვუშინეთ ერთმანეთს მეზობლებმა და ახლობლებმა.

— ათეული წლებით აშენებულის დანგრევას ერთი დღეც კი არ დასჭირდება, ბესარიონ. რომელი ერთი დღე, მინისძვრას ნახევარი წუთიც ყოფნის, პირქვე რომ დაამხოს მთელი ქალაქი. უხეირო პოლიტიკოსების ხელიდან გამოიღეს ყოველგვარი უბედურება. შენი კი შენსას მაინც არ იშლი, ეპისტოლეს უზღავნი ელცინს. ისეც აულდა გვერდები, შენი იმას ხელი არ მოგიმართოს.

— ვის გაუზღავანი, აბა, შავარდნაძეს?!

— ორივე ერთი ხურდა-მურდა-მეთქი, ამას

გუებნები! შეეშვი, თუ ღმერთი გწამს, ამ განცხადებით ნანწალს იმ თქვენს საელჩოში, იქიდან საკონსულოში, სალვისტომოში... წყლის ნაყვას, თითსაც არავინ გაანძრევს.

— ამ ჩვენს მეგობრობას, ვასიკო, ხომ არ უშლის ხელს ის, რომ შენ რუსი ხარ და მე ქართველი. ელცინმა და შავარდნაძემ რა გველი შეუნვეს ერთმანეთს, გამზადე ამის ფილოსოფოსი!

— სალვისტომის დედოფალმა, ბესარიონ, როცა შესწივდა, ხალხი მშვიდია, პური არა აქვსო, იცი, რა უპასუხა? — პური თუ არა აქვს, ფუნთუშები ჭამოსო. იქიდან აქამდე რაიმე შეიცვალა? — არაფერი!

— უფრო გარკვევით არ შეიძლება?

— პოლიტიკაში მამა შვილს არ დინდობს, ამას გუებნები! იმათ ფეხზე კლდით შენი და ჩემი გასაჭირი.

— რომ არ დაიკიდონ, მაგალითად?

— ძალიან მეჭეკება, ხომ იცი... თუმცა ბედი უნდა ყველაფერს.

„ძველი დანჯღრეული ველსიპეტიო...“ — ფრთხილად შეაპარა იმ დილით. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ თავიდან ნაშინყო: „ძველი დანჯღრეული ველსიპეტიო რომ გვაშინონა, ვასიკო, ჩემს ბედს ძალი არ დამწყუდა“.

ბაღლი ავსრულელებელი ნატვრის ასრულებას რომ შეეცდრება თავის შემქმნელს, იმგვარად იყო ნათქვამი.

სიზმარს თუ აპყვავო, ვასიკოს გაუელვა და ჩიალაპარაკა:

— ფოსტალიონობა ხომ არ გადაწყვიტე, ბიჭო? — და ერთიც მისებურად ჩაიფრუტუნა.

— ნუხელი ვაპირებდი მეთქვა, მარა შევიკავე თავი, — წყნარად დაუბრუნა იმან, — შენი ამბავი რო ვიცი, სიცილს დამაყრიდი... ხოდა, ახლა გუებნები. ისე, კაცო რო ჩაუფიქრდეს, სასაცილო ამბავი არ უნდა იყოფი ეს... —

— რა ამბავი, რაშია საქმე, არ იტყვი?!

— რა და, გუშინ სივარების საყიდალად რო ნაქო-ჩიალდი, იმ თქვენ სტალიონებს სპორტის ვეტერანებს გადაეყვარე, ხომ იცო... ჯერ იყო და, თოვლის სახეები მანქანა როა, სარბენი ბილიკები სარკესავით მოაპარია. შეჯდენ ვეტერანები ველსიპეტებზე და ეყვარდეს, დაუარეს მოედანს ირგველი, ერთი წრე, მეორე... ოვლად გაიღვარენ. არაფერი ჯობდა იმათ ყურებას. მწვრთნელიცა ყავდათ, ექიმიც. სასწრაფოს მანქანაც დაეკლანდა და ერთი და მეორე.

— ყოფილი ველომბროლები იყვნენ თუ?

— ხო, ევროპის გარს უნდა შემოუარონ... ველსიპეტებით. ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესთან ყოფილი ეს დაკავშირებული.

— მერედა, შენ რა გამოჩრენას ელი ამ საქმიდან?

— დაველაპარაკე ერთ მათგანს, ხომ იცი. ომის ვეტერანი ვარ-მეთქი და ერთი და მეორე.

— მერე, რა იგაპასუხა?

— გარკვევით არაფერი. მწვრთნელსა ვთხოვ, ჩვენთან ერთად ვარჯიშის უფლება დაგროსო.

— ხოდა, თავიც ქუდში გკონია, გამოდის.

— რა ვიცი... ძველი დანჯღრული ველსიპეტი რო იყოს, კიდევ ვი.

— ძველი დანჯღრული ველსიპეტი! — გამოაჯავრა ვასიკომ, — ძველი დანჯღრული ველსიპეტით აპირებ, ევროპას გარს შემოუარო, არა?! სენი ხნის კაცმა! ველსიპეტით ევროპის გარშემო! მასაცალია, საჭირალი რომ არ იყოს. ოდნავ მაინც თუ გაქვს წარმოდგენილი... — ხელი ჩაიქნია და ეზომი გავიდა.

უკნა რომ შემობრუნდა, ბესარიონი გვარიანად გაბუსხული დახვდა. მასპინძელმა რაღაც ანგდოტო მოიხველია, გუნებას გამოიფუტებო, მაგრამ ის არ ააწყვა.

სიჩუმე გაჭიანურდა.

მაშინ ვასიკომ ჩაილაპარაკა:

— ძველი დანჯღრული კი არა, თითქმის უხმარი ველოსიპედი სხვენზე მაქვს შენახული, ეს თუ საქმეს უშველის.

— მართლა? — თვლები გაუბრწყინდა ბესარიონს.

— ტყუილი როდის მიკადრებია. მაინც, რა გვემბე გიტრიალებს თავში, გამხსნად მაგის ფილოსოფოსი! — ისევ გამოაჯავრა.

ბესარიონი სიგარეტს სწვდა, ასანთს გაჰკურა, გააბოლა. მასპინძელს იგი შერეკილად მოეჩვენა ამ წუთებში.

— შევეხებნები, უარს არ მეტყვიან, — თქვა, — ხო დამირდა ერთი მათგანი, მწვრთნელსა ვთხოვ, ჩვენთან ერთად ვარჯიშის უფლება დაგროსო.

— დაგროს, დაფუშეთ, ვარჯიშის უფლება, მერე?

— მერე კი ვანახებ, რისი შემძლეც ვარ და ჩამრიცხავენ მაგნების გუნდში, ისე გავიხარო.

— ეჰაა, შენ არ უნდა იყო სრულ ჭკუაზე, — ჩაიფრუტუნა ვასიკომ, — რომც ჩაგრიცხო, რა ზარი აქვს ამას, გამაგებინე.

— რა ზარი აქვს და, ფართო შარაზე გამიყვანს, შემოგვედ. ამას არც კორისპოდენტები დატოვენ. მე უყურადღებოდ. დაგვესვიან ფუტკარივით, ისე გავიხარო. ხოდა, ვერ მოვხსენი ვუდას თავი?! იქნება რაიმე შეგასმინო ამ ჩვენ გაჭირვებაზე, მინიდან რო გამოგვერეკეს და არსად გვედგომება... აბა, დანოლოდად მხოლოდ ნესვი იზრდებაო, გამოგონია.

— ჯერ ეს ერთი, შენ იმათ გუნდში არავინ ჩაგრიცხავს, წყალი არ გაუვა. რომც ჩაგრიცხო, შენ იმათ მხარს ვერ აუბამ. ყოფილი ველომობლებია, რაც უნდა იყოს, ძველი ფხა მოსდევთ. მასხრად აივადებ თავს და მეტი არაფერი. მერე კიდევ, ზღაპარს წააგავს ეს ყველაფერი. ევროპის გარშემო... ველსიპეტებით! რაღას არ აიხიერებს კაცი.

— ჩემზე ნაკლები შებერტყილი არც მაგნები მყავს!

— ეს კი არაა მთავარი. იქ სხვა ხერხებია საჭირო.

— რა ხერხებია, პედალები ვერ დამიტრიალებია?!

— ღმერთო დიდებულო, ამხნის კაცი...

— კარგი, შეგვეწყვიტოთ ამაზე! შეგიძლია ველსიპეტი მათხოვო?

— ფეშქაშე იყოს, — ისე ჩაიფრუტუნა ვასიკომ, მერე დასძინა: — ფანტასტიკა! წარმოდგენილია, ღმერთმანი. წინათ ამას ღონისძიებას ეძახდნენ. ათას ინსტანციასთან იყო შეთანხმებული. დამიჯერე, შენ ველოსიპეტი შეგადომა ჯორზე შეგდომას წააგავს. ეს იგივეა, ყველა ბულბულივით გალობა გადანწყობისა. ორიოდე ვერსის შემდეგ ფეხები გავიშვებება.

— ბებერი ხარიც ხნავს, დარდი ნუ გაქვს.

— ეს როდესაც ადვილად ხდებოდა, ვინ ოხერია, ნახევარი მოსკოვი უკან გამოენთებოდა ამ ხალხს.

— ნახე, თუ არა!

— აღდგომა და ხეალო!

სხენიდან დამტვერილი ველოსიპედი ჩამოიტანეს, ჩერით განმინდეს. შუადღისთვის კი ბესარიონმა ახლომდებარე სტადიონისკენ გაუტია. ვასიკომ ნაღვლიანი თვალებით გააცოცლა დაბეკვილ თოვლზე მიმავალი, რომელსაც ცალი ხელი ველოსიპედის საჭისთვის ჩაებლუჯა, ცალიც „უნივერსიტის“ და მიძიდე მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მიუყვებოდა გზისპირას.

...ქანცვანყვეტილი ბესარიონი ოდნავ შელაგებულზე ბრუნდებოდა შინ და, როგორც იტყვიან, კაპუ ჰქონდა ჩაგვებული. ზედმეტი შეკითხვებით არც მასპინძელი ბებრებდა თავს, თითქოს არც კი აინტერესებდა, ჩარიცხეს თუ არა ვეტერანებმა თავიანთ გუნდში ანდა ჰქონდა თუ არა ამ საქმეში რაიმე წარმატება.

„ეს რამუსვენარი ვინმე ყოფილა, — ბუზღუნებდა თავისთვის ვასიკო, — მაინც, სად გამოიჩინის ყველაფერს უცნაურს და გაუგონარს?“

ბესარიონი გაღიზიანებული ჩანდა მეგობრის უყურადღებობით, მაგრამ თქმით არაფერს ამბობდა.

ბოლოს ვასიკომ გადაწყვიტა, მივალ ერთი, საკუთარი თვალთ შევეხებ, რა ხდება სტადიონზე.

იქ ასეთ სურათს წაახყდა: სპორტულ ველოებზე შემსხდარი ვეტერანები ყინვისგან მოსარკულ ბილიკებზე მიურდნენ ერთიმეორისგან ცოტაოდენი დაშორებით, ხოლო ფირმა „სალიუტის“ ნაწარმზე, ამ ყოვლად მოუხერხებელ ველოსიპედზე ამხედრებული ბესარიონი, საგარძნობლად ჩამორჩენილი სხვენებს, სვირის მაცქერალთა საკბილო გამხდარიყო, მოედნის გასწვრივ რომ გამპკრევებულიყვნენ, — მათი დაცინვის, სტვენისა და ღრინაცელის მიზეზი. ვილა? უყვიროდა: „დანეკი, ბებერო, შე ჩემის ჩემპიონო!“ ბესარიონი მუშტს უღერებდა, რაზეც ისინი სიცოცხლე იჭაჭებოდნენ.

მერე რაღაც მოხდა... მასხავევთან მანძილი ვერ მოზომა თუ რაღაც ამგვარი, ძირს მოადინა ბრაგვანი.

ვასიკომ თვალი ჰკიდა, ვილაც გარბოდა შემთხვევის ადგილისკენ საკაცით, უკან მისდევდა თეთრხალათიანი ქალი.

იმ დროს მიუსწრო, როცა გულშეღონებულ ბესარიონს ასულიერებდნენ...

— ხომ გეუბნებოდი... — უთხრა ნყნარად, როცა შინ დაბრუნდნენ და ბესარიონი ტახტზე წამოწნა.

იმან კი ხელი ოდნავ შემართა, რითაც ანიშნა, მეტი ამაზე არ ვილაპარაკოთ.

და მართლაც, იმ დღის შემდეგ მომხდარზე კრინტიც არ დაუძრავთ.

მაგრამ არ ვასულა დიდი დრო და ბესარიონმა კვლავ ახალი „უცნაურობა აიხირა“. სანამ ამ „სიახლეს“ გაამხელდა, ორი დღე და ღამე უკელოდ გაქრა, რითაც გვარიანი საჯავრებელი გაუჩინა მეგობარს. მეურე კი მოუბოდიშა, თვისტომს გადაეგნყდი, ბინაში გაეყვი და უგრძობლად გავიღეშეთო... თუმცა, როგორც მოვიხიანებთ გაირკვა, ეს არ იყო მისი გაუჩინარების მიზეზი.

— ამერიკაში უნდა გავფრინდე! — მოსხნა გულთაი ბესარიონმა.

ვასიკო სახეზე ნაირევემა ვარდისფერი გადაიკრა, რაც მეგობრის მზერას არ გამოპარვია.

— იმ ჩემს თვისტომს ნათესავი ჰყავს, ხომ იცი, — რაც შეიძლება შეარბილა, შორიდან მოუარა ბესარიონმა, — მეც ვიცნობ იმ კაცს, სამრეწველო კომბინატში მუშაობდა სანყობის გამგედ. ფული ძღვრენით აქვს. ხოდა, ასე მითხრა, შენ ოღონდ კლინტონთან განცხადების შეტანა შეძელი, გზის ფული და საბუთი ჩემზე იყოს... ჩემსავით ბეყენცია ისიც. ამ ჩვენ დაქველვ საქმეზე გული შეტკივა, ხომ იცი. მასპინძელს ხმა არ გაუღია. სივარეტს აბოლებდა.

— მთლად ასეც ხომ არ შეიძლება, შემოგველე, — კვლავ ახლინინდა ბესარიონი, — სახლიდან გამოგვრეკეს, აქ ჩანერას არ შობიან; არც პენსია, არც სამუშაო...

— როდის მიფრინავ? — მშვიდად გაანყევტინა ვასიკომ.

— ჰა? — შეჩქვიფდა უცებ ბესარიონი, — როდის რა, როგორც კი იმასიზამს ის კაცი...

— რას იმასიზამს! — ჩვევისამებრ, თვალები აუციმციმდა ვასიკოს.

— რას და, ხომ უნდა ამას ბილეთი, საბუთი, განცხადება და ერთი და მეორე.

— მერე?

— რა მერე, ამას ყველაფერს ის კაცი გაკავაჭავს. ჩაეჯექი თვითმფრინავში და ჰიდა!

— კლინტონი ნინასწარვე გეყოლებათ გაფთხილებული აუღიენციაზე!

— ნუ იცი, შემოგველე, ასე ლაპარაკი. თვითონ რომ არაფრის არ გჯერა, სხვასაც უგდებ გულს.

— შენ თუ გჯერა, ბესარიონ, ყველაფერი, რასაც თქვენ გეგმავთ, შესაძლებელია?

— მჯერა რომელია!

— ბედნიერი კაცი ხარ შენ, ბესარიონ, — ნალვლიანად ჩაილაპარაკა ვასიკომ.

იმან კი ხელჩანთიდან არაყით სასვე ბოთლი ამოანათა, თევზის კონსერვები და ძეხვის ნაჭერი მაგიდაზე მოთავსა და დასძინა: „ეს იმით გამომატანეს“.

ვასიკომ თავისთვის ჩაიბურტყუნა:

— ერთხელ უნდა დაკარგო კაცმა ყველაფერი, შეძენილის ფასი რომ გაიგო.

— რაო, რა? — ყური ცქვიტა ბესარიონმა.

— არაფერი... — გადაუგდო იმან.

„ძველი ნანყენობა ჩარჩენია გულში...“ — გაუელვა ბესარიონმა.

ვასიკომ, თითქოსდა გულისთქმას მიუხვდაო, ჩაიბურტყუნა:

— ძველი იარა არაფერ შუაშია, მართლა რომ შეიძლებოდეს რაიმეს გამოკეთება.

ბესარიონმა სუფრის თადარიგი დაიჭირა, მერე თქვა:

— ჰე, გადაეხუზოთ ახლა ცოტა არაყი და მოგვეშვება გულზე, — სირჩები სასმელით გაალიბლიპა, ხმამაღლა დაუმატა: — 'ეს გაუმარჯოს მანჯაურის ომის გმირებს, ვასიკო ბენდაროვს და ბესარიონ მეულას!

სადღეგრძელო რომ შეისვა, მასპინძელმა დაორთქლილი ფანჯრის მინას ხელისგული გადაუსვა და თქვა:

— კლინტონს რა უნდა თხოვოთ, კი მაგრამ. მაგი მოანესრიგებს ამ არეულ-დარეულ ქვეყანას?! დეუსუშათ, ჩაფრინდი ამერიკაში, არ მიგილო კლინტონმა, რალაც თქვენი განცხადება ჩააგლო არაფრად, მაშინ?

— გავნები თეთრი სახლის წინ და შიმშილობას გამოვცხადებ!

— მაგი არც აქ გაკლია, ამერიკაში რომ არ ჩაფრინდე საშიმშილოდ, — ისევ ჩაიფრუტუნა ვასიკომ.

— აღმართს დაღმართი მოსდევს, — ნაუფილოსოფა ბესარიონმა, — დროც შეიცვლება ამასობაში, რალაც გამოკეთდება, შემოგველე.

— რალაც რომ გამოკეთდება, ცხადია, — უპასუხა ვასიკომ ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ,

— სხვა რალაც კი გაუარესდება, ესეც უშეჭვლია. დრო თვითვე ამნიფებს მოვლენებს. შეუძლებელია დროის გაცურება. დრო მხოლოდლა საათის ტიკტიკი კი არ გახლავს, ძამიკო. არც განუსაზღვრელია, კაცმა რომ თქვას... ესაა ნუთი, როცა მომნიფებულია ზრი ისევეფერის მომენტს დაემთხვევა.

— შევც გამოკნანები!

— სულაც მარტივია. ბავში რომ დაიბადოს, ცხრა თვეა საჭირო. ყველაფერი თავისი დრო აქვს, ხის შეფოთლებათა თუ პირველი მერცხლის მოფრენა. დრო თავისი სიტყვის პატრონია.

— და არასოდეს გაუტყვავს პირი?

— ბუნება ხელს ვეინყობს, ზოგჯერ გვეომება, — ჰაიპარად ვერაფერს მიიღებთო.

— რატომ გვეომება, თუ იცი?

— მიზეზი მრავალია, გაჩანია, როდის რა...

— მაშ, სანუგეშო დროს უნდა დაეგლოდით. მე ასე გავიგე შენი ნათქვამი.

— ადამიანი კი არ ელოდება დროს, — ისევ ჩაი-





ფრუტუნა მასპინძელმა, — დრო თვითონვე ელოდებოდა კაცს.

— დროს რა, ლოდინიც შეუძლია?

— შეუძლია და მერე როგორ!

— დრო მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე ვიცი მე, — ჩაილაპარაკა ბესარიონმა, — მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდე... მზე ზენიტზე და მზე შუბის წვერზე. ზაფხულობით ადრე ამოდის, გვიან ჩადის. ზამთარში — პირიქით... საუზმის დრო, სადილობის და ვახშობის. კიდევ, დრო თესვის, მოსავლის აღების... დაბადების, სიკვდილის. დრო ხომ ერთ ადგილზე არაა გაყინული, მოძრაობს.

— მოძრაობს, რა თქმა უნდა. ყველაფერი მოძრაობაშია, უსულოა თუ სულიერი. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ დროს ლოდინი არ შეუძლია. თვითონ მოძრაობაც ლოდინია, რომ იცოდე.

— ეს, რანაირად?

— რანაირად და, თვითონ ლოდინია მოძრაობა, გამიგე?

— აბა, ვამხადე მაგის ფილოსოფოსი!

— სასურველ პიროვნებას ელოდები, დაუშვავთ. აგვიანებს. დგახარ, ელოდები. ფიქრობ, რაიმე ხომ არ შეემთხვა? განიცდი. ეს განა მოძრაობა არაა? დგომა და ლოდინი განა უძრობას ნიშნავს?

— ზღვა რომ მუდმივად მოძრაობს ან მდინარე, ეს გასაგებია. გაგრაში, ალპიურ გზაზე, უშველებელი ლოდია ერთ ადგილას დაყუდებული. რაც ეს დედამინა არსებობს, ძვრაც არ უქნია. ზედვეა ამოტყვერული იმ გზის მშენებლის ვინაობა. პრინციპი ოლდენბურგსკის დროისაა ის გზა. ივანე მარუაშვილს გაუყვანია, გაგრის მთავარ ტოპოგრაფს. ხოდა, რას მოვაცოდე ეს ამბავი... ის ლოდინი მოძრაობაშია, შემოგველე?

— რა თქმა უნდა.

— მაშინ დანყებულ საუბარს დაუბრუნდეთ. რას ნიშნავს ყველაფერი ის, რასაც წელან ქადაგებდი?

— ეს იმას ნიშნავს, ჩემო ბესარიონ, რომ ჯერ არ მომნიშებულა დრო, რომლის ხელოვნურად მომნიშება შეუძლებელია. ვისთვის ეს დღესავით ნათელია, ვისთვის კიდევ ინდური ხურმაა, დანაკისკუდი.

— ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედო... მე განა არ მესმის, რა ძმობასაც მიწევ...

— ნუ გადააბლაშე! — გააწყვეტინა მასპინძელმა, — მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ვერც შენ და ვერც მე, და ვეღარც იმ შენი თვისტომის ნათესავი, ვერაფერს გავანყებობ, თუნდაც რომ ყირაზე შევდგეთ... ვინდა კლინტონს მიართვი გონცხაბედა, გინდა — რომის პაპს.

— აბა, რა ვქნა, რა წყალში ჩავეარდე, თავი მოვიკლა?

— ზღვისპირელი კაცი ხარ, მებადური თანაც. არასოდეს დაფიქრებულხარ იმაზე, რომ ზღვა ხანდახან, და არც ისე იშვიათად, თავის საქციელს ინანიებს?... ქარიშხლის შემდეგ, როცა ქვეყანა დანყნარდება, მზის სინათლეზე ლეკვივით გაგინებება და

ფეხებს გილოკავს, თითქოსდა პატიებას ითხოვო? იქნებ გგონია, ამოცდეს ზღვა ბრმა იყოს, დაყრუებული, არც სული გააჩნდეს, არც არაფერი?

— კი მარა, რას მოაყოლე ეს ამბავი?

— იმას მოვაცოდე, რომ ჩვენც უნდა მოვიზინოთ ცოდვები.

— მე რა ცოდვა მანვეს, ერთი, ვამხადე მაგის ფილოსოფოსი!

— როცა ქარიშხალი ამოვარდება, ყველა ერთნაირად ზარალდება, კეთილია თუ ბოროტი.

— მერედა, ამას რა კავშირი აქვს იმ ომთან, რის გამოც მე აქ ამოვიყვი თავი?!

— ყოველწინა ომიც მაშინ იწყება, როცა საკმაოზე მეტი ცოდვა დაგროვდება დედამიწაზე. როგორც ზღვა, ისე არც ომი არჩევს მდგომარეობას, ხილი მონანიება ყველას ერთნაირად მართებს, ცოდვილია თუ უცოდველი.

— კი მარა, სიმართლემ პური არ უნდა ქამოს?

— ქამს სიმართლე პურს, თუმც კი ყელში ეჩხირება ლუკმა ხანდახან.

— ცარიელა სიტყვებია, შემოგველე. ვლაცობთ და გვიხარია. გულის ჭიას ვახარებთ და ესაა.

— სიმართლის თქმა ლაცობას ნაავგავს ზოგჯერ, რადგან ამას ვერაფერს გამორჩები.

— მაშ, ჩალითაა ეს ქვეყნა დახურული?

— უფრო უარესი. ჩალაც კი არ ახურავს ამ ქვეყანას, ფარდალადაა, აწვიმს, ათოვს და სულმთლად ნიავედა.

— სამუშაოს მე არ მძღვევენ, არც პენსიას, ჩანერას არ შობიან... ის მინც გამაგებია, რისთვის ვღვრიდი ის სისხლს.

— მე და შენ სისხლს რომ ვღვრიდი, ბესარიონ, ეს იმათ სასაცილოდაც არ ეყოფათ. ჩვენ კი არა, ათიათასობით ბაღლი მანანალობს დღეს, ბოშია. ზუთი წლიდან თამბაქოს ექაჩებთან, არაყს ყლურნავენ, რალაც უბედურებას ყნოსავენ, პროსტიტუციას ნევიან, ილუპებიან; სადალა პატრონი!

— დავიკრიფოთ მაშეინ გულზე ხელები და ველოდოთ მიქელგაბრიელს!

— შენ მართლა ტყემაღლე ხომ არ ზიხარ, ბიჭო! ჩამო მინაზე, ჩვენზე, რა ხანია, ჩაქნული აქეთ ხელი.

— აბა, სულ არაფრის იმედი არ უნდა ვიქონიოთ, ვასიკო? სულ არაფერს მოელი ამ ცხოვრებისგან?

— მე კი არ მოველი, ველოდები, ბესარიონ... სიკვდილს ველოდები, რა ხანია. წელან გუუნებოდი იმაზე, რიყის ქვასავით რომ ვარ მარტოვა. აღარც ცოლი, აღარც შვილი... ამ ზარაზამი დავიბადე და აქვე ამომძვრება სული, თუ დამაცალეს. ის ქალი შემრჩენოდა, კიდევ შო...

— ასე არ შეიძლება, ვასიკო. სულ ასეც არ შეიძლება, შემოგველე.

— შეიძლება, რატომაც არა.

— გაესანთლოთ მაშეინ თოკი და მოუკვდა პატრონი!

— რატომ, ძამიკო, ხვალეც დღეა გასაჯიხირებული.

— კაცი ვერ გაგიგებს, როდის მართალს იძახი, როდის ტაკიმასხარაობ.

— მაგას შენ კი არა, მეც არ ვარ მიხვედრილი.

— მაშ, სულ არაფერია, ვასიკო? არც ღმერთი, არც კაცი...

— ნუ მკრეხელობ! — გაანყვეტინა, — ყველაფერი არის: ღმერთიც, კაციც... მე მგონი, საკმარისად გელაპარაკე ამაზე. რაო, ძამიკო, მაინც არ გჯერას სულის უკვდავების?

— ის კი არა, რომ არ მჯერა... მე ვერ ვერკვევი ამ ამბებში, თუმცა გულით მინდა დავიჯერო. ისე, ეკლესიის კარები მაინცდამაინც არ ამიტალახებია...

— ეს არაა მთავარი. ღმერთი საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ. ეკლესიაში კი სულიერად მშვიდდება ადამიანი. ის თუ გჯერა, რომ მამაშენი მამა იყო შენი?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ეს რა შუაშია?

— არც ერთი შვილი არ ყოფილა მისი ჩასახვის მოწმე, თავის შემქმნელს კი, ბრმაც რომ იყოს, მაინც მიაგნებს.

— აბა რა! მამაჩემის ოფლის სუნს ათას სხვა სუნში გამოვარჩევდი.

ცოტაოდენი დუმბილის შემდეგ მასპინძელმა სირჩებში არაყი ჩამოასხა და ნაღვლიანად თქვა:

— ლიზავეტა, ჩემი უწყინარი ცოლი მინდა ვაცხონო... ჩემი უდროოდ წასული მეგობარი. ბოლო წუთებში, როცა მიხვდა, რომ კვდებოდა, გალანდული თითებით ჩამაფრინდა მაჯაზე და ძლივს გასაგონად ჩურჩულებდა: „მეშინია, ვასილ, მეშინია...“ ამ სიტყვებით დალია სული.

კარგა ხანს ხმა არ გაულიათ.

მერე კი ბესარიონმა წამოიძახა:

— მოდი, წავიმღეროთ, მოუკვდა პატრონი! — და თვითონვე წამოიწყო:

*ორი ქოთანნი ვიყიდე,  
ყურიანი და უყურო,  
იმ ქვეყანას ერთად წავალთ  
ფულიანი და ფუფულო...*

მასპინძელი აპყვდა და ღამის მყუდროებას არღვევდა მათი ხმა...

ანაზღად ბესარიონს მოეჩვენა: ცაზე ოქროს მედალიონივით დაექიდა დისკო მთვარისა... ცხადი იყო თუ სიზმარი?... „ცა ხომ ერთია ამქვეყანაზე, — გაიფიქრა თავისთვის, — მთვარეც ერთია. მზეცა და მთვარეც. ამ წუთებში ხომ გაგრაშიც ეს მთვარე ანათებს? არადა, რამოდენა მანძილია აქედან იქამდი... როცა ბალაშიხაში მზე აცხუნებს, გაგრაშიც ხომ აცხუნებს ის მზე? აცხუნებს რომელია! სხვაობა მხოლოდ დროშია. იქ ერთი საათით ადრე ამოდის, გვიან ჩადის... ყველას კი ერთნაირად უყოფს თავის სითბოს მზე. მზისთვის და მთვარისთვის ყველა ერთია“.

ვასიკომ ყრუდ ჩაილაპარაკა:

— ამაღამ, ეტყობა, მაგრა მოთოვს.

— ხო, ალბათ, — დაეთანხმა უცებ ბესარიონი. მერე დასძინა: — ამ ჩემ ძვალსა და მყესს, შენი თქმის არ იყოს, ველარაფერი გაათბობს ანი, ალბათ. იქნება მეკურტნის ადგილი გავშანსო ბაზარში, გზის ფულს მოუყარო თავი და მოვუსვა საქართველოში... შვილიშვილები მომენატრა სასწაულად. არადა, მთლად ასე ჯიბეგავხერტილი როგორ ჩავიდე?

— გაზაფხულამდე მოითმინე, ბესარიონ, — დალილი ხმით მიუგო მასპინძელმა, — მანამდე კი რალაცას მოვიფიქრებთ...

შუალამე გადასული იყო უკვე, როცა ადგნენ.

ლუმელში ცეცხლი ჩამქრალიყო.

მერე დღეს მუხლამდე თოვლი მოვიდა ბალაშიხაში.



## ჭურბაბ ნარმანია



20 იანვარს ორმოცდაათისა ვახდი. ვახდი თუ იქნებოდი? ჩვენთვის, ვინც იმ დღეს შენს მარადიულ სამყოფელს მოვაკითხეთ, ვისთვისაც შენი სახელი გაშუდმებით ხმაურობს, ორმოცდაათისა ვახდი, უნდო ნუთისოფლის კანონებით კი, ალბათ, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, ახლა ორმოცდაათისა იქნებოდი. შენი ნასვლიდან სულ ოთხი წელი ვავიდე და მაინც... ნეტავი, როგორი იქნებოდი ორმოცდაათისა? ჩვენ ეს არ ვიცით, ვერც ვერასოდეს ვავიგებთ. გვახსოვხარ ისეთი, როგორიც იყავი — ცხოვრების პირველ ნახევარში დაუდევარი, მოუსვენარი, მაძიებელი... მერე უფრო დინჯი, სევდამოძალეული და მაინც მაძიებელი — ღმერთის, მისკენ სავალი გზის ძიება ვაიხადე ცხოვრების უმთავრეს მიზნად; ზოგჯერ ის ძველი ზურიკო

გადაცაღავდა, გამხიარულებული მეგობარ-ახლობლებს ავციყოლიებდი, ყოველდღიურ ვასაჭირს ივიწყებდი, ჩვენც გვაიწყებდი... ლექსსაც ასეთ დროს ჩაუჯდებოდი და მერე უსასრულოდ უკირკიტებდი — ღვთის კანონებით მოსაზნის ითქვა თუ არა. ამიტომაც იშვიათად აქვეყნებდი, მეტიც, შინაურებსაც არ ნაკითხებდი, უმეტესობას დაინწყების ბურუსს მიანდობდი ან სულაც გადასაყრელად ვაძიებებდი. იმ მივიწყებული ლექსებით ხშირად ვახსენებთ ახლა მკითხველს პოეტ ზურაბ ნარმანიას, იმ მივიწყებულ ლექსებს აქვეყნებს ოთხი წელია შენი „ცისკარი“ თუ „ხატაური“, „ლიტერატურული საქართველო“ თუ „ჩვენი მწერლობა“... სულ მალე ორმოცდაათი წლის იუბილეს შენივე ლექსებით მოგილოცავს ახლად დაარსებული „ლიტერატურული პალიტრაც“. შენს სიცოცხლეში მუდამ შენი მოიმედენი ვიყავით: ფული შემოგვაკლდებოდა, გამოჩნდებოდი და პრობლემა მოხსნილი იყო; ვინმე აუგად მოიხსენიებდა „ცისკარს“, ვიცოდით, არ შეარჩენდი; თუ სხვებისგან სითბო და ყურადღება მოგვაკლდებოდა, ასმაგად ავკინაზლავდებოდი; ცხოვრებას ვვიოლებდი და მარადიული ქვეყნისკენ მემავალი გზის მოძიებამაც გვეხმარებოდი... შენმა ნასვლამ ბევრი დაგვაკლო, ერთი იმედი მაინც დავგიტოვე

— მანდაც, დიდ ქვეყანაში ჩამოსულთ პატრონად და შემწედ დაგვხედები. კაცი იმედით ცოცხლობსო, იტყვიან, ჩვენ მარადიულ სამყოფელში მიმავალთაც იმედი გამოგვაცი-  
ლებს, შენი იმედი... ბოლო, ვიდრე აქ ვართ, ვართ ერთდროულად უშენოდ და შენთან ერთად, არც შენი კეთილი საქმეები, არც შენი ლექსები თუ ნერილები დავინწყებას არ მიეცება — ამი: დასტურია ის ნივნები, სულ ახლახან რომ დაისტამბა, შენი დაბადების ორმოცდამეთათე წლისთავზე: „რაიც მემართა“ სრულად ასახავს შენგან გამოვლილ —  
წინააღმდეგობებით, ბრძოლით (უპირველესად, საკუთარ თავთან ბრძოლით) გამოვ-  
ლილ — გ ხას; „სულის მახვილი“ მცირე მოცულობის, ოღონდ ბერის დამტვევი წიგნაკია.  
შენმა დიდმა ოჯახმა, შენმა საძმომ იზრუნა ამ წიგნების გამოცემაზე, შენი გასაკეთე-  
ბელი, ვაი რომ, სხვებმა (უახლოესმა, მაგრამ მინც სხვებმა) გააკეთეს. ამ წიგნებს უკვე  
შენი ვოგონების გონებისა და ხელის კვალიც ატყვია — დეა და თუთაც ჩაერთვნენ მათს  
გამოცემაში (ანუკი ჯერ მხოლოდ ნაკითხვას შეძლებს მამის ნაწერის, მერე მასშიც იჩენს  
თავს შენი ნიჭი...) ახლა შენი „ცისკარი“ გილოცავს იუბილეს, გილოცავთ შენიც ლექსე-  
ბით, შენი თუთასგან გადმოქართულებულ გერმანულ მოთხრობასაც აქვე ვაქვეყნებთ,  
ამით ისევ იმედს ვებლავებთ — შენი სიცოცხლე შენს შემოქმედებაში, შენს შეილებში  
გრძელდება...

### ცისკრელები

●  
რაც არ იყო, რაც არ არის,  
არც არასდროს იქნება.  
მინც სადღაც ვიწრო კარის  
შესაძლოა მიგნება.

დღის და ღამის გასაყართან  
ძილ-ღვიძილში დავლანდე,  
საუბრობდა ქარი ქართან:  
„ფრენა ფრთების დაღლაძდე...“

●  
ღამე შემომიწნდა ადრიანი,  
ფიქრი მომაყარა დაუთვლელი,  
მაგრამ ვერ მიხილა დარდიანი,  
ჯავრი თან წაიღო გაუთვლელი.

●  
ღამე — ბნელი,  
ღლე — ცისმარა...  
რაც ვიცხოვრე,  
ისიც კმარა...

მე გამომტაცეს უდაბნოეთს და, ვით მდინარე,  
 მივემგზავრები და მწუსრებულს ტყეებს მოვარეთა,  
 იქნებ, ვიპოვო ქალაქები, ცაში მძინარე,  
 იქნებ, მივაგნო გარდასულის უკან დახევას.

აჰა, მოვედი კოსმოსური ლაბირინთებით,  
 მზის ესტრადაზე სივრცეს ვხეთქდი მე – შერკინება,  
 საით მივაგნო, იმ გზებისთვის ველარ ვინთები,  
 ეს გაღვიძებაც წუთებს ქარში გაეკიდება.

ნუ მიგალობეთ, ბულბულებო, ნატანჯ თარიღებს,  
 მტკერში დასრულდა სურნელება ბებერ ვარდების.  
 მე თვალები მაქვს – ბედთან ვერვინ ვერ შემარიგებს,  
 შენც, ბელო, ჩემთვის არასოდეს არ მოგვარდები.

ისევ ტირიან ორკესტრები გულმოწყალებით,  
 მიაგელვებენ თვალდამრეტილ დღეებს დროები.  
 მზეო, გამათბე, დამიფარე და მოკრძალებით  
 მომაგონდები, ოღონდ სხვაგან მომაგონდები.

დამცხრალ ვარსკვლავთა შორეული კორიანტელით  
 გაუდაბურდა გზები ჩვენი და გაითოშა,  
 ჰორიზონტები დაიცხრილა თოვლის ფანტელით,  
 ღამეებს მიაქეთ მოვარეული ზამთარის დროშა.

მზემ იარაში მოიგროვა ჩიტების გროვა  
 და, ვით ღიმილი, მორჩილია ბუნების მარშის,  
 სხივთა ჩანჩქერში ისევ მივა ბაღლების გლოვა  
 და ავ გალობას მიათოვებს მოვარეებს ცაში.

გვირიღებს დაძრავს ყანებიდან და გამეტებით  
 კლდეს გადაჰკიდებს აბღაველებას ველურთა წყალთა.  
 მზესთან კვდებიან სიმორეზე ფიქრით გედები,  
 ღვას მწუნარება ლაჟვარდებში და მსხვერველ თვალთა.

ჩიტებმა ცაში გადაზიდეს ნაფერხურები,  
 ჰაერს ეტკინა დინოზავრის სიცარიელე,  
 ლომებს ლანდები მიათრევენ და ბელურების  
 უდაბურ თვალებს მინდობია ხევი და ლელე.

მე ვიოცებდი სიმახინჯეს მშვენიერ ქალთა  
 და დავცინოდი ღორბლმორეულ ზღვებით მგზავრობას,  
 შედგნენ დროგები სამუდამოდ დაკეტილ კართან  
 და მეორდება წუთისოფლის მიუსაფრობა.

●  
 სწორიც იქნება, რომ არავინ არ მომიგონოს,  
 თუ წრფელ გულებში არ დამკვიდრდა ჩემი ფიქრები,  
 ერთი სიკვდილი მომიღებს ბოლოს  
 და მე უკვდავი აღარ ვიქნები.

●  
 ყველგან იოლად გამიტანა მოწყალე ბედმა,  
 წინ ამესვება, შემაჩერა სიბნელის ქედმა  
 და სინამდვილე ტრაგედიად გადმექცა ახლა —  
 ნუ დამიტირებთ, სიბოროტეს სიკეთეც ახლავს.

●  
 ...ვილაცა ჩემს სახელს გაჰყვირის ქალაქში,  
 არ ვხედავ არც ლანდებს, არც უცხო ზმანებას.  
 ჩემს სულში ეშმაკის ფერადი თამაში  
 ქალს მიაქვს წვალებით, ქალს ცისფერთვალებას.  
 შემზარავ სიმღერას ყმუიან ძაღლები,  
 დაჭრილმა სიმღერამ ცა ისევ დახეთქა,  
 ქალაქი მთვრალივით შექანდა — სახლები  
 ბარბაცით მისდევენ ხმას შეშლილ სახეთა.  
 ...ვილაცა ჩემს სახელს გაჰყვირის ქალაქში,  
 დათხრილი თვალების წყვდიადით მიფურებს.  
 ვარდები დაურგავთ თავის თეთრ ქალაში,  
 პროსპექტი მთარწევს დახლებს და ჯიხურებს.  
 სიკვდილი ისურვეს მწუსხარე კაცებმა,  
 მაგრამ, ვინც ინატრა, ოღეს თუ ეღირსა?  
 — გაგრძელდა ჯვარცმა და მუხლებზე დაცემა,  
 ქუჩაში წამოდგა ეპოქა მტვერისა.  
 ...ვილაცა ჩემს სახელს გაჰყვირის ქალაქში,  
 არ ვხედავ არც ლანდებს, არც უცხო ზმანებას.  
 ჩემს სულში ეშმაკის ფერადი თამაში  
 ქალს მიაქვს წვალებით, ქალს ცისფერთვალებას.

●  
 ...ადარც ცისფერი ტატნობი მინდა,  
 არც ღვინით სავსე აზარფეშები,  
 ღმერთს მოვიტაცებ მაღალი ციდან  
 და სიყვარულით გავიღეშები.

1975

●  
 იქნება, ფიქრებს აკრძალული სინათლე მისცე;  
 ბალახის მწვანე უფსკრულებში წვეთავენ ზღვები,  
 ცის კოშკებიდან კიბეებით ჩამოდის სივრცე  
 და ვარსკვლავების სანახავად მოდიან სხვები.

მათისაც ისე დაემალვის ფიქრსა და თვალებს  
 ქვიშის მარცვალში დიდებული სუფევა ცისა,  
 უცნობი გზების იმედები ისე სულს დალევს,  
 ვინმემ ღამეებს მხოლოდ გლოვის უფლება მისცა.

1977

●  
 დღე დაიხურა, როგორც კუბო, როგორც კარები,  
 ჩემგან უძილო საათები მიისწრაფვიან,  
 იმედს აკრძალულ სტრიქონებში შევეპარები,  
 წერეთ, ფანჯრებო, ვარსკვლავების ბიოგრაფია...

ამოიხედა ცრემლის ქალმა ჩემი თვალიდან,  
 შენს წარსულს რაღა ველაპარაკო?!  
 ღვთის ავბედითი ბუდეების სამართავიდან  
 თუ დასანგრევად გაშენებდნენ, ჩემო ქალაქო!

## მარტ გიზატუღინი

### ბულატ ოკუჯავას უნივერსიტეტები

ბულატს ცოტა ხანს მოუწია ომში ბრძოლამ. მაგრამ ამ დროში მთლიანად გაიგო ომი რაცაა. მას, მაშინ ყმაწვილს, როცა არბატის ეზოში აღგზნებით ბჭობდა თავის თანატოლებთან ესპანეთში სამხედრო მოქმედებებზე, ომი სულ სხვაგვარად ესახებოდა. ისინი ოცნებობდნენ იმაზე, რომ რაც შეიძლება ჩქარა ამოეყოთ თავი ესპანეთში, რათა ფაშისტებთან მშრომელი ხალხის გაბედნიერებისთვის ებრძოლათ. მათ უნდოდათ იქ ერთ სატანკო ეკიპაჟში მოხვედრილიყვნენ.

მაგრამ როცა ომი უკვე მათ მშობლიურ სახლს დაატყდა თავს, გვერდზე დგომაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ოღონდ ბულატი ახლა უკვე მისი საყვარელი მოსკოვიდან შორს, თბილისში, დეიდამისის ოჯახში იმყოფებოდა. ბინა გრიბოედოვის ქუჩაზე ორსართულიან სახლში, სადაც ბულატი ცხოვრობდა, ადრე მის მშობლებს ეკუთვნოდათ, მაგრამ მათი დაპატიმრების შემდეგ იქ ბულატის დედის უფროსი და, სოლვა, გადავიდა.

...შალვა სტეფანეს ძე ოკუჯავა 1937 წლის 3 თებერვალს დააპატიმრეს. მეორე დღილას ბულატი, ჩვეულებრივ, სკოლაში მივიდა, მაგრამ მას იქ „ტროცკისტის“ ძახილით შეხედნენ და აცრემლებული გაეპარდა შინ. ასე გაიგო მან, რომ ახლა ის გამოჩენილი კომუნისტის კი არა, ხალხის მტრის შვილი იყო. გაზეთები აჭრელებული იყო ცნობებით „ურალის გამომხურის შტაბის“ აღმორჩენის შესახებ, რომელშიც, თითქოს სვერდლოვსკის ოლქის თითქმის მთელი პარტიატივი შედიოდა. გამოძიებისთვის მოსკოვიდან გაიგზავნა კომისია, რომელსაც ძველი კომუნისტები, ცეკას წევრები შედიოდნენ. ამ კომისიის წევრებმა იქ ვერაფერი აღმოაჩინეს, რითაც თავის თავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. სიტყვით გამოვიდა მლოტოვი და განაცხადა, რომ ეს დანაშაულებრივი

შეცდომა იყო, რომ შეთქმულების ცენტრი არსებობს. კომისიის ყველა წევრი დახვრიტეს.

შალვამ ვაჟკაცურად გადაიტანა მთელი წამება, ხელი არავისზე დაუდგია და თავი დანაშაუვად არ უღიარებია.

«Убили моего отца  
Ни за понюшку табака, -  
Всего лишь капелька свинца -  
Зато как рана глубока!  
Он не успел, не закричал,  
Лишь выстрел треснул в тишине,  
Давно тот выстрел отзвучал,  
Но рана та еще во мне.»

მამის დაპატიმრების შემდეგ ოჯახი მოსკოვში დაბრუნდა, და დედა სხვადასხვა ინსტანციებში დაიარბოდა სამართლიანობის საძიებლად. ის იყო ბერიასთანაც, რომელსაც უთხრა: „შენ კარვად იცნობ შალვას, ხომ იცი, რომ ის მტერი არაა, გამოუსარჩლო მას“. ამის შემდეგ, 1939 წლის თებერვალში, ბულატის დედა, აშხენ სტეფანის ასული ნალბანდიანიც დააპატიმრეს.

ბულატს მშობლების დაპატიმრება ძალიან ტანჯავდა. ვერა და ვერ გაეგო, მისი მშობლები, მგზნებარე რევოლუციონერები მოღალატეები როგორ აღმოჩნდნენ. ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისიის არიატისგან შეცდომის დაშვებას გამოირიცხავდა — ჩვენი ჩეკისტები შეუძლებელია შეცდნენ. გამოდის, რომ დედა და მამა „ხალხის მტრები“ არიან?! შეუძლებელია შეილმა ეს დაიჯეროს და იცოცხლოს. კიდევ კარგი, მან არ იცოდა, რომ მამამისი ცოცხალი არ იყო. ბულატს ტვინი ეხვრიტებოდა მომხდარის ახსნის ცდისას, ვიდრე არ დაასკვნა, რომ მისი მშობლები, როგორც ჩანს, სადაღაც გაგზავნეს საიდუმლო დავალებით, ხალხის მტრებდ კი ისინი კონსპირაცი-



ისტვის გამოაცხადეს. ასეთმა ახსნამ გადაარჩინა ის გაგიჟება. იყო მისთვის სამონღო საუკუნის მიერ ჩატარებული პირველი სასტიკი ვაკეცილი.

ბულატი და მისი ოთხი წლის ძამიკო ვიტია მოსკოვში დარჩნენ ბებია მარიასთან, დედის დედასთან ერთად. გაჭირვებით ცხოვრობდნენ, ნაცვრად მძიმარი ათენ-ლამეზდნენ. ბულატი მთლად წავიდა ხელიდან: მოწვევა, სმა დაიწყო, ხულიგნებთან გაბაბა კავდარი. ბებიას არ ძალუდა შეიღობვის მორევა. და მაშინ დეიდა სილვამ, მარიას უფროსმა ქალიშვილმა, ბულატი თავისთან, თბილისში წაიყვანა. ის აქ 101-ე რუსულ სკოლაში შეიყვანეს.

მოსკოვიდან მოდიოდა ხმები, არბატის ქუჩაზე ბევრი მისი თანაზოელი ბჭი, ცოტათი უფროსნი, უკვე ფრონტზე წავიდნენო. ზოგი მათგანი უკვე დაიღუპა, მაგრამ ბულატმა მაშინ ეს არ იცოდა. ასეთ დროს ზურგისთვის თავის შეფარება შეუძლებელი იყო. ბულატი და მისი მეგობარი იურა პაპინაიანი სამხედრო კომისარიატში მივიდნენ და ფრონტზე გაგზავნა ითხოვეს. ისინი ომში გასანვეთთ ასაკისანი არ იყვნენ და ჯერ სკოლის დამთავრება უჩივეს. მაგრამ რა სწავლაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა მთელი საბჭოთა ქვეყანა ერთიანი გმირული შემართებით ებრძვის საძულველ მტერს! როგორ შეიძლება სკოლაში სიარული ახლა, როცა ომი საღვადა დამთავრდება, და ისინი საერთო გამარჯვების ყულაბაში თავიანთი წვლილის შეტანას ვერ მოასწრებენ! ბულატი სკოლაში ტოვებს და ქარხანაში ზეინკლად ეწყობა. იქ ფრონტისთვის ტყვიამურქვევებს აკეთებენ. დღე-ღამეში 14-16 საათს მუშაობდნენ.

ერთ დღეს მათ სახლში გამოჩნდა ბულატის დედის უმცროსი ძმა რაფიკი. ის მთლად ომის დასაწყისშივე გაინვიც მტერთან საბრძოლველად და ახლა მისი ნაწილი თბილისში აღმოჩნდა. რაფიკმა ახლანდელი შესეკენებით ესარგებლნა და მშობლიურ ქალაქში სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილს ესერინა. როგორც კი ის წავიდა, ბულატმა ელვის სისწრაფით ჩაიცვა მისი საღდათის ფორმა და ქუჩაში გავარდა. მას უნდოდა ქალაქში სამხედროფორმისა გაეცლო.

*„ისე, ჩვეულებრივ გავალ არ მიხდება — სამწყობრო ნაბიჯით ისე მივაღწე სოლოლაკამდე, რომ ზადავ ზა სულ მხედროლს ხალაშს ვაძლევდი სამხედროებს და ბედნიერად გადავურჩი პატროლებს...“*

ბულატი ბედნიერი გახლდათ.

ის და იურა განაგრძობდნენ სამხედრო კომისარიატში სიარულს. ახლა მათ უკვე კი ერეკებოდნენ. მათთვის მოინახა საქმე — სხეებისთვის უწყებების ჩამორიგება. ყოველდღე დააქეთ უწყებები სხვადასხვა მისამართებით და ისევ და ისევ ევლდრებიან სამხედრო კომისარიატს, რომ ფრონტზე გაუშვან. ბულატისთვის დიდად გასაოცრად, სახბელში მათ სიხარულით კი არ ხვდებოდნენ, თვალები უცრემლდებოდათ. მას კი ეგონა, რომ სამხედრო კომისარიატში გამოძახება, თვითონ რომ ელოდა, ისევე მოუთმენლად ელოდებოდნენ.

ბოლოს, როცა სამხედრო კომისარიატს მოთმინების ფილა აეცხო, მათ უბრძანეს, რომ თავიანთი უწყებები თვითონვე შეეცსთ. კაპიტანმა თქვა, რომ

(ცოდავს ვერ აიკიდებს, თავისი ხელით ვერ შეავსებს მათთვის უწყებების გამოწერას და ბლანკები მისცა. იურამ ბულატის ანკეტა შეავსო, ბულატმა — იურასი.

ბულატი თავცდომოვლევლი გავარდა სახლისკენ და მოუთმენლად ელოდა იმას, თუ როდის მიუტყნდა მისი მეგობარი უწყებას.

*„სახლში შეივჭერი და სტუდენტ-სტუდენტ მივჯექი ფანჯარასთან. ჩემი უნიფორმა, მუხლები მიცაცხაზებდნენ, წინართა შეკითხვების პასუხად რაღაცებს ვროშავდი.“*

როცა გაირკვა, რომ მას უწყება მოუტანეს, ბულატმა, რომელიც ძლივს ფარავდა სიხარულს, თქვა, რა გაეწყობა, სხვა რა გზაა, ფრონტზე მივყავართო. დეიდა სილვამ (რომელიც ახლა მის დედობასაც სწევდა და მამობასაც) მისი სიხარული არ გაიზიარა. მას ძალიან წაუხდა გუზება, ვერ იცოდა, იმათ მისი უფლება არა აქეთ, ბულატმა ჯერ ჩვიდმეტე წლისა ახაა, სამხედრო კომისარიატში წავლა და ყველაფერს გავარკვევო. დეიდა ძალიან ძლიერი ადამიანი იყო, ძალუდა ნებისმიერი ადამიანი დაერწმუნებდა თავის სიმართლეში, და მან ამჯერადაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ თავისი საყვარელი დასწავლისთვის წინდაუხედავი ნაბიჯის გადადგმა დადეთქმევიზინა, მაგრამ ვერაფერი გაანსო. ბულატმა დეიდას უთხრა, შენ სამხედრო კომისარიატში თუ მიხვალ, სახლიდან გავიქცევო.

ასე დაიწყო 1942 წლის აპრილში ბულატ ოკუჯავას სამხედრო ბიოგრაფია. ახალწვეულები ვაგზალში მოაქრეს და კახეთში წაიყვანეს. გაგონებში ადგილები არ იყო და ბულატი და იურა სახურავზე მოკალათდნენ. ჩავიდნენ ადგილზე, ცალკე მე-10 სარეზერვო ნაღმსატყორცი დივიზიონის განკარგულებაში განსჯდნენ და წვრილს უბოღდნენ.

მათ განთიადიდან გვიან ღამემდე ასწავლიდნენ ნაღმის ტყორცის საქმეს, რომელსაც ბულატი რის ვაი-ვაგლახით ითვისებდა. თავიდან ასე იყო. ერთადერთი რამ, მაშინვე რაც კარგად გამოსდიოდა, მღერა იყო და ის სასწავლო ბატარეის გუნდში სიმღერის ნამომწყებად დაეწინა.

ახალწვეულები მოუთმენლად ელოდნენ ფრონტზე გაგზავნას. ამ მოუთმენლობას, გმირული გზების გარდა, პქინდა სხვა მიზეზებიც. დივიზიონში ძალიან ცუდად კვებავდნენ ახალწვეულთ და ისინი იმედოვნებდნენ, რომ ფრონტზე კვება უკეთესი იქნებოდა. ყოველდღიური წვრილსაც ემებზრნდათ.

როგორც იქნა, ერთ მშვენიერ დღეს ისინი ახალთახალ ამერიკულ „სტუდენტკორეებში“ ჩასხეს და ჩრდილო-კავკასიის ფრონტისკენ გაგზავნეს.

*«Сомнения прочь, уходит вночь отдельный, Десятый наш десантный батальон.»*

დაიწყო ბულატის ფრონტული ზეტალი.

*„ეს იყო ცალკე ნაღმსატყორცი ბატარეა, რომელიც სხვადასხვა ნაწილებს ეძღვოდათ. არ, ჩვენ მივდივართ — მივდივართ, ჩვენ ამა და ამ მოლკეს უნდა მივჯავროთ. ჩავდივართ, ირკვევა, რომ იქ უკვე არის სხვა ბატარეა. ამის შემდეგ რამდენიმე დღე ვიცდით, ევლოდებით, შემდეგ კი სხვა ადგ-*

იღზე ვგავ ზავნიან. ისევ ეშლონი, ისევ რომელი-  
 ლაც პოლკს ვვაბამენ. მივაბამს. ირკვევა, რომ ჩვენ  
 მომარაგება არა ვაქვს. ყველანი თქვალფენ, ჩვენ  
 კი არავითარი საჭმელი არა ვაქვს. რა ვქნათ? და  
 მეთაური როგორღაც გვეუბნება, რომ საჭმელი  
 თვითონ უნდა ვიშოვნოთ. წყელიანად დავიყავით  
 და ყუბანის სხვადასხვა სოფლებს მივაშურეთ  
 მონყალეების სათხოვნელად. რალაც-რალაცებს  
 გვაძლევდნენ. ყაზარმაში ყველაფერ ამას ერთნაირ  
 შეკერვზად ვაწყობდით. შემდეგ ერთი კითხულობს:  
 ვის მივცეთ? — იმას. ასე ვიკვებებოდით მეთაურიც  
 და ჩვენც.“

მათი ბატარეა სტალინგრადთან გადაიყვანეს, მა-  
 გრამ სტალინგრადამდე ვერ ჩააღწიეს, რადგან ისინი  
 განანესეს ორჯონიკიძეში, სადაც უღმობილო ომები  
 იყო გაჩაღებული. შემდეგ ამ ბატარეას თავი ამოაყო-  
 წინეს მოსკოვთან, სადაც ბულატი 1942 წლის 16 დე-  
 კემბერს მიმედ დაიჭრა.

«... Пустяковое облачко  
 немецкой шрапнели,  
 и меня санитары  
 выносят из боя  
 на мой,  
 протравленной смертью, шинели»

„დამეხმარეთ. ვადაძარჩინეთ. არ მინდა  
 მოკვდეთ. ტყვიის პატარა ნაჭერი გულში, მკერდში  
 — და მორჩა? და ჩემი ცხელი სხეული უკვე ცხელი  
 არ იქნება?.. გაუშვი ვიტანჯო. ვინა თქვა, რომ ტან-  
 ჯვისა მემძინა? საღლში რომ ვიყავი, მაშინ მემძინო-  
 და მეურო რამისა. ეს სახლში. ამ დროისთვის კი მე  
 უკვე პეკლავური გავივი, ყველაფერი განვიკვდი.“

ერთი კაციისთვის აძლენ რამის ცოდნა არ  
 ემარა? მე ხომ ცხოვრებისთვის ვამოვადებინი. და-  
 მეხმარეთ. ხომ სასაცილოა მოკვლა ადამიანისა,  
 რომელმაც ჯერ რაიმეს ვაკეთებდა ვერ მოასწრო.  
 მე მეთუ კლასიც კი არ დამიმთავრებია. დამეხმარ-  
 რეთ. მე სიყვარულზე არ ვლაპარაკობ. ჯანდაბას  
 სიყვარული. თანახმა ვარ არ მიყვარდეს. პოლოს  
 და პოლოს, მე უკვე მიყვარდა. საქმე საქმეზე რომ  
 მიდგეს, ესეც მეყოფა. მე დედა მყავს. რა მოუვა  
 მას?. და თქვენ იცით თუ არა, რა სიტკბოს ვრძნობ,  
 როცა დედა თავზე გვისვათ ხელს? მე ამის ვადაჩვე-  
 ვა ჯერ ვერ მოვასწარი. მე ჯერ რიგიანად არასად  
 ვყოფილვარ. მაგალითად ვაღადაობი. მე ხომ მჭირდ-  
 ება ვნახო რა ვაღადაო? ვილაცამ ხომ დანერა: „  
 ... და ზანზალაკი — ვაღადაოს ძველი...“ მე კი ასეთი  
 სტრიქონების დანერაც კი არ ძალიძის. დამეხ-  
 მარეთ... მე ყველაფერს გავიცილი. სულ ბოლომდე  
 გავიცილი...“

ბულატმა პირველი სიმღერა დაჭრამდე შექმნა.  
 თანაპოლკელებს ის მოეწონათ და მას ყველანი ერთად  
 მღეროდნენ. იმ სიმღერისა ერთადერთი სტრიქონი  
 დარჩა: „Нам в холодных теплушках не спалось...“ და  
 ეს სტრიქონიც მოულოდნელად ამოტივტივდა, როცა  
 ოცდახუთი წლის წინათ „კომსომოლსკია პრავდაში“  
 მოვიდა წერილი ომის ვეტერანისა, რომელმაც რა-  
 დიოთი მოისონა უკუჯავას ვეარი და გვეკითხე-  
 ბოდა ეს ის ოკუპაცია ხომ არაა, ოპლკში ჩემთან ერ-

თად რომ იბრძოდაო. შემდეგ ის წერდა, რომ სწორედ  
 იმ ოკუპაციამ შექმნა ფრნტზე სიმღერა, რომლის  
 ერთი სტრიქონი ვაისხნა. ეტყობა, ჩვენ ვერასოდეს  
 გავიგებთ, ის რა სიმღერა იყო. იმ მოვლენების მონ-  
 მეები, ალბათ, არ დარჩენილან...

...ჰოსპიტლებში რამდენიმე თვის ყოფნის შემ-  
 დეგ ბულატი გორთან მდგარ სათადარიგო პოლკში  
 ხვდება. გორში ყოფნის თვეები სამიწინო თვეები  
 იყო: ჯარისკაცებს თითქმის არ კვებავდნენ. მაგრამ  
 ერთ მშვენიერ დღეს ამას წერტილი დაესვა. მათ,  
 ჩამოკონკილი-ჩამოფლეთილ მებრძოლებს, ახალი  
 ფორმები დაურიგეს და სამარშო ასეულად გაგზავნეს  
 მალაია ზემლიანზე, ნოვოროსისისთან. მაგრამ მალაია  
 ზემლიამდე ვერ მიაღწიეს. გზაში ისინი მეთაურთან  
 ერთად ისე თავანყეტილი ზეიმით აღნიშნავდნენ  
 ფრონტზე გაგზავნას, რომ, როცა სამარშო ასეულნი  
 ბათუმში ჩავიდა, ის ისევ ტანსაცმელ ჩამოკონკილ-  
 ჩამოფლეთილ, ამას პლუს მთვრალ მებრძოლთა  
 ბროს იყო.

ფორმის ახალი ტანსაცმელი სასმელებისთვის  
 დაყიდეს. ყველა დააპატიმრეს, დიდხანს ჰყავდათ  
 კარანტინში, მათ ტრიბუნალისთვის გადაცემას აპირ-  
 ებდნენ, მაგრამ ბოლოს ისევ შემოსეს და კვლავ სა-  
 თადარიგო პოლკში დააბრუნეს. ბულატი აქედან მთა-  
 ვარსარდლობის რეზერვის საარტილერიო ნაწილში  
 გადაიყვანეს. ის მძიმე არტილერიის რადისტა გახდა.

ბულატმა ბოლომდე იგემა სანერული ცხოვრების  
 „სიამინი“. ადერ, ოცნებებში, ომი მას ამაღლებულ და  
 საზეიმო რამედ ესახებოდა, სინამდვილეში კი გაირკ-  
 ება, რომ ომში სიცოცხე, შიშშილი და სახილველებია...

„მე გავიციანი შენ, ომო. მე ხელისუფლებულზე  
 დიდი ნაჭდევები მაქვს. ჩემს თავში ხმარია. ძილი  
 მინდა. შენ ვინდა ვადაძარჩე ყველაფერს, რასაც  
 შეეჩვევი? შენ ვინდა, რომ შენ შეუსიტყველად და-  
 გემორჩილო? მეთაურის ყვირილი — ირბინე, შეას-  
 რულე, გამაყრუებლად იღრილო! „არის!“, წაიქეცი,  
 იხოხიანი, ფეხზე იძინე. ნაღმი გაიშარიშურებს  
 თუ არა, მინაში ჩამარბე თავი. ცხვირით, ხელე-  
 ბით, ფეხებით, მთელი სხულით თხარე ის, თან ეს  
 დაუფიქრებლად, დაუშინებლად აკეთე. ქერისწე-  
 ნიან კარდალას მიდგამენ — გამოყავი კუჭის წვე-  
 რი, ემზადე, იღრიანე, გამოძებე, კოხნი ბალახით  
 განმწინე. მეგობრები ილუმინიან — საფლავი თხ-  
 არე, მინა დაყარე, მაშინალურად ისროლე ცაში,  
 სამჯერ ისროლე... მე უკვე მეერი რომ ვისწავლე.  
 თითქოს არ მშობა. თითქოს არ მცივა. თითქოს ნავიწი  
 მებრალეება. მხოლოდ ძილი, ძილი, ძილი მინდა...“

როცა მისი ნაწილი მეთაურს ყარაბაზში გადაიყვანეს,  
 იქ, ახლოს აღმოჩნდა ქვიათა სასწავლებელი, რო-  
 მელიც კურსანტებს კრებდა. ბულატს ყოჩად ოფი-  
 ცრად გახდომი მოუნდა. ეს კი სულ სხვა ცხოვრებაა...  
 და დიდი ხანი არ სჭირდება სწავლას, ნახევარი წელი  
 გავა და ოფიცერი ხარ.

მას სამი თვე იმის გასაცემად, რომ სამხედრო  
 კარიერა მისს საქმე არ იყო. მაგრამ ახლა რა გააკე-  
 თოს? და ის თავზე ხელს იღებს.

„მიღვივარ პოლიტხელთან: ნება მომეცით  
 მოგახსენოთ, რომ მამაჩემი დაპატიმრებულია,  
 ...“

ხალხის მტერია. ის მუუზნება: შვილი მამის გამო პასუხს არ აგებს. მე ვეუბნები: ყველაფერი ვიცი, მაგრამ მაინც მოვასხნეთ ეს, რათა თქვენ არ გთუქნად, რომ ეს დაგვიმაღლით. ყოჩაღ, — მუუზნება, — სწორად მოიქეცი. წადით, მშვიდად იმუშავეთ. და ვულდამიძეშვილი ნავედი მძვიდად სამუშაოდ. მეორე დღის საუზმის შემდეგ მწყობრში ვვდებით. მესმის: ოკუფაცია, ფლიმონოვ, სემიონოვ, ვადით მუუზნობრდა, დანარჩენები მარჯვნივ, სამუცადინოდ ნაბიჯით იარ! და ყველა წავიდა. ჩვენ კი სასურსათო ატესტატები მოვკვცეს და გავვამწესეს საარტილერიო ნაწილში, საიდანაც ვადამიბირეს.“

ცოტა ხნის შემდეგ ბულატს ჭრილობა გაეხსნა, ჰოსპიტალში დააწვინეს და სამ თვეს იქ ყოფნის შემდეგ კომისიაზე დააყენეს. 1943 წლის ნოემბერში ის ისევ თბილისშია.

„გამარჯვებას რაც შეეხება, თუმცა მე გვიორული არაფერი ჩამიბედა, ალბათ, მაგარი ჯარისკაცი არ ვიყავი, განსაკუთრებით სხვა შესანიშნავი ადამიანების გვერდით, მე მაინც მსჭვალავს იმის რწმენა, რომ უჩემოდ გამარჯვება უფრო გაძნელდება.“

იმის გაკეთებებმა ღრმა კვალი დაამჩნიეს ბულატის სულს. მის შემოქმედებაში იმის თემას სიცოცხლის მინძილზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამას გარდა, მას სიცოცხლის ბოლომდე სინდისი ქენჯინდა იმის გამო, რომ ის ცოცხალი დარჩა, სხვებთან, ბევრთან ერთად არ დაიღუპა...

« ... Смерть прошла

Я не столкнулся с нею.

Где пути ее —

Не угадать:

Завела судьба на батарею,

Не рискуя время коротать.

И другие падали у дотов,

И, Седую пыль полей клубя,

День и ночь упрямая пехота

Под огонь шагала за тебя...»

ამ ლექსის დაწერიდან თხუთმეტი წლის შემდეგ ბულატი დაუბრუნდება ამ თემას:

« ... Когда на земле бшевела война,

И были убийства в цене,

Он раной одной откупился сполна

От смерти на этой войне...»

და კიდევ მორიგი თხუთმეტი წლის შემდეგ, უკვე სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ბოლოს და ბოლოს მოქმედის იმის ახსნას, თუ სახელდობრ ის რატომ დარჩა ცოცხალი:

« ... Судьба ли меня защитила, собою украв от огня!

Какая-то тайная сила всю жизнь охраняла меня,

И так все сошлось, дорогая:

Наверно, я там не сорел,

Чтоб выкрикнуть здесь, дорогая,

пго то, что другой не успел.»

ბულატი ჩვენი მწერლებიდან ერთ-ერთი პირველი იპოვნისსულსხვა, საბჭოთაოფიცროზისთვისმიულეებელ სიტყვებს: „Ах, война, что ж ты сделала, подлая...“

საბჭოთა კავშირში ომები „სამართლიანებად“ და „უსამართლოებად“ იყოფოდა. „სამართლიანი“ ომებისთვის ხოტბა-დიდება უნდა ემღერათ და ომს, რომლიდანაც ბულატი დაბრუნდა, დიდი ომი ეწოდა. ბულატი მას ასე ერასოდეს იხსენებდა. მან ომისთვის იპოვნა სხვა ერთეუტი: „საბაველი“. ლექსებშიც და ვრცელ მოთხრობაში „Будь здоров, школяр!“ ბულატი ომს ისეთად აღწერდა, როგორც მან ჩვიდმეტი წლის ყმაწვილმა იხსენა, შეულამაზებლად აღწერდა. ეს ჩვენს იდეოლოგებს სულაც არ მოსწონდათ. ბულატს ლანძმვა-თათხვის ქობიშხალი დააუტყდა თავს:

„...ბ. ოკუფაცას მოთხრობის ბილნი იდეები, ბეჩავი გვიორი, უბადრუკი კონცეფცია.“

„...ომის სურათი აღმოჩნდა ძალიან არასწორი, იმიტომ, რომ იქიდან არაბუნებრივად ამოვარდა ხალხის გვირობა, ხალხის სიმაჟაცე.“ (ლ. ნოვირენკო)

„...საზოგადოებრივი ადამიანის, ჭაბუკი-მეპროლოს ნაცვლად ბულატ ოკუფაცამ აი ასეთი უუფლო მაიშული შემოგვავაზა.“ (აღ. დიმიტვი)

...და იქ, ბულატისთვის ვათავდა ომი და მას სკოლა უნდა დამეთავრებინა — ომში ხომ იმ დროს წავიდა, როცა ატესტატი აღებული არ ჰქონდა. ის მეთათვალსმი ადვდა და იმავდროულად მოზარდ მაყურებელთა თეატრში სცენის მუშად იწყებს მუშაობას.

ომამდე როცა ბულატი მეცხრე კლასში სწავლობდა, მას რუსული ლიტერატურას ასწავლიდა შესანიშნავი მასწავლებელი ანა ავეტის ასული მალხაზი, რომელიც თავის სავანს აღმერთებდა და მოსწავლეებს ხშირად იწვევდა შინ. იქ, ხალხში, ისინი ერთად სვამდნენ ჩაის და ლიტერატურაზე მუსაიფობდნენ. მისი ქმარი რეპორტირებელი იყო. ის მივლი არსებით, სულითა და გულით ზრდიდა თავის მონაფეებს. სკოლაში დააარსა დრამარე, რომლის წევრებიც ომის დაწყების შემდეგ დაჭრილებს წინაშე გამოდიოდნენ ჰოსპიტლებში. ბულატს დრამარე ნაკლებად აინტერესებდა, მაგრამ როცა მისი წევრი გახდა ლამაზი, ძალიან მიმზიდველი მელიქ-ფაბავა, რომელიც უყვარდა, დრამაში მუშავდა დაღაწყებდა.

მრავალი წლის შემდეგ ასე იხსენებდა ამას ბულატის სკოლის მეგობარი ზურაბ კახევი-კახევი:

„წრეში ბულატი შემოვიდა ნატას გამო, სცენის ხელოვნების დასაუფლებლად არ შემოსულა, იმიტომ შემოვიდა, რომ იქ იყო მისი სატრფო. ყველაფერი ადვილად აიხსნება. ის პირველ რიგებს სულაც არ თამაშობდა. მაშინ პირველ რიგებს მე ვასრულებდი, ის კი უკანასკნელი იყო. შემდეგ ჩვენ ადგილები გავცავალი.“

ზურაბი თბილისში ჩამოვიდა 1941 წლის ზაფხულში, როცა ომი დაიწყო. ბულატი და ზურაბი, იმის მიუხედავად, რომ ის სხვადასხვა კლასებში სწავლობდნენ, მალე დამეგობრდნენ. ეტყობა, მათ ერთმანეთისკენ ის იზიდავდათ, რომ მანამდე როგორცნი მოსკოველები იყვნენ. ბედისწერას ეწადა, რომ ისინი სამუდამოდ დამეგობრებულყვნენ, სიცოცხლის ბოლო წლებში ბულატი და ზურაბი მოსკოვში მეზობლები იყვნენ და ერთმანეთთან ხშირად საშინაო ფოსტლებჩამცმულნი გადადიოდნენ.

ზურაბი იხსენებს მათი სიჭაბუკის დროის თბილისს:

*„ჩვენ სხვადასხვა საბაბით! ხშირად ვიკრიბებოდით. მაშინ უკვე ვმოშილობდით, მაგრამ ბევრ გოგონს და ბიჭს ენადა როგორმე უთიერთობა ჰქონოდათ ერთმანეთთან. ღვიწი კაპიკები ღირდა, ის ხომალარ ვაჰქონდათ, და ვინეგრეტი და ლობიოც თუ გაიშპებოდა, ვღრუბოდით. ბულატი ამ ღრუბების უცვლელი მონანილე იყო... და რაჟი კარგად მღეროდა, ის, უცვლელად, ქეიფის სული და გული ხდებოდა. მზიარული, სიცოცხლის მოტრფიალე ვაბუკი იყო. ყველას მოსწონდა. ბევრი ნაცნობი მთხოვდა მასთან მიყვანას. ბულატი მაშინ ჯერ არ მღეროდა თავის სიმღერებს, გიტარაც ხელში ცოცხათი გვიან აიღო, მაგრამ შესანიშნავი ხელნა ჰქონდა. სხვები აკომპონიატრობდნენ, მაგრამ სიმღერის ნაშრომნები ყოველთვის ის იყო.“*

სიტყვას მოჰყვა და, ბულატი მაშინ მხოლოდ სიმღერებს არ მღეროდა. მან ბავშვობიდან ზეპირად იცოდა მთელი ოპერები და თავისი მეგობრებისთვის ხშირად ასრულებდა არიებს, და ამით ყოველთვის ალაფრთოვანებდა მათ. ამ საღამოებზე მას სთხოვდნენ ხოლმე ოპერა „ტოსკადან“ კავარადოსის არიის შესრულებას, რასაც მრავალი წლის შემდეგ თვითონ ბულატიც ღმილით იხსენებდა.

დრამნოები ჩქარა იჩინა თავი ბულატის არტისტულმა თავისებურებებმა. ის მიღებ უკვე მთავარ როლებს ასრულებდა.

ზურაბ კახბეე-კახივიცი:  
*„მას ჰქონდა ერთი ბრწყინვალე თვისება — ლეთაბრივად მღეროდა, ის ხმა, რომელსაც თქვენ ახლა იშინებთ, მას ცოცხა გვიან დაუდგა, მაშინ კი ის პირდაპირ ლეთაბრივი რამ იყო. ვასაოცარია, რომ როცა ის სიმღერას იწყებდა, ყველანი ჩუმდებოდნენ.“*

და საერთოდ, ბულატი ძალიან მუსიკალური ადამიანი იყო. ნებისმიერი ნიადგასხმარი ნივთიდან, უბრალო საეარცხლიდანაც კი მასავით სხვა ვერაფერ გამოსცემდა მუსიკას. როცა ოცდაათიანი წლებში მათი ოჯახი თბილისში ცხოვრობდა, დედას სამსახურის შემდეგ ხშირად დაჰყავდა ოპერისა და ბალეტის თეატრში, რომელიც მათ სახლთან ახლოს იყო. მოკლე დროში გაცენო თეატრის რეპერტუარს და ეზოში ბავშვებთან ერთად ასახიერებდა მისი საყვარელი ოპერების სცენებს.

ეტყობა, მუსიკის ნიჭი მას მემკვიდრეობით გადამოცა მამისგან — შალვა სტეფანეს ძისგან, რომელიც ყოველთვის რაღაცას ღლინებდა ამ უსტეგანდა.

*«Он был художав и насвистывал старый, Давно позабытый мотив, И к женскому чубчику ежeminутно его Пятёрня прикасалась. Он так запомнился мне на прощанье, К порогу лицо обратив, А жизнь быстротечна, да вот бесконечной Ему почему-то казалось.»*

ამე რომ, მრავალი წლის შემდეგ კონცერტების წინ მისი განცხადებები, თითქმის ის არც მომღერალი

იყო, არც მეგიტარე, არც კომპოზიტორი, რბილად რომ ვთქვათ, მთლად არ ესაბამებოდა ჭეშმარიტებას. შესაძლოა მეგიტარე არ იყო, მაგრამ მომღერალი და კომპოზიტორი დაიხაც იყო!..

ბულატ ოკუჯავას სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდეგ სკრინი „რუსეთის ოქრის სტეში“ ლენინ უტიოსოვისადმი, ლიდია რუსლანოვისადმი, მარკ ბერენსისადმი, კლავდია შულეფცოსადმი მიძღვნილ მარკევითან ერთად, ბულატ ოკუჯავასადმი მიძღვნილი საფოსტო მარკაც გამოვიდა.

ისე კი, გიტარას რაც შეეხება, შესანიშნავი მომღერალი და მეგიტარე დიმიტრი მეტევიჩი ამბობს, რომ გიტარაზე ბულატ ოკუჯავას დაკვრაში იყო რაღაც ისეთი, რაც გიტარაზე დაკვრის ტექნიკის კარგად შეფობილთა შესრულებებში არ არის.

...ჯერ კიდევ მაშინ, ომამდე, დრამნოში ყოფნისას, ბულატმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მსახიობი გამხდარიყო.

და აი, ერთხანს მოზარდ მაცურებელთა თეატრში სცენის შემად ყოფნის შემდეგ ის უკვე თბილისის რუსული დრამის თეატრის სტატისტი ხდება.

*„მაგრამ მე იქ დიდხანს არ დავრჩენილვარ, იმიტომ, რომ ერთხელ ვთამაშობდი მილიციონერს, რომელიც გუშაგობდა პრადღებულს, პრადღებული კი იყო სახალსო არტისტი პრავინი, რომელიც ჩურჩულით მიყვებოდა ანეკდოტებს და მე მთელი დარბაზის ვასავონად ავხარხარდი, რის გამოც დაამთხოვეს.“*

მთელი ამ ხნის მანძილზე ბულატი განაგრძობს ლექსების წერას.

ომამდე საქართველოს მწერალთა კავშირში არსებობდა ლიტერატურული გაერთიანება, რომელშიც თამოყრის იყვნენ ახალგაზრდა მწერლები, და რომელსაც მოხუცი პოეტი ვლადიმირ ელსნერი ხელმძღვანელობდა. ის კარგი დამრეგებელი იყო, ახალგაზრდა მწერლებს აცნობდა ნამდვილ ლიტერატურას, მათ სიტყვასთან ფაქიზ დამოკიდებულებას ასწავლიდა. თბილისში მას ბევერი იცნობდნენ და უყვარდით, თუმცა მისი სიკვდილის შემდეგ — ის აქ აღწერილი მოვლენებიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ, 1964 წელს გარდაიცვალა — მის დაკრძალვასთან დაკავშირებით საშინელი სკანდალი დატრიალდა. ელსნერი დიდი მექალთანე იყო, და როცა დაკრძალვის საორგანიზაციო კომისიამ მისი ახალ პანიონში დასაფლავება ვანიზნახა, მკაცრი მორალის მიმდევრებმა ეს მათს პირად შურაცხყოფად ჩათვალეს. მიცვალებულთან დაკავშირებით კამათი რამდენიმე დღე გრძელდებოდა, ვიდრე მისმა ქვრივმა ის თითქმის კუმბორ არ ჩასაყვანა და თბილისიდან არ წაასვენა. ვლადიმირ იურიევიჩ ელსნერი პერედელკინის სასაფლაოზე პასტერნაკის საფლავთან ახლოსაა დაკრძალული.

როცა ომი დაიწყო, მწერალთა კავშირთან არსებულმა გაერთიანებამ არსებობა შეწყვიტა და მის ნაცვლად გაჩნდა „МОЛ“ — „მოლოდოე ობშჩესტო ლიტერატოროე“. ამ გაერთიანების განხეთ „ზარია ვოსტოკას“ პარტიული ცხოვრების განხეთილების გამეფ გიორგი ვლადიმირის ძე კრეტიანი ხელმძღ-



ვანელობდა. ის ოდესღაც პოეტიკ-აემისტი იყო და როგორღაც მაიაკოვსკიმ ვათათბა. ვაზუხის რედაქცია ქალქის ცენტრში, რუსთაველის პროსპექტზე იყო. როცა ბულატი ამ ვაერთიანების წვერი ვახდა, იქ უკვე იყვნენ „მხცოვანი“ ავტორები, რომლებიც ამ ახალ ვაერთიანებაში ელსწრის ომამდელო ვაერთიანებიდან მოვიდნენ. ამ „მხცოვანებში“ გამორჩევიდნენ ვაერთიანების საუკეთესო პოეტი გუსტავ აიზენბერგი და საუკეთესო პროზაიკოსი ნიკოლაი შახბაზოვი. ახალი წვერების მოღების პრაქტიკა ასეთი იყო: წვერობის მსურველს მოეპოვნდა თავისი ნაწარმოებები და მათი ვაცნობის შემდეგ მას იწვევდნენ და მის შემოქმედებას განიხილავდნენ. ბულატმა თავისი ლექსები მიიტანა და მომდევნო სხდომას ელოდებოდა.

«... Я все неспроста это, милая, высказал,  
Свое постоянство считая по зимам.  
Когда вы глядите бесцельно и исхода,  
То холод становится невыносимым.  
Как будто, примчась с Заполярья далекого,  
Здесь ветер раскинул промерзшие крылья,  
Как будто в моем прокуренном логове  
Остатки костра покрываются пылью.  
Но если к плечу голова ваша клонится  
И лижется в щеку каштановой прядью.  
Тогда мне не надо ни дома, ни солнца,  
Ни всей bestолковости этих понятий.  
Какое блаженство на кресле плетённом  
Внимать вам, когда появившись случайно,  
Мурлычите, словно пригретый котенок!  
И зная, что в этом мурлыканье кроется,  
Какие под шерстью припрятаны когти,  
Я все же не усну, если с вами бессоница,  
Я даже примчусь, если вы позовете.  
Но знайте, родная, что хуже, чем бедствие,  
Чем боль, раздирающая за части,  
Такое, казалось, простое соседство  
Со мной, прозевавшем нежданное счастье.»

მორიგ სხდომაზე ყველა ერთსულოვნად შეუდგა ბულატის ლექსების განქიქებას. და არა იმიტომ, რომ ლექსები არ მოეწონათ. ლექსები მოეწონათ, და იმდენად მოეწონათ, რომ დღეს ის ლექსები, რომლებიც არასოდეს არსად არ გამოქვეყნებულა, იმ მოვლენების მონაწილე კომუნელა მოსიყვანა ნარკმანს ზეპირად ახსოვს. ახსოვს იმის მიუხედავად, რომ იმ დროიდან ვავიდა სამოცი წელი, რომლებმაც სასამართლოს ლავრების ოცდახუთი წელი, ახლოვბელი ადამიანების დაღუპვა დაიტეხს... და კიდევ ამ სტრიქონების შესახებ 1949 წელს ორთაჭალის ციხეში თავის „ბანდერას“ (ბალანდის ჩამომტარებელი ზედამხედველი) მეშვებით მეზობელ კამერაში მჯდომარე ელკასთვის (ასე ეძახდნენ ელა ნარკმანს) გადმოცემული ჩანაწერის შესახებ მათი საერთო მეგობარი ლევ სოფიანილი წერდა: „...**მე ჯერ კიდევ 1942 წელს ვუთხარი ბულატს, რომ შენვან ციტირებული ნაუკეთესოა იმ სტრიქონებს შორის, რომლებიც მას აქვს**“, სიტყვამ მოიტანა და, ამ დროს იმვე ციხეში იჯდა ელკას ყოფილი თანაკლასელი სერგეი

ფარაჯანოვი, ოღონდ არა პოლიტიკური, არამედ ყოფილი მუხლიც.

მაშ ასე, ლექსები (კუდი სულაც არ იყო, და მათი დარბევა მათი ხარისხით კი არ აიხსნება, არამედ იმით, რომ ბულატისთვის იმ ბედნახ დღემდე ცოტა ხნის წინათ ის ვაეცნო გოგონას, რომლის სახელიც ვგვარი იყო მანანა კაჭარავა. მანანა მანამდე მეგობრობდა სხვა ჭაბუკთან, მაგრამ ახლა მას ბულატმა არჩია. ის დაზარალებული ჭაბუკი ვუსტავ აიზენბერგი იყო. „გუსტიკმა“, როგორც მას ეძახდნენ, სასკოლო რეგულმა შემოინახა მის დღიურში ჩანაწერი ამ წყევნაზე: „**ახლა შენ ის ყოყნა ბჭი ბულატს ოკუჯავა დაგაცილებს**“, — გულისტკივლით სწერდა ის თავის მეგობარ გოგოს.

ბულატი და ვუსტავ აიზენბერგი ლიტვითიანებაში მათ შეხვედრამდე დიდი ხნით ადრე ვაეცნენ ერთმანეთს. „გუსტიკი“ ბავშვობაში მეგობრობდა დეიდა სილვას ქალიშვილ ლუიზა (როგორც მას ყველანი ეძახდნენ, „ლოლიშკა“) ნალბანდიანთან. სწორედ მის სახლში ვაიცნო „გუსტიკმა“ ლუიზას ბიძაშვილი ბულატი.

...მრავალი წელი ვავიდა და, აი, ლენინგრადის კინოს სახლში ფილმ „ივლისის წვიმის“ პრემიერასთან დაკავშირებით ვამართულ ბანკეტზე ამ ფილმის სცენარის ავტორი ანატოლი გრებნევი და ბულატ ოკუჯავა ნარსულა იხსენებდნენ.

ბულატს:

— როგორ თათხავდი შენ ჩემს ლექსებს, ვახსოვს?

— ვფიცავ, არ მახსოვს!

— ჰოო? მე კი დავიმახსოვრე. შენ მე გული მატკინე...

მაშინ „გუსტიკმა“ (ეს სწორედ ვუსტავ აიზენბერგი ვახლათ, ფსევდონიმი „ანატოლ გრებნევი“ მას მოსკოვში გადასვლის შემდეგ ვაუნდა), ბულატს მის მიერ ნავერილი ქალიშვილი შახსიანა, მაგრამ ბულატს სულ არ ახსოვდა ეს ეპიზოდი.

„**თვითონ ბულატი შემდეგში ვამორიცხავდა ამ ფაქტს, ქალიშვილი, სახელად მანანა, არც ახსოვდა, და მით უმეტეს არც ნაუკვრია**“.

მაინც რა საინტერესო თვისება აქვს ადამიანის მეხსიერებას — შემთხვევითობა: ოკუჯავას არ ახსოვს ნავერილი ქალიშვილი, მაგრამ კარვად ახსოვს ის, თუ როგორ თათხავდნენ მის ლექსებს, გრებნევის კი პირიქით — ის პირველი ახსოვს, ეს მეორე კი — არა!

ასე იყო თუ ისე, მაშინ, 1943-ში, „მოლოდულება“ ბულატს ასე არააღერსიანად სწორედ თავიანთ მეგობარ ვუსტავ აიზენბერგთან სოლიდარობის გამო შეხედნენ.

ამ ვაერთიანებიდან ბევრი ნიჭიერი მწერალი გამოვიდა. ზემოხსენებული ანატოლი გრებნევისა და ნიკოლაი შახბაზოვის გარდა, ესენი არიან პროზაიკოსი ფიოდორ კოლუნცევი (მაშინ ტადეუს მელიქ-პარხუდარიანი, მეგობრები კი „ტოდიკს“ ეძახდნენ), ლიტერატურათმცოდნე და მთარგმნელი ვია მარგველაშვილი, დრამატურგი იულიკ ედლისი.

აქ დასახლებულთაგან ამჟამად, სამწუხაროდ, მხოლოდ ნიკოლაი გრიგორიევიჩი შახბაზოვი და იუ-

ლივ ფილიპოვიჩ ედლისი არიან ცოცხალი. 2002 წლის 19 ივნისს ტრაგიკულად დაიღუპა ანატოლ გრებნევი — კინოს ვეტერანთა სახლ „მატვეევსკოვ“ ახლოს, სადაც უპანასკნელ წლებში ცხოვრობდა, მანქანამ გაიტანა.

„მოლის“ გარდა, თბილისში არსებობდა მეორე ლიტერატურული წრე „მწვანე ნაიარაჟი“. კაცმა რომ თქვას, ის „მოლის“ საპირისპიროდ შეიქმნა. მისი ორგანიზატორი იყო იური ჩერნიავსკი, რომელსაც „მოლში“ ასევე გულცივად შეხვდნენ (ის ბულატი-თან ერთად მოვიდა). რომას სახლში იკრიბებოდნენ. იქ ბულატიც იყო და იულიე ედლისიც. ისე კი, ისინი იქ მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ იყვნენ. „მწვანე ნაიარაჟი“ მსგელობდნენ არა მარტო ლიტერატურაზე, არამედ მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ნაწარმოებებზეც. კამათობდნენ მატერიალიზმსა და იდეალიზმზე, კანტზე, ჰეგელსა და ფოიერბახზე. ბულატს ფილოსოფია არ აინტერესებდა.

სწორედ მაშინ გაცვიროს ის ალექსანდრ ციხულევსკის, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამდა ლიტერატურაში და არც ერთ წერში არ შედიოდა. შურა ძალიან ნაკითხი და განათლებული ყმაწვილი იყო, და მან დიდი გავლენა მოახდინა ბულატის, როგორც ლიტერატორის, ჩამოყალიბებაზე, და ეს იმის მიუხედავად, რომ ბულატი მასზე ოთხი წლით უფროსი იყო. თანაც შურა უკვე თავადაც წერდა ლექსებს, თანაც კარგ ლექსებს. მასთან შეხვედრები ბულატის პოეტური კერები დოლმატოვსკი და სურკოვი იყვნენ.

**„პირველი, მთავარი ჩემი მეგობარი, ყველაზე ახლობელი ადამიანი, რომელმაც მრავალ პოეტურ საიდუმლოებას მაზიარა, იყო ალექსანდრ ციხულევსკი — ძალიან ნიჭიერი, უწარღოდ კოლოსალური ნიჭიანობის მქონე პოეტი, პროზაიკოსი, ლიტერატურათმცოდნე. აი, მან ჭეშმარიტად აღმო-მჩინა მე როზაში პრუსტი, კაჟკა, ჰემინგუეი, პოეზიაში — პასტერნაკი, ზაბოლოცკი, ახმატოვა...“**

სხვათა შორის, თვითონ ციხულევსკიზე ელა ნარკ-მანმა მოახდინა დიდი გავლენა. მან გააცვირო ციხულევსკის ვერცხლის საუკუნის პოეტები, ასწორებდა მის პირველ ლექსებს.

ბულატმა გამოცდები ჩააბარა და ატესტატი მიიღო. უმაღლეს სასწავლებელში შესვლიამდე დრო იყო დარჩენილი და დეიდა სილვა გადანწყობა გაე-გზავნა ის არბატზე იმ ოროთხიანი ბინის საკითხის მოსაგვარებლად, რომელშიც ოდესღაც თავის მშობ-ლებთან ერთად ცხოვრობდა. ასე აღმოჩნდა მოს-კოვში ბულატი, იქ ზუთ ნელინადს არყუფნის შემდეგ 1945 წელს. დეიდა სილვა თბილისიდან ერევანიში გა-დასვლას აპირებდა. ამისთვის მას უნდოდა თბილისის ბინა ბურვანიში ბინაზე გადაეცემა. ივარაუდებოდა, რომ ბულატი მოსკოვში, მის ომამდელ ბინაში გადა-ვიდოდა.

როცა 1922 წელს ბულატის მშობლები თბილისი-დან მოსკოვში გადავიდნენ, მათ არბატის ქუჩის №43 სახლში დიდი კომუნალური ბინის დერეფნის ბოლოე-ბში ორი ოთახი გამოუყვეს. ბულატის მშობლების დაპატიმრებისა და 1941 წელს მოსკოვიდან ბებია მარიასა და პატარა ვიტიას წამოსვლის შემდეგ ის

ოთახები ჩაიკეტა და ახლა მათი ბები გაურკვეველი იყო — ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა მათში ახ-ელი ბინადრები შეესახლებინათ, ან უკვე შეესახლდა. სილვა ვარაუდობდა, რომ ბულატს, როგორც ფრინ-ტელს, ერთ ოთახს მაინც დაუტოვებდნენ. ამ იმედს ახდენა არ ეწერა.

მოსკოვში საცხოვრებელი ადგილი ბულატმა ვერ დაიბრუნა, სამაგიეროდ გაეცინა ვალიას, რომელმაც ის მოიბოლა. ვინ იცის, იქნებ ის ოთახები არც დაკ-არგულიყო, ბულატი ამ საქმეს ბოლომდე რომ მიჰყო-ლოდა. ვალიამ როგორღაც, ბევრი წლის შემდეგ, შეახსენა მას თავი ტელეფონით, „როგორა ხარ? სადა ხარ?“ — ჰქითხა მას ბულატმა. **„შენ მე ყოველდღე მხედვე ტელევიზიაში“**, — გაიცინა ვალიამ. ის უკვე მთელ ქვეყანაში სახელმწიფო კონოვარსკვლავი იყო. მათი გაცნობიდან განვილილ დროში ის გარეგ-ნულად შეიცვალა და გვარიც გამოიცვალა, ამიტომ ბულატს, როცა მას ტელევიზორის ეკრანზე ხედავდა, აზრადაც არ მოსვლიდა, რომ ის სწორედ ის ვალია იყო, რომელსაც 1945-ში იცნობდა. ახლა ის ვალენტინა მისიალოვანა ლეონილოვა გახლდათ.

იმის მიუხედავად, რომ ბულატმა მოსკოვში დარჩენა ვერ მოახერხა, სილვამ მაინც გადაცვალა თბილისის ბინა ერევნის ბინაზე და იქ გადადგა, ბუ-ლატს კი გრიბოედოვის ქუჩაზე ოროთახიანი ბინა უქირავეს. სილვამ თან ბულატის უმცროსი ძმა ვიკ-ტორიც წაიყვანა. ბულატი მარტადარჩა.

იმ სახელგანთქმულ 1945 წელს ბულატის ცხოვრე-ბაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — მისი ლექსები პირველად გამოქვეყნდა. ამიერკა-ვკასისის სამხედრო ოლქის გაზეთში დაიბეჭდა მისი ლექსი **„ДО СВИДАНИИ, СЫНЪ!“,** რომელსაც მონერილი ჰქონდა ფსევდონიმი ა. დოლფენოვი“.

**„მე იქ ლირიკული ლექსები მივიტანე, მაგრამ მიიზარცა, რომ სჭირდებოდათ ლექსები დემოი-ლიზაციაზე. შემოიღობათ მივირბინე სახლში, ორი დღე-ღამე ვწერდი რაღაც წარმოდგენულ სისულელეს, შემდეგ მივიჭერი რედაქციამი და სახეაითლებულმა შევაჩერე მათ ის ლექსი... ეს კი გაზეთი გახლდათ. მათთვის მთავარი ის იყო, რომ ეს თ ე მ ა ზ ე იყო დაწერილი, ჰოდა, ადგნენ და გა-მოაქვეყნეს! მე იმ ნომრის 50 ეგ ზემუბანი ვიყიდე და ყველა ჩემს მეგობარს, მიჭებდა და ვკოვებს, ვაჩ-უქე. ჩემი მეგობრები ალტაკებით მიყურებდნენ.“**

ამის შემდეგ მოკლე დროში იმ გაზეთში იგივე ფსევდონიმით ხელმოწერილი კიდევ რამდენიმე ლექ-სი დაბეჭდეს.

ლექსების ის უკვე დიდი ხანია წერდა. და პროზის დაწერაც კი სცავდა. ბავშვობაში გატაცებით წერდა რომანს რატომღაც ჩინელ კომუნისტებზე. იმ რომ-მანში, რომელსაც „მოხალისე ოუ-შინი“ ერქვა, მთა-ვარი გპირი იმპერიალისტი მწავრველებისგან მუშათა კლასის განთავისუფლებისთვის იბრძოდა, ყოველდღე ნებისყოფას ინრობდა, თავს აიძულებდა აუგოდლდე თითო გვერდი — არც მეტი, არც ნაკლები — ეწერა. სიტყვა ერთ ფურცელზე თუ არ ეტეოდა, მას ხვალ დილისთვის იტეოებდა.

და როცა ბულატი მშობლებთან ერთად ცხოვ-

რობდა ნინე ტაგილო, სადაც მამამისი ურალის ვაგონსაშენ ქარხანაში პარტორგად მუშაობდა, მშენებლობაზე ჩავიდა ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელგანთქმული მწერალი ალექსანდრ ავეჯინოვი. მისი პირველი რომანი „მემიყვარ“ ძალიან მოეწონა მაქსიმ გორკის, და ახლა ახალგაზრდა მწერალი ახალი რომანისათვის მასალების მოსაპოვებლად მოგზაურობდა ქვეყანაში. მას ოკუპაციების ოჯახი მასპინძლობდა. ის ბულატის მამის კაბინეტში დაბინავდა. ბულატის ცნობისმოყვარეობის გამო შევიდა მასთან და მაგიდაზე ნახა ფურცელი, რომელზეც ეწერა ერთი ფრაზა: „**მე ცხრამეტი წლისა ვარ**“.

მაღე ბულატმა მშენებლობის უფროსთან სტუმრობისას, კითხვაზე, როცა გაიზრდები, ვინ გინდა გახდეს, უპასუხა:

- მწერალი.
- რას ნერ მერ?
- რომანს.

— და რაზე ნერ მას? — ჰკითხა განცვიფრებულმა მშენებლობის უფროსმა.

— ისე, საერთოდ... სხვადასხვა რამეებზე... — დაიბნა ბულატი და დასძინა: — პირველი სტრიქონი ასეთია: „**მე თერთმეტი წლისა ვარ**“...

ახლა, პირველი პუბლიკაციის შემდეგ, ბულატმა საბოლოოდ გადაწყვიტა თავი ლიტერატურისთვის შეენერა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შესულიყო.

ის, როგორც გუშინდელი ფორნტელი, იოლად მიიღეს. მან ავტობიოგრაფიაში დაწვლია, რომ მისი მშობლები რეპრესირებულინი იყვნენ და კომისიის წევრებმა ეს ვერ შეამჩნიეს, ან, უფრო არ შეამჩნიეს, რადგან ვერ ოკუპაციას საქართველოში კარგად იცნობდნენ.

უნივერსიტეტში ცოტანი იყვნენ, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე კი მით უმეტეს. ბულატთან ერთად უნივერსიტეტში შევიდნენ მისთვის უკვე ნაცნობი ალექსანდრ ციბულევსკი და ლეე სოფინიძე. ის იქ პოეტურ ხელოვნებაში მის კოლეგას ალექსი სილინსაც დაუახლოვდა. ახალგაზრდა პოეტები ხშირად იკრიბებოდნენ ბულატის ბინაში, ლექსებს კითხულობდნენ, არჩევდნენ, კამათობდნენ. ბულატს მაგიდაზე ღებდა ჩალისაბაჟურიანი ლამპა და პუშკინის „მწვანე ნათურისა“ და ჩერნიავსკის სახლის ხშირ სტუმართა „მწვანე ნათურის“ ანალოგიური, თავიანთ „სახოცადობას“ „ჩალის ნათურას“ ეძახდნენ.

ბულატი სულ უფრო და უფრო იცრუებს გულს უნივერსიტეტში სწავლაზე. მას მტკიცედ აქვს გადამწყვეტილი თავისი ცხოვრება ლიტერატურას დაუკავშიროს და შევიდეს მოსკოვის ლიტერატურულ ინსტიტუტში. მაგრამ ამ დროს ბულატის ცხოვრებაში მოხდა ისეთი შეხვედრა, რომელიც მას არა მარტო მთელი სიცოცხლე ახსოვდა, არამედ რომელმაც მისი ბედი დიდწილად განსაზღვრა.

თბილისში ჩამოვიდა მათავა, დამწყები პოეტებისგან, გაღმერთებული ბორის პასტერნაკი. ის სასტუმრო „თბილისში“ დაბინავდა. ბულატმა და მის მეგობრებს ა. ციბულევსკის, ლ. სოფინიძისა და ა. სილინს მასთან შეხვედრის ბედნიერება არგუნა

განგებამ. ბორის ლეონიდოვიჩი მაშინ შერისხული და დათრგუნული იყო, და ამიტომ მათს ლექსებს საესეებით უგულსყუროდ ისმენდა, ეტყობა, რალაც თავისაზე ფიქრობდა. შემდეგ ისინი გახოლაპარაკუნ ერთმანეთის და ბულატმა პასტერნაკს აუწყა, რომ ლიტერატურულ ინსტიტუტში შესვლას აპირებდა.

საქმე ისაა, რომ იმავე 1945 წელს, აივან ბულატი უნივერსიტეტში შევიდა, ბევრი მისი „მოღელე“ ნაცნობი მოსკოვის ჩავიდა სასწავლებლად. გულსტავ აიზენბერგი და სერგეი შენგეროი თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში სასცენარო განყოფილებაზე, ტიდიე მელიქ-ბარხუდარიანი, ვილ ორჯონიკიძე და ვაა მარგველაშვილი კი ლიტერატურის ინსტიტუტში ჯერ კიდევ ომამდელი დროიდან სწავლობდა და, როგორც კი ვეაკუაციის შემდეგ ინსტიტუტმა მუშაობა განაახლა, იქ დაბრუნდა. იური ტრიფონოვი ლიტერატურის ინსტიტუტზე თავის მოგონებებში ასახელებს მაშინ, „**ორმოცდათუ წელს ჩამოსტე ქართულ დესპატს**“. იური ტრიფონოვი ნერად ვილ ორჯონიკიძეზე (რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა) და ტიდიე ბარხუდარიანზე (წინსართი მელიქი მოსკოვში სადაღაც გაქრა, და ტიდიე იქნებ ამიტომაც იქცა ფიოდორ კოლუნცევალი).

„**მათ ჩამოსტანეს არა უხეშად რეალისტურად, როგორც ნერდა ბევრი ჩვენგანი, არამედ ლაზათიანად, ნატიფადაც კი, დაწერილი მოთხრობები. ეს მოთხრობები დაწერილი იყო კარგი გემოვნებით, რაც ბევრს არ ჰქონდა**“.

...პასტერნაკმა ბულატს მოუსმინა და მხარი დაუჭირა, უთხრა, რომ უნივერსიტეტიდან ლიტერატურის ინსტიტუტში გადასვლას აზრი არ ჰქონდა, რადგან ანდამიანი თუ ნიჭიერია, ის ლიტერატურის ინსტიტუტის გარეშეც გახდებდა მწერალი, მაგრამ თუ უნიჭია, მას ვერავითარი ლიტერატურის ინსტიტუტი ვერ უშველის. და მან კიდევ ლიტერატურის ინსტიტუტს მასკინ გორკის გენიალური შეცდომა უწოდა. ამ შეხვედრის შემდეგ ბულატმა ლიტერატურის ინსტიტუტზე თავის ოცნებებსა ნერტილი დაუსვა.

ბულატი თავის თანაკურსელებზე რამდენიმე წლით და მთელი ომით უფროსი იყო. ბუნებრივია, ის მაშინვე მათი, როგორც ღლეს იტყვიან, არაფორმალური ლიდერი გახდა. განსაკუთრებით ნორა ათაბეკოვას, ვალიდია დვორნიკოვას, მას არუთინოვას, ვერონიკა აკოვჯანიოვას დაუფიქრობდა. ისინი, ყველანი, განსაკუთრებით კი ასა არუთინოვა, მისი პოეტური ტალანტის ერთგული თაყვანისმცემლები იყვნენ. ეს არუთინოვასთან მას მარტო მისი კარგი ლექსები კი არა, ურთიერთსიმათათიაც აახლოვებდა. ბულატი კარგი მეგობარი იყო, მაგრამ ფაბილარობის გამოვლენას მაშინაც ვერ ითმენდა. ისე კი ასეთი რამ არც ყოფილა, — თვითონ მასში იყო რალაც ისეთი, რაც ირვედგემყოფთ მისგან უკარკვეულ დესტანციანზე ამყოფებდა. ეს რალაც შემდეგ, პოპულარული რომ გახდა, მაშინ კი არ გამოვლენილა, არამედ ის მასში ყოფილთვის ბუღოვდა, ეტყობა, მან იცოდა თავისი დადამწელები, იცოდა თავისი მისი. ამავე დროს, მას არასოდეს ქედმაღლობის ნატამალიც კი არ ეცხობ,

თავის განსაკუთრებულობის არავითარი გრძნობა არ პირკავდა. უფრო ზუსტად, რადიკალიზაცია გულჩახვეულობა მის მიერ შეძენილი თვისება კი არა, მშობლების გენებიდან დაყოლილი ბუნება იყო.

სწავლაში ბულატი არავითარი განსაკუთრებული სიბეჯითით, მუსყაითობით არ გამოირჩეოდა. მაგრამ მას გამოცდებზე ნარემატელობები არ ადარდებდა. მამინაც კი, როცა „იჭრებდა“, შეუფოთებელი, მშვიდი გამოდიოდა ვარით და ამბობდა: „რას იზამ, არაფერი გამოვიდა, სხვა დროს მოვალო“.

*„ფილოლოგია ძალიან არ მაგზუნებდა, მაგრამ იმაზე ფოქირ, რომ მე გუშინდელი ფრონტელი ვარ, რომ ცოცხალი ვარ, რომ ამის გამო ჩემთვის ყველაფერი ნებადართულია, რომ მორიგი პასია, საჭრუო თვალს არ მაცლებს, რომ მე და ის საღამოს ოციცერთა სახლში მივალთ და იქ ტანვითი, ფოქსტროტითა და ვალს-პოსტონით ქანცს ვავიწყვტო, ძალიან მაგზუნებდა“.*

მავრამის გაცილებით მეტი ყურადღებით ლექსებს ეკიდებოდა. მას ედგა ოდესღაც პაპამისის, დურგალ სტეპან ნაბანდიანის მიერ გაკეთებული მავიდა, რომლითაც ძალიან ამაყობდა, და რომელიც შემდეგ მოსკოვშიც გადაიტანა. ბულატი ამ მავიდასთან საათობით უიკიტიებდა თავის ალებებს.

*«... Пусть этот век и тяжек и кровав,  
Но лишь земля, где новый мир рожден  
Последний залп отожествит с победой  
История по-прежнему права  
Багрянные полотнища знамен  
Сплошной зарей раскинутся по свету.»*

ის თავის ლექსებს სხვადასხვა გაზეთებსა და ჟურნალებს უგზავნიდა, მაგრამ მათგან ყოველთვის უარი მოსდიოდა.

წლების შემდეგ ამ ლექსთაგან ზოგიერთი ქრესტომოთიებში შევიდა...

პირველი სემესტრის შემდეგ ჯგუფში, რომელშიც ბულატი სწავლობდა, მოვიდნენ ახალი სტუდენტები, დები გალია და ირა სმოლიანინოვები. ისინი მზიარული, სიცოცხლის მოყვარული, გულზიარი ქალიშვილები იყვნენ. მათი მამა, ვასილი ხარტიკონოვიჩ სმოლიანინოვი, პოდპოლკოვნიკი, 1945 წლის მიწურულს გადმოიყვანეს თბილისში. მასთან ერთად გადმოვიდა მისი ოჯახიც: ცოლი — კლავდია იგნატიევა, ქალიშვილები — გალია და ირინა და ვაჟიშვილი გენადი.

ირინა შემდეგ მასე იგონებდა ბულატის გაცნობისას მიღებულ შთაბეჭდილებას:

*„ეს იყო გამხდარი, საშუალოზე მაღალი ტანის თანხვეწას ახალგაზრდა, რომელსაც სქელი წარბების ქვეშ თაფლისფერი თვალები ოდნავ აქვს გამოპოვებული. ტურნების წვერები ზევითა აქვს აზიდული, თითქოს ეშპაკურად იღიმება. მაგრამ მისი გამოუმეტყველება ყოველთვის როდი ესაყვყისებოდა მის ღიმილს, რაღაც თავისას, საიდუმლოს ფარავდა. ძალზე თავანვევტილად იცინის, და ამ დროს წახრილია და სასაცილოდ ისრებს ცხვირს“.*

ბულატმა დები როგორღაც სახლში მიიწვია. კუთხეში იდგა პიანინო, რომელზეც აკომპანირებთ

რაღაც-რაღაცების მღერას შეუდგა.

ეს პიანინო დედა სილვამ მოიკო ლატარიაში. და თუმცა მათ ოჯახში პიანინოზე არავინ უკრავდა, მონაკები ფული კი არ აიღეს, პიანინო გამოიტანეს. შესაძლოა, დედა სილვა იმედოვნებდა, რომ მისი უცხოური დისმული ვიკტორი ისწავლიდა მასზე დაკვრას. ასე იყო თუ ისე, ვიდრე ისინი ერთად ცხოვრობდნენ, პიანინოზე მხოლოდ ბულატი აუღარუნებდა. და როცა ყველანი ერთვანში მიემგზავრებოდნენ, პიანინო ბულატს დაუტოვეს.

იმ დღეს ბულატმა ბევრი სიმღერა მიღერა. ირა სმოლიანინოვამ (ვათხროვების შემდეგ თივოსისცევამ) კარგად დაიმახსოვრა ერთი მათგანი:

*«Однажды Тирли, Тирли, Тирли, Тирли  
Напал на Дугу, Дугу, Дугу,  
И долго Тирли, Тирли,  
И долго Дугу, Дугу  
Долбали понемножку друг-друга.»*

ეს იყო მარტივი ამბავი ორი მეგობრისა, რომლებსაც არ ძალუდთ დედამიწაზე მშვიდობიანად ცხოვრება, და მხოლოდ სხვა ერთმანეთის დახმარებით გადასვლის შემდეგ მიდიან ურთიერთგაგებად.

და აი, როგორ იგონებს ვერონიკა აკოუჯავანოვა ამ სიმღერის გაცნებას:

*„ტირლი, ტირლი“, სხვათა შორის, პირველად ჩემს სახლში გაუღერდა. ეს იყო რომელიღაც საღამოს წვეულებაზე, არ მახსოვს რა თარიღი იყო. ჩვენ პიანინო გვექონდა და ბულატი თავის თავს აკომპანიატორობას თვითონ უწყევდა. შემდეგ ეს სიმღერა აიტაცეს, რადგან ძალიან კარგი რამ იყო“.*

ცოტა მოგვიანებით განიდა სიმღერა „Неистов и упрям“, რომელსაც ბულატი შემდეგში ყველა გამოსვლაში და ინტერვიუში თავის პირველ სიმღერად ასახელებდა. და თუმცა ახლა ზუსტადაა ცნობილი, რომ მან მანადიდ სხვა სიმღერები შექმნა, ეს ნამდვილად იმდენად კარგი იყო, რომ ბულატის ყველა მანადილი სიმღერა სადღაც გადასწია.

*„დავიწყებ ძალიან ძველი დროებიც, ჩემი პირველი სიმღერებიც, რომელიც სულ შემთხვევით გამოჩნდა 1946 წელს. მაშინ უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი. მე ჩემი ახალი წოდებით ძალიან ვამაყოფდი... და ვადამყვყვიტე აუცილებლად შემექმნა სტუდენტური სიმღერა. ჩემი ნარმოდებანი, სტუდენტური სიმღერა უნდა ყოფილიყო ძალიან მშვენიერი, „Быстрый, как волны, дни нашей жизни, чем дальше, тем ближе к могиле наш путь“-ის ტიპის რაღაც...“*

მაგრამ როგორღაც, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ბულატმა, როცა მისმა მეგობარმა ვლადიმირ ვოინივიჩმა მისი პირველი სიმღერის მღერას სთხოვა „Однажды Тирли, Мирли“ იმღერა.

ბულატი შემდეგ ამბობდა, რომ „Неистов и упрям“-ის შემდეგ ათი წლის მანძილზე სიმღერები საერთოდ არ დაუწერია.

ლიტერატურის ისტორიაში ეს საკმაოდ ხშირად ხდება: პოეტები იფიქნებენ თავიანთ ადრინდელ ლექსებს, არ უნდათ მათი განახლება. და თუ ისინი უკვე დაბეჭდილია, პოეტი თავისი კრებულის მთელ



ტირაუს ყიდულობს და ანადგურებს (როგორც, მაგალითად, ეს ნეკრასოვმა გააკეთა). მაგრამ, ამასთანავე, ის წერას განაგრძობს, არ შეუძლია არ წეროს. ბულატსაც ასე დაემართა. იგივე ირინა ვასილევნა ფიოპისცევა იხსენებს, რომ ბულატი უნივერსიტეტში სწავლის მთელ მანძილზე, როცა ისინი ერთად ცხოვრობდნენ, ანუ 1950 წლამდე, გამუდმებით თხზავდა სიმღერებს. ის მათ ისე, უსაბაბოდაც ჰქმნიდა («Ни кукушка, ни ромашка») და სხვადასხვა შემთხვევითან დაკავშირებითაც. მაგალითად, როცა მისმა სიმამრმა პოლკოვნიკის ნოდება მიიღო, ბულატმა შეჰქმნა სიმღერა, რომელშიც იყო ასეთი სიტყვები:

«...He на травишху на измятху  
В ночь июльскую сторпяча  
Звезды падают  
На твои молодые плеча.  
He пытаться сдержатъ свою прыть,  
Звезды падают,  
Звезды падают,  
Успевай эти звезды ловить.»

ჩვენ ვიცით თუ როგორ მკაცრად (შეიძლება ითქვას მეტისმეტად მკაცრადაც) ეკიდებოდა ბულატი თავის სასიმღერო შემოქმედებას. ნაწილობრივ ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ როცა მან ორმოცდაათიანი წლები მინურულს უკვე აქტიურად, ერთიმორეზე მიყოლებით იწყო სიმღერების შექმნა და თავისი მე-ცხუბრებისთვის მათი შესრულება, ზოგი მათგანი ამას რაღაც მვდამიურ ფაქტად მიიჩნევდა, და იგივე ზურბა კაზბეკ-კაზივიცი ამბობდა, ბულატი ამ მიმართებით ტყუილბრძოლად ირყვებო. და საერთოდ, გიტარასთან მაშინ ისეთი დამოკიდებულება იყო, როგორც მემწანურ და უხამს ინსტრუმენტთან. აი, როგორ იხსენებს ბულატი ოკუჯავას გაცნობას მწერალი ლეონიდ ფუხოვიციკი:

*„როცა დავლიეთ და ქალაქდაფარებული საკანცელარო მავიდებიდან ფრიად მოკრძალებული შესატანებელი გავაქრეთ, ფიცარანგზე გამოიტანეს მოყანყალე სკამი და მაშინვე გამოჩნდა ივითონ შემსრულებელიც. ოკუჯავა ძალიან გამზდარი, თითქმის უძლური, დღეული იყო. პატარა ულავები, დაბალი ზეჭუჭა თმა, საზეზე შემოქმედობის ნასახი არ ატყვია. გიტარა მხოლოდ აძლიერებად საერთო შეგრძნების უმნიშვნელობასა და უხამობას“.*

თუმცა, როცა ბულატი ამღერდა, მასთან ფუხოვიციკის დამოკიდებულება ელვისისსწრაფით შეიცვალა:

*„დაახლოებით მესამე სიმღერისას მისი საზე უკვე ბლოკის საზეავით ღრმა, ბრძნული და ნაღვლიანი ჩანდა...“*

და როცა ბულატმა მღერა დაამთავრა, ფუხოვიციკის ლამის გული მისდობდა:

*„ხელოვნებისგან უფრო დიდი შთაბეჭდილება არც მანამდე, არც შემდეგ, საერთოდ არასდროს არ მიიღია“.*

მაგრამ მის სიმღერებს ფუხოვიციკით ყველანი ასე არ შეხედდნენ. ზოგიერთის მათი ავტორის მზარდი პოპულარულობა აღიზიანებდა. ამის მიზეზი,

იქნებ, რომელიღაც უცნობი „მიტიჩას“ მიმართ ელემენტარული შურიც იყო. ასეა თუ ისე, არაკეთილ-ისმსურველებმა შეძლეს ბულატისთვის მაინც ჩაეგონებინათ, რომ ის, რასაც ის ელტკოდა, მთლად სრულფასოვანი ხელოვნება არ იყო.

მაგრამ, ჩემის აზრით, არის ერთი მიზეზიც, რის გამოც, „არ უყვარდა“ ბულატი ოკუჯავას თავისი სიმღერები. ყველა დიდი ხელოვანი, ვინც რამდენიმე ფანრი მუშაობს, ერთ-ერთ მათგანში აღწევს უფრო დიდ წარმატებას. [გამოხატული ცოტაა, რომლებსაც უნდა მივაუთვინო პირველ რიგში ბუშკინი და ლერმონტოვი, რომელთა პროზა და პოეზია თანაბრად საყვარელია], და როცა ერთ-ერთ ფანრი აღიარებას აღწევს, უსათუოდ, აუცილებლად უნდათ, რომ ასეთივე აღიარება ჰპოვონ სხვა ფანრიც.

ეთვითა, ვიპოვებო — მომღერალი წარმოუდგენლად სახელოვნოეჭილი იყო, მაგრამ მას საცხებით მშვიდად შეეძლო მოეხმინა მის სიმღერებზე რაიმე კრიტიკული შენიშვნა და ზოგჯერ თვითონაც ირონულად ეკიდებოდა თავის სიმღერებს: *„ჩემი მხოლოდები ვაგებზე მარტივია...“* ამავე დროს, ძალზე მტკიცეულად განიცდიდა მისი, როგორც დრამატული თეატრის მსახობის, ნიჭის შეფასებას. თან ძალიან უნდოდა ელიარებინათ როგორც პოეტი უმუსიკოდ, და როგორც პროზაიკოსი.

ან სხვა მარჯალთი: ფაზილ ისკანდერის პროზა. ყველა მისი ლექსი შესანიშნავია, მაგრამ მათ გაცელებით ნაკლებად იცნობენ. და მას, ჩემის აზრით, მისი ლექსებთან ამგვარი დამოკიდებულების გამო ის რამდენიმე გულდანყვეტილია, ან ვლადიმირ ვოინოვიჩი, რომელიც ძალიან გაიტყდა ფერჩამ...  
*„უგნური შვილები ხომ დღევანდელი უფრო ძალიან უყვართ — ისინი სხვებზე მეტად საჭიროებენ მათს დამცავ სიყვარულს“ (ფაზილ ისკანდერი).*

ღმერთმა დაგვიფაროს აქ დასახელებული შემოქმედთან მეორე იპოსტასი „უგუნური შვილებთან“ გავივიციოთ. ჩვენ ახლა ვლამარაკობთ არა ხარისხზე, არამედ მხოლოდ აღიარებაზე.

ეტყობა, ბულატი ოკუჯავაც ამ დღესია. მისმა მშვენიერმა პროზამ ხალხის ისეთივე სიყვარული ვერ მოიხვეჭა, როგორც სიმღერებმა, თუმცა მან პროზას გაცილებით მეტი დრო და ძალა შეალოა. და, ალბათ, ამიტომ, თავისი პროზა თავის სიმღერებზე უფრო მეტ სიამოვნებას ანიჭებდა.

როგორც არ უნდა იყოს, ფაქტი ფაქტად რჩება: ბულატი ოკუჯავა ხშირად უსამართლო იყო თავისი სიმღერების მიმართ. შესაძლოა, სწორედ ამიტომაც, რომ ჩვენ უკვე ვერასოდეს მოვისმინეთ ამ ოსტატის მიერ შექმნილ მკვერ მშვენიერ სიმღერას. იმიტომ ვერ მოვსმინეთ, რომ მან არ უნდოდა თავისი რომელიღაც ადრეული ლექსების გახსენება, რადგან მათ სუსტებად ან არასაკმარისებუდად მიიჩნევდა. იმ ადამიანებს კი, რომლებიც მათ მაშინ ისმენდნენ და ახლა ცოცხალნი არიან, ეს ლექსები მხოლოდ იმიტომ არ ახსოვთ, რომ ოკუჯავა მათი შესრულებისას ცხადდებდა, რომ თვითონ იყო მათი ავტორი, ყოფილი მაგნიტოფონები კი მაშინ არ ჰქონდათ. მაგრამ, შესაძლოა, რომ ჩვენ ამ მიმართებით აღმოჩენები გველოდეს. აი, მაგალითად,

ვეგენია ვასილიცენა კობლიკოვას, კალუგელი მწერლის, ბულატის ახლო მეგობრის ვლადიმირ კობლიკოვის ქვეყნის ნათქვამის ჩანაწერი.

...*1954 წელს, როცა ბულატი გაზეთ „მოლოდოი ლენინცში“ მუშაობდა, მან კობლიკოვებთან სტუდენტისას როგორღაც ფორტუბიანოს თანხლებით შეასრულა, რამდენიმე სიმღერა, მათ შორის ძალიან პოპულარული სიმღერა პატარა ჩემოდანზე (მეერი წლის შემდეგ ის ა. პანკრატოვ-ჩიორნის შესრულებით გაუღერდა ფილმში „ჩვენ ჯახიან ვართ“):*

«На полочке стоял чемоданчик,  
На полочке стоял чемоданчик,  
На полочке стоял,  
На полочке стоял,  
На полочке стоял чемоданчик!...»

კობლიკოვები აზრზეც არ იყვნენ, რომ მათი მეგობარი ერთობდა სიმღერების თხზვით, და როცა შემდეგ ამ სიმღერის შესრულებისას მან თითქოს შემთხვევით თქვა: *„სხვათა შორის, ეს სიმღერა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მე შევთხზეო“*, საოცრად გაანცვივრდნენ.

რასაკვირველია, ერთი ადამიანის მოწმეობა შესაძლოა სულაც არ ემაროდეს იმის დასადგენად, რომ ამ სიმღერის ავტორი დადგენილად ჩაითვალოს. თუმცა ევგენია ვასილიცენა თავგამოდებით ირწმუნებოდა: ეს სიმღერა ძალიან კარგად იმიტირებ მასსოვს, რომ მე და ჩემი ქმარი იმან გაგვაკვირვა, რომ თურმე, ბულატი სიმღერებს თხზავდა და ეს სამუდამოდ დაგვამახსოვრდაო. ჩვენი ვიცით, რომ მესხიერებას ყოველთვის არ დაეყრება, მაგრამ ასეთი მოწმეობის არად ჩავდებთ მაინც არ გვგმარებს.

შესაძლოა, ბულატმა უბრალოდ იხუმრა, თავისი მეგობარი „გააცუცურავა“ იმით, რომ სხვისი სიმღერა თავისად შეასალა მათ? მაგრამ ასეთი რამეები ბულატს ნამდვილად არ ჩვეოდა. ასე რომ, პოეტის ბიოგრაფებს ჯერ ცოტა რამე როდი აქვთ გასარკვევი...

სხვათა შორის, ევგენია ვასილიცენასთან შეხვედრის შემდეგ ჩვენ ველაპარაკეთ ადამიანს, რომელიც გასული საუკუნის სამოედგაითიან წლებში ისევენადა ტულის ოლქის რომელიღაც პანსიონატში, სადაც იყო ვილიც შტატინი მასობრივი გართობის ორგანიზატორი — შემაქცივარი, რომელიც გარმონის თანხლებით „პატარა ჩემოდანზე“ სიმღერასაც მღეროდა. და, როგორც ჩვენი თანამოსაუბრე ამტკიცებს, ის შემაქცივარი ამბობდა ეს სიმღერა ბულატ ოკუჯავას ეკუთვნისო.

გალია სმოლიანინოვასთან მეგობრობა თანდათან ტრფიალებში გადაიზარდა, და 1947 წელს ისინი შეუღლდნენ.

«Глаз озорные губи.  
В улыбку растянут рот.  
Все так же надеется,  
Все так же любит,  
И, значит, не подведет.»

აქამდე ცოტა ხნით ადრე ყარაგანდაში გადასახლებიდან დაბრუნდა ბულატის დედა, აშენი სტეპანოვნა. ბოლოს ის ბულატმა ათი წლის წინათ,

ჯერ ისევ ბავშვმა, ნახა და ახლა, როცა მას უნდა შეხვედროდა, ემინოდა, ვითუ ვერ მიცნოსო. აშენისგან განსხვავებით, მისი უფროსი და სილვა კომუნისტის არ იყო და ბოლშევიკების ფასი კარგად იცოდა. ამიტომ მან სამარლიანად გადაწყვიტა, რომ ყოველი შემთხვევისთვის აშენი მოშორებით სადმე დაემალა მანამდე, ვიდრე მას ყველანი დაიყენებდნენ. აშენი არტელის ბულატრად მონაწყვეს სომხეთის რომელიღაც მიყრუბულ ადგილას. ისე კი, უნდა ვთქვათ, რომ სილვამ ბოლშევიკების ნამდვილად დააკლო ფასი. მათ არ დაეინყებიათ და მას მალე მიხედეს. 1949 წელს აშენი დააპატიმრეს და განსაკუთრებული სპეცგანყოფილების გადაწყვეტილებით კარგად გადასახლება მიუსაჯეს. სამკვიდროდ კრასნოიარსკის მხარის სოფელი ბოლოში ულუი დაუდგინეს.

«...*Чуть за Красноярском – твоей лесоповал,  
Конвой на Фронте сроду не бывал,  
Он тебя прикладом, он тебя пинком,  
Чтоб тебе не думать больше ни о ком.  
Тулуп его жарок, да холоден взгляд...  
Прости его, милуя: он не виноват.  
Он себе на душой греха не берет –  
Он не за себя ведь – он за весь народ...»*

მაგრამ აშენმა თავისი უფროსი ვაჟივილის ქორწილში ყოფნა და ახალი ნათესაების გაცნობა მოასწრო.

ქორნილის შემდეგ ბულატი სმოლიანინოვების სახლში გადავიდა. ოჯახს კასპის ქუჩის კომუნალურ ბინაში ორი კუთხის ოთახი ეკავა. ერთ ოთახში ახალნაქორწინები და გალინა სერგაევანს უმცროსი მამა, რომელიც თოხმეტი წლისა იყო, განთავსდნენ, მეორეში კი — მშობლები და ირა. ასეთი სივრცისა და კიდევ სხვადასხვა სინდელების მიუხედავად, მზიარულად და მეგობრულად ცხოვრობდნენ. მუსიკალური ოჯახი იყო, სიმღერა ყველას უყვარდა. და თუმცა, ოჯახში პიანინო არ ჰქონდათ, სიმამრი მანდოლინაზე, ბალალაიკასა და გიტარაზე უკრავდა. ბულატს გიტარაზე დაკვრა სწორად მან შეასწავლა. ბულატმა ახლა თავისი ლექსებისათვის გიტარაზე მელიოდიების მორგება დაიწყო.

ვასილი ხარიტონოვიჩი სკეპტიკურად ეკიდებოდა ბულატის პოეტურ ცდებს. მას მიაჩნდა, რომ მამაკაცს არ შეუძენია თავის ძირითად საქმიანობად ლექსების წლის არჩევა. ლექსებით ოჯახს ვერ გამოკვებდა. მაგრამ ბულატის ერთი სიმღერა სიმამრს ძალიან მოეწონა და სიძის შემოქმედებასთან თავისი დამოკიდებულება შეცვალა. ეს სიმღერა «*НИ кукушкам, ни ракушкам*» იყო, ამ სიმღერასთან დაკავშირებითაც ბვერი რამეა გაუგებარი. თვითონ ოკუჯავა მას გაცილებით უფრო გვიანი წლებით ათარილებდა. მაგრამ ვასილი ხარიტონოვიჩის ქალშვილი ირინა ვასილიცენა დაბეჯითებით ირწმუნება, რომ ეს სიმღერა მან სწორედ მაშინ მოსმინა, როცა ისინი ყველანი ერთად ცხოვრობდნენ, ანუ არაუგვიანეს 1950 წლისა. მას ახსოვს, რომ მამამ შუაქი ეს სიმღერა, *„...მისი სიმამრის შეხვი მისთვის რალაც პირაულს, მასში მისთვის რალაც სარწმუნო და რეალური იყო, კარგ მელოდიას კი ის ყოველთვის*

**გრძობდა და აფასებდა.** აი, კიდევ ერთი გამოცანა პოეტის მომავალი ბიოგრაფებისთვის, დიპლომანტიებისა და დისერტანტებისთვის...

ბულატიის სიმაბრი მალე მშენებარე სამხედრო ნაწილის პოლიტგანყოფილების უფროსად დაინიშნა და მას გამოეყო ზონა პარაიანაშვილის ქუჩაზე, ცენტრალური ბაზრის ახლოს. ამ ბინაში ახალგაზრდებს უკვე თავიანთი ცალკე ოთახი ჰქონდათ.

ორიან ვასილიევან ჟიგორისძევე იცნობეს: **„ჩვენზე ბულატიის გავლენა მაშინ შეცნობილი არ გვექონდა, ეს ძლიერი გავლენა იყო, იმის მიუხედავად, რომ მისი ზოგიერთი მოსაზრება და ქცევა საკამათოდ და მიუღებლად, ზოგჯერ უცხოდაც კი გვეჩვენებოდა. როგორც ჩანს, მისთვის ჩვენს ოჯახშიც არსებობდა სირთულეები“.**

ამიტომ მთელი წლის მანძილზე წარმოქმნილი დაძაბულობის განსამუხტავად, ზაფხულში ახალგაზრდობა აუცილებლად სადმე მიეგზავნებოდა.

პასტერნაკთან შეხვედრის შემდეგ ბულატი და მისი მეგობრები მოსკოველ პოეტებსაც შეხვდნენ. როცა ისინი მესამე კურსამდე სწავლობდნენ, თბილისში ჩამოვიდნენ პაველ ანტოკოლსკი, ალექსანდრ მე-ყროვი და ნიკოლაი ტიხონოვი. მეტრები შეჰქირდნენ ახალგაზრდა პოეტებს, რომ მათ მოუსმენდნენ და ისინი სასტუმროში მივიდნენ.

**„ანტოკოლსკიმ ჩვენ დავგვხა და, რაკი ყველაზე უკეთესი ვიყავი, პირველმა დაიწყო კითხვა. ის სულ არ რეაგირებდა ჩემს ლექსებზე და, როცა კითხვას მოვრჩი, სიტყვაც არ უთქვამს, და საერთოდ ძალიან მოღუშული იყო. შემდეგ მეორედ წაიკითხა — ისევ არავითარი რეაქცია, შემდეგ მესამეც და, ბოლოს, სილინის რიგიც მოვიდა. ძალიან გვრცხვენოდა, რომ ახლა სილინს უნდა წარედგინა ჩვენი ჯგუფი. უცებ ანტოკოლსკი გამოცოცხლდა და სიხოვამ მას კიდევ წაეკითხა ის ლექსი... ახლა, როცა ამას ვიხსენებ, მესმის, რომ ჩვენ ძალიან უღიბლამოდ ვწარდით, მიმბაძველურ, პრეტენზიულ ლექსებს ვწარდით, ის კი თავის თავზე უშრობდა და გულწრფელად წერდა, თავის ცხოვრებაზე წერდა, და ეს ნამდვილი პოეზია იყო. ჩვენ მაშინ ეს არ გვესმოდა, მაგრამ სილინის სხვა თვალით შეხედვით და მისდამი პატივისცემის გრძნობით განვიმსჯელებო...“**

სამწუხაროდ, მათმა ლიტერატურულმა წრემ მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მალე შეწყვიტა არსებობა. ყველაფერი ეს ძალზე ცუდად, სავალალოდ დამთავრდა. ჯერ კიდევ უნივერსიტეტამდე ლევ სოფიანიდი ჩართული იყო „შეამბოხე ტერორისტული ორგანიზაცია“ „ძირს ბერია!“-ს აქციებში.

ამ ორგანიზაციის სული და გული იყო ელკა — ელკა ნარკვანი. ითხზებოდა ტერაქტიკის სხვადასხვა, ასეთი რამეც კი: ელკა სპეციალურად ავადდება „არაკარგი“ ავადმყოფობით, შემდეგ კი ბერიას შუტყუებს, შუაგულს და ასწვობანებს! ოდესაც ნარკვანისა და ბერიას აგარაკები ერთმანეთის გვერდიგვერდ იყო და მაშინ, თუნდაც თეორიულად, შეიძლებოდა ლაგერენტის ფიზიკურად მოსპობის იდეის გულის ტარება. ახლა, როცა ბერია უკვე მოსკოვში ცხოვრობდა, ელკას არ ავარაკებდა ლარ ჰქონდა,

ყველაფერი ეს სრულ სიციფედ გამოიყურებოდა.

დღემო ყოველი შეთქმული ხელით ნაწერი ფურცლებს ოც-ოცდახუთ ეგზემპლარს ამრავლებდა:

**„მოქალაქენო, ირგვლივ მიმოიხედეთ! შეხედეთ, რაც ემართება ჩვენს საქართველოს. მისი საუკეთესო ადამიანები დაიხვერიან და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში დაიშობენ. ცისფერქუდიანი გარენრები შილიანად განაკვებენ ყოველი ჩვენი თავისი სიცოცხლეს...“** ღამე კი ამ ფურცლებს სახლების კარებზე, ღობეებსა და ხეებზე აკრავდნენ.

1946 წლისთვის ამ ორგანიზაციის მოქმედება თავისთავად შეწყდა, მაგრამ 1946 წლის აპრილში ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრის დასმენით ყველა დააპატიმრეს. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თეიმურაზ თაზიშვილმა სასამართლოში თავის ბოლო გამოსვლაში განაცხადა: **„დაიხსომეთ, მინაზე ან ჩვენ ვართ, ან თქვენ, ჩვენი ერთად ყოფნა არ შეიძლება...“** ელა ნარკვანმა თავის გამოსვლაში შთამბეჭდავად დაადასტურა სტალინი და ბერია. ორგანიზაციის ყველა წევრს ოცდახუთი წლით პატიმრობა მიესჯა. სიტუაციის პარადოქსულობა ის იყო, რომ შეთქმულთა სიცოცხლე იმან იხსნა, ვის მოკვლასაც ასეთი გაკერპებით ესწრაფოდნენ ისინი. 1948 წელს შინაგან საქმეთა სახკომი გადაკეთდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდ და მის მეთაურად დაინიშნულმა ლაგერენტი ბერია მქვეყანაში სიკვდილით დასჯა გააუქმა. ცოტა ხნით, ერთ წელიწადზე ოდნავ მეტი ხნით გააუქმა, მაგრამ ის დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჩვენი შეთქმულების სიცოცხლე გადარჩენილიყო.

დააპატიმრეს ლიოვა სოფიანიდიც და შურა ციბულევსკიც, თუმცა, რომ არაფერი ვთქვათ ციბულევსკიზე, რომელსაც პოლიტიკოსთან საერთო არ ჰქონდა — მას მხოლოდ ლექსები აინტერესებდა, — და სოფიანიდიც, რომელსაც ამ ორგანიზაციასთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა. და მაინც, დაუსმენლობის გამო ორივეს 10-10 წლით პატიმრობა მიესჯათ.

გავიდა წლები და მოქმედ პორტაგან თბილისში მხოლოდ შურა ციბულევსკი, ვინა მარგველას ძალიან ელა ნარკვანი დარჩნენ. ისინი განაგრძობდნენ ერთმანეთსა და დელდალაქში დამკვიდრებული თავი-თავი მეგობრების სიყვარულს, მათ მოსკოვში ახალი მეგობრებიც გაუჩნდათ, მათგან ერთ-ერთი ახალი მეგობრის გამო ციბულევსკისა და მარგველას ძალს თბილისში „ბელუდაგვარდიცებს“ ეძახდნენ.

**«Я знаю, все будет: архивы, таблицы...  
Жила-была Белла... потом умерла...  
И впрямь я вжила: я летела в Тбилиси,  
Где Гия и Шура встречали меня.**

**О, длилось бы вечно, что прежде бывало:  
С небес упалод солнцепек проливной,  
И не было в городе этом подвала,  
где Б Гия и Шура не пили со мной.**

**Как свечи мерцают родимые лица,  
Я плачу, и вжила: я летела в Тбилиси,  
Где Гия и Шура встречали меня.**

Нас нет, но в крытых закоулках Тифлиса  
Мы встретимся: Гия, и Шура, и я.

Счастливица, знаю, что люди другие,  
В другие помянут меня времена.  
Спасибо! – Да тешно: как Шура и Гия,  
Никто никогда не полюбит меня.»

ალექსანდრ სემიონოვი ციბულევსკი 1975 წელს გარდაიცვალა 47 წლის ასაკში და მშვენიერი ლექსების ორი პატარა ნიგნი დავიკოვია. მესამე უკვე პოეტის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა მოსკოვში. ბოლო წლებში ციბულევსკი ძალიან ბევრს სვამდა. მას რე-აბილიტაციებში ბულატ ოკუჯავა დაეხმარა.

ლევ სრისტოფოროვიჩ სოფიანიდი საპყრობილოდან გამოსვლის შემდეგ სოფლის მასწავლებლად მუშაობდა. პატიმრობისას ის ნარკომანი გახდა. გარდაიცვალა 1977 წელს 49 წლის ასაკში. „სულთ მო-ღწერ, გონიერი ფილოსოფოსი, სახით ქრისტი“, — დანტის სოფიანიდიზმ მისი თანაღაგერული ახანაგაი ლ.კ. სიტკო.

სოფიანიდისა და ციბულევსკის დაპატიმრებიდან გარკვეული ხნის შემდეგ ალექსეი სილინი გაქრა. ამით პოეტურმა გაერთიანებებმა თბილისში არსებობა შეწყვიტეს. „მოიღის“ ყველა მიხანწლიუს, ვინც 1945 წელს მოსკოვში არ წავიდა, იძახებდნენ დიდ სახლში (საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სა-მინისტრო), დაკითხვებს უტარებდნენ. რომა ჩერნი-ა-ესკი კრეიტანის მიერ შესაძლებელი დაპატიმრების თაობაზე გაფრთხილების შემდეგ ისე დაფრთხა, რომ თავისი ყველა ლექსი დანება. ბოლოს ის ჭკუდიან შეი-შალა.

ბულატსაც იბარებდნენ, აფრთხილებდნენ, მამის ხედვრის გაზიარება თუ არ გუსრს, კეთილი ინებუ ყოველგვარ პოეტურ თავგებებზე უარი თქვიო. მაგრამ ბრალდებად ვერაფერი წაუყუენს. — ცოლი კარგა ხნის მოყვანილი ჰყავდა, ოჯახში ცხოვრობდა და რაიმე კონტრეველუციურ ორგანიზაციებზე არაფერი იცოდა.

მესამე კურსის დამთავრების შემდეგ მამამ ირ-ნანსა და გალინას, და ბულატსაც უმოგნა ქობულეთში დასასვენებელი სახლის საგზურები. ახალგაზრდებმა იქ ჩინებულად გაატარეს 12 დღე და შინ დასვენებულ-ნი და გარუჯულნი დაბრუნდნენ.

ახლა ერთადერთი პოეტი, ვისაც ბულატი ხვდებოდა, იყო ვალაკტიონ ტაბიძე, დიდი პოეტი და მორე დიდი პოეტის შორის პასტერნაკის მეგობარი, რომელთ-ანაც 1946 წელს ჰქონდა ურთიერთობა. ვალაკტიონი მისი ღვიძლი მამიდის ქმარი იყო.

ვალაკტიონ ტაბიძემ და სტეფანე ოკუჯავას თითქ-მის ყველა შვილმა ქუთაისის გიმნაზია დაამთავრეს. იქ ვალაკტიონი დაუმეგობრდა სტეპან ვასილივიჩის მეორე ვაჟიშვილს — მიხეილს, რომელიც გიმნაზიაში ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა: ლიტ-ერატურაზე მის თხზულებებს იხილავდნენ პედსაბ-ჭოებზე, მათემატიკის მასწავლებელი მას ბრწყინ-ვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდა. „ოქტე-ზი მოხვეჭთ სახელს, წარმატებას მიადნეო“, —

უებნებოდა ის მიხეილს, მაგრამ მიხეილმა სხვა გზა აირჩია. მან ამ გზაზეც ხელმძღვანელებს მიადნია, მაგრამ ამ გზას ჯალათის სურამა მიხეილის საშინელი ნაშებითა და სიკვდილით დაუსვა წერტილი...

გიმნაზიის ოქრის შედარე დამთავრების შემდეგ მიხეილ ოკუჯავა მუდის მოსკოვის უნივერსიტეტის ოურიდიულ ფაკულტეტზე.

1914 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის ქუთაისში ადვოკატური საქმიანობის სფეროში პირველ ნაბიჯებს დგამს. მისმა მეგობარმა ვალაკ-ტიონ ტაბიძემ იმ დროისთვის გამოსცა თავისი ლექსების პირველი ნიგნი, რომელმაც მას მაშინვე დიდად გაუთქვა სახელი. მიხეილი აღფრთოვანებუ-ლი იყო ვალაკტიონის ლექსებით, მას „ჩვენს დანტეს“ უწოდებდა. სასამართლოში ადვოკატის როლში მიმას პირველი გამოსვლის წინ ვალაკტიონი წერდა თავის საცოლეს — ოლია ოკუჯავას:

„ღღეს მე და ვისკომ ერთად ვისადილეო. სხვა-თა შორის, მან თქვა, რომ სასამართლოში მის დამ-ცველად მიშა უნდა გამოვიდეს. ეს მიშას დებოუტი იქნება. ამ სასამართლოს მეც, შენც, ყველანი უნდა დავესწროო.“

1915 წელს, ქალიშვილის დედის წინააღმდეგობის მიუხედავად, ოლია ოკუჯავა და ვალაკტიონ ტაბიძე შეუღლდნენ. სიდედრი თავის სიძეს მცონარედ და თავქარიანად მიჩინებდა, და არც მთლად უსაფუძე-ლოდ. თანამემამულეებს ვალაკტიონი ძალიან უყვარ-დათ და ყველგან ცდილობდნენ მას გამაჰპინძლებოდ-ნენ. თითქმის სიღატაკის მიუხედავად, მისი ცხოვრება უწყვეტი ზეიმი იყო. 1921 წელს პოეტმა მეჯობებაზე ვალაკტიონი „პოეტთა მეფედ“ აღიარეს.

...მაგრამ ეს ყველაფერი დიდი ხნის, მეოთხედი საუკუნის წინათ იყო. იმ ბედნიერი დღეების შემდეგ რამდენმა წყალმა ჩაიარა. უკვე ცოცხალი არ არის მისი მეგობარი მიხეილი, არც მისი მუუღლ ოლია, არც მათი ძმები: ვეადიმერი, ალექსანდრე, ნიკოლოზი, შალვა... უკვე არც ვალაკტიონის ჰიდაშვილი ტიცინან ტაბიძეა ცოცხალი. აღარავინაა...

ოლია ოკუჯავა 1941 წლის 11 სექტემბერს დახ-ვრიტეს ქალაქ ორიოლის გარეუბანში, მედევევის ტყეში. მასთან ერთად დაიხვრიტნენ ლეკენდარული „ესერკა“ მარია სპირიდონოვა, ტროცკის და ოლვა კამენევა, ცნობილი ბულგარელი რევოლუციონერი ხრისტიან რაკოსკი, „რეკონის საჰომოს“ ძმა სერგეი ევუიო და ბევრი სხვა. ვალაკტიონმა არაფერი ეს არ იცოდა. უზარალოდ ეს ცოლის წერილებს აღარ იღებ-და. აქამდე ცოლის წერილები ამსუბუქებდნენ, ალა-მაზებდნენ მის აწენილ ცხოვრებას.

ოლია პირველად 1928 წელს გადაასახლეს. გა-დასახლებაში ყოფნისას ის ვალაკტიონზე წუხდა:

„...საყვარლო გალი, გოცინი, გოცინი დაუს-რულებლად! შენი ნიგნი გამოვიდა? როგორ გრძობო-თავს? გალი, მეშინია! ვითო, შენ სვამ! გალი — ნუ გააკეთებ ამას, სწორედ ამ მომენტში ნუ გააკეთებ. გალი, გვედრები! რაშეს თუ მიიღვე, გაანახილე, რათა ცეკვაი მიხვეო შენს თავს.“ (20.12.29).

იმ გადასახლების შემდეგ ოლია შინ დაბრუნდა და

სიცოცხლე ასე თუ ისე აეწყო. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მალვა დისტოვის მიწერილ ბარათში ასე ოცნებობს:

*„ძვირფასო ოლია!*

*ურალვაკონმშენის მშენებლობაზე ჩემი პარტიული და კულტურული მუშაობის ვეგემში დიდი ადგილი ეთმობა ლიტრატურას, მუსიკას, განზრახული მაქვს უახლოეს ხანში ვაემართო ლიტერატურული საღამოები, რომლებზეც მოვიწვევ ტოლსტოის, ანტოკოლსკის, ტიხონოვის და სხვ. ძალიან, ძალიან მინდა ყველასთვის საყვარელი ვალაკტიონის ხმის მოსმენა. ვაპირებ მის მოწვევას ნატავილიში, რათა მისი ლირიკა გაჟღერდეს ურალის ტყეებში. თუ მოხერხდება, ვფიქრობ ორჯონიკიძის მოწვევაზე, რათა ერთხელ კიდევ მოვიხმინოთ ვალაკტიონის ლექსები. ნარმოკვდევნია, ეს როგორ სიხარულს მოგვანიჭებს?*

1935 წ. 13 სექტემბერი.

ნ. ტავილი“.

რასაკვირველია, ამ ოცნებას ახდენა არ უნერა.

ჰიდერ ოლია ვალაკტიონთან იყო, მას შეეძლო ქმრის შეკავება, დაცვა. ის ვალაკტიონის ცოლიც იყო, ძიძაც და მეგობარიც. მაგრამ ის ისევე ნაიფიანეს, ამჯერად უკვე სამუდამოდ.

*„ბოლო ვაკონის მბუჭავი სხივი ღამეში განზავდა, ვალაკტიონის ჯერ ისევ სატვირთო ვაკონის გისოსებს იქით მდგარი ოლიას დაბნეული და ფერმკრთალი სახე... მაღალი, ოდნავ მოხრილი, განაწყენებული მოზარდის მსგავსი ვალაკტიონი კიდევ დიდხანს იდგა გაუნძრევლად. მას არ ძალუძდა აქედან დაძვრა, თუმცა უკვე კარგა ხანია მიეწყნდა რომელიმე გამცილებლის შიშიან-თავშეკავებული მოთქმები და სპაზმური ხელები. როგორც იქნა, სატვირთო სადგურის გასწვრივ წელი ბარბაცით გაუყვავ ქალაქისკენ მიმავალ გზას...“*

*მათი ოთახი, სულ ცოტა ხნის წინათ ასე მყუდრო, საამოდ ვანყოშილი ოთახი ახლა აუტანლად ცარიელი ჩანდა. ვალაკტიონი მივიდა ბუფეტთან და მოცეცხაზე ხელით შეავსო ჭიქა არყით. კედლის სარკიდან მას შემოსიქვროდა საკუთრივ მისი, მაგრამ ასე უცნობი, გაცრეცილი, შუბლზე თამბინებებული სველი სახე [ქუდი მას, ეტყობა, გზაში ახლადც დაუკარდა]. ოთახში ყველა ნივთი მას მოავკონებდა, რომ აქ უკვე აღარ არის ოლია, ოლიკო...“* (სუჯარ ცხოვრებოვი, „ლურჯა ცხენები“).

ის ხშირად ლეგულობდა ოლიასგან წერილებს, რომლებშიც ევედრებოდა, ერთზე მაინც მიპასუხეო. ვალაკტიონი პასუხობდა, მაგრამ მისი წერილები ოლიას არ მისდიოდა, და ის ისევე ასევე ევედრებოდა ქმარს გამომეხმარეო, თან ემუქრებოდა, თუ პასუხს არ მომწერ, წერილებს არც მე მოგწერო.

ბოლო წერილი ვალაკტიონმა მიიღო 1942 წლის დასაწყისში, როცა ოლია ცოცხალი უკვე არ იყო. ახლა ვალაკტიონი ყოველდღე მიდიოდა შინაგან

საქმეთა სახალხო კომისარიატში, მიპქონდა მისთვის ამანათები და კითხულობდა როდის გამოშუშებნო. იქ მას დასცინოდნენ — სულ მივრალი მოდიოდა.

არსებობს ლეგენდა (ან, ეს იქნებ ნამდვილი ამბავიცაა), რომლის თანახმადაც, 1959 წლის მარტში, როცა ვალაკტიონი სავადმყოფოში იწვა, მასთან დაუპატიჟებელი სტუმრები მივიდნენ და ბორის პას-ტერნაკის, როგორც სამშობლოს მოღალატის, მგომბეღ წერილზე ხელის მოწერა სთხოვეს. ჰყვებიან, მათთვის პასუხის გაცემის ნაცვლად ვალაკტიონმა ხელები ფრინველსავით გაშალა და *„შენთან მოეფრინავ, ოლიაო!“* დაიძახა.

ბულატი ხშირად ნახულობდა თავის ბიძა ვალაკტიონის, მას თავის ლექსებს აკითხებდა, პოეზიაზე ემუსაიფებოდა. ოლიან, ვალაკტიონი დილაადრინა უნდა ემუნახულებინა, სანამ მეტ-ნაკლებად ფზიზელი იყო.

ბულატმა ვალაკტიონის როგორღაც შესთავაზა მზადა ვარ თქვენი ლექსები რუსულად ვთარგმნო.

*„...მან ჰკითხა:*

*— ღლეში შენ რამდენი სტრიქონის თარგმნა შევქილია? ათის თარგმნას შეძლებ?*

*— რასაკვირველია!*

*— ოცისა?*

*— რასაკვირველია!*

*— აისისა?*

*— შევქილი!*

*ამის შემდეგ მას მე, როგორც პოეტი, აღარ ვაინტერესებდი.“*

მეოთხე კურსის შემდეგ არდადეგებზე ბულატი და გალინა მოსკოვში ჩავიდნენ. იქ ცხოვრობდა დიდა მანია, რომელიც იმდენ და-ძმას ოკუჯავებში ერთადერთი რამაურნა რეპრესიებს. ის იქ ისევე შეხვდა თავის უფროს ძმა ვიკტორს.

ბულატს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თბილისში დარჩენა უნდოდა, მაგრამ მოსკოვში მისი დასაქმება მაშინ გამორიცხული იყო, რადგან განაწილებიას კითხვებზე თუ საღ სურდა მას მუშაობა, ასე უპასუხა: *„რუსეთის ცენტრალური ნაწილის ნებისმიერ ადგილზე“*.

1950 წელს ბულატი და გალინა უნივერსიტეტს ამთავრებენ და განაწილებით კალუგაში მიემგზავრებიან. ბულატის ცხოვრების თბილისის პერიოდი ამით მთავრდება. ცხოვრება მას კიდევ ბევრ გამოცდას უწყობს, მაგრამ ეს უკვე სხვა საუბრის საგანია.

*«Ты vedi нас по жизни строго,  
Жаркой молодости дорога,  
Чтобы не было ни пути, ни расслабленности до  
дрога,  
Ни отчаянья впереди...»*

თარგმნა  
ჯუმბერ თითმურიამ

# ტიბორ ზალანი

## ლექსები

ტიბორ ზალანი უნგრელი პოეტია. დაიბადა 1954 წელს. ლექსების კრებულისთვის „დედამიწის დაბნელება“ 1981 წელს სამხატვრო ფონდის, ხოლო 1982 წელს კი დიორის პოეტურ ბიენალეზე რადნოტის პრემია მიენიჭა.

ტიბორ ზალანის ლექსები აღსავსეა დამბულობით, დრამატული დუმილით, ხანდისხან ეს არის ზაუსა პოეტური ხატის წინ, როგორც ამოსუნთქვა, თითქოს ისმის, როგორ ბუბუნით ისრუტავს ჰაერს.

მეტაფორის დაუოკებელი ენერჯია აღავსებს პოეტს შიშითაც და სითამამითაც. იგი ებრძვის თავის მიჩქაღულ „სიღვნიღვებს“ და თითქოს მუშისნეველ წარმატებებს. არამარტო იმედში, დაგჭვებაშიც პოულობს იგი ძალას. ცდილობს მოიხელოთოს სივრცეში მოფუთფუთე სამეარო ერთი-ორი შეხებით. პოეტი თანამედროვეა იმგვარად, რომ არც ჰეიზაი და არც ისტორია არ იკარგება მის პოეზიაში — იგი ვარდაისხეება მშობლიურ ენად, როგორც ასეთი. ენა კი წარმოადგენს ნიშანს ისტორიული დროისა და გარდაქმნების. ზალანი თავისუფალია ეოველეკარი სტერილურობისა და მოქნილი ტექნიკური თამაშისაგან. ეფექტურია ასევე მის მიერ ტრადიციული ფორმების დარღვევაც.

## ვამე ზავრება

ვასწი აქედან

შუბების ცემით ქარი გაძლევს მიმართულებას

მატარებლების კვილს გაჰყევი

დაღუშებული კაცების ნაკადს

ყურს ნუ დაუგდებ ბალახის ჩურჩულს

ორსულად მყოფი ქალების ჩურჩულს

და თუ კი დაძლევ ამ ყოველივეს

დაემშვიდობე აქ დარჩენილებს

და შუბდეგ მყისვე გადაივიწყე

რომ იცხოვერე შენ იმათ შორის

მაგრამ იოლად ისინი ვერ დაგივიწყებენ

და არც არასდროს გააპტიებენ

ახლა კი სწრაფად

შუბების ცემით ქარი გაძლევს მიმართულებას.

## ნუ შეეჩვევი...

ნუ შეეჩვევი წესრიგს  
 შუალაშე დაძრწის ყაჩაღებით  
 მათი გულელები ბრკილებენ  
 როგორც არყის სახდელი ქვაბები  
 და რა თქმა უნდა მეც ვცადე  
 ვყოფილიყავ ადრე კეთილი.  
 სწორედაც ვცადე.  
 ყაყაჩოს ფურჩენილი ფურცლით პირსი  
 დაეწანწალებდი ნათრიაქალი წყალსატევის  
 დაშაშრულ ფსკერზე  
 და მაინც ნულარ შეეჩვევი დისციპლინას  
 თორემ იხილავ ხშირად სიზმარში და  
 კვლავ დაკარგავ იმ ნაპირსა და  
 ჩემს ყელთან გადახსნილ სამართებელს  
 მე კი ფეშხუმით მოვარეს მივიტან  
 შენს ბაგეებთან  
 რომ სამუდამოდ შევისცილო შენი წყურვილი.  
 სიკეთე მოჰგავს ქალს  
 შემთხვევით დაორსულებულს და მწუხარე მთებს  
 დრომ რომ აღმართა ხატად თავისად.  
 მოდი ოდესმე ვიბაასოთ ჩვენ სიკეთეზე  
 ღამე დიდია  
 მძიმე ნაწნავებს სახეზე მახებს  
 და მე არ ვიცი ვის მივყვები ხელაწეული  
 მე ვერკინები ვკვლს  
 რომელსაც ხახაში აქვს ჩემი ძის ქალა  
 მე უკვე სულ მთლად მოთხვრილი ვარ საკუთარ  
 სისხლით და წიფით  
 ტოტებში გალობს და გალობს  
 მაგრამ მე უკვე აღარ ვუწყვი რა.

## მოგ ზაურობა ტკივილის მანქანით

ზვალ ვტოვებთ ევროპას  
 ტკივილების აეროდრომებიდან —  
 სავსემთვარობის შუქნიშანი რომ გახდება მწვანე —  
 წარმოდგებიან ტკივილის მანქანები და მათ ღმუილში  
 ლურჯ სარკმელებს გადაუვლის ისევ ცახცახი  
 და ეს ღმუილი გააღვიძებს ფრთოსნების ჩრდილებს  
 ფრთებს რომ იწმენდენ უუმორეს ნისლეულებზე  
 და აივსება დაუბორკავ ლივლივით ზეცა:  
 თავისუფლების გაიშლება პარაშუტები  
 აქ უკვე წვიმა აღარ არის რადგანაც წვიმა არის მარადი

და არც ქარია რადგან გრიგალის ღუმილია მარადიული  
 და არც შიშია რადგან დანამ საკუთარი მავა გადასხნა  
 და ჩვენს აწრდილებს ფრთეებად აქცევს  
 გაფართოებად მიმდრკალი სივრცე  
 ხვალ ვტოვებთ ევროპას  
 და სადღაც ქვემოთ ოფლიან ძილში წუხს ჩვენი მხარე  
 სურს თან გამოგვეყვას მაგრამ ჩვენ ლურჯი ქლიავებივით  
 ცას რომ დაჭინჭრულ შემოდგომად ეწინწკლებიან  
 ამოვკარდებით რკინის კლანჭიდან და ჩვენ გვეცვივა ნაფოტებივით  
 კანონების არტახები დეე ბრწყინვიდეთ თქვენ ფოლადის გვირგვინებო  
 აპოლინერიის თავზე  
 შიშით გაყინულ ვარსკვლავების ზარნაშობები შორს ვაკვივიან  
 სისხლი გვეწვევა ძირს და ცისფერი ნისლით აყვავებული  
 სასაკლაოებიდან აღველინება ლოცვა ტყვიის გრემილივით დამძიმებულ ჩვენთა  
 სულთათვის  
 და ჩვენს სახსნელად მთვრალნი მახვილებს მკერდს აგებებენ  
 ანგელოსები  
 და დედაშიწის ქალური ტანი ქვემოთ შორს რჩება ახურებული და შენს  
 ტანსაცმელს  
 ფერფლად ეკრობა ნისლეულები და აი უკვე  
 თავისუფლება გვეწვევა სრული და სამყაროის დერეფნები გახსნილა ჩვენთვის  
 ჩვენი სიამე ნისლოვან გვირგვინს ჰკიდებს სქოლასტურ  
 ეპოქის ჯვარზე  
 ხვალ ვტოვებთ ევროპას  
 და არასოდეს არ მოგვძებნიან რადგან არასდროს  
 აქ არ ვყოფილვართ  
 სადაც ვაჭრობენ ბაზრობებზე ღალატებით და ჩვენს სიზმრებზე  
 ჩურჩულებს მწვანე ბაგეები მოსურნე ჯანყის და სადაც  
 მკერდი დაუწიხლეს შავ დიდ აჯილდას როცა  
 კისერი წაიწვრილა ჩემი გულისკენ სირცხვილის ველზე და ორმოცი დღე  
 გაუთავებლად ასხამდა წვიმა  
 და შენ უეცრად ამეტყველი რადგან ხომალდზე შეუძლებელი გახდა უკვე  
 წყვილად დარჩენა  
 და შიმის ფამი როცა დადგა მოფრინდა მტრედი ნისკარტით  
 ბირთვი ატომისა რომ მოეტანა  
 და ამეტყველი რადგან უკვე დიდი ხანია დავხეტიალობთ  
 ჩვენ სიკვდილის სამანთა მიღმა  
 სად დისებოც იმგვარადვე დაცარიელდა ვით აზროვნების ჰურსაცაყვები  
 და ამეტყველი ადამიანი რაკი არ არის ეპითეტი კეთილშობილ  
 ლითონის უკვე  
 და დისციპლინის კორსეტებში გადავვიშდით ჯუჯა გნომებად  
 შენ ამეტყველი და ჩვენ ველოდით შეღამებას რომ სავესე მთვარის  
 შუქნიშანი  
 გამხდარიყო მწვანე ფერისა და ტკიელის მანქანებსაც დადგომოდა აფრენის ფამი  
 ხვალ ვტოვებთ ევროპას  
 წვება დაისი მზე ჩაეჭვდა ოქროს კოშკებში



ცის ღრმა სიღურჯეს რომ შესობიან და შენ ეშხადე  
 იქ ისუნთქო ჭადრის სიკვდილი  
 სადაც არ უნდა იყო ეშხადე თუნდაც სევედის ფრთოსანთა გუნდში  
 ანდა კრაკოვის ზღაპრულ ქეებს შორის ეშხადე სენას  
 რიომ ციმციმში  
 ანუ პარიზის მარტოობაში ანდა მოსკოვის  
 ხალხმრავლობაში  
 ლონდონში სადაც მეძავეს ნისლი წამოუხურავთ როგორც ზეწარი  
 ოვალურ ტანში ცეგლედისა ეშხადე და დასთმე უძალევე  
 ამერიკის მძიმე ღრუბლები ცათამბჯენთაგან უმოწყალოდ დაცხავებულნი  
 და ყოველივე დასთმე – ეშხადე  
 წვება დაისი იქ ისუნთქავენ ჭადრების სიკვდილს  
 და ღამღამობით აფრინდებიან სიკვდილის მანქანები  
 ხვალ ვტოვებთ ევროპას  
 საით ამბობ და აალებული ნაბიჯს გადადგამ გადაბუჯულ კედელთა შორის  
 სადაც  
 ჩაფლული გაქვს ბავშვობის სამი მონეტა  
 ჩემგან ამოხტა ქერა ყმაწვილი  
 შენ კოცნი იმის თვალთამზერას და იმით იმკობ ვით ყვავილით  
 შენს ქოჩორს მაგრამ  
 ის ტირილს იწყებს და ნასიცხარი მოჩვენება ჩემი კაცური  
 ასაკისა აფეთქებულა  
 ბიჭი კანკალებს გამშორდება და ბედისწერად  
 ღროში ჩერდება  
 ცეცხლფერა მერან-საქანელებმა ჭიხვინით განვლეს  
 ფსალმუნები ჩვენი ობლობის  
 საით კითხულობ ისევ გართხმული უბედურების დალოშნილ ლოდთან  
 და უკან ისევ რადგანაც ბალი სავსეა კაცთა სარეველათი  
 ღამე ახლოა ფალყზე ღებებიან ჯადოსმიერი ცეცხლის ცხენები  
 ტყვიისღანჩიან მძიმე ჩექმებით გვიახლოვდება  
 წვიმის ხმაური  
 ქვას ქვაზე ტოვებს ტალახს ტალახზე და ასეთია სიკვდილის არსი  
 ღამით იქნება უზარმაზარი ტრფობა და იმის იქით  
 გადატოპავენ სიკვდილს კაცები  
 დაღინჯებული სახეებით და ღრმა ნათელი  
 ათამამდება ასგვარად მათზე  
 თავს დაესხმიან დაკეტილ კარებს და შეამტვრევენ ბუღდავისილი  
 უსახლკარონი  
 შტამპის ბალიშზე მოხელეებს დასძინებით ჯერ კიდევ გუშინ  
 სუფთა ფიქრებზე რომ გვისვამდნენ გულგრილად ბეჭდებს  
 უცილო გახლავთ ეს შტამპი სრულად  
 რათა გვიპოვოს მკაცრმა პატრონმა და თვალწინ ვგავდეთ უღმობელ  
 ჯალათს  
 ხვალ ვტოვებთ ევროპას  
 ღუ გვიძრას ჰქონდეს შეწყალების მწირი იმედი და იგი მართლაც  
 მიიღებს იმას

ჩვენ კი თუ თვალებს ჩვენსას დაეცეს ყორნების გუნდი  
 მოგვეცეს შვება  
 და გვებოდოს ფრენის უფლება თუკი ტკივილის მანქანა ღმუის  
 და შუქნიშანი საესემთვარობის გახდება მწვანე. ეშხადე  
 რადგან ზღვაზე გემები მიირწევიან ზღვისტალღისფერი  
 მიირწევიან შენს წიაღში ჩემი ფიქრები და შენსას მშვიდად  
 არწევენ წიაღს  
 ეშხადე. შენი სიამოვნების სამსხვერპლო ქვაზე დევს ჩემი შიში  
 რათა მოგვეცეს გადალახვა სიფხიზლის ზღვართა  
 როცა ყვაილით დაპენტილი გაზაფხული  
 ჩვენში გაივლის  
 და შუქნიშანი საესემთვარობის გახდება მწვანე  
 ვტოვებთ ევროპას  
 და ჩვენს აჩრდილებს აქცევს ფრთეებად გაფართოებად მიმდრკალი სივრცე  
 შენი გულის ქვეშ ელავს ნათელი

თარგმნა  
 სერგო ნურნუშიამ



## ჰაინრიხ საიდელი

### კეთილი ბიძია ლუდვიგი

კეთილი ბიძია ლუდვიგი მე გახლავართ. თუ მკითხავთ ეს კეთილი რაღააო, გეტყვი — ეს ჩემი პროფესიაა, რომელიც ბედისწერამ მარგუნა. არა, ამას თქვენ ვერ მიხვდებით, უნდა გამოსცადო თუ რას ნიშნავს, იყო კეთილი ბიძია ლუდვიგი. ღმერთო! რა ბედნიერი ვარ: მყავს დები და ძმები; ისინი, მგონი, შვიდნი არიან. ყველანი დაოჯახდნენ და ჰყავთ შვილები, შვილიშვილები, ზოგს შვილთაშვილებიც. მე არ დავქორწინებულვარ. ალბათ, ესეც ბედისწერა იყო. ერთ დროს ამაზეც ბევრს ვფიქრობდი. ვოცნებობდი ქალაქის განაპირას პატარა სახლზე, რომელიც ამწვანებულ ხეში გაჩრილი მერცხლის ბუდესავით გამოჩნდებოდა უზარმაზარ ბაღში. მეტწილად სამუშაო ოთახი მუქი ყავისფერი საწერი მაგიდით, უზარმაზარი ნიგნების კარაფით, რომელიც უთუოდ სავსე იქნებოდა სუფთად შეკრული ძველისძველი ნიგნებით. ჩემი ოთახის ფანჯრიდან გამოჩნდებოდა ტყე, ყვავილებით მორთული ბაღა, ბუდეში აფრთხილებული ჩიტები — მე მის ჭიკჭიკსაც გავიგონებდი. კუთხეში ჩემი ნამუშევრებით და ხელსაწყოებით სავსე სკივრს დავდგამდი, ელვარე კრისტალის პეპლები და ხოჭობები, გულმოდგინედ დასუფთავებული ბასტები. მუშაობისგან დაღლილი საწერ მაგიდას დავტოვებდი და მდინარეზე ჩავიდოდი. უკან დაბრუნებისას თვალს მოვკრავდი ქალს. ის დანახვისთანავე მომგებებოდა, ფერმკრთალი და უზარალოდ ჩაცმული, მაგრამ მომზიბველი. ვიგრძნობდი მის გრილ, მსუბუქ სუნთქვას. ქალი ისეთი მშვენიერი, ისეთი ფაქიზი იქნებოდა... მის თეთრ

მხრებს, ალბათ, ხვეული, ნაბლისფერი თმა დაფარავდა. ნახად მოვხვევდი ხელს ნელზე და ერთად გავივლიდი ბაღში. ღმერთო! ის ჩემი ბედისწერა, ჩემი ცოლი გახდებოდა. მშვენიერი, მაგრამ არა მზუთუნახავი, რომლის ნინაშეც ქედს იხრიან და ტახტრეკვანებს აგებენ. იგი ისეთი უბრალო და მშვიდი იყო ჩემს წარმოსახვაში... ჰო, ეს ქალი მხოლოდ ჩემს ოცნებებში ცხოვრობდა, როგორ გითხრათ, ალბათ, არც დამიჯერებთ, მაგრამ მართლა მიყვარდა... სინამდვილეში კი, ის, ვინც ცოლად შემეძლო შემერთო, სულაც არ იყო ასეთი. თითქმის არც ერთი ეს თვისება არ ჰქონდა — ჩვეულებრივი, პეპელასავით მზიარული გოგო იყო ყავისფერი ციმციმა თვალებით და მუქი ფერის ხვეული თმით. მთელ დღეს ცეკვა-სიმღერაში ატარებდა. როცა ჩემს ოთახში შემოქცრილადებოდა, თითქმის მზე ღრუბლებს გასცდოდა, ერთიანად ანათებდა. რაც მას შეეხვდი, ისე ხშირად აღარ ვოცნებობდი. როცა გავიფიქრებდი, შეიძლებოდა მაღლ ჩემი ცოლი გახდეს-მეთქი, რაღაც უსიამოვნო გრძნობა მეუფლებოდა. გაეურბოდი კიდევ ამაზე ფიქრს. ჩემი გული თითქმის სხვას ეძებდა, მას, ვისაც ვერასოდეს შეხვდებოდა. მაგრამ მაინც დიდხანს ვცდილობდი მეპოვნა ნამდვილი სიყვარული. მინდოდა, ბედნიერი ყოფილიყავი. მაღლობა ღმერთს, ბედნიერი ვარ. მართალია, ის ვერ ვიპოვე, ვისაც ვეძებდი, მაგრამ უამრავი ბავშვის სიყვარული მერგო. ისეთი, ისეთი ნათელი, სუფთა თვალებით მომჩერებინა! შვიდი ახალშობილი ჩემს ხელში გაიზარდა. მერე კიდევ შვიდი, მერე კიდევ... ისინი ძა-

ლიან ბევრნი არიან. მათი სიყვარული ჩემთვის ფასდაუდებელია. რამდენი უკვე გაიზარდა, ზოგს შეილებიც მკვამს, მაგრამ მათთვის ისევე კეთილ ბიძია ლუღვიგად ვრჩები. დანარჩენებიდან სულ პატარები ჯერ ისევე მუხლებზე მაცოცხლებიან. მათთვის ჩემი მუხლები ყველაზე თბილი, ყველაზე მყუდრო ადგილია. ცოტა მოზრდილებს სხვაგვარად ვეთამაშები, დიდები კი მეგობრულად მილიძიან. ალბათ, თავიანთი ბავშვობა აგონდებათ. ეს უამრავი ბავშვი ჩემს თვალს, ჩემს ხელში გაიზარდა. მე ყველა მათგანზე ერთნაირად ვზრუნავდი, ერთნაირად ვუნანილებდი სითბოს და სიყვარულს. ერთნაირად ვიყავი ყველას მეგობარი და მესაიდუმლე. ისინი იმდენი იყვნენ, და ყველასთვის იყო ადგილი ჩემს მუხლებზე. აშხელა ამავე მაქვს მათზე. და როგორ ფიქრობთ? განა ეს საკმარისი არ არის, რომ ბედნიერი ვიყო? რამდენი საშობაო სამზადისი, რამდენი დაბადების დღე და კარნავალი, რამდენი ბატონები და ყვავილი, რამდენი მათ სანოლთან გათენებული ღამე. ღმერთო! ალბათ, 1000-ზე მეტი ზღაპარი მექნება ნაკითხული მათთვის. საშობაო სამზადისს ოქტომბერში ვინწყებდი, სათითაოდ უნდა შემერჩია საჩუქრები — ზუსტად ის, რაც უნდოდათ, რაზეც ოცნებობდნენ. ბიძია ლუღვიგმა ხომ ეს ყველაზე კარგად იცოდა. და თვად რამდენ საჩუქარს იღებდა! 23 ზურგჩანთა მაქვს, 21 პორტსიგარი და ეს მაშინ, როცა თითქმის არ ვეწევი. სასმელები, სასსოვრად ტიქები და შანდლები და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ, უამრავი კეთილი სურვილი ბავშვის ხელით დანეროილი ან დახატული. უთვალავი ანთებული თვალი მომჩერებია იმის გასაგებად, ვისი საჩუქარი უფრო მეტად მხარებს. მაგრამ ბიძია ლუღვიგს ყველა ერთნაირად

უყვარს.  
 ღმერთო! ათასჯერ შემიძლია ვთქვა, რომ ბედნიერი ვარ. წარმოდგენილად ბედნიერი.  
 მაგრამ სიკვდილზე ფიქრი რატომაც მაინც ხშირად მსტუმრობს. ალბათ, სწორედ იმიტომ, რომ ბედნიერი ვარ. უბედურ კაცს სიკვდილი არ ამიწებს. თუმცა იმედი მაქვს, ცოტა ხანს ყველაფერი ძველებურად იქნება. მაგრამ ასაკი დღითიდღე მემატება. ჩემი წვერიც, ალბათ, ბოლომდე გაითრდება, შოდა ის დღეც მოვა, როცა აღარ ვიქნები. ვიცი, რომ დიდი პატივით დამკრძალავენ. ალბათ, ეკლესიის ეზოში, სადაც ხშირად ბავშვებთან ერთად დავდიოდი. იქედან მთელი ქალაქი ხელისგულივით ჩანს, იქ ისეთი სიმშვიდე და სიმყუდროვეა. ჩემს საფლავზე უამრავი ცრემლი დაიღვრება. ისინი გულით იტრებენ ბიძია ლუღვიგს. ჩაუქრობლად ენთება სანთელი. ალბათ, ყვითელი ვარდებიც იქნება, ჩემი საყვარელი ყვითელი ვარდები. იბიბინებს მწვანე, ხავერდითი რბილი ბალახი. და ყოველ გაზაფხულს აყვავდება ვარდი. ხშირად მოვლენ ჩემს საფლავზე და სანთლებს აანთებენ. გულწრფელი ცრემლი იბრწყინებს ყველას თვალზე. შემდეგ დრო გავა და ხომ იცით... ახლა ისე ხშირად აღარ მოვლენ, თუმცა ხშირად გამიხსენებენ... და ბოლოს... ყვითელი ვარდებიც გავეღუდრებიან და მთელ საფლავს მოედებიან. ახლა ერთადერთი ბელურა ჩიტი თუ მოფრინდება და ვეღურად გაზრდოდ ტოტზე შემოხჯდარი მზიარულად აჭიკიკდება. და ბოლოს... ყველა დაივინებს კეთილ ბიძია ლუღვიგს.

თარგმანა  
 თოთა ნარმანიამ





## დალილა ბედიანიძე

„ფანქარი ცაში“



შოთა იათაშვილის პირველი ლექსები დაახლოებით ათი წლის წინ გამოჩნდა ქართულ პრესაში. დღეისთვის იგი უკვე რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორია, რომელთაგანაც ბოლო არის „ფანქარი ცაში“ (2004წ). ეს კრებული ერთგვარი რჩეულია და მოიცავს 1993-2004 წლებში გამოცემული წიგნებიდან შერჩეულ ლექსებს. შოთა იათაშვილმა გამოჩენისთანავე მიიპყრო მკითხველის ყურადღება თავისი ურბანისტული ხედვით, ინტელექტუალობა-ნაკიოზობით, სიახლოვით სხვა ქვეყნების თანამედროვე პოეზიასთან, ნოვაციებით. წიგნს უძღვის დავით ჩიხლაძის წინასიტყვაობა.

წიგნი სათაურიდან იწყება და კარგი სათაური, ზუსტად მორგებული სათაური მკითხველს ბევრს ეუბნება. შოთა იათაშვილის წიგნებს მრავლისმთქმელი სათაურები აქვს. სათაური „ფანქარი ცაში“ წარმოადგენს რეალობისა და ირეალურობის ნაჯვარს, მასში ჩადებულია „ფანქარის“ და „ციის“ ცნებების პოეტური განუყოფლობა და ერთიანობა. პოეტისთვის ახლობელია როგორც ერთი, ისე მეორე ცნება. იგი წერს, ხატავს შემოქმედებითი ექსტაზით ცაში აყვანილი, მაგრამ მისი სამყოფელი მაინც დედამინაა, სამოქმედო იარაღი მაინც ფანქარია — რეალობის ნაწვევტი. წინასიტყვაობაში წიგნის რედაქტორი დავით ჩიხლაძე წერს: — მე დიდი საიმოცუნებით დავარქმევ-

დიო ამ კრებულს „ცა ფანქარში“. არც ეს ვარიანტია ურიგო, რამეთუ ფანქარში ჩატეულია ის ყველაფერი, რაც მისით იქმნება და ვაცილებით უფრო მეტიც — რასაც ვერ შესწავლება პოეტი-მხატვარი, რაზეც ოცნებობს იგი. ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, შოთა იათაშვილის სხვა წიგნების სათაურებიც: „ანომალიური პოეზია“ (1993), „სიკვდილის ფრთები“ (1993), „სალექი რეზინა“ (1994), „მსუბუქი, ძალიან მსუბუქი და არც ისე მსუბუქი“ (1997), „ბენზინის ყვავილები“ (2000), „პო გეზია“ (2002), „ქარმა წამოუბერა“ (2003). როგორც ვხედავთ, ამ სათაურებში მოცემულია სამყაროს აღქმის სხვადასხვა კუთხე, სხვადასხვა ეტაპი, რომელიც თითოეულ მათგანში განსხვავდება და სახელდება. მათში ჩატეულია ის სულიერი მდგომარეობა, როდესაც გამოუთქმელი განწყობილება გეუფლება და შეგრძნებებით აზროვნება, როდესაც სიტყვები საკმარისი აღარ არის და, შოთა იათაშვილის ენაზე რომ ვთქვათ, „ფერი ბგერასთან იბრძვის, სიტყვა ენაზე კედება“.

შოთა იათაშვილი ძირითადად ვერლიბრით წერს. ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს მას რითმიანი ლექსის წერა არ შეეძლოს. მაგალითად, კრებულში „ქარმა წამოუბერა“ არაერთი რითმიანი ლექსი გვხვდება. რითმა ამ ლექსებში სამკაული ან თვითმიზანი არ არის, არ მართავს ლექსის მდინარებას, როგორც ეს ზოგ შემთხვევაში ხდება, არამედ ლოგიკურად გამომდინარეობს ლექსში ჩადებული აზრიდან.

*ანგელოზმა დაგვახურა ფრთები  
და შიშველები მარტონი ვართ ახლა.  
მიმოდინიან ირგვლივ კვლავ აფთრები,  
ვერც ვამძღვარან, არც ეტყობათ დაღლა.*

*ვიყინებით, კიდე ფრთები გვინდა,  
დაგვახურეთ ანგელოზის ფრთები,  
ამოგვაცვით ანგელოზის წინდა,  
დაგვიცავით, თორემ ვკრითით და ვფრთხებით.*

მკითხველისთვის ნაცნობია სტრიქონის „ვიყინებით“, კიდევ ფრთები გვინდა“ წარმოშობა — ეს არის გალაკტიონის „ნიკორნინდას“ სტრიქონის ახალ კონტექსტში გამოყენება — „ფრთები, ფრთები გინდა, კიდევ ფრთები გინდა, გინდა, დაეუფლო სივრცეს ნიკორნინდა“. უნდა აღვნიშოთ, რომ ამ ლექსში გალაკტიონის ნიშნული განწყობილებიდან აღარაფერია დარჩენილი და ფრთების ნახვრია თუ უარყოფა („ფრთები, ფრთები, აღარ გვინდა ფრთები...“) ორიგინალურად გამოიყურება. აქ საქმე გვაქვს შემოქმედებითი მემკვიდრეობის ათვისება-გათავისებასთან. ყურადღებას იქცევს ორიგინალური რითმები: ფრთები-აფთრები, ფრთები-ფრთხებით, ფრთები-ვიხუფებით, გვინდა-წინდა-გაირინდა.

გალაკტიონის ნიშნული სათაური „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ შეიცნობა შოთა იათაშვილის ერთი ლექსის სათაურში „სილაზე მე ანუ სილაზაზე“. ამ ლექსს გალაკტიონთან უკვე აღარაფერი აქვს საერთო და მთლიანად იათაშვილს ეკუთვნის, მაგრამ მაინც ხამს სათაურთა მსგავსების ფაქტის აღნიშვნა, რაც მივანინშებს შოთა იათაშვილის კავშირსა და მიმართებაზე ქართულ პოეტურ სამყაროსთან, პოეტურ ტრადიციებთან. იგი ორიგინალური კია, მაგრამ უწინაპრო არ არის, ამავე დროს, მისი ავტორი არ იმიერებს წინამავალთა აღმოჩენებს და საკუთარი გზით კმაყოფილდება.

ჩემთვის აღმოჩენა იყო ლექსი „რათა დაამშვიდო“, რომლის ლექსიკური ქსოვილიც ფონეტიკური მოვლენებისგან შედგება და რომლის მუსიკაც დაგვარწმუნებს იმაში, რომ შოთა იათაშვილს ბევრი უშრომია არა მხოლოდ ლექსში ჩადებულ აზრზე, არამედ — ლექსის გარეგან მხარეზე — რითმებსა და საერთო ფლერადობაზე.

*პავერდი და ტვიდი,  
ხელი ბჰვიდი.  
თვალს რული,  
სეცა დაბურული*

*სიყარულის ხჰე,  
ანღლოსი — ზე!  
მეტალი თოვლი,  
მეტალი ყოვლის.*

*ქალიც, ვაჟიც,  
მადაქსა და ვაჟის  
ჩუმათ — აფრეშუმივით.*

*დაბურული სეცა,  
პავერდი და ტვიდი,  
ჟინიანს და აეს  
მრთას ვადაუსვამ,  
გაუთჰვირებ შავს —  
რათა დაამშვიდო.*

ამ ლექსმა უნებლიეთ გაგვახსენა ნინო დარბაისელის „მოჩლექლი დილისპირული“, რომელშიც ასევე უარყოფილია სწორი ფონეტიკური ფორმები და დახატულია პირმშოს მოფრებით გართული დედის პორტრეტი: „მზის სხივებში სარწველა, შგ — ფაფუკი ღრუბლის ფთილა. — ეც ლა ჩიღმა გაიგაძა, ლა თვალები გააქილა!“

„პოეტ ქალს შუძლია „ჩვილი ყრმის ტიკტიკისა“ და „უსასკითა და უსულთ შორის საუბრის“ გახმოვანება და ამ გზით თავისი საკუთარი, გამორჩეული სათქმულისა და ხმის დამკვიდრება ქართულ პოეზიაში“ — წერს ნინო დარბაისელის ამ ლექსის შესახებ მკვლევარი თამარ ბარბაქაძე. როგორც ვხედავთ, დარბაისელის ეს ექსპერიმენტული ლექსი ვაგეკრობებით არ დგას პოეტთა ამ წრის პოეზიაში, მას შოთა იათაშვილის ზემოხსენებული ლექსიც უშშვევებს მხარს, ოღონდ შოთა იათაშვილს ლექსის ფონეტიკური ფიქსირება არა ჩვილის მოსაფრებლად, არამედ მოზრდილი ადამიანის განწყობილების გადმოსაცემად დასჭირდა. აქ განწყობილება მშობლი, მთელმარე, ნახევრად ბოდიშითა წარმოთქმული სიტყვები, ზღვარი არ არის დადებული რეალობასა და ირეალურობის შორის. მთლიანობაში ლექსი მოგვაგონებს ზაუზის პოეზიას.

შოთა იათაშვილის ტერლიბორ, ისევე, როგორც რითმიანი, ქართული გრადიციული ლექსი, როგორც ზემოთა აღვნიშნეთ, ურბანისტული ხედვით ხასიათდება. ქალაქი, რომელსაც ეს პოეტი ეკუთვნის, თბილისია თავისი ყოველდღიური ცხოვრების, გასაჭირისა თუ დაღიზიანების ფაში. თუ წინა თაობის პოეტების, ვერლიბორისტების მ. ნიკლაურის, ჯ. ფხოველის, თ. ბექიშვილის და სხვათა ლექსებში ქალაქი (თბილისი) აღქმევა უცხო ქალაქად, რომლის ნიაღშიც მშობლიურ სივრცე მონატრებული პოეტები თავს ისე გრძნობენ, როგორც დედინაცვალთან, შოთა იათაშვილის პოეტურ სამყაროში პოეტი ქალაქის დღილი მვილი, განუყოფელი ნაწილია. ნიშანდობლივია, რომ შოთა იათაშვილს არც ერთი ლექსი არა აქვს სოფლის შესახებ, იგი თხემით ტერფამდე ქალაქელია, თბილისელია. ლექსებში გამჟღავნებული მისი სულიერი ბიოგრაფია კამერტონივით ეხმარება ამ ქალაქში მოხმდარ ყოველ მოვლენას. ლექსში „XX საუკუნის დასასრულის პოეტი“ იგი წერს:

*აი, შეხედეთ, მოდის ისიც,  
XX საუკუნის დასასრულის პოეტი.  
მას ზელიდან ვაგაგდინებს ვეჯივების თაივლები  
და ვარსკვლავები,  
ხოლო პირიდან ამოვლივებს  
სიყვარული, ერთგულება, მშვენიერება, სილაშა ზე  
და მსვავსი კობზაპარუნა სიტყვებით.*



აი, შეხედეთ, მოდის ისიც, ავცია ჯინსები, ხელში უჭირავს ცარიელი მოთლებით სავსე ჩანთა და მინის ტარის მიძღვნილი პუნქტისაკენ მიემართება. მას ავეს პესიმიზმით გამოტყენილი თავი და

ცარიელი ჯიშები. მას გული ერევა რითმისანი ლექსების და პოლიტიკური სტატიების კითხვისას. მან იცის, რომ საუკუნის უზარმაზარი საავადმყოფოს

რენიმაციულ განყოფილებაში ავდია პოეზია და ის და მისთანანი

სასონარკვეთით ლამობენ კლინიკური სიკვდილიდან მის გამოყვანას. ის და მისთანანი — XX საუკუნის დასასრულის პოეზიის კლონები...

ეს ლექსი შეტანილია 1993 წლით დათარიღებულ კრებულში „ანომალიური პოეზია“ და უადრესად თანამედროვედ ვლერს ამ დროისთვის, ვინაიდან ზუსტად ასახავს სულიერების მდგომარეობას ამ პერიოდის თბილისში. იმ დროს მართლაც არავის ეცალა პოეზიისთვის, სილამაზისთვის. თითოეული რიგითი თბილისელი თავის როგორმე გადარჩენასა და თავის როგორმე გატანაზე ზრუნავდა. არ იყო შუქი, არ იყო პური, საჭმელი, ელემენტალური არსებობისთვის საჭირო ხელფასი. ლიტერატურამ დაკარგა თავისი ფუნქცია და დამშეული ინტელიგენცია ხან რას ყიდდა, ხან რას (მათ შორის, საკუთარ ნივნებ-საც), რომ როგორმე პირში სული შეენარჩუნებინა. თბილისი მართლაც ჰგავდა უზარმაზარ საავადმყოფოს, რომელშიც ყველა გაჭირვებით იყო ავად, განსაკუთრებით კი პოეტები, რომელთაც აღარც არავინ კითხულობდა, აღარც არავინ უსმენდა. ვარსკვლავების და ვარდების ნაცვლად, როგორც შოთა იათაშვილი წერს, პოეტებს დრომ ხელში შეაჩეხა ტრამვაი, ასფალტი, კანალიზაცია, ბენზინი, ერთჯერადი მპრიცი, ტრანსფორმატორი და ამიერიდან ეს უნდა ყოფილიყო მათში სულიერი საზრდო. და ისიც, შოთა იათაშვილის ლექსის პერსონაჟი პოეტი, ცარიელი პოთლებით სავსე ჩანთით მინისტრის მიძღვნილი პუნქტისკენ მიიჩქარის, გასრესილი პესიმიზმით და დროის სიმძიმით. თბილისს არასოდეს დაავინყდება, რაც იმ წლებში გადაიტანდა, და არც უნდა დავივიწყეთ ეს, რათა არ განმეორდეს. შოთა იათაშვილმაც პირუთვნულად ასახა მკაცრი სინამდვილე და ამისთვის მას მადლობა ეკუთვნის.

შოთა იათაშვილის მიუტური სამყარო აღსავსეა ფერად-ფერადი ხილებით. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა სუფეტისანი ლექსი „ნითელი გველების ორკესტრი“. ლექსში მოთხრობილია თუ როგორ გამართა კონცერტი ნითელ დარბაზში ნითელი გველების ორკესტრმა და შეასრულა უცნობი კომპოზიტორის — გველსიანის №1 სიმფონია სახელწოდებით „სიხარულის ნითელი ორკეა“, რომლის მსმენელიც სუპერელიტა იყო.

გველთა ორკესტრი ინსტრუმენტებს მშვიდად ამოშვებს.

კუდი ჩამოჰკრა არფის სიმებს დედალმა გველმა, თხელ ლოყებს ბერავს ანკარა და უკრავს

ვოლტორნზე. მევიოლინე, მუქნითელი მოხუცი კობრა, ფართო გულმკერდზე კუდიით იკრობს მჭიდროდ

ინსტრუმენტს, ხემს იღებს კბლით, სიმებს ახებს ზანტად, ტაპატი

და უერთდება ნითელსისხლა გველებს ორკესტრს.

შემდეგ სცენაზე გამოდის გველთდირიფორი, რომელმაც კუდი მოიქნია და ააზვირთა სიმფონია. დარბაზი აავენგარდულმა ზემუსკამ შოკში ჩააგდო“ და, რადგანც დამთავრდა მუსიკა, მსმენელები სცენაზე გადაცვიოდნენ, ეხვიოდნენ და კოცინდნენ მადლობის ნიშნად კლანია გველებს. ამ ხვევნა-კოცინს დროს გველები გაქრნენ სცენიდან. მსმენელები კი ჯერ ნითლად შეიღებნენ, მერე კი იქცნენ ნითელ გველებად. გველი ფოლკლორში სიბრძნის სიმბოლოა, შოთა იათაშვილს კი გველთა სახე გამოყენებული აქვს, როგორც მუსიკის, ხელოვნების სიმბოლო, იმ ხელოვნებისა, რომელიც მასთან ზიარების შედეგად დელეასნაულს ქმნის და ამ დელეასნაულის თითოეული მონაწილეს შემოქმედად გარდაქმნის — შემოქმედი და მსმენელი ერთ განუყოფელ მთლიანობად იქცევა. ლექსი, ჩვენი აზრით, იქცევა ხელოვნების ყოვლისშემძლეობას და არასაყოველთაობას.

შოთა იათაშვილის ლექსებს კვალიფიციური მეთხველი ესაჭიროება. ისინი ნივნიერი, ნაკითხი კაცის, კარგი მკითხველის და ლიტერატორის შექმნილია და ზოგჯერ გაუგებარია სპეციალური ლიტერატურული განათლების არმქონეთათვის, მათთვის, ვინც არ იცის ავენგარდისში, მოდერნიზმი, სიმბოლიზმი, ფუტურიზმი, პოსტმოდერნიზმი; ვერ უკრევა ამჟამად საზღვარგარეთ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში. ეს ლექსები აღარ არის ექსპერიმენტი, არამედ უკვე ლიტერატურის ფაქტია. ისინი მეტყველებენ მათი ავტორის ხალს ნიჭსა და ერუდიციასზე. ნივნი გაფორმებულია შოთა იათაშვილის ნახატებით, რაც ავტორის მრავალმხრივობას მოწმობს.

შოთა იათაშვილის ლექსებს არ აკლია მოქალაქეობრივი პათოსი — მაგალითისთვის დავასახელებდით თუნდაც ლექსს „რეკვიემი“, რომელიც გაგარბა და-ლუპულ მშვიდობიან მოსახლეობას ეძღვნება.

და ბოლოს, მოკრძალებული შენიშვნის სახით ვიტყვით, რომ სასურველი იქნებოდა, მისი პოეზიის მასაზრდოებელ წყაროთა შორის რელიგია და ფოლკლორი ყოფილიყო. ეს გაამდიდრებდა და გააღრმავებდა მის სააზროვნო სივრცეს, მითუმეტეს, რომ ჩვენს პერიოდში რელიგიაც და ფოლკლორიც დიდ აღმავლობას განიცდის.

## სალომე კაპანაძე

### 1. ლექსთა ცვენა კოლხურ მოტივებზე ან 2. იგი ვკახუქებს „სიკეთის ძალას“

უკვე მერამდენედ ვუბრუნდები დარიკო ფიფიას სულიერების პატარა ბასტილიონს — „კედელი“, სადაც სიცოცხლის ყოველი ჩქამი სამრეკლოს ზარივით შემოდის სულში. ეს ქუმმარიტად აკმე — გაფურჩქენაა, როგორც ამბობენ ბერძნები და მისი პოეტური ენერჯია ახლა სწორედ ამ ფაზაშია. მის „ალისფერ მონოლოგებს“ უჩვეულო სინათლე ახლავს. ადამის მოდგმა სწორედ ამ ნათლის წყალობით იხანგრძლივებს სიცოცხლის სურვილს. შიღვრმა შენიშნა: „მუზავ, რა ვიქნებოდი მე უშენოდ, არ ვიცი, მაგრამ მე ვზედავ ათასებს, რაც არიან და გული მტკივა“. მართლაც, კაცობრიობის არსებობის საგა პოეზიის უნაწესი ჩრდილ-ნათელის გარეშე დანერადაც არ ეღირებოდა. ამ ჩრდილ-ნათელს ირეკლავს დარიკო ფიფიას პოეზია. მასაც შესწევს უნარი, ფუნჯის ერთი მოსმით ჩვენი დეტესტიზირებული ცხოვრების პანო ყირაზე დააყენოს და სწრაფცვალებადი გარემოდან წარუვალი გადაგვიჩინოს. მასაც შესწევს უნარი, „ზურმუხტისფერი, ტანკენარი ხეების ფროთოსნებით სავსე უბე“ ყველაზე დიდ სასწაულად მოგაჩვენოს და სტრიქონებში ჩაატის უნივერსალური რეცეპტი ამაოებისა და ლალატის სასტიკი განცდისგან თავდასაღწევად:

*შავი ძაფებით თუ გიჟსოვენ ლალატის ბადეს,  
მიენდურითმებს,  
იმ ნაპირიდან ამ ნაპირამდე მოლურჯო ზღვა ნებს,  
გასცურო იქნებ.*

(„ბრონეულები“)

დარიკო ფიფიას სახატე კოლხეთშია, აქედან მოდის მძლავრი იმპულსები მისი პოეტური ფანტაზიისთვის. საქართველოში პოეტის ღირებულების განმსაზღვრელ სკალაზე სწორედ ეს გრძნობა უნდა იყოს აზიდული. ნეონიპოლისტთა გასაგონად მინდა განვაცხადო — მასთან კონკურენცია არ არის ადვილი. ამ კანონზომიერებით იძენს იგი იმ უღერადობას, როცა მამულის შეგრძნება მზამზარეული, ნივთიერად მისაღები რეალობა კი არა, სულიერების უღრმეს შრეებში ჩატეფრული კატეგორიაა:

*რა უნდა გიძღვნა,  
რა გისასხოვრო  
იმ ქარვისფერი დღეების ფასი  
რა უნდა შევექმნა  
რა გიბოძო იმ ტრფობის ნიშნად,  
ხმის ჩახლენამდე მეძახი და*





**ნატერფალს არ შლი.**  
*(„ბარათი კოლხეთს“)*

ძველ სალოცავებს მონატრებული, ურბანიზაციის მტერთი მოლლილი „თაბაშირის ქალი“ იმ ჩვიდმეტ ფოთოლცეცანას მისტირის ოქროს ტყერიდან, რომელმაც ცხოვრების გზაზე საგზაოდ „მთვრალი ფერების“ დანახვის ნიჭი გამოაყოლა. მოგონებები მზისფერ კოლხეთზე მისი ლექსებიდან იეხებოდა ამოზრდილა და ტკივილის ნამსხვერველებთან მდგარს კვიპაროსების ქალაქზე სევდას უქრევებს:

*ქანცაგანწყვტამდე დაუცდია  
კვიპაროსები  
ჩვენს დაბრუნებას.  
ჩამოშლიან ჭაობისფერ, სოველ  
ნანვაებს...  
(„ფიქრი კვიპაროსის ქალაქზე“)*

უიდეობის, ანუ ეროვნული იდეოლოგიის არარსებობის მიმე განცდა დიდი ემოციურობით წარმოჩნდება ლექსში „ჟამი“. არსებული რეალობის დრამატიზმი განაპირობებს იმ განცდის გრძნობას, რომელიც ამ სტრიქონებიდან მოისმის. და მაინც, ამ განწყობილების განმსაზღვრელად და გრძნობადობის ბარომეტრად ტალღებქვეშ განოლილი ქალაქის ბედისწერაა. უწვეგუმოდ მიტოვებული, ქართველებისთვის აკრძალული, სწორედ იგია პოეტის დარდის ბარათების ადრესატი:


*რა გავაზარებს —  
იქ ღრუბლებქვეშ გმინავს ქალაქი,  
ჟანგმორეული ბორკილები  
ძვლებს შეეზარდა,  
ალარც დიდგორით,  
არც კრწანისით,  
ალარც მარაბდით  
მშველელი არ ჩანს.  
(„ჟამი“)*

მერწყულის სველი თვალების სევდიანი მზერით გაჟურებს იგი ნაცნობ ნაპირებს, თებურდამხვევი ექსტაზით მიელტვის. ლექსის დაბადების მოტივაცია კვლავ იგივეა, ამაღლებულისა და ჩვეულებრივის შეხედვარა იქცევა დრამად, უფრო მეტიც, ოცნება უახლოეს დარსულზე ზღვის სურენილითა და ნიჭარების სურთქეთ პოეტური პიროფანის ნიშნებსაც კი იძენს:

*მენამული მზე  
ტალხისფრად დამაფენს ლაქებს,  
ამ მშრალ ქალაქში  
თევზების და ზღვის სუნს მოვიტან.  
(„ორიოდ კვირით“)*

დარიკო ფიფას პოეტურ სივრცეში იბადება მარადიული ბავშვობის განცდის უადრესად ლირიკული მოდ-

ელი: ბავშვობა, რომელიც პოეტის თვალებით იმზირება, პოეტის გოლგოთას წინასწარმეტყველებს და თითქმის ნიცმეს მარადიული დაბრუნების იდეასაც ეხმარება. სამყაროს ციკლური მოძრაობა ბავშვობაში დაბრუნებაა, სადაც განმეზნდა ყველაზე რეალურ პერსპექტივად მოჩანს. მით უფრო, თუ ეს ბავშვობა „კოლხეთის ცაზე დახატული“ და მას ნაბღისა და იელის ნაზი სურნელი უდის:



*უნდა დებურუნე  
სანამ კვლავაც მიხმობს ენგური,  
კოლხეთის ცაზე დახატული  
ჩემი ბავშვობა,  
სანამ ჭინკებმა გამიმართეს  
ირველი ფურხული:  
შინ მიბრუნება არჩიო  
მტკვარში დახრჩობას.  
(„სამწერტილი“)*

ამ ლირიკული სივრცის რეფისორმა, როგორც ჩანს, შესანიშნავად იცის, რომ უნივერსალურ სინთეზს მხოლოდ საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და ეროვნული მგრძნობელობის შედეგად მიაღწევს; რომ ლირსების გრძნობას, პიროვნულის გარდა, საზოგადოებრივ განსაზღვრებს. სხვა შემთხვევაში მისი სტრიქონები მხოლოდ დეკორაია იქნება, რომელსაც სპექტაკლი არასოდეს მოჰყვება. მან იცის, რომ ვერ იჯდება პერსეფონესავით ღრმა, უძრავ სიმშვიდეში წარცხებისა და აშარანტების გარემოცვაში. ამიტომაც სრულიად ბუნებრივად მოჩანს პოეტის ფიქრი გაითოვაციებისა და გაუცხოების საფრთხეზე, ქლიავისფერი მთების სიყვარულის დეფიცტზე და მუჟა მინის ფეტიშზე, რომელიც „შემილიმა დრომ“ უმოწყალოდ დაამსხვრია:

*ვიდრე ფრესკებს  
დაქარღვათ შუბლი ხავსით.  
და ქონჯურებს დაატყდება  
მეხი რისხვად  
დააბრუნეთ  
ალგეთს ლექვებს ვინლა გაზრდის  
დააბრუნეთ,  
ვიდრე აღარ არის გვიან.  
(„დააბრუნეთ“)*

დარიკო ფიფას ამ კრებულში „ჭაუთა სინათლე“ ყველა მოთხოვნის დაცვით ლექსის სტრუქტურას ვფარდებ, თუმცა მე მას მინი-პოემას დავარქმევდი. ჩვენს თვალწინ ახალი ხიბლით წარმოდგება სვეტიცხოვლის აღმამენებლისა და ფხოველი ასულის უიღბლო სიყვარულის ამბავი. დროის მიღმა მდგარი, ისინი იმ მარადიულ ჭრილში, სულიერი ნესრეგის იმ რკალიში მოიაზრებიან, რომელსაც სიყვარული ჰქვია. ხილული ლანღობი მთავარი არგუმენტია პოეტის გულწრფელობისა — მას ლახისტანის ზღვაზე ფიქრში ათენდება. მიუხედა-

ვად ნაცნობი რომანტიკული ფონისა, სიახლის ეფექტი ნამდვილად დიდია. იგი სრულიად თავისუფალია განმეორებადობის საფრთხისგან და ჩვენ თითქოს თავიდან ვინყვებთ რომანს ქვასთან:

*რა გაახარებს  
თუ არ ტანი ტანკენარ ტაძრის,  
რა დაანყარებს  
რატისეულ სასახლის სტუმარს,  
რა დაავინყვებს  
ფხოვის მთებს და ჭვითკირის ეზოს,  
ნეკერჩხლის რტოზე  
ღამისმთვეელ შოშიებს თუნდაც.  
(„ქვათა სინათლე“)*

ოქროსფერი, მელნისფერი, მზისფერი, სინგურისფერი — ეს ფერთა გამა არასოდეს ტოვებს დარიკო ფიფიას მუდმივი ქალურობით შექმნილ სტრიქონებს. მისტიკურ შინაარსს იძენს მარტის თევსთან დაკავშირებული ლირიკული ინტონაციები. ეს არა მხოლოს გაზაფხულის ვნებიანი შეგრძნებაა, ეს ის დროა, როცა გრძნობისა და გონების ჭიდილი იწყება, რომელიც მასთან მუდამ გრძნობის სასარგებლოდ მთავრდება.

სწორედ ეს განსაზღვრავს დარიკო ფიფიას ლექსების ინტიმურობის ხარისხს, მათ ჰარმონიულ შემოდინებას მკითხველის ცნობიერებაში. იგი კოლხი ქალის სიმშვიდით ამარცხებს შფოთისა და უმწეობის გრძნობას. მისთვის აპოკალიფსი სიცოცხლის ტკბობის განცდით მთავრდება, ტანჯვა — სევდიანი ღიმილით და საკუთარი სიმალიდან შეგვახსენებს, რომ სიცოცხლე მაინც მშვენიერია:

*თუ ნაადრევად  
გაზაფხული მტოვებს ხველებით,  
იმ თიბათვიდან ამ თიბათვემდე  
ღირდა სიცოცხლე.  
(?)*

ეს არის მისი, როგორც პოეტის უფლება — დაცეას ჩვენი ხელები განძარცვისგან.

საფრანგეთში ემიგრანტი პოეტის გიორგი ყიფიანის საფლავს მხოლოდ ერთი წარწერა ამკობს — „La Poet“. ეს არის ის, რაც იტევს ყველაფერს, და მასთან ყველაფერი არარაობაა. ლექსით სწეული ამ ქალბატონისთვის პოეტის ტიტული ჩვენც გვემეტება, რადგან მასთან ერთად უკვე შევეგებეთ ალიონს...



## შორენა ქაჯაია

### საუკუნის ჰარადოქსები ნოველის პრიზმაში

#### სათურის შესახებ

უძველეს ნერილობით წყაროებში დაფიქსირებულ სიტყვა „დედაკაცს“ შედარებით ახლო წარსულში ორი ლიტერატურული ფაქტი დაუკავშირდა: ილია ჭავჭავაძის „პატარა საუბარი“, რომელიც, ერთგვარად, მიმართავს ქართველი დედებისადმი, და ნიკო ლორთქიფანიძის ნოველა.

ნოველის სათაური, სავარაუდოა, ამ ნერილით იყოს შთაგონებული. ავტორის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაც ამას გვაფიქრებინებს — დაახლოებულ პირთა ცნობით, ნიკო ლორთქიფანიძეს ქართველ პროზაიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთაგან განსაკუთრებით ილია უყვარდა.

ნერილში ილია ერთი კონკრეტული სიტყვის გაუფასურებას კი არ მონადღვლეობს იმდენად, რამდენადაც იმას, რის სიმპტომადაც თავად ფაქტი ესახება — ერის ცნობიერების რეგრესს, ტრადიციულ ფასეულობათა რღვევას, მათს გაუცხოებას ახალ დროში.

სასაუბრო მეტყველებასა თუ მწერლობაში „დედაკაცის“ თავდაპირველი შინაარსის ნიველირება, რაზედაც ასე წუხდა მწერალი, იქნებ, ენაში მოგვიანებით გააქტიურებულ „მანდილოსანსაც“ უკავშირდებოდეს რამდენადმე (ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში ამ ლექსების არსებობას მხოლოდ დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონი ადასტურებს), რადგან „მანდილოსანიც“ იმასვე ნიშ-

ნავს, ფაქტობრივად, რასაც „დედაკაცი“ ნიშნავდა ამ უკანასკნელის დაბადების უამს ან იმ დროს მაინც, როცა პოპულარულ სტრიქონებს თხზავდა ხალხური მოლექსე: „ზოგსა კაცსა კაცი შქვიან...“

ქალის თავსაბურავის გამოსახატავად არაერთი სინონიმი მოგვეპოვება: მანდილი, ლეჩაქი, რიდე, თავსაფარი, დარაია, ქალაღია. ზეციური ძალებისა და წმინდანების თავზე მოვლებული შარავანდის მიწიერ ანალოგად ხომ არ მოიაზრა ქართულმა ცნობიერებამ თავსარქმელი ზოგადად, ასე გამორჩეული (სიმბოლოს) მნიშვნელობა რომ მიანიჭა მას, რასაც ძველი და ახალი მწერლობის ძეგლები ცხადყოფს და ზოგიერთი ფაქტი ისტორიულ-ეთნოგრაფიული სინამდვილიდან.

გარსებითებულ ზედსართავ სახელს „მანდილოსანს“ (გათხოვილი ქალი, საერთოდ ქალი-ქველ) პატივისცემის ნიუანსი ახლავს ქართულში, რასაც განმარტებითი ლექსიკონიც ამოწმებს.

მართალია, მანდილოსნობა და თავსაფრიანობა თითქმის იდენტური, ქალის ზნეობასა და ადამიანურ ღირსებაზე მიმანიშნებელი ცნებებია, მაგრამ უბრალო „თავსაფრიანით“ (და არა მანდილიანით ანუ ამ ერთგვარად ამაღლებული სინონიმით) ისევე, როგორც „დედაკაცით“, როგორც შენიშნავენ, მწერალმა გმირის სოციალური წარმომავლობა საცნაურყო (აკი „თითქო „კაცი-დედა“ მარტო მათ-ღა შერჩენით!“ — ილია).

**თავსაფრინი დედაკაცი. „წელმაგარი კომლი“.**  
ფილიპე

ბერეჩი ჩვენგანის მესხელებს შემოუნახავს, ალბათ, ბავშვობისას განცდილი გაკვირება ერთი უგუნური კაცის საქციელით — ტყეში რომ წაიყვანა მოხუცი და დაფრთხილი მამა და იქვე დატოვა, რადგან უნდუმეტ ბარვად მიაჩნდა. ბავშვურ გულისტყენას საღბუნად დაედო მაშინ მამის მახვილგონიერული შენიშვნა, შერცხვენილი შვილის გონს მოსვლა და მშობლის უკანვე წამოყვანა.

მსგავსი განცვიფრება უკანვე ერთხელ დაგვეუფნა ნიკო ლორთქიფანიძის უკველით ბენდნიერი ფინალის გარეშე, სადაც ამ ზოგანსკელს მწერლის ოსტატობით მოგვირილი ხიბლი შეენაცვლა.

ავტორთან ერთად „დანერგული ომინიუსიდან“ ნანახი „ეზოში მოფუსფუსე შავთ ჩაცმული ქალი, რომელსაც თან დასდევდა ჭადის ნატეხით ხელში პანია ბავში“, და რომელიც პირველად ემიგრაციაში დაეღანდეთ, ბოლომდე თავსაფრინად დადაკაცად დატოვა, მისი ნათლობის სახელი საგანგებოდ „დაგვიმალა“ მწერალმა, როგორც ოთარაანთ ქვრივისა — ილიამ. ამით ითქვა, რომ ამ ქალის პირადი ცხოვრება სიზმარითი განქარადა მეუღლის სიცოცხლესთან ერთად და საბოლოოდ დარჩა არა „ქალი“ საკუთარი „მე“-თი, ვინც ადრე თუ გვიან გლოვას საზღვარს დაუღებდა და, შესაძლოა, თავიც მოეწონებინა „თეთრი შუბლით, შავი, მაყვალითი თვალბით, მზეზე გამაყვებული ოვლებით, მოწინილი ცხვირით...“ არამედ ოდენ დედა დაობლებული შვილებისა, ვისთვისაც ყველაზე უმნიშვნელოდ ის განიხი ქცეულა უკვე, რასაც ყველაზე ნაკლებად ივნიყებს ქალების მეტი ნილი — საკუთარი სილაამაზე.

მწერალს არ დაუხატავს მისი სილუეტი სადელიფო გვირგვინქვეშ, მაგრამ ეხედავთ ახლა, მეუღლის დაკარგვის შემდეგ, „მეტისმეტად ლოლიან წყალში გაღვლებულ საცვალსა“ და თავსაფრინადან წულებამდე შავებში გახვეულს. (ამ სახეს განსაკუთრებით გამოარჩევს ავთანდილ ნიკოლეიშვილი. იხ. ქართული ლიტერატურა. XI კლასი, 1999. გვ. 127-130).

სისხლხორცეულად მშობლიურია ეს პორტრეტი, სადაც სამოსი ზედმიწევნითი სიზუსტით გამოხატავს პერსონაჟის ხასიათს, მის „უხედველ“ სამყაროში გვახედებს ძალდაუტანებლად. რამდენიმე მიქმელია ამ მხრივ თუნდაც „თეთრი შუბლი“, რადგან თეთრი იმიტომ არის იგი, რომ მტკიცედ ნარკული მანდილი ლამის ჩადრად უქცევია ახალგაზრდა ქვრივს „თავის მოსაზღუდად“ და ეს ფერი ამ შუბლისა და „სისხლისფერი ტუჩების“ გამოკვეთას კი არ ემსახურება (როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე, როდესაც „ქალობა სძლევს... გლოვას და დაიკური სიეკულები თავის მშვენიერ გამოჩანებად მორგებს... სიმძიმლის ნიშნად სატარებ სამოსსაც“), არამედ გულში დაგუბებული კაემნის

ერთადერთი მატერიალური გარსია, საკუთარი ჩრდილივით მიუცლილებელი მზღებელი თავსაფრინი დედაკაცის ნილი სამუხისუ.

ხელოვნების არაერთი ქმნილების თემად ქცეული გარკვევა საკითხისა — ცოცხლობს თუ არა სიყვარული თავდაზრთული ძალით... ქორწინების (მით უფრო — ერთ-ერთის ცალად დარჩენის) შემდეგ.

ცხოვრება ხშირად არ იძლევა დადებით პასუხს ამ კითხვაზე, მაგრამ ხანთლით სამებნელი თავგანწირვის მაგალითებს არ ეთქმის. რად ღირს ამ მხრივ გურამ ასათიანის მიერ (მართალია, შორეული წარსულიდან) ასე პოეტურად ამოტივტივებული ფაქტი რომელი კონსულის ცხოვრებაზე.

დროადერთი კვლავაც ხდება მსგავსი რამ. და მაინც: მიიჩნევენ, რომ მომენტალურ, აფექტით გამოწვეულ თავის შეწირვას აღემატება მარტობის შემთხვევაში თავისთავად შენარჩუნება პირველქმნილი განცდისა მთელი სიცოცხლე.

თავსაფრინი დედაკაცი და ოთარაანთ ქვრივი იმითაც იქცევენ ყურადღებას, რომ ისინი ვერასოდეს „გააღზინებენ სხვისა ჭირს“, ხალხურ ელქსში ნაგულისხმევი აზრით, — სხვისი ცოლობის წინადადება გასაგონადაც ებიღნება თითოეულს.

საცხოვრებელი გარემო წარმოაჩენს ხშირად პიროვნების სულიერ პორტრეტს.

თავსაფრინი დედაკაცის ეზოც ისევე სუფთაა, როგორც მისი პატრონის ბუნება მილიანად დიასახლისის, სახლ-კარზე მზრუნველის ამპლუაშიც დიდებულია ქალი. ამას სულიერ და ფიზიკურ ენერჯისთან ერთად დაუზარელი შრომა სჭირდება, რაც ამ ოჯახის ბინადართა არსებობის ფორმაა.

იხატება იდილიური სოფლური ყოფა, მხოლოდ საარსებოდ აუცილებელ ბარაქაზე, ყოველდღიური მოხმარების ელემენტარულ ატრიბუტებზე, მძიმე, მაგრამ შეხმატკილებულობით შემსუბუქებულ შრომაზე დამყარებული, სამაგიეროდ — დაუღუგენი წყარო უმფოთველობისა და სიმშვიდისა —

აქ არ შიათ, მაგრამ არც თავზე გადასდით.  
ყველაფერში დიდებული ზომიერება ცნაურდევია.

ეს მიმზიდველი გარემო თითქმის ესთეტიკურ პლანშია აყვანილი:

„ბატები სისინებე და ამათი ეძებენ ტბას,  
ქათმები ჩიტებივით დაფრენენ ტოტიდან ტოტზე.“

(„გაზაფხულის საღამოა მშვიდი,  
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“).

ნოველაც და ლექსიც 1926 წელს გამოქვეყნდა. ამდენად, რომელიმე მხრიდან რაიმე გავლენაზე საუბარი, ჩვენი აზრით, გამოსარიცხია. ჩანს, უბრალოდ, საინტერესო დამთხვევა უნდა იყოს).

საცემ ოჯახი“.

ნიკო ლორთქიფანიძის ერთობ ნიუანსირებული სტილი გვაფიქრებინებს, რომ ეს შედარება შემთხვევითი არ არის. აქაურ მკვიდრთა ურთიერთობას, მივლი ვარემოს სიყვარულით გაჯერებულობას თუ ვავითვალისწინებთ, ხარდანიანი ვენახით დაწარდებული იმერული ეზო მინიერ სამოთხედ შეიძლება გვეჩვენოს, სადაც მოულოდნელ მეტაფორასავით ლამაზია ციციარი და იგი ოჯახის სამშვენივრად დაუფით პატრონებს.

„ნელმაგარი კომლი“ და „სავეჯ ოჯახი“ კი არა მხოლოდ დოვლათის, აქ გაგრძელებული საციოსნების, ყოვლისმომცველი ნესრიგისა და სიყვარულის გამოც ეთქმით.

ახალგაზრდა დასახლისი ვალაკტიონის „სოფლის მადონას“ წაავას ამ ეტაპზე — მანამ, ვიდრე შედინიერა.

მაღე ირღვევა იდილია. თავსაფრიანი დედაკაცის „ტოლდასადები“ მუშულე ნადრევად ეთხოვება წუთისოფელს, მაგრამ ტყუებს საციოთ აღბეჭდილ, სახიერ ხსოვნას. რამდენს გვეუბნება მკაცრი სისადავითა და სიტყვის გასაოცარი მომჭირნობით დახატული დეტალი ცოლ-ქმრის ურთიერთობაზე!

„ცოლი გოდრის ასანვეათ არ მიიხმარა. მოერიდა ახალ ნალოგინევს.“

და თვით ცეცა უძინარი — ვიდრე: „სენმა და სიკვდილმა გაანიავა ოჯახი“.

ამიერიდან სულ სხვა ცხოვრება იწყება თავსაფრიანი დედაკაცისთვის. იგი უკვე ღრმად მინვენილია (თუ თავიდანვე არ იყო) იმ „სულიერ ასაკოვნებას“, რომელიც, ილიას სიტყვებით, ხანდაზმულთათვისაც მიუწვდომელია ხშირად. (წერილიდან „პატარა საუბარი“; ეგვევ აზრი გიორგი მერჩულეს თხზულებაშიც იკითხება. საყურადღებოა, რომ ილია არ იცნობდა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“.)

ცხოვრებისთვის დამახასიათებელი მრავალი წინააღმდეგობის შუაგულში მოქცეული ყმაწვილი ქალი დაუმრეტელ უნერვას, შეუპოვრობასა და გაუტყუებლობას შეჩირბირებს გასაჭირს. წინააღმდეგობები არაპირდაპირი გზით არის ნაჩვენები და აქ მწერლის სიტყვა უჩვეულო გამომხატველობით ძალას იკრებს. ფრაზაში მკვეთრად გამოხატული ექსპრესიული ნაკადი იჭრება. ცალკე სტრიქონებად გატანილი მოკლე წინადადებები გადალახულ დაბრკოლებათა კასკადს გვიხატავს და დახარვეჯე ენერგიაზეც მიგვანიშნებს. აბზაცები „მერანის“ სტრიქონებს გვაგონებს აღმაველი ტონალობით:

„და იგი დადის...“

ბოლოს რიტმი ეცემა, თითქოს ზღვის მოქცევა დასრულდაო, მონაკეითი მოსალოდნელი, მშვიდად აღსაქმელი ფინალისკენ მივმართავ:

„ბავშვებს სამართალს მოუნახავს.“

მაგრამ ოჯახს არ უმტყუნებს.

კერიას არ გააცვივებს“.

როგორც უკვე აღინიშნა, თავსაფრიანი დედაკაცი, გარკვეულწილად ოთარანთ ქერივს ჰგავს და, თუ ეს უკანასკნელი განსხვავებული კეთილშობილური სიმტკიცეა, ასევე მონოლითური ნიკო ლორთქიფანიძის გმირიც. წინააღმდეგობრივი ბუნების ნიშანწყალიც არ იპოვება მის არსებობაში, მაგრამ ეს მონოლითურობა თავისებურია მაინც. რუსთაველის ცნობილი ფრაზა წარმოგვიდგენდა მას საკმაო სიზუსტით — „სიღობო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა“. ამ ბუნების გამო, ოთარანთ ქერივისგან განსხვავებით, ვედრება და მუდარაც რომ მონაწილეობს ბავშვების საკუთარდღეო მცდელობათა მისეულ არსენალში, მაგრამ ეს არასოდეს მიუახლოვდება მისი ღირსებისთვის საშიშ მიჯნას.

ნოველის, როგორც უნარის, ერთ-ერთ თავისებურებად მოულოდნელობის ეფექტი თვლება, რამაც, ჩვეულებრივ, თხრობის დასასრულს უნდა იჩინოს თავი. აქ ეს ნესი დარღვეულია: იგი კულმინაციურ ეპიზოდშია გადმოტანილი და კონდენსირებული ფრაზაში:

„— რა, დედა, შეგენანა განა ერთი წინდა? გინდა მეორე შვილიც მოიმადლიერო! ნუთუ ამის საღირაალ პატივს არ გცემთ?“

სხვის შემდეგ სულ ახმა რაკურსით ჩნდება სინამდვილე, სადაც „დიდებული ადამიანები უძველოდ იკარგებიან“.

ნიკო ლორთქიფანიძის არც ერთ ქმნილებაზე იმდენი არ დანერვილა, რამდენიც „თავსაფრიანი დედაკაცზე“ და მაინც სიმპტომატური ჩანს აზრი, რომ, „როგორი ღრმაც უნდა იყოს მოცემული ნაწარმოების ინტერპრეტაცია — ანალიზი, ყოვლისმომცველი და ამომწურავი იგი მაინც ვერ იქნება. ეს საოცარი ნოველა მუდამ დაიდოვრავს, შეინახავს რღაც მიუწვდომელსა და ამოუხსნელს, რის გამოც მისადმი მკითხველთა ინტერესი არასოდეს არ განელდება“. (აკაკი მინდიაშვილი — „სიტყვები, სიტყვები, სიტყვები...“ „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1982, №1).

ნოველა, მართლაც, მრავალ თავსამტრევე კითხვას აღძრავს. აკაკი მინდიაშვილის მითითებულ წერილში, სადაც გამოწველივით არის განხილული ნაწარმოების პოეტუკა და აზრობრივი ასპექტები, ვკითხულობთ: „რა არის თავსაფრიანი დედაკაცის ტრაგედიის მიზეზი?.. ცხოვრება? სოციალური გარემო? დროება? იქნებ თვითონაა ყველაფერში დამნაშავე? სამივენი ერთნაირად უშადური ადამიანები როგორ აღმოჩნდნენ? იქნებ ცუდი გამზრდელია?! — მუდამ მარტომდარტო, ეულად დარჩენილი დედა, ალბათ, ასეთ კითხვასაც ვუსვანდა თავის თავს, ამაზეც იფიქრებდა და ეს ფაქტი ერთხელ კიდევ შეძრავდა, შეაძრუნებდა მის ისედაც დამსხვრულ და მოტყუებულ სულს“.

მწერალი არჩილ სულაკაური ნოველისად-კი მიძღვნილ ლიტერატურულ ჩანახატში ასე ამოკრებებს მსგავს სათქმელს: „მინც რატომ მოიქცა ასე, რამ აიძულა, რამ გადაადგმევინა ასეთი მძიმე ნაბიჯი? სად იმალება ამ ტრაგედიის მიზეზთა მიზეზი?... ქალიშვილის უქმეზი, დაუსახურებელი საყვედური? შთამბავლობის გულგრილობა და უყურადღებობა? არც უამისობა“.

ამგვარი კითხვები ბევრს უჩნდება და ზოგიერთ უცილობლად ითხოვს პასუხს. ერთი ასეთია:

### გამართლებულია თუ არა თავსაფრიანი დედა-კაცის ნაბიჯი?

ზევით ნახსენებ ჩანახატში მწერალი ორიგინალურ ახსნას უძებნის თავსაფრიანი დედაკაცის სახეს. იგი მიიჩნევს, რომ ნიკო ლორთქიფანიძის პერსონაჟი ადამიანთა იმ კატეგორიის განეკუთვნება, რომელთა სულიერი მოთხოვნილება მუდმივი გაცემაა. როცა ამის საშუალება ნაკლებად აქვთ, ისინი დისკომფორტს განიცდიან.

ინტერპრეტაცია თავისთავად სანტერესოა, მაგრამ მისი გააზრება, როგორც ტრაგედიის ძირითადი მიზეზისა, ჭირს. ამას გამოკვეთილად არც ამბობს მწერალი, რადგან ამგვარი ფსიქოლოგიური დისკომფორტი შესაბამის სიტუაციაში სიკეთისკენ მიდრეკილ ყველა ადამიანს უჩნდება მეტნაკლებად. მთავარი ზომიერების გრძობაა. ჩვეულებრივ შემთხვევაში, ჯანსაღი ფსიქიკის დროს, იგი ბუნებრივ ზღვარს არ გასცდება. (ლიტერატურული გემოვნებითა და პროფესიონალიზმით ამკარად გამორჩეული არაერთი ფილოზოფი (სამეცნიერო ნერეზიდანაც კი) უფრო შორს მიდის და შვილების სულიერ დაცემულობას თითქოსდა მათი აღზრდის პროცესის თანმზღვე ნებისთნე უნებელი (ცდომილებებს ანუ თავსაფრიანი დედაკაცის, როგორც აღმზრდელის, უსუსურობას მიიანერს. ამგვარ განსჯას დაუსრულებლად ვაწყდებით, ერთი მხრივ, ზემირ საუბრებში, მეორე მხრივ, სკოლის მოსწავლეთა და სიტყვიერების მასწავლებელთა წერილობით ნაზრევში. წარმოადგენილი ინტერპრეტაციის ფაქტი ნიშანდობლივია თავისთავად და დამატებითი დასტური ნოველის პრობლემატიკის აქტუალურობისა სადღესოდაც — პერსონაჟის გედს ლიტერატურული ქმნილებაც იზარებდეს თითქოს... მაგრამ ჩვენ ხომ „შვილები“ არა ვართ?).

თავსაფრიანი დედაკაცის სახლიდან წასვლის საბაბი, როგორც ვიცით, ქალიშვილის მიერ კაპასად ნასროლი რეპლიკა გახდა. მისი სიტყვები მწარე და მოულოდნელი რეაქციის წინაშე გვაყენებს, მაგრამ გადანყვეტილება, რომელიც საპასუხოდ იქნა მიღებული, ასევე მძიმეა, უკომპრომისო, თავზარდამცემი — შეუფერობი, მოკვეთილობით, ტრაგიზმით. მკითხველი შინაგანად ეურჩება თითქოს ამას, ერთი სული აქვს, შემობარუნოს გმირი.

მართლაც, ხომ არ აჩქარდა თავსაფრიანი დედაკაცი, ნაცვბათევი, აფექტით გამოწვეული გადანყვეტილება ხომ არ მიიღო, შურისძიების წყურვილობა, წერილობანმა გმირიანობამ ხომ არ გადაადგმევინა ერთგვარად დაუნდობელი, არამიმტევებლური ნაბიჯი? იქნებ, მხოლოდ შვილების წინაშე იჩენს გამათავებლობის თაქმიყვარობას, ხოლო იოლად გაიმევერს ხელს სამათხივროდ? თუ ასეა, რამდენად არის ეს ღირსების მქონე ადამიანის შესაფერი საქციელი? და კიდევ: როცა იმ მწარე და დაუსახურებელ სიტყვებს ავინებს, ვინ იცის, იქნებ მეტისმეტად გალიზიანებულია რაიმე „კაპასი შვილი“ — ჯანა ცოტა მიზეზს იძლევა ნუთისოფელი საამისოდ! ყველა ხომ ვერ ახერხებს, უდანაშაულოსკენ არ მიმართოს სხვათა მიერ აძიქრული აგრესია და უნავიგის არ დაუნყოს მტერევა ცხენზე განანყენებულმა!

წლების წინათ რუსთაველის თეატრში იდგებოდა პიესა — „ლია შუმბანდი“ (ავტორი — შაქინაშვილი შამანაძე), სადაც ნაჩვენები იყო უკიდურესად დაძაბული, თითქმის ურთიერთშეუთავსებლობის ელფერით აღმტევილი დამოკიდებულება ოჯახის წევრებს შორის (რასაც, გარკვეულწილად, სოციალური სინამდვილე კვებავდა). ასე გახლდათ გარეგნულად, მაგრამ ექსტრემალური სიტუაცია წარმოაჩენდა სიყვარულს, რომელსაც პიესის გმირი დაატარებდა თურმე გულში მამის მიმართ, როგორც ყველა ჩვეულებრივი შვილი ამქვეყნად (ლონდ უნდა უფრობას ეს არ ამართლებს).

იქნებ აქაც ასეა?

კითხვა ლიად დატოვებო (თუმცა პასუხი ამთავითვე ნათელია) და დავფიქრდეთ: არა ხნისა ნოველის გმირი სახლიდან წასვლის მომენტში?

ნებისმიერი ანგარიშგასანვიე რეალის გათვალისწინებით, რაზედაც საკამო მინიშნება ტექსტში, თავსაფრიანი დედაკაცის ასაკი 45-55 წლებს ვერ გასცდება, მაგრამ მისი გარეგნული იერი დაუძღვრებულ მოზუცს წარმოგვიდგანს. შვილებიცა და ქრონიკირები „მოზუცად“ მოისვენებენ ქალს. უნდა ვივარადოთ, რომ ორივე შემთხვევაში მხედველობაში აქვთ ვიზუალური ხატი, ფაქტობრივი მდგომარეობა.

არც დაუზარელი გარჯა, არც დაუმცხრალი მცდელობა — სამართალი მოუნახოს ბავშვებს, რაც მეტწილად წარმატებით გვირგვინვად და, ამდენად, მორალური კმაყოფილება უნდა ახლდეს, არც მეუღლის გამო სხვათა თვალისგან მოვარებით დაღვრილი ცრემლები (რომელთაც ერთგვარი შვება მოაქვთ) ნაადრევი სიბერის მოტივად ვერ გამოვლენ. ნოველამო არ ჩანს მინიშნება მის მიერ გადატანილ რაიმე სენზე. ამასთან, რაც მთავარია, თავსაფრიან დედაკაცს აქვს ნებისმიერი გასაჭირის მაკომპენსირებელი, ყველასა და ყველავფერზე აღმატებული, სიხარულიდაც სამყოფი მიზეზი ენერგული სიცოცხლისათვის — შვილები, რაც მძიმე ჯაფას არათუ ასატანად, სასიამოვნოდაც კი აქცევს მათივე ბედნიერების სასოებით.

მამ რამ დააბერა და დააუძღურა შრომით გა-  
კაფებული შუა ხნის ქალი, რამ დაპრიტა მისი  
სასიცოცხლო ენერჯია (მძრ. ამთრთოლვარე  
ხელები, „ამღვრეული თვალები“, „ნელში  
გახაროლი“, „ყავარჯნით ხელში“)? ასეთი  
ხელშეხახები კონტრასტი პერსონაჟის ფიზიკურ  
მდგომარეობასა და რეალურ ასაკს შორის შემთხ-  
ვევით ვერ იქნება.

საქმე ისაა, რომ მომხდარი მკითხველისთვის  
არის მოულოდნელი, თორემ თავსაფრიანი დედა-  
კაცისთვის კარგა ხნის შეცნობილის გამოგლე-  
ნაა (რა დროიდანაც აითვლის იგი „თავის კაცთან“  
ნასვლის საჭიროებას). ქალიშვილის სიტყვებმა  
ჩვენითვის გაამიშვლა სინამდვილე, ხოლო თავსაფ-  
რიან დედაკაცს კიდევ ერთხელ დაუდასტურა  
მწარე სიმართლე, რისთვისაც თვალის გასწორება  
ასე უჭირდა მას...

უცნაური, გულში ვერჩატეული, მინც ვე-  
რავისთან გამხვლილი დამთრგუნველი ეჭვი, ძრ-  
ნოლა შვილების სისხლის გამყინავი სიცვიის,  
ეგოიზმისა და პათოლოგიამდე დასული პრაგმა-  
ტიზმის პირისპირ, რაც დღითი დღე იკვეთება და  
რის წინაშეც ვერაფერს გამხდარა საბრალო დედა  
— აი თავიდათავი ყველაფრისა.

შვილები გამოდგნენ უმადურნი და დაუნახ-  
ავები, თორემ თავსაფრიანი დედაკაცის თვალს  
არაფერი ეპარება და მაინც რომელიღაც მომენ-  
ტიდან იგი, ალბათ, თავს იტყუებს, ხავს ეჭიდება,  
ხელოვნურად შეაქვს ეჭვი იმაში, რაც უეჭველია;  
ცდლობს, თავი დაირწმუნოს, წერლობანებს აზ-  
ვიადებს თითქოს, ეჩვენებოდეს ყველაფერი, რის  
დასტურდაც დღეები ახალ-ახალ საბუთებს ახ-  
ვავეები და გარეგნული სიმშვიდის მიღმა გაუსაძ-  
ლის სევდას იმარხავს დამპყრობი დედა.

ამ სევდას ვერაფერს შეადარებ და ვერც ვე-  
რაფრით უნამდებ...

ასე უნის სხეულს სულის გაუნელებელი ტკივი-  
ლი.

ბოლოს და ბოლოს, რაღაც უნდა იქცეს  
უკანასკნელ წვეთად, სადაღც უნდა განყდეს ძაფი.  
სწორედ ამგვარ მომენტი შეგვასწორ ავტორმა.  
საბედისწერო ფრაზამ ყველაფერს დაუსვა წერ-  
ტილი და მოულოდნელად გააცნობიერებულ,  
„მოკვეთილ“ გადანყვტილებად ექცია თავსაფრი-  
ანი დედაკაცის ქვეცნობიერში, შესაძლოა, კარგა  
ხნის შემზადებული იფეა სახლიდან ნასვლისა,  
რაც მუუღღესთან მიახლების მომხანსავებელია  
მისთვის ანუ თვითმკვლელობა არ არის, როგორც  
შენიშნავენ, მაგრამ მისი ტოლფასი ქმედება კია.

„ალარავისთვის ვარ საჭირო, სრულიად არა-  
ვისთვის. ვარ სრულიად ზედმეტი. დიდი ხანია, ჩემ  
კაცთან უნდა წავსულიყავი...“

არ არის ისე, როგორც ზევით ნახსენებ პიესაში  
— თავსაფრიანი დედაკაცი არავის უფერს, არც  
განცხადებით, არც გაუცხადებლად. არ ჰყავს ნოე-  
ელის გმირს თავისი კორდელია. ასულის პირით  
„წარმოინებული“ გულის მომკვლელი სიტყვების

მიღმა გულიც ქვისა იხილვება. შემთხვევითი არ  
ყოფილა მწარე რეალიკა — დანარჩენი ორი შვი-  
ლის „სათქმელიც“ ისეთივეა თურმე.

„მივიც, სულ ერთია, ოღონდ გაჩუმდეს“ —  
პირველად სწორედ საზგასამული სიტყვებით  
შემოჰყავს მწერალს თავსაფრიანი დედაკაცის  
ზრდასწორებულეული შეილთავან ერთ-ერთი უმე-  
რადე მოქმედებაში. აქ ჯერ კიდევ არაფერია,  
ერთი შეხედვით, საგანგაშო. მსგავსი რამ ისეთი  
ვინმესგანაც შეიძლება მოისმინო, ვინც კარგად  
იცის „ამთრთოლვარე ხელებითა და ამღვრეული  
თვალებით“ მოქსოვილი საჩუქრის ჭეშმარიტი  
ფასი, მაგრამ სიტყვას პაროლის ელფერი დაჰ-  
კრავს. საქმე ისაა, რომ თავსაფრიანი დედაკაცის  
შვილებისთვის თვით დედის ყოფნა-არყოფნაც  
სულ ერთია თურმე. ისევე, როგორც მისგან მო-  
ქსოვილი უბრალო წინდა, ოღონდ ეს მერე ირკვე-  
ვა, როცა ჩავიკითხავთ: „შვილებმა კარგა ხანს ვერ  
გაიგეს დედის გადაკარგვა. ერსთ მეორესთან ეგო-  
ნა. გაიგეს — შეძრწუნდენ, შერცხვათ: „მოგვეჭრა  
თავი სოფელ-ქვეყანაში... რას იტყვიან, მოხუც დე-  
დას ვერ მოუარესი?“

უნდლდათ საძებრათ ნასვლა — ეძვირათ, უნ-  
დლდათ გაზუთებში გამოცხადება — „ურატსათ  
მოგვეჭრება თავი“.

ასე იცდიდენ“.

იცდიდენ — თითქოს დედა უბრალო ნივთი  
ყოფილიყო, რომელიც, შეიძლება იაფი ან ძვირი  
ღირდეს, თითქოს რომელიმე საწყაოთი ხერხ-  
მედობდეს მისი „ღირებულების“ გაზომვა (მძრ.  
„დადიანის ასული და მათხოვარი“).

იცდიდენ — თითქოს დედის სიცოცხლე არ  
დებულებიყო სასწორზე!

ეს დეტალი ბუნებრივად გვახსენებს ეპი-  
ზოდს ბერტოლდ ბრეხტის „კაკაკასიური ცარცის  
წრიდან“, სადაც საყოფელთაო განგაჰის ჟამს  
მცირეწლოანი შვილის ნაყვანა არ ახსენდება  
ნასალები ტანსაცმლის გადარჩევით გახვითქულ  
ქალბატონს. ცხადია, აქ როლეზია შეცვლილი.

თავსაფრიანი დედაკაცი ქრესტომატიული ნი-  
მუშია ზედმეტად ქცეული ადამიანისა. ასეთი ადა-  
მიანები, როგორც წესი, გარემომცველი სინამდ-  
ვილისთვის, კონკრეტული სოციალისთვის სდები-  
ან მეტწილად ზედმეტნი, თუმცა ლიტერატურული  
შედევრები შეილებოსგან მიგდებულ მშობლებზეც  
შექმნილა. ასეთ დროს, კიდევ უფრო მძაფრია ტრა-  
გიზმის განცდა, რადგან „ყოველი ადამიანს ერთი  
ადგილი მაინც უნდა ჰქონდეს, სადაც იგი ხელ-  
შეუხებელია, საყვარელი, მუდამ ერთი და იგივე  
უქვდავი წევრია... ცხოვრების საერთო სიმკაცრე,  
ცოტა არ იყოს, სუსტდება ოჯახის კერასთან“  
(ნიკო ლორთქიფანიძის ჩანახატიდან — „ოჯახი“).

თავსაფრიანი დედაკაცის მდგომარეობა კი  
კომმარული სიზმრის მსგავსია, როცა ყველაზე  
ახლობლმა შეიძლება გიმტყუნოს, იზრჩობოდ და  
შეეძლოს, მაგრამ ხელი არ შეგავებლოს სწორედ  
ოჯახმა — მშობელმა დედამ ან დეიძლმა შვილმა.

თავსაფრიალი დედაკაცი გრძნობს: „თუ გაუჩინარდება, მისი არარსებობა თვალთ არავის დააკლდება, ხოლო არსებობით ყველას თვალში ეჩხირება“. (ნოდარ გრიგალაშვილი, „ნიკოლორთქიფიანიქ“, 1992, გვ. 34. ციტატა ნარმოდგენილია (მიტოვდი პერიფრაზით).

ამიტომ შეიძლება გადაჭრით თქმა: არც აფექტით არის გამოწვეული, არც შურისძიებითა და ვისიმე დასჯის სურვილით ნაკარნახევი მისი ნაბიჯი (საინტერესოა, რომ თავად შვილებს სრულადაც არ უგრძნობიათ თავი დასჯილად დედის გადაკარგვით) და მხოლოდ მიმტყვევლობას ასხივებს თავსაფრიალი დედაკაცის ყოველი სიტყვა და საქმე.

ეგაა ოლონდ:

საკუთარ სახლში (მისთვის უკვე გაუცხოებულში) მათხოვრად დარჩენას ცხრაუცხოთა ნინაშე მათხოვრობას ამჯობინებს იგი.

არსებობდა კი უკეთესი სხვა გზა?

სწორედ აქ იჩინეს თავს თავსაფრიალი დედაკაცის ხსიათის სიმტკიცე, მოკრძალებასთან შეწყვილებული სიამაყე, ამხედრება „შავად მღვდლვარი“ ბედის წინააღმდეგ. ამით ნააგავს ნელში მოხრილი, კონკეპში გახვეული გროშების მოშლოდინე აცხცახებული მოხუცი (ჩვენც ასე ვუნდოთ) ბედისწერასთან შერკინებულ თვალმდობიანოლიდობოს, პოეტების მიერ გაცოცხლებულ რომანტიკულ გმირებსაც, წარმოსახვის ძალით რომ ცდებიან ბედისაგან დაწვევებულ საზღვარს.

თავსაფრიალი დედაკაცი საქმით აღსარულებს ამას.

„წინდები ხელთ გავარდა.

სიტყვა არ ამოუღია.

შეისწორა თავსაფარი.

ქალიშვილმა შეამჩნია ქცევა და დაუმატა:

ტყუილს ვამბობ, თუ?

ქალი ადგა, კალთები დაიბერტყა“. (შეხაძლოა, ეს დეტალი, ბუნებრივი ფესტის გამომხატვის გარდა, სახარების ერთი ადგილის ალუზიაც იყოს: „ხოლო ვინც არ მიგბლებთ თქვენ და არ მოისმენენ თქვენს სიტყვებს, მაშინ სახლდან ან ქალაქიდან გამოსვლისას დაიბერტყეთ მტვერი თქვენს ფერხთაგან“ (მათე, 10; 14).

„მე არა მიძლავს აწრდილისა მრუდისა ხისა განმართვად, არამედ განვიყრი მტურესაცა, რომელი აღმეკრა შენგან!“ — ცნობილია, რომ თამარ მეფემ ამ სიტყვებით მიმართა გიორგი რუსს მასთან დაქორწინების დროს.

განამანის ფსიქიკის ღრმა წვდომით შესრულებული ეს პასაჟი გმირის „მრეკავი დუმილით“, სიტყვაციის ადეკვატური, ბუნებრივი და ერთობ გამომხატველი ფესტების გამოთქმის სურვილად წარმოაჩენს თავსაფრიალი დედაკაცის გამიჯვნას იმ უკეთუბრისაგან, რაც ქალიშვილის სულში და, შესაბამისად, ამ გარემოში დაგუბებულია.

მიხეილ ჯავახიშვილის რომანში ვკითხულობთ: „ყველამ დაინახა, რომ არსენას არა მიეცხო რა, ხოლო ნუნქლად ნასროლი ისარი ისევე მსროლელს დაუბრუნდა“.

თავსაფრიალი დედაკაცსაც არაფერი მისცხები.

სცენა ავარასთან, ვინც შვილების ხაზს აგრძელებს ნოველაში, ამგვარად მთავრდება:

„და ისე გამოდრა, როგორც კეთილგანა“.

აქაც, საკუთარ სახლშიც მსგავსი რამ მოხდა იმ განსხვავებით, რომ აქ თავის თავთან გამოთხოვების ტოლფასია, უფრო მიძიმეც — განმოვება.

„წავიდა უმიზნით, შემოუარა სახლს. ჩავიდა ბოსტანში. გადავიდა მეზობლებში... დაბრუნდა შინ. ჭუკებს ჯვამით დაუდგა ცომნარევი ჭინჭარი... გაიხადა, მოიხსნა, მოაგროვა, ერთად წაიღეს კუმი წაალაგა ყოველივე ხელსადები, ფსიანი, გამოსადეგი და კონკეპში გახვეული თითქმის საცვლების ამარა გამოვიდა ნაჭირნახულევი ქობიდან“ (რიტმი კვლავ უჩვეულოდ ექსპრესიული ხდება. სადაც ერთ ნერტილში ეცემა მახვილი, თავსაფრიალი დედაკაცის აჩქარებული გულის (ცემათ თითქმის). (მდრ: „ნუ წაიღებთ თან ნურც ოქროს, ნურც ვერცხლს, ნურც სპილენძს თქვენი სარტყლებით; ნურც ფუთას გზაში, ნურც ორ სამოსელს, ნურც ფეხსაცმელს, ნურც ხელჯოხს, რადგან მშრომელი თავისი საზრდის ღირსია“ [მათე, 10; 9, 10]).

ამგვარი ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ ფიქშია ადვილი, მეტად ძნელი — პრაქტიკულია. აქ კვლავ თავის თავს ჰგავს თავსაფრიალი დედაკაცი — იმ ძალით და სიმტკიცით, კედლებსა და სიშორის ბარიერს რომ აძლევინებდა ადრე. ახლა იგი საკმარისი იქნება, ზღურბლს გადააბიჯოს როგორმე. და იგი მიდის.

ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, რას განიცდის „ქუჩაში მტვერში“, ალბათ, არაერთხელ ნაქცეული მოხუცი, რომელმაც ლობორუნებლად და შორს დატოვა მშობლიური კორა, როცა პირველად იღებს გასაკითხს. ერთი აშკარაა: იგი, ღია ცის ქვეშ თავისი თავის ანაბარა დარჩენილი, მოკრძალებით მდგომი და უშნარ, ვინც, საფიქრებელია, ხელის გახვედნასაც ვერ ახერხებს რიგინად, ადამიანთა ცოდვა-მადლის, მათი სინდის-ნამუხის ამწყველად მოვლენის უფრო ჰგავს, ვიდრე ჩვეულებრივ გლახაკს (ან მხოლოდ გლახაკს). მათხოვრის პოზა თითქმის ნიღბაა მისი ბინძოვარებულ, მურყვევანი სულისა, რომელიც ვერანაირმა განსაცდელმა ვერ გააბოროტა, ბოლომდე სიკეთის თანახმი დარჩა და ოდენ ბავშვურად გაოცებული გაბრუნდა წუთისოვლეს (ალბათ, პირველივე ზამთრის პირზე, თუკი მანამდე — არა) მისი დაუფერებელი სიმუხთის გადაამკიდე, მაგრამ ღვთის ნებას მიწოდებოლი.

უნებლით გაჩენილ კითხვას — თუ იყო ქვეყნად ძალა, როგორც თავსაფრიალი დედაკაცს თავივნივებით დააბრუნებდა უკან, დადებითად უნდა ეუპასუხოთ: იყო — რაიმე აცხადებდა შვილთა... მაგრამ მან ყველა დაღუბნილი დატოვა.



მიუძღვის თუ არა თავსაფრიან დედაკაცს  
ბრალი შვილების „სულიერი“ სახის „ასეთად“  
ფორმირებაში?

ამ კითხვის დასმა, ჩვენი აზრით, ისეთივე უნდობლობა ნიკო ლორთქიფანიძის ტრაგიკული გმირის მიმართ, როგორსაც, ვთქვათ, თემი იჩენს ალუდა ქეთულაურის წინაშე, როცა არ იჯერებს მის მიერ მეთერ ქისტის მოკვლას. მაგრამ კითხვა ხშირად დაისმის, ბრალდება კატეგორიულიც კია და მასზე საუბარი აუცილებელი ხდება.

თავსაფრიანი დედაკაცის ბრალულობაზე, როგორც ნესი, მხოლოდ შედეგით მსჯელობენ, მაგრამ დასკვნის გამოტანა ამ ერთადერთი „არგუმენტით“ მაშინაც კი უმართებულო იქნებოდა, რომ არ ვიცოდით, როგორი სულიერი წყობის პიროვნება დგას დამნაშავე შვილების უკან. სხვა საბუთების მოუხმობად (ოღონდ სადაა ასეთი საბუთები!) კვლავ და კვლავ შედეგით მტკიცება მისი უარყოფითი ნილისა მომზდარში ცოტა ახლოს ხომ არ დგას იმგვარ „მოლიკასთან“, რომლის ძალითაც „თერგ-დალეულები ჩვენ ქართველს კაცს როგორღაც არ ეჭვსნიკება!..“

ივნობდე პიროვნებას (პერსონაჟსაც) ნიშნავს, მიახლოებით მაინც განსაზღვრო მისი წარსული თუ სამომავლო პოტენცია. ხომ შეუძლებელია, ჰაჯი-უსუბის, როგორც გამზრდელის, უუნარობას ან საფარ-ბეგის აღზრდაში დაშვებული რაიმე შეცდომას მივანეროთ აღზრდილის საქციელი, როცა უპეე ვიცით, ვინ არის ჰაჯი-უსუბი!

ასევე გარდა ცხოვრების იმ წესისა, რომელსაც მისდევს (და რომელიც ახლოსაა იდეალურთან), რის კვალობაზეც ზრდის იგი შვილებს, სხვა რით შეეძლო თავსაფრიან დედაკაცს სასურველი შედეგისთვის მიეღწია?!

ძალგვის კი ვისმე მკითხველთა შორის წარმოვადგინოთ ასეთი რეცეპტი!

როგორ ვინაშნობთ, რომ მას, ვისაც ყველა საუკეთესო თვისება გადმოეცა აღზრდითა და მემკვიდრეობით, შვილების აღზრდის უნარი დააკლო მაინცდამაინც არსთავაპრიგემ. თავად თავსაფრიანი დედაკაცისა და ფილიპეს მშობლებს პედაგოგიურ სასწავლებლებში ხომ არ აუთვისებიათ შესაბამისი ხელოვნება!

აღზრდის პროცესში (განსაკუთრებით ოჯახში) გადამწყვეტი მნიშვნელობა პირად მაგალითის ფინიჭება (ამას საკამათოდ არ მიიჩნევენ), ხოლო თავსაფრიანი დედაკაცის სახალვე უცნობებზეც კი განმარტუნდელ გავლენას ახდენს, ოჯახის წევრებზე რაღა უნდა ითქვას! ან სიტყვიერი წვრთნა რაბომ უნდა დაეკლო მას შვილებისთვის?! საქმე ისაა, რომ „მარტო წვრთნა რას იზამს“, თორემ შვილებს ყოველდღიურად თვალწინა აქვთ გარეჯის, პატიოსნების, გარდაცვლილთან თუ ცოცხლებთან დამოკიდებულების უფარებული გაკვეთილები. ვინ იცის, რამდენი იმგვარი სცენის მონაწილე გამხ-

დარან უნებლიეთ, მონადირემ რომ იხილა! სხვა რა არის კიდევ საჭირო შენივე სისხლისა და ხორცის სიყვარულის „შესასწავლად“, თუ ამ სიყვარულსაც სწავლება გაჭირდება!

ბავშვები ვაფეტიშა და საკუთარი თავი უგულუბელყო თავსაფრიანმა დედაკაცმა! მაგრამ — რა თვალსაზრისით?

ყველა დედა აფეტიშებს შვილს გარკვეულწილად ანუ... თავზე მტად უყვარს იგი და ესაა დედობრიობის უპირველესი ნიშანი.

განა ოთარაანთ ქვრივიც ასე არ იქცევა? შვილითა და შვილისთვის არ ცოცხლობს იგი, როგორც ყველა ჭეშმარიტი დედა!

ნოველამ არსად არ ჩანს, არდასათმობს უთმობდე თავსაფრიანი დედაკაცი შვილებს, ყოველ შემთხვევაში — სანამ ბავშვები ეთქმით, მაგრამ, ესეც არ იყოს, ძალიანაც რომ სურდეს, აქვს კი მას ბავშვებისთვის სათბურის პირობების შექმნის საშუალება?!

საკუთარი თავის უგულუბელყოფად დაუზადარულ შრომას ხომ ვერ მივიჩნევთ, ეს ღირსებაა და არა ნაკლი და ვერაფრით დაერქმევა თავისი თავისი იგნორანტობა, მით უფრო, რომ თავსაფრიანი დედაკაცი არც შვილებს აძლევს გაზარდაცემის საშუალებას — ისინიც აქტიურად ირყებიან, თუ ვეთანხმებით აზრს, რომ სწავლა იგივე შრომაა, თანაც — საკმაოდ მძიმე.

არ არის გამოირეცხული (თუმც ტექსტში ამაზე არაფერია ნათქვამი), ასაკისა და სიტუაციის კვალობაზე, ფიზიკურ საქმიანობაში აშეულებდნენ ისინი ხელს მშობლებს, რადგან დედის აქტიური როლი ოჯახში გარკვეულ დრომდე სრულიად აშკარაა.

ხოლო საკუთარი თავის უგულუბელყოფა ის თუ გვეკონია, მეორედ ქორწინება რომ არ ისურვა (ან უარესი რამ), საპირისპირო შემთხვევაში (მცირედი მინიშნებაც რომ ყოფილიყო ტექსტში), სწორედ ამას გამოეცხადებდით, ალბათ (მეტი დამაჯერებლობითა!), ტრაგიკული შედეგის საფუძვლად...

არის ერთი „ნივთმტკიცებაც“ თავსაფრიანი დედაკაცის სასარგებლოდ — „ბავშს ნუ გაანებიერებ“. ნოველის პოეტრიკიდან გამომდინარე, (როცა ნაწარმოები მეტისმეტად იმპა, უმცირესი დეტალის ეფექტი სიდიდის მიკვე რიგისაა, რაც მიელის ეფექტი) [ჰოდ ვაგერი, 1981წ. გვ. 169]]. ეს სრულიად აშკარა და საკმარისი მინიშნებაა მისი, როგორც აღმზრდელის უზადლობაზე აზრის შესაქმნელად. მან დაუსწავლურებელი ბრალდება უნდა ააცილოს თავსაფრიან დედაკაცს (ამჯერად მკითხველის მხრიდან), რადგან არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია, ვიფიქროთ, საკუთარი მწარე გამოცდილებით მისულიყოს იგი აქამდე, გვიან მოპოვებულ „სიბრძნედ“ დაგსახოთ ნათქვამი, როდესაც თოჯინებთან მოთამაშე ბავშვებსაც კი არ ავიწყდებათ, დატუქსონ ხოლმე

„შვილები“ წარმოსახული დანაშაულისა თუ ურჩობისთვის.

ფრანკის სემანტიკა, კონტექსტი, ინტონაცია — ყველაფერი ერთად ხაზს უსვამს თავსაფრიანი დედაკაცის მწიფებას, როგორც თავისი განადგავლისხმევი, საყოველთაოდ საცნობარ რასმედ და არა რაღაც აღმოჩენას, რაც საგანგებოდ უნდა გაუზიარო, ვისაც ჯერ არს.

„რათა, შვილო, ამას კონიას ნაულებ, ბავშს ნუ გაანებივრებ...“

ამკარად იგრძნობა გაკვირვება იმის გამო, რომ ეს არ ესმით და ამით ყველაფერი ნათქვამი.

ადამიანი სრულად და ბოლომდე ექსტრემალურ სიტუაციაში ავლენს ნამდვილ სახეს, ზოგჯერ მისთვისე დეფარულ ძალას ან უძლურებას.

ოდნენ გადაუხეობთ სათქმელს:

რატომ და რისთვის კვდება ჰაჯი-უსუბი?

აღზრდილის დანაშაულის გამოსყიდვის გარდა, სხვა მოტივაცა აქვს მის თვითმკვლელობას — საფარ-ბეგის ზნეობრივი წერტილის გასრულება. თავის მსხვერპლად შეირჩიის ეს აქტი (რაც, აკაიო ბაქრაძის სიტყვებით, მაცხოვრის საქციელის გამეორებაა) გამზრდელის მიერ გაზრდილის „მოსაქცევად“ ჩატარებული უკანასკნელი გაკვეთილია, ოღონდ მამუკირებული ეფექტით, რადგან აღზრდის ჩვეულებრივი ხერხები, როგორც მოულოდნელად ირკვევა, საკმარისი არ გამოდგარა საფარ-ბეგისთვის.

ჰაჯი-უსუბი იმ წუთებში ყველაფერი ერთად, შესაძლოა, არც ჰქონდეს გაცნობიერებული.

მას ინსტინქტივ კარნახობს საჭირო სვლას.

ხოლო საფარ-ბეგი, რომელიც დროის მცირე მონაკვეთში რამდენჯერმე ექცევა ასეთი ეფექტის ქვეშ (ნაზიბროლას სახიდან მომდინარე სინმინდის ჩათვლით) ის საფარ-ბეგი ვერ იქნება ამიერიდან (თუ ცოცხალი დარჩა, რაღა თქმა უნდა), ვინც მანამდე იყო, რადგან აკაკის „ძე შეცდომილი“ მთლად უგრძობობი კაცი ნამდვილად არ არის.

ისტორია უთვალავ შემთხვევას აფიქსირებს, როცა რაციონალურ განსჯას ადლო დანაცვლება, ცნობიერის ადგილს არააცნობიერი იჭერს, მაგრამ შედეგი ისეთია, სახელდობრ გონების დაძაბვა რომ სჭირდებოდა. მწვავე ცაიტონტში ერთადერთ, უალტერნატივო სვლას იწერს ხანდახან გენიალური მოჭადრაკე.

კიდევ ერთხელ რომ მივუბრუნდეთ საკითხს, სწორედ ამგვარ სვლას გვგონებს თავსაფრიანი დედაკაცის განწირული ნაბიჯი, მისი გაუჩინარება, თავის გამეტება, რაც იმავე შოკური თერაპიის ეფექტით, შვილების სულის განადგენის უკანასკნელი და უძლიერესი ცდაა, რაღა თქმა უნდა, ინსტიტურად, გაუცნობიერებლად, გაცნობიერებულ სიბრტყეზე კი იკვეთება მიმტყეებლობისა და სულგრძელობის ლამის ტრაქტატივად ცქცულად სიტყვები: „შვილები დამეჩაგრება, სახელი გაუტყდებათ“ და ჩამთხოვილი ფულით

დაზღვეული, მისი ნაკარნახევი, სხვისი დანერგილი ბარაიი“ იგზავნება: „საკყარელო შვილებო, ნუ მიწყენი, სალოცავთა წვედი. ნუ მეძებთ... შვილიშვილები დამიკვებით. ჩემზე ნუ სწუხართ. მშვიდობით სამუდამოდ.“

თავსაფრიანი დედაკაცი ყოველივე ამით თავისთავში ითავსებს ჰაჯი-უსუბისა და ბათუს მხატვრულ სახეთა ანალოგიურ ფუნქციას, მაგრამ უმედვეოდ.

შვილები დუმან.

მათ შიშობლის სიყვარულის ის ინსტინქტივ არ „ესინჯებათ“, ყველა სულიერი არსებისთვის ნიშანდობლივი რომ არის და ექსტრემალურ სიტუაციაში მაინც უნდა ამოქმედდეს, რომლის გამოც, როგორც უკვე იქევა, დედის სიყვარული არ შეისწავლება, იგი თანდაყოლილია, როგორც სუნთქვის, მხედველობის ან სმენის უნარი; რის გამოც უღირსი შიშობელიც უყვარს პატიოსან კაცს, თუმცაღა განიცდის მის უღირსობას; თვალთ უნახავ ბიოლოგიურ დედას დაუძებს ზოგჯერ სხვათა მიერ გაზრდილი ბავშვი, თუმცა გამზრდელი თავს ურჩევნია. დაბოლოს — უკანასკნელი ავაზაკიც არ არის გულგრილი უმეტესწილად საკუთარი დედისა და ახლობელთა მიმართ.

თუ მაინც გვკვნია, რომ თავსაფრიანმა დედაკაცმა არ იცოდა, რაც ჩვენ შესანიშნავად ვიცით, ის მაინც უნდა ვკითხოთ, რა შეცდომა უნდა დამევა ისეთი, რომ ამგვარი (ტოტალურად უარყოფითი) შედეგი მიეღო? ნუთუ რაიმეგვარ „განებივრება“ ძალუბს, ასე ძირფესვიანად აღმოფხვრას ადამიანის არსებიდან თავად ბუნებისგან ქმნილი (გენური ინფორმაცია) შეიღობის დანაშაულის ხასიათი ეგზოტიკისა? მისი ასახსნელად თითქმის ადრედაში დაშვებულ შეცდომაზე ორიენტაციის შესაძლებლობას. თავსაფრიანი დედაკაცის რომელი ჩვეულებრივი და რიგითი დამნაშავენი არი იყვნენ, საზოგადოებასთან კონფლიქტურ მიმართებაში მყოფი არცხანი, შესაძლოა მაშინ გვექონოდა მეტნაკლები საფუძველი ამგვარი შეხედულებისთვის.

თავსაფრიანი დედაკაცის მცდელობა იმიტომ კი არ დასრულდა კრახით, რომ თავად არ იყო თითქოს „ლამაზად შეიღობს გამზრდელი დედა“ (თუ გაზრდაში პროცესს ვიგულისხმებთ და არა — შედეგს), არამედ იმიტომ, რომ სიკეთის მარცვალს, რომელიც მან მოიტანა დასათესად, შესაფერი ნიადგი არ დახვდა, „ბუნებამ ვერ უშველა“, შვილებმა „სმენით მოისმინეს, მაგრამ ვერ გაიგეს, ხილვით იხილეს, მაგრამ ვერ მიხვდნენ, ვინაიდან გაუტყვავდა ამ ხალხს გული, ყურით მძიმედ ესმოდათ და დახუჭეს თვალები, რომ თვალთ არ დაეხახათ“ (მათე, 13; 14, 15).

მიუხედავად ამისა, რადგან მოულოდნელიც უნდა იყოს, თავსაფრიანი დედაკაცის შვილებმა, ცოდნით, შესანიშნავად იცანს, „რა არის კარგი და რა არის ცუდი“.

ერთია ოღონდ: ეს ცოდნა მათს გულს არ ეკარება, მასში არ არის დავანებული;

„ის პატარა ბუშტი ლემისა, რომელსაც“ ადამიანები გულს ეძახიან, თითქოს, საერთოდ არა შეიძლება, ნიკო ლორთქიფანიძის ერთი პერსონაჟისაგან განსხვავებით, რომელსაც სამშობლოსა და სატროფოზე ფიქრმა დაუფრფრვლა იგი.

ეს საცოდავი არსებანი ზნეობრივად მკვდრად იშვება.

მკვდრადშობილთა გაცოცხლება კი ადამიანს არ ძალუძს.

ეს მხოლოდ უფლის ნებაა.

ამიტომ არ შეიძლება მიუძღვოდეს თავსაფრიან დედაკაცს ბრალი შვილების სულიერი სახის ფორმირებაში.

### ქვეტექსტი „თავსაფრიან დედაკაცში“

წერილებში, რომლებიც ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებითი სტილის საკითხებს ეხება, გამოჩნეული გავსების ხაზი ე.წ. დაუნერული ადგილების ანუ ქვეტექსტების როლს „თეთრით თეთრზე წერა“, როგორც დემნა შენგელაია იტყვოდა, მართლაც, თვალში საცემი სტილური ნიშანია საანალიზო ნოველისა, მაგრამ შედარებით უყურადღებოდაა დარჩენილი ამ ქვეტექსტების შემცველი კონკრეტული ნიმუშები, როცა დეტალურად არის შესწავლილი მხატვრული გამოსახვის ბევრი სხვა კომპონენტის უფუძვია.

ნოველის V თავი ასე მთავრდება:

„ბარათი შესაფერისად გრძელი იყო.

შვილები დანყარდნ, გაუხარდათ, სხვებსაც აჩვენებდნ თავის გასამართლებლად. კეთილსინდისიერათ გაიყვეს მცირე მემკვიდრეობა: რამდენიმე ვერცხლის ფული. აბრეშულის თავსაფარი, ძვლისტარიანი ხანჯალი და სხვა...“

ძნელი არ უნდა იყოს აქცენტირებული სიტყვის დანახვა ამ მონაკვეთში, რადგან იგი აღმატებული გამომსახველობითი ძალისაა აქ. ამ კეთილშობილ ლექსისურთეულში გამანადგურებელი ირონიაა ჩაქსოვილი, რასაც შვილების ნამდვილ ბუნებასთან მათი ქცევის შესაფავებლად გამოყენებული სიტყვის მნიშვნელობის სრული კონტრასტი ქმნის... თუ აზრის შეცვლილი რომელიმე ბგერათკომპლექსი არ უნდა ჭაჭანებდეს თავსაფრიანი დედაკაცის შვილების სიახლოვეს ქართული ენის ლექსიკიდან, ეს, უწინარეს „კეთილსინდისიერებაა“ და სწორედ მისი მოხმობა მოცემულ კონტექსტში მთელ ფრაზას სარკასტულ მუხტს ანიჭებს, რითაც მკითხველის მზერა უნებლიეთ მიიმართება და კიდევ ერთხელ ჩერდება შვილების ანტიადამიანურ პროფილზე.

კეთილსინდისიერება, რომელსაც აქ „იჩენენ“, ერთიმხრივ, დაგვიანებულია, უქმი, ერთგვარად — მნიშვნელობას მოკლებულიც, შეიძლება ითქვას, მეორე მხრივ — მაინც მოჩვენებითი, რამდენადაც, არაფერია გასაყოფი. ამიტომ ახერხებენ ფორმალური აქტის „კეთილსინდისიერად“ აღსრულებას,

თორემ რეალური ნივთიერი სიმდიდრის განაწილებისას ასე მშვიდი ვერ იქნება ის, ვისაც დაკარგული დედის ძიება შეიძლება „ეძვიროს“. დანატოვარს უფრო სიმბოლური მნიშვნელობა აქვს (სჭირდებათ კი შვილებს რეალურად თავსაფარი, თუნდაც ხანჯალი, რომლებიც თითქოს ზნეობრივ ფარად დატოვა ცოლ-ქმარმა მათთვის) ერთადერთი, რაც ნამდვილად შეუფერებათ — ვერცხლის ფულია. ამდენად, შესაძლოა, ჩამონათვალის თანმიმდევრობაც არ იყოს უფუნქციო, როგორც მიმართულება და შესაძლებლობა ფაქტობრივიდან სასურველისკენ შემობრუნებისა).

ნოველად ერთ უცნაურ თვისებას ავლენს, რისთვისაც „პალინდრომის ეფექტი“ შეიძლება გვეწოდებინა პირობითად: ზოგჯერ დეტალი, რომელიც კითხვის პროცესში მხოლოდ რიგითი კომპონენტია ხატვისა და განსაკუთრებული აზარით გვამახსოვრებს თავს, გარკვეული მონაკვეთის ან ნაწარმოების დასრულების შემდეგ მოულოდნელად ამოტივტივდება ტექსტიდან ან სრულიად სხვა, საგანგებო აზრს იძენს, რაც გაიძულებს მოუბრუნდე მას.

უცნაურ განცდა აღძრავს უსიამოვნო ფერანარევი (სიტყვა „სტუმრის“ გაკეთილით — ნ. გრიგალაშვილი) მაგრამ ობიექტურად ნეიტრალური ფრაზა — „არსად იყო ზედმეტ სტუმრად“ — ორიოდე წინადადების შემდეგ, როცა, სალტომორტალეს ყაიდაზე შემოტრიალებული, უკან მიგვახედებს, რათა შეირუხებინა იქნეს ნაკითხული — ყველგან ზედმეტი სტუმარი იყო“.

შეგნებულად გაყალბებული ინფორმაცია, პოზიტიური ფორმით მონოდება ნეგატიური აზრისა (რაც მწერლის საგანგებო ჩანაფიქრია და სულ მალე საგანგებოდვე საჩინოვდება) ჩვენს გულისყურს დაბეჯითებით მიმართავს იმისკენ, როგორ უნდა ყოფილიყო, რათა შემდგომ ნათქვამით, რომლითაც შევიტყვებთ, ფაქტობრივად როგორ იყო, ხაზგასმულად გაბათილდეს წინარე ინფორმაცია და საპირისპირო შინაარსი მიეცეს მას.

მოსალოდნელსა და არსებულს შორის კონტრასტის ამგვარი (შეიძლება ითქვას, მაპროვოცირებელი) ხერხით ჩვენება უჩვეულოდ ზრდის სათქმელის ემოციურ ძალასა და ექსპრესიას.

ქვეტექსტი „თავსაფრიან დედაკაცში“ თითქმის ყველგან თეზასა და ანტითეზას ეფუძნება. ერთ მხარეს შვილები არიან, მეორე მხარეს — ყველაფერი დანარჩენი, რაც მათს ბუნებას უპირისპირდება.

ნოველის დასაწყისში არის აქსენტური, რომელსაც სოფლის კოლორიტის, დეკორატიული ფონის შექმნის დანიშნულება აქვს, ერთი მხედვით — „აბაღვლდა დანახვლავ ადგლიზე ძროხა და ხარი“. მაგრამ ნოველის დასრულების შემდეგ ვხვდებით, რაოდენ დიდია ამ უწყინარი დეტალის როლი. ის გვახედებს ღრმა ნაწარმოში, რომელიც ოთხფეხა სულიერთა ურთიერთობასა და შვილების დედისადმი დამოკიდებულებას შორის არსებობს.

„შვილები დანყნარდენ“, საქონელი — ბღავის. კითხვის დასასრულს სულ სხვაგვარად წარმოჩნდება ევიგრაფის მნიშვნელობა. იხსენება მისი კიდევ ერთი ფუნქცია (მისი ძირითადი დანიშნულება გარკვეულია ნოდარ გრიგალაშვილის დასახელებულ წიგნში და თუთი ჩივაჯაძის ნაშრომში „ევიგრაფიანი ნაწარმოებების სწავლება აკოლაში“ (სადისერტაციო შრომა 1988, იხსენება სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში). ამისთვის საჭიროა, შვილების ქცევები, ისევე მათი სიმშვიდის გათვალისწინებით გავიხსენოთ ევიგრაფში ნათქვამი:

„ახლა იქ რომ ჩავიარე, დედაკაცის უნახაობა დამაკლდა.

გამოვიკითხე და აი ძიებამ ძველ მოგონებებთან ერთად რა აღმოაჩინა“.

მწერალს დედაკაცის უნახაობა — დააკლდა, შვილებს — არ დაკლებიათ.

ავტორი, თავსაფრიანი ქალისთვის სრულიად უცხო პიროვნება, მაგრამ მოყვასი მისი, როგორც ღვთის კერძო კაცი, ეძებს და აღმოაჩენს კიდევ, რისი აღმოჩენაც შესაძლებელია, შვილები კი — იცდებიან.

მწერალმა ხომ ყველაფერი „იცი“ (უნდა „იცოდეს“) თავისი პერსონაჟის შესახებ. სწორედ ამიტომ ნოველის ფინალის თითქოს სხვათა შორის ჩართული „ჰგონი“ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს „სულ ერთითა“ გამოხატულ დამოკიდებულებას დედის მიმართ („შვილებს ქრონიკერის მენიშვნა, მგონი, არ წაუკითხავთ და არც არავის უამბენია მათთვის“).

თავსაფრიანი დედაკაცის გადასვლა მეზობლებში სულის მოხატვითა და მოყვასის კენ ინსტიტუტური ხელის განვდენა ძალანართმულისაგან, რადგან მაინც იძოვება სიკეთე და სიბრალული მიწაზე — შვილები რომ თავს იმშვიდებენ, ის წერილი ვიღაც სხვამ დაუნერა, ვიღაცისგან გაღებულ მოწყალეობით მოახერხა მისი გამოგზავნა მათთან, მანამ კი მეზობელი კითხულობს მის სახეზე აღბეჭდილ ქარიშხლის ნაკვალევს შვილების სრული სიბრძნის ფონზე, თუმცა დედას აზრადაც არ მოსვლია თავისი გულის ტკივილის გამჟღავნება ვინმესთან.

„მოკეთილი“ გადნევიტლების მიღების წინ თავსაფრიანი დედაკაცი ცოშნარევე წინჭარს უდგამს ჭუკუბეს ეს აქტი მოტორულ ჩვევად რომ მივიჩნიოთ, მაინც სიკეთის, ცოცხალი არსების მიმართ ყურადღების გამოვლენაა, ისიც როდის... რაც კვლავ და კვლავ მომაკვდინებელი მკაფიოობით უპირისპირდება შვილების სულის გამყინვარებას.

არის ნოველაში საერთო კონტექსტიდან, თხრობის ერთიანი ტონალობიდან გარკვეულნილად „ამოფარდნილი“ პასაჟი — V თავის ფინალი: „ცვარი კიდევ ეყარა. მზეს ამოენვერა. სხვის ნახათა აპკურებდა ყურს, ხეების წვერებს, ჩიტები ათასფრათ ჟღერტულობდენ.“

შავად მოსილმა ქალმა უკან კარებში გამოიჭანა ნაბადი, ეზოს მივარდნილ კუთხეში, ჩემს მახლობლათ, ბოსტანში გაშალა და ფეხშიშველა, თმაგამეველებზე დაინყო ტირილი... მოთქმა, წრფელათ, გულამოძრავი ისეთ ნახს სიტყვებს ისეთის შევნიერის ხმით ამბობდა, რომ მესრის გადმოდმა მე ავტრიდი. ტირილი ზღუქუნდა გადამეცქა... უეცრათ მე შემრცხვა. ქალი კი საჩქარო ადგა და თავის ნაბდინად სახლში მიიშალა...“

ეს დაფარული გლოვია, განსაკუთრებით რომ აღამაღლებს თავსაფრიან დედაკაცს კითხვებისა და მონადირის (თუ პოეტის) თვალში, როცა უგულწრფელესი თანაგერი ხდება კი ზედმეტი, უადგილო და მიუღებელი სხედა და, თუ ვინმე (თუნდაც უნებლო) მოწმე გამოუჩნდება ამ პროცესს, იგი მაშინვე შეწყდება, თითქოს მუწნამა უცხო თვალისგან დაიფარავ თავისი საუსჯვე. ასევე მიუღებელია ოთარანთ ქვირვისთვისაც თანამგრძობი მოყვასის თანხლება შვილის ცხედარათა მარტო დარჩენის პირველ წუთებსა თუ საათებში.

თავსაფრიან დედაკაცს თითქოს ენანება ის მშვენიერი ალიონი მარტო თავისი თვალის სამზერად...

ესთეტიკურ-ემოციური და აზრობრივი ღირებულების თვალსაზრისით, თავისთავადი პოეტურობით ეს დეტალი იმ რიგის მოვლენად გვესახება, როგორც ტარიელის თვალით აღქმული განრისხებული სილამაზე ნესტანისა ან ანდრეი ბოლკონსკის ყურით მოსმენილი ღამეული აღმფრენა ნატაშა როსტოვასი.

შემთხვევითია თუ არა მონადირის გამოყვანა ამ ეპიზოდის მონაწილად განაღობს ბუნებრივი იქნებოდა, ეთქვათ, მხარზე თოხგადებული გლეხი ექცია მწერალს პოეტური სურათის მოწმედ?

„თერთით თერთზე წერის“ ლოგიკა ამ შემთხვევაში ერთგვარ „ალიბის“ გეტავაზობს, რომლის თანახმადაც, იმ პოეტური სცენის მაცქქვალ პერსონაჟი სენტმენტალური ბუნების, გრძნობამოჭარბებულ, ზედმეტად ემოციურ არსებად არ უნდა წარმოვიდგეს, რადგან ამით გაუფასურდება თანადამოხმის აქტი. ვინ, ვინ და სწორედ მონადირე შეიძლება იყოს, ამ მხრივ უკეთესი კანდიდატურა, ვინც უცერემონიოდ, ერთგვარი აზარტიტაც ართმედა სიცოცხლეს სულიერ არსებებს. ამდენად, გულჩვილობას ვერ დავნამებთ (უფრო — პირქით, თუმცა ყოველ წესსა აქვს გამანაკლისი). გავიხსენოთ ლია სტურუასეული სანადიროდ ნასული „ოთხკუთხედი კაცები“... ასე რომ, მონადირეობა ხაზს უსვამს მისი არსების ერთგვარ „სიოუშუმს“.

ნადირობის სცენის დეტალური აღწერაც (აშკარა მინიშნება ნადირობაზე, როგორც გასართობ რიტუალზე) მონადირის ლალ, უზრუნველ, ხალისიან დამოკიდებულებას წარმოაჩენს ცხოვრების მიმართ. სხვა რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ასეთი „ერცილი“ პასაჟი, სიტყვების თითქოს დაუნანებელი

„ფლანგვა“ ამ სცენის დასახატად, როცა, როგორც წესი, სათქმელს სიტყვათა მაქსიმალური მომჭირნობით გადმოგვცემს ავტორი!

აქ ერთი დეტალიც იქცევეს ყურადღებას — „არა პოეტმა გვიამბო“, რადგან გაურკვეველი რჩება, პოეტია თუ არა მონადირე. თუ მწერალს იმის თქმა სურს, რომ იგი პოეტია, „არასთან“ სასწევნი ნიშანი უნდა იყოს, ხოლო, თუ სურს გვითხრას, რომ პოეტი არ არის, „არა პოეტმა“ ერთ სიტყვად უნდა ეწეროს (ასე ერწყმის ენობრივ-გრამატიკული საკითხი აზრისმიერს). ერთი შეხედვით, მეორე ვარაუდს უფრო მყარი საფუძველი აქვს — ხაზგასმა იმისა, რომ სურათში, რომელიც იხილა, ეს მკაცრი ბუნების, პოეზიისგან შორის მდგომი პიროვნებაც პოეტად აქცია თითქოს ანუ პოეტურის დანახვის უნარი მიჰმადლა და პოეტურად აამეტყველა, მაგრამ არც ისაა გამოირჩეული, ტექნიკური ლაფსუსი კი არა, შეგნებული არჩევანი იყოს ეს მწერლისა, რითაც ფრაზა ამბივალენტური ხდება: თუ მაქვერალი პოეტიცაა (მონადირე ხომ ყველა შემთხვევაში არის იგი), მაშინ სინამდვილის მიმართ ჭარბად ესთეტიზებული მჭერეტელითი დამოკიდებულების გამო შესაძლოა და მოსალოდნელი, რეალურად ნაკლებად განეცადა თავსაფრთხი დედაკაცის სატკივარი და სურათის სილამაზით დატყვევებულ, მოხუსხულ მაყურებლად დარჩენილიყო ბოლომდე, აღტაცებას გადაეძალა თანაღობა, მაგრამ საქმე ისაა, რომ თავსაფრთხი დედაკაცის ადამიანურმა ტყვივლმა სწორედ ჩვეულებრივი ადამიანური თანაგრძობის უძლიერესი აქტი გამოიწვია როგორც მანკიერებულ შემთხვევაში და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, მონადირე — პოეტს ან მხოლოდ მონადირეს ტირილი ზღუდუნად (ყურადღება მივაქციოთ ამ სიტყვას!) გადაუქცია. თანაღობის ხარისხისა და ბუნების, უშუალო ადამიანური თანაგანცდის საჩვენებლად მწერალმა საგანგებოდ „არავსეთურ“ პოზაში ჩააყენა პერსონაჟი, რაც შესაბამისი ლექსიკური ერთეულით გამოიხატა და ამით მიზანი მაქსიმალურად იქნა მიღწეული.

მონადირის (და თავად ფაქტის) შესახებ ბევრს გვეუბნება ის დარცხვენაც, რომელიც სამართლიანად დაეთუფლა მას.

ერთიცაა: ვის რისი რცხვენია და ვის რისი არ რცხვენია ხოლმე!

ამგვრად: მონადირე ერთიანად შეძრა ნანახმა, შვილები კი...

მათ მსგავსათა სიახლოვეს, უზუნბრძვილა, სიტყვის სიცოცხლეც ისევე უფასოდ დებოდეს, როგორც ადამიანისა.

ასე ემონებება მწერალი ილიას წერილს.

### განათლებული შვილი

ვაკის ჩიხში ნაპოვნი გარდაცვლილის შესახებ ინფორმაცია და შვილის „ბრძნული მონოლოგი“

განასრულებს მათივე ბუნების ხატვას და ნოველასაც ფაქტობრივად.

...როცა ძვირფასი არსება ხელიდან ეცვლება, გადარჩენის იოტისოდენა შანსსაც თავდაცვლით ებლაუჭება ჭირისუფალი, ყველა შესაძლებელ გზას მოსინჯავს, თავის თავს იცინყებს ამ გზაზე.

ზოგჯერ ასეთ მცდელობას შედეგი მოაქვს.

ვინც სხვაგვარად იქცევა, ჭირისუფალი არ არის.

რას აკეთებენ ასეთ დროს თავსაფრთხიანი დედაკაცის შვილები?

— თეორიულ ბაზისს „ქმნიან“ უმოქმედობის გასამართლებლად.

როგორც ითქვა, მათ ხელიც არ გაუნძრვიათ მშობლის მოსაძებნად. რაც ყველაზე ნაკლებ შრომატევადია, გასთეუბიათ არ უცდიათ ცოცხალ ან დაღუპულ დედაზე ინფორმაციის მოპოვება (ეს რომ შესაძლებელი იყო ვნახეთ). თავსაფრთხიანი დედაკაცის „განათლებული შვილი“, ასე მრავალმნიშვნელოვანად რომ წარმოგვიდგენს „მანიაკალური მდგომარეობის“ ანამნეზს, ფაქტობრივად, სანქციის აძლევს დედის სიკვდილს (გადაკარგავსთან შეგუებდა ამას ნიშნავს).

ნებისმიერ უკეთურობას თეორიული საფანელი სჭირდება და ესეც მზადაა: ავადმყოფობის სიმპტომების დასურათებით მიგვანიშნებს, თითქოს არ არსებობს გამოსავალი, რომ თავსაფრთხიანი დედაკაცები აღრე თუ გვიან მაინც გაუყვებიან გზას შეუგნებლად — ერთხელ, მეორედ... მრავალჯერ, თითქოს ავადმყოფობა ამის მიზეზი, დამნაშავე არაყინა და არც არაფერია ამაში მოულოდნელი და ტრაგიკული.

მათიხვედმა იცის, რომ სინამდვილეში ჩაღის ფასადაც არ ღირს შვილის მთელი ტირიდა თავის ქვეტექსტიანად, რადგან მტკნარი სიცრუეა კონკრეტულ ფაქტთან — თავსაფრთხიანი დედაკაცის თავგადასავლთან მიმართებით. ის, რომ მართლა არსებობენ „მხარშეცვლილი“ და „მანიაკალური მდგომარეობაში“ მყოფი ინდივიდები, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შეიძლება ერთი ადლით გაზომვა და ერთნაირად შეფასება გარეგნულად იდენტური ყველა ფაქტისა, რამდენადაც მათ მიზეზი ერთობ განსხვავებული შეიძლება ჰქონდეთ.

ამ მიზეზის ანუ თავიანთი გულცივიობის დანახვა და მისგან გამოჯენა შვილებს არ ძალუთხ, ხელს არ აძლევთ, რადგან ამას ძალისხმევა, თავის შენუსება სჭირდება, ამ უკანასკნელს კი — საფუძველი, რაც სიყვარული უნდა ყოფილიყო, მაგრამ თავსაფრთხიანი დედაკაცის შვილებისთვის ასეთი საფუძველი არ არსებობს — მათ დედა არ უყვართ, პრაქტიკულადაც არ სჭირდებათ. მათთვის მისი ფუნქცია ამოურულოა. მისადებთ უკვე მიიღეს. ახლა მხოლოდ იტანენ. ამდენად, გულის სიღრმეში მშობლის სახლში დარჩენის სანიხალმდეგო არაფერი ექნებათ მხოლოდ მანამ, სანამ მოსავლელი არ გაუხდებიათ იგი. ამის აღბათობა კი იდია. ამიტომ, თუ დედა გადაიკარგება, ბანალური, მაგრამ მეცნიერული ტერმინოლოგიით

შეზავებული, ჭეშმარიტების მანტიამი გახვეული ფუჭი მსჯელობა მოხერხებულად შენიღბავს უმოქმედობის რეალურ მიზეზს საკუთარი თავის წინაშეც კი (არავის უნდა, მკვლელობა ერქვას) და საბოლოო განაჩენიც მზად იქნება შვილივე გადამკვდარი დედისათვის.

აქ ყველაზე არსებითი ის არის, რომ ფაქტის თუნდაც მათეულ „ახსნას“ თავიანთი წილი ცის ჩამოქცევის განცდა კი არ ახლავს თავსაფრიალი დედაკაცის შვილებისთვის, არამედ ცინიზმამდე დასული განურჩევლობა.

როგორ არ გაგვახსენდეს აქ მონადირის მიერ დაუვროლი ცრემლები!

უმოქმედობაზე შემზარავი (როცა პირველი დანაშაულის ტოლფასია) მისთვის თეორიული საყრდენის შექმნაა, რადგან სხვა დანაშაულთა წინაშეობადიქვევადიან, შექმნილებისთვისაც“ არ ტოვებს ნიადავს, რესპექტაბელობის შერყევის შიშით რომ დაეუფლათ შვილებს.

ნოველის ამ ეპიზოდში საზოგადოებაც კი შეიღებულ მაღლა დგას, მეტ ყურადღებას იჩენს პიროვნების მიმართ, ვიდრე მისივე ნაშობი — დედისადმი: ინფორმაცია, რომლის შესახებ მათ არაფერი შუტყვიათ, გახვითი მიენოდა მკითხველებს.

თავად შვილის სახე მოცემულ ეპიზოდში ორპლანაინია. ერთი მხრივ, იგი თავსაფრიალი დედაკაცის შვილად აღიქმება, ხოლო, მეორე მხრივ, „ზოგადად შვილად“ ანუ კრებით სახე — ნებისმიერ „ასეთ“ მემკვიდრედ მრავალი სხვა თავსაფრიალისა, რომელთაგან, ვიციცის, რამდენი გაჰყოლიდა დედასაშვილშიც შეიძლება გაუყვეს გზას ჩვენი გმირივით ან „შინაგან ემიგრაციაში“ დარჩეს სამუდამოდ.

ქვეტექსტი აქაც იკითხება და მისი საფუძველი ფაქტის შეფასების ყალბი ვექტორია: სიტყვები, რომლებითაც სხვებს, კერძოდ, „მოსაზრებაგამოლეულ“ მოხუცებს ახასიათებს ნასწავლი შვილი, ბევრად უფრო შეფერვდა თავად მას (მცირედი კორექტივით) და უნებლიე თვითდახასიათებას შვავს. მართალია, იგი ახალგაზრდაა და, თავსაფრიალი დედაკაცისგან განსხვავებით, არც უგზოუკვლოდ მიუყვება გზას, მაგრამ ადგილზე ფეხმორთხმული და მენტორის ტონით მოსაუბრეც, საკუთარი თავით აღტაცებული (ეს იგრძნობა), თვითონვე ნააგავს „მანიკალურ მდგომარეობაში“ ჩაჯარდნილსა და „მხარშეველილს“, რადგან არც ფაქტების სწორი ინტერპრეტაცია შეუძლია და არც ზნეობრივი ორიენტირი გააჩნია — აქ მართლა აბნევიდა გზა.

მთელ ეპიზოდს გასდევს მწვეგი ირონია, რასაც ინვესი განათლებული შვილის მსჯელობის აღნიშნული მუსაბამობა ფაქტთან, რომელზედაც პროცურებულია იგი; განათლებულობა, როგორც თავსაფრიალი დედაკაცის შვილები განასახიერე-

ბენ სიტუაციის სინონიმად ქცეულა ნოველში. მწერალი ლამის მიზეზმდეგობრივ კავშირს ხედავს მათ შორის (ამ საკითხს ქვევითაც შევეხებით).

ამიტომ არიან ერთ მხარეს „განათლებული შვილები“ თავიანთი სულიერი არარაობით, მეორე მხარეს კი უბირი თავსაფრიალი დედაკაცი — ზნეობრივობით, შიგნიდან მომდინარე სინათლით.

თავსაფრიალი დედაკაცის ერთადერთი „შეცდომა“ იქნებ სწორედ ესაა — „ათასჯერ მეტი“ რომ ასწავლა მათ (საინტერესოა, რომ განათლებულ სხვა წარმომადგენელს — „სოფლის მასწავლებელსაც“ არ შეუტანია დისონანსი შვილების ცხოვრების წესში)!

კიდევ ერთი საკითხავი: რა ხარისხისა იქნება კანონიერება იქ, სადაც მის ერთ-ერთ დამცველად ასეთი პიროვნება გვევლინება („განათლებულ შვილში“, ჩვეულებრივ, სასამართლოს მოხელეს მოიაზრებენ ხოლმე)!..

ოლონდ ეს ამ ნოველის თემა არ არის.

## რატომ სამივე შვილი?.. ნოველის კონცეფცია

ზევით შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ შვილების ამგვარი ზნეობრივი სახის ფორმირებაში თავსაფრიალი დედაკაცს არ შეიძლება ედოს წილი.

მაშ რით უნდა აიხსნას, რაც მოხდა?

რატომ არიან შვილები ასე ერთიანად და ერთნაირად განძარცვულნი დედის სიყვარულისა და სიზრდაულისაგან, რატომაც აქეთ ატროფირებული შესაბამისი უნარი?

— ერთი ასეთი შვილი არ გაგვაკვირვებდა, ალბათ, მეორე ან რამდენიმე ჩვეულებრივის გვერდით.

რაც შეეხება სამს:

მცირე ბიოლოგიური ექსპურსი:

მეცნიერების ამ დარგს თანამედროვე ეტაპზე დადგენილი აქვს ტყუილების, სამუშაოების, ოთხეულებისა და ა.შ. (თურთმეტამდე — ეს პიკია) გაჩენის ალბათობა პლანეტაზე, როგორც მყარი კანონზომიერება.

ბუნებრივია ვიკითხოთ: ბიოლოგიურად ერთგვარ არსებათა მოვლინება თუ ეგზობ ჩვეულებრივი რამ არის, სულიერი ტყუილისცალკების არსებობას რაღა უნდა უშლიდეს ხელს?!

ეს სხვათა შორის, რადგან მთავარი მაინც არ არის.

მთავარ კითხვას უბრალო პასუხი აქვს — იგი მხატვრული პირობითობაა ანუ... დამწვევა იმისა, რაც ითქვა, ისევე, როგორც გულის ადგილზე ფერფლის აღმოჩენა ნიკო ლორთქიფანიძისავე საოცარ ნოველში ან საფარ-ბეგის საქციელი აკაცის „გამზრდელში“ — დანაშაულის ადგილზე ფეხმოცვლელად დორჩენა და ფსიქოლოგიურად უმოტივაციო ლოდინი მოახლოებული სიკვდილი-

სა, როცა ეს სრულებით არ სურს მას, არადა, სა-  
შიშროებას კი ხედავს. ფაქტების მიმართ ამგვარი  
„მიძალებით“ დიდ შემოქმედთან არ ირღვევა მხატ-  
ვრული სიმართლე, რომელიც ყოველთვის როდი  
ემთხვევა ცხოვრებისეულს. ამგვარი პირობითო-  
ბის ნიშნით ჩნდება ზოგჯერ არარეალისტური დე-  
ტალი რეალისტურ ნაწარმოებში, რასაც ერთად-  
ერთი მიზანი აქვს — სათქმელის მეტი სიმძაფრით  
გაცხადება.

„თავსაფრინი დედაკაცი“ ყველა ლექს-  
დამადლებულ დედასა თუ მამას გამოესარჩლა  
მწერალი; გვაიძულა, თვალი გადაგვევლო ჩვენი  
მიმართებისთვისაც მშობლებთან.

ეს თავისთავად.  
მაგრამ ნოველით, რა თქმა უნდა, მეტია ნათქ-  
ვაში.

ის, რამაც პიროვნების უჩვეულო თავგადასავ-  
ლის სახით ჩაიარა ჩვენ თვალწინ, მხოლოდ ქა-  
რთული პრობლემა არ არის. შვილების სახე (და  
არა სახეები) იმ ტოტალური კრიზისის ნატყხად  
აღიქმება, რომელიც დამოკლეს მახვილივით  
ჰკიდა კაცობრიობის თავზე. როგორც ბაბლონის  
გოდოლისა და მისი შედეგის თანამედროვე პარა-  
დიგმა, ზნეობის კონტროლიდან გამოსული გო-  
ნის აქტივობის, „ცივილიზაციის ცუდიდობის“  
(გორგი გაჩეჩილაძე) გაუთვალისწინებელი შედე-  
გი (რადგან თავად მეცნიერება, გენიალური მოაზ-  
როვნის სიტყვებით რომ ვთქვათ, „არც მხოლოდ  
კარგია და არც მხოლოდ ცუდი. იგი ისეთია, რო-  
გორცაღაც ჩვენ ვხდით მას“ — ალბერტ აინშტაინი).  
მატერიალურ პლანში ეს სახიფათოდ დარღვეუ-  
ლი ეკოლოგიური ბალანსია, ხოლო სულიერში —  
მასობრივი დემორალიზაცია, ტრადიციულად  
ფასეულობათა გაუქმება, ცვთავბრივის ნილ სა-  
ტანურის ჩანაცვლება, პიროვნების გაუცხოება  
მოყვასის სიყვარულისაგან, რომლის შესაბამის  
სულიერ მდგომარეობას „უგრძობლობის გზაზე  
შედგომას“ უწოდებს და მკვდრად ყოფნას უთან-  
ბრებს ვაჟა.

ამ კრიზისის — ჰუმანიზმის, ზნეობრიობის  
მწვალე დეფიციტის — გამოსახატავად ყველაზე  
ფექტური ფონი დედაშვილობა უნდა ყოფილიყო,  
რადგან ადამიანურ ურთიერთობათა ნაირგვარო-  
ბაში მასზე მყარი, გაუზიარავი, ხელშეუხებელი და  
დაურღვეველი რამ არ მოიპოვება.

ხოლო, თუ ეს საფუძველი ირღვევა — მაშინ სა-  
მყაროდ ინგრევა.

თავსაფრინი დედაკაცის შვილები ამ პირველ-  
სანწყისი რღვევას განასახიერებენ.

მწერალი ნინასწარმეტყველის ალღოთი  
გრძნობს საშიშროებას.

და ზარებს არისხებს — სიყვარულისგან და-  
ცლილი გულის შემზარავი სახის გამოშვლებით,  
რითაც ღია ცის ქვეშ დარჩენილ თავსაფრინებზე  
კი არ დაგვაფიქრებს მარტო, როგორც უკვე ითქ-  
ვა, არამედ მოხუცთა და მარტოხელთა ფემინებე-

ლურ თავშესაფარებს მინდობილ, ზოგ შემთხვევა-  
ში შთაბრძნავლებითა თუ ახლოლებით დახსუ-  
ძილულ „პლიაპოსან“ მარტოხელებზეც, რომელთა  
სხეულებს არ შია და არ სწყურია, მაგრამ „სულს  
არ უხარია“; უფარადლებოდ დარჩენილ მოყვასზე,  
ვინც უნდა იყოს და სადაც უნდა იყოს იგი.

რაც შეეხება „განათლებული შვილის“ მიმართ  
გამოვლენილ სარკაზმს, ამით მწერალი განათლე-  
ბულობას, როგორც ასეთს, არ ებრძვის, ცხადია,  
არამედ მის ღამის ნორმად ქცეულ მოწყვეტას ზნე-  
ობისაგან (რადგან ასეთ დროს ნარმოუდებლად  
დიდ მასშტაბს იძენს ბოროტის ქმნის და ბრალეუ-  
ლობის აცილების შესაძლებლობა), რაც ასე  
აფიქრებდა გურამიშვილსაც და რის პირველსახე-  
დაც მნივნობრები და ფარისეველი მოგველინენ  
მინდა ნერილში. ასეთების სიტყვა და საქმე სხ-  
ვადასხვაა. ამასთან, განსწავლული და ამით ჭეშ-  
მარიტების ადებტობაში (თავიანთ თავშიც ხედ-  
მეტად) დარწმუნებულნი, სინამდვილემ სხვებზე  
მეტად შორს მდგომნი მისგან, ელემენტარულსა  
და თვალწინ მდებარეს ვერ ხედავენ ზოგჯერ ან  
არ სურთ დანახვა და თვითმებურად გამოაქვთ  
ვერდიქტი პიროვნებებისთვის, ფაქტებისთვის.  
ყველაზე დიდი ტრაგედიების ინსპირატორებად  
თავად გვევლინებიან, თუმცა არასოდეს აღიარე-  
ბენ ამას. განსწავლულობა ეფექტურ იარაღად  
ადგებათ შავის თეთრად წარმოსასახავად.

თავსაფრინი დედაკაცის შვილები მათ ჰგვანან  
(რა თქმა უნდა, შედარებით შეზღუდული შესაძლე-  
ლობით). მართალია, კრიმინალთა სამყაროს არ  
განეკუთვებიან (პირდაპირ არ კლავები), მაგრამ  
უფრო საშიშური შეიძლება იყოს, რადგან ყველა  
შემთხვევაში მართებულია მაქსიმა: „ნუ გვშინით  
მტრებისა — ბოლოს და ბოლოს, მათ შეუძლიათ  
მოგკლან; ნუ გეშინითა მეგობრებისა — ბოლოს  
და ბოლოს მათ შეუძლიათ გილალატონ. გემინო-  
დეთ გულგრილთა, რამეთუ მათი ჩუმი თანხმობით  
ხდება ყოველგვარი ბოროტება ამქვეყნად“. (აკაკი  
ბაქრაძის ნიგნიდან „სჯანი“. 1972. გვ. 166).

და მაინც აბსურდის თეატრის პერსონ-  
აჟთა საქციელივით უცნაური სამივე შვილის  
განურჩევლობა დედის მიმართ, რისი საფუძველი  
და „ახსნა“ ისაა, რომ ცხოვრების ცენაჯ მოსა-  
ლოდენლზე მუცად ვესაგესება აბსურდის თეატრს  
(და თითქოს დაჰკრავს ამას ფატალური ელფერი,  
თუმცა შეგუება მაინც არ ეგების). პირობითობა  
ნოველაში ანუ თავსაფრინი დედაკაცის შვილების  
სულიერი იგივეობა იწვევს გამოუვალობის, ყო-  
ფიერების პარადოქსულობის შეგრძნებას, რასაც  
დღითი დღე უფრო და უფრო უმყარდება, სამწუხ-  
აროდ, საფუძველი და მხატვრული უტრირება არც  
სჭირდება, იმდენად მასშტაბური ხდება ადამიანთა  
დაცარიელებული, ამადლებულ ფასეულობათგან  
გაუცხოებულობა (და პატიოსნად დარჩენილთათვის  
საშიშად ქცეული) სულებით.

სამი შვილი პროცესის ყოვლისმომცველობაზე  
მიგვაინშნებს.

თავსაფრიალი დედაკაცის შვილები თავიანთი სულის სიცარიელეს მალავენ.

ალბერ კამიუს გმირი არ მალავს — მშრალად, უემოციოდ მოგვითხრობს სრულ ინდიფერენტობაზე, დედის ცხედართან მდგომს რომ დაულოდება.

შემდგომი ეტაპი ყველაფრისადმი განურჩევლობა შეიძლება იყოს, რაც ნაადრევ ფიზიკური კვდომის დასაწყისად იქცევა შესაბამისად.

ასეთი შვილების მომარტვა ეპოქის ტენდენციას. (შეიძლება გამოითქვას ფრთხილი ვარაუდი, რომ სახელდობრ სამი, როცა შვილები ცნების შინაარსის ნინააღმდეგობად არიან ქვეყნით, სამი ჯალათი ფაქტობრივად ყველა ერთნაირი არსით, როცა ერთი უდრის სამს და სამი უდრის ერთს), შესაძლოა, შემთხვევითი არ იყოს და თანაბოლას წარმოადგენდეს სულიერებისგან, ღვთაებრივობა (ყოვლადმნიდა სამების განცდილავან) დაქცევა, მის ნინააღმდეგობად გარდასახულ-შემობრუნებული დროისას, რაც ევროპულ ფილოსოფიურ ნააზრევში „ღმერთის სიკვდილის“ ეპოქად არის სახელდებული, ხოლო ქართული პოეზიის პრიზმაში ამგვარად გარდამტყდარი (ერთი კონკრეტული ნიმუშის მიხედვით): „...რომ დღეს პატარა კაცია ღმერთი, ღმერთი თანხმობას და ღმერთის უარს ყურს უგდებს მხოლოდ ათასში ერთი“ (ოთარ ჭილაძე). თავსაფრიალი დედაკაცის შვილებიც თავიანთ თავში ღმერთს კლავენ.

მწერლის აზრით, ტრავმადღის სათავეც აქაა — ამ დამორცხვაში, ადამიანის უზენაესისგან გაუცხოებაში, მის არცნობაში ანუ მისივე მცნებების იგნორირებაში. ამ კონტექსტში უნდა გავიხილოთ ლოცვა რემარკა — „ეს იყო თავსაფრიალი დედაკაცის ერთი იმეოთი სიცრუეთაგანი“. თუმცა, თავსაფრიალი დედაკაცის მთელი ცხოვრება გაბმული ლოცვაა შვილებისთვის, გარდა სახლიდან ნასვლის ნამდვილი მიზეზის დამალვისა, სიცრუეა ის, რაც, ალბათ, უნდა ეგულისხმათ შვილებს სერიოზით — რომ დედამ თავი ეკლესიას შეაფარა თითქოს („სალოცავად ნავედი“). იქნებ თავსაფრიალი დედაკაცს კიდევ სურდა ეს, მაგრამ რეალურად იმ დროს ამის საშუალება არ (ან თითქმის არ) იყო — ღმერთს ებრძოდნენ და თავსაფრიალი დედაკაციც ქუჩაშია. ამგვარად, ნოველა „რეკლუციისშემდგომ“ პერიოდს უნდა გულისხმობდეს, მოუხედავად დეტალისა — „სიმინდის მალაღი კოლო სამეცამედოთი ნაბატონართან“, რაც, შესაძლოა, მავანთა თვალის ასახვაც „საბოთადაც“ იყო ჩაფიქრებული, თუკი ამის საჭიროება განჩნდებოდა).

ტრავმადი და საკითხავი ეს არის, თორემ გამონაკლისები ყოველთვის იყვნენ (იგავური ლეგენდაც ამას გვამცნობს).

„თავსაფრიალი დედაკაცი“ და მისი მსგავსი ქმნილებები მკაფიო და ადვილად სანვდომი მიზანდასახულობით ხელს უშლის ამ ტენდენციას — „შემოლილი მსოფლიოს“ კიდევ უფრო ავსებას ფეხზე მოსარულე მკვდრებითა თუ არიბი მკვ-

ლელებით, რათა არ დაგვეკარგოს არსებობის სიხარული ანუ სიცოცხლის ერთადერთი გამართლება და დანიშნულება — სიყვარული.

სხვაგვარად ყოფნა მართლაც „მკვდრად ყოფნა“ იქნება.

მაგრამ ჩვენ ხომ „კაცნი ვეჭვიანნი...“

ნოველა მკითხველს ენბარება (რა დოზითაც ხელოვნება შეიძლება შესწავლის ამის უნარი) თავისი თავისა და ქვეყნად სიცოცხლის გადარჩენაში (თუკი, რაღა თქმა უნდა, გვსურს ეს). ოღონდ ამისთვის ნანარმოებით ტკობა არ კმარა. უკვე აღმართული ძეგლების დანახვა ძალიან ადვილია. მწერლის მიზანი მკითხველის გააქტიურებაა მესრის გაღმა-გამოღმა მიმოსახედად...

ეპიგრაფით მწერალმა გვაფიქრებინა, რომ პატარა ადამიანზე წერდა, თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო, გმირი მხოლოდ სოციალური მდგომარეობით აღმოჩნდა პატარა, მინაგანი სამყარო — დიდი, მეტიც: დიდებული. იგი მაცხოვარივით ავიდა თავის გოგოთაზე, მაგრამ დავჯიტივთა სულის ძლევაში იღვწოდა. მწერლის მისიაც მოციქულებისას დაემსგავსა შორეულად — მას მოუხდა ძეგლის აღმართვა ცხოვრების ორომტრიალში ჩაკარგული ყველა „მარადიული დედის“ სახსოვრად, თავგონის ბალახივით მომხიბვლელ, მაცოცხლებელ და განმასპეტაკებელ, სიმწვანედ რომ დაჰფენიან ყოფიერების ბილიკებს.

უკვე ნათქვამითაც ცხადი უნდა იყოს, რომ „თავსაფრიალი დედაკაცი“ ერთგანზომილებიანია ნანარმოებით არ არის.

იგი 1925 წელს დაიწერა.

მაშინ ერთი „დიდი ეპოქა“ დამთავრებული იყო ჩვენთან და ახალი — დანეჭეული (ახალგაზღვილი სისხლიანი ოცდაოთხიც).

სათქმელს, რომელსაც 1910 წელს შექმნილ შედეგში, ერთი ფრთიანი შენიშვნისა არ იყოს, კინაღამ „გულიც ამოაყოლა“ თან, იმ დროს ასე ვაცხადებულად ვერ იტყოდა მწერალი.

მაშინ არც ალევგორიის ამოცნობა გვეგოდა პაიპარად.

მაგრამ დღეს, დაწერილად არის ათეულზე მეტი წლის შემდეგ, ძნელი დან შვილი დავინახოთ მთავარი ქვეტექსტი — სწორედ შვილების, დაბალი ინტელექტისა თუ ყველაზე უფრო განათლებულთა და თან ყველაზე უფრო ტუტუცთა“ სანქციით შუბლში დაჭრისა, ხოლო შემდეგ ასე ურცხვად გამეტუტულ-გაყიფული და ჯვარცმული საქართველო, მათგანვე „მომუშაებელი“ იდეოლოგიით აბსურდს დამგვანებულ, სარეგენგაბატონებულ დროში. (დრო და სინამდვილე, რომელიც ნიკოლორთიფიანძქვსაც „წამოენია“, ირაციონალური, გაუგებარი და შიშისმომგვრელი იყო მისებრი სულიერი წყობის პიროვნებისთვის. ამ სინამდვილეში ილიას ჩინაფრებული ტყვიანი იცილებდნენ, მის სახელს ლავში ათრევდნენ, ვაჟა-ფშაველას მკვლ-





გაცხადებულად კლავდნენ და გენეტიკით ქართველთა ერთი ნუცბა მზად იყო, დიდი პოეტისთვისაც იგივე მიუზღო, უკვე გარდაცვლილი რომ არ ყოფილიყო ლუკა რაზნიკაშვილი.

ადვილი წარმოსადგენია, რად ფასობდა მაშინ რიგითი ადამიანის სიცოცხლე, მით უფრო — ცნობიერებით ქართველისა.

საზოგადოების ერთი ნაწილი, თუ უშუალოდ არ მოზანდილობდა, მშვიდად შესცქეროდა ამას...

პატოსანი განსჯისათვის, ცხადია, ვინებით საწვდომის ჩარჩოში ვერ თავსდებოდა ეს მოვლენები, ეს სიმშვიდე.

ნოველის შესაქმნელად მწერლის აღმძვრელი იმპულსის ძიებას ამ სინამდვილესთან მიყვავართ (ამ მხრივ, ნიკო ლორთქიფანიძის ცხოვრების გზა და შემოქმედების ძირითადი ასპექტებიც ბევრისმთქმელია).

„თავსაფრიანი დედაკაცი“ უმძაფრესი, ოღონდ შენიღბული და ირონიული პროტესტია ამგვარი რეალობის მიმართ. იგი, ძირითადად, ერთი კონკრეტული — სამშობლოსა და სიკეთისადმი მიმართების — ასპექტით წარმოჩენილი მიკრომოდელია იმეამინდელი ანწყოსი და ეპოქის დაახლოებით ისეთივე (ოღონდ ალეგორიულ საბურველში გახვეულ) სარკედ ჩაფიქრებული, როგორც ილიას „კაცია-ადამიანი!“

თავსაფრიანი დედაკაცი და განათლებული შვილები პირობითად განასახიერებენ ორად (თუ მეტად) გახლეჩილ საქართველოს (სადაც რეალურად თითოეულ მხარეს მრავლად იყვნენ ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები). შვილები მესამე კატეგორიას — განურჩეველთა კასტასაც ითავსებენ თავის თავში.

მათი ქცევა იმგვარადვე მოულოდნელი და გაუგებარია მკითხველისთვის, როგორც თავად მწერლისთვის იყო შესაბამისი დრო — ცნებათა „განჯგონებით“, სიყალბის ზეობით, სიცოცხლის გაუფასურებით, აპოკალიფსურ-ეგზისტენციალური ელფერით, სამშობლოს იგნორირების ფაქტობრივი იდეოლოგიით, რაც დედის იგნორირების აქტით განსახიფტდა.

ბუნებრივია, ნოველაში შვილები უფრო სახესიმბოლოებად არიან წარმოდგენილნი, ვიდრე რეალისტური შტრიხებით ნაძერწ ცოცხალ პერსონაჟებად. ეს მწერლის შეგნებული არჩევანია, შესაძლოა იმიტომაც, რომ (ვიმეორებთ) მისთვისაც, ერთგვარად, აუხსენელია ის მექანიზმი, ნებაყოფლობითის მამოქუცბება და ჯალათების ან ტოტალურად გულგრილ ინდივიდებს რომ წარმოშობს ბუნებაში, საკუთარი ფესვების, ეროვნული ცნობიერებისა და არამორჩენილითი ჰუმანიზმისაგან ასე განდრეკილი, რასაც, სამწუხაროდ, გადამდები ძალაც დაჰყვება თურმე.


ნათქვამიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ნონსენსია შვილების საქციელის ახსნა თითქოსდა დედის მიერ აღზრდაში დამწვებული რაღაც შეცდომით — მწერლის ჩანაფიქრი სულ სხვაა.

ნოველა ყოფიერებასა და აზროვნებაში ალთ-გისმის, აბსურდისა და პარადოქსის გაბატონების ნინაღღმდეგ მიმართული ქმნილებაცაა, რა კონკრეტული შინაარსითა და ფორმითაც უნდა ვლინდებოდეს თითოეული. თავისთავად, ეს მოვლენა, კაცობრიული ცხოვრების ზოგადი კონტექსტთან სრულიადაც არ არის ამოვარდნილი. აქედან — ნოველის არალთკალურ, მარადიულ პრობლემატიკაზე ორიენტირებული არსი.

„თავსაფრიანი დედაკაცის“ მინიატურულ ჩარჩოში „იყიდება საქართველოს“ ავტორმა შეფარვით, მაგრამ ზედმიწევნითი სიცხადით წარმოგვიდგინა, როგორ ესახებოდა ყოველივე ის, რასაც თავის გარშემო ხედავდა — ადამიანთა მიმართებანი საგნებთან და მოვლენებთან, ქვეყნის თავგადასავალი, მისი ტრაგიკული ყოფის ანარეკლი მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც კეთილისა და ბოროტის მარადიული დაპირისპირების კიდევ ერთი პარადიგმა).

ალეგორიის ამოსაცნობი დამატებითი „კოდიც“ დაგვიტოვა მწერალმა — ფრაზეოლოგიურ დონეზე თანხვედნილი ორი საგულისხმო ურთიერთგადაძახილი:

„რას იტყვიან, მოხუც დედას ვერ მოუარესო?!“  
და  
„მოუარეთ საქართველოს!“



## თამარ ბლიაძე

### ტერენტი გრანელის ლირიკული ავტობიოგრაფიკი

მე-20 საუკუნის ქართულ პოეზიაში იშვიათია პოეტი, რომლის შემოქმედებითი სილუეტი ისე მყარი და ერთსახოვანი იყოს, როგორც ტერენტი გრანელის ლირიკული პორტრეტი.

ტერენტი გრანელისთვის თითქმის უცხოა განწყობილების ნამდიაუნუმი ცვალებადობა. შემოქმედებითი ორსახოვნება, ასე ხაზგასმით რომ ახასიათებს მისი დროის ზოგიერთი პოეტის შემოქმედებას; მითუმეტეს, შეუძლებელია ლაპარაკი ტერენტი გრანელის შემოქმედების ორ პერიოდზე. პოეტმა სამწერლო მოღვაწეობის ორი ათეული წლის განმავლობაში იუველირის სიფაქიზით და გრაფიკული სიზუსტით რანდა თავისი პოეტური ავტობიოგრაფიკი. ამ სურათში მუქი ფერები და მელანქოლიური შავი შტრიხები სჭარბობს. მრუმე ნისლი დასწლავლია სტრიქონებს შორის მდგარ წელში მოხრილ კაფანდარა ლანდს პოეტისას. ეს ლანდი თითქოსდა არამინიერი, სფინქსივით შეუცნობელი და მწუხარებით დასეტყვილი. აბიტომაც უნოდა ერთ-ერთ ავტობიოგრაფიკს „უცნობი ლანდი“.

*ცხოვრობდა იგი მთრთოლვარე, ცივი და ბედისაგან შეწუხებული, თითქოს საეჭვო ქურდი კაცივით უყვარდა ლამის შავი ხვეული. ის დადიოდა — უცნობი სფინქსი და გაცეხებით უმზერდა სანთელს ის დადიოდა — უცნობი სფინქსი და მწუხარების სნეული ლანდი.*

„მწუხარების სნეული ლანდი“ თვითონ პოეტია და მისი დამოკიდებულება სინამდვილესთან — განსაცვიფრებლად უიმედო და მელანქოლიური. საოცარია პოეტური მეტამორფოზა მუხათა მსახურისა, თითქოსდა, ერთ დროში, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ გარემოში უხდებოდათ ცხოვრება ტერენტი გრანელს, გალაკტიონ ტაბიძეს, ალექსანდრე აბაშელს, გიორგი ლეონიძეს და, თუ გნებავთ, ალიო მირცხულავასა და გიორგი ქუჩიშვილსაც.

რა უმწეო და დაღვრემილია ტერენტი გრანელის ლირიკული გმირი. მასთან შედარებით როგორი მასშტაბური, მაძიებელი და ცვალებადობის



მუხტს დამორჩილებულია გალაკტიონის პოეტურ-რი ორეული.

რა პუბლიცისტური და ერთსახოვანი ანექსანდრე აბაშელის პოეტური ლანიდ და რა მაჟორული, ლიტერატურული კანტანტის ხმაზე მროკავი და შემტეგია ალიო მირცხულავას პოეტური იერსახე. საოცარია, რატომ ხდება ასე? საქართველო ხომ იმ დროს ყველა შემოქმედისთვის თითქმის ერთნაირი, ჯერ დამოუკიდებლობის ეფორიაში მყოფი და მერე წითელი ურჩხულის ფეხქვეშ გართხმულია. თბილისი ხომ ყველასთვის ერთნაირად თბილისობდა — ძველი და ახალი, ქალაქური შრო-ლაზათით და გოლოვინსკზე მოსეირნე კონოლაქუდიანი კავალერისტი ბოლშევიკებით.

რატომ იწვევდა ჭეშმარიტი პოეტის ფსიქიკაში ერთი და იგივე სურათი ერთ შემთხვევაში კუბოსი და ცრემლის განწყობილებას, მეორე შემთხვევაში კი — დაფა-ზურნისა და სოციალისტური მშენებლობის ვაკანაალიას?

ემოქა, რომელშიც ტერენტი გრანელი ცხოვრობს, პოეტისთვის მხოლოდ სიზმარსა და ცხადს შორის უმინრო კითხვის ნიშნებით სავსე ცრემლიანი არსებობაა:

*ისევ საშინელ დღეებს განვიცდი,  
წინ მიდევს წივნი, სისხლით ნაფერი,  
ვლონდები, ვდარდობ, თუმცა არ ვიცი  
რის ნიშანია ეს ყველაფერი.  
სული ამაღლდა, გული იღვრა,  
თითქოს საკუთარ ცხედარს დავცქერი,  
არ ვიცი, მართლა სინამდვილას,  
თუ სიზმარია ეს ყველაფერი.  
(„ღღეს გუშინდელი ფიქრი დავშალე“)*

რა შთაბეჭქდავი პოეტური სახეა: „თითქოს საკუთარ ცხედარს დავცქერი“, და თანაც რა უბრალოდ, ლაპიდარულად თქმული.

ტერენტი გრანელის პოეტური სილუეტი. არ არის სტატიკური. იგი მოძრავია და, თუ გნებავთ, მაძიებელიც, მაგრამ თავის არსებობა ფილოსოფიური ჩაღრმავება მას მხოლოდ ცისფერ საღამოებაში და ლამის ჩრდილებამდე მიიყვანს:

*ახლა საღამო ხომ ცისფერია,  
(სადღაც ქარები მთზე ტიროდნენ),  
მე დასვენება არ მინერია,  
ყოველთვის მინდა, რომ მივიდიოდე.  
სული დაფარეს ღამის ჩრდილებმა,  
ახლა ცხოვრება სხვა ნაპარლია,  
თუ ვტოვებ ვიყის შთაბეჭქილებას,  
დაო, ეს მხოლოდ გრძნობის პრაღია.  
მე ახლა ისევ დარდით ვივსებო,  
მოვიფარ ნელა და საღამოა,  
მე დასვენებას ვერ ველირსები,  
სანამ სიკვდილი ჩემთან არ მოვა.  
(„ახლა საღამო ხომ ცისფერია“)*

ცნობილია ტერენტი გრანელის დამოკიდებულება გალაკტიონთან. როგორც რ. მიშველაძე წერს, „გალაკტიონთან განსაკუთრებულ სულაერ ნათესაობას გრძნობდა. საათობით შეეძლო ელაპარაკა „მერის“ ავტორის პოეზიაზე. საოცარი სინაზით ასხენებს დღიურებში გალაკტიონთან ყოველ შეხვედრას. და მაინც, იყო რაღაც ქვეშევნეული ქიშპობა მის გარინდებაში, როცა გალაკტიონს თავის პოეტურ ფრთებს ატოლებდა:

*გალაკტიონში არის დემონი  
და ჩემში უფრო ანგელოზია.  
(„მე და გალაკტიონი“)*

ტერენტი გრანელი თვითონვე გრძნობს, რომ მისი დამოკიდებულება ცხოვრებასთან არა-ამქვეყნიურია; თითქოსდა უცნობი სევდის ღლანეტიდან ჩამოსულა პოეტი და ჩვენს შორის დააბიჯებს. გალაკტიონში, ტერენტი გრანელის ფიქრით, მიწიერი სჭარბობს. ამიტომაც არის იგი ასე გამძლე და სიცოცხლისუნარიანი („გალაკტიონში მინა ანათებს და ჩემში უფრო ზეცის სხვივა“).

თავისი და გალაკტიონის პოეტურ იერსახეთა შედარებისას სევდის პოეტი გალაკტიონში საყოველთაო ლურჯ ფერს პოულობს, რითაც „ლურჯა ცხენების“ ავტორი ასე ახლო ამ ქვეყანასთან, საკუთარი თავი კი უფსკრულის პირას დაულანდავს: „გალაკტიონში ლურჯი ფერია და ჩემს ლექსიდან მოჩანს უფსკრული“.

ორი დიდი პოეტის ლირიკული სილუეტის შედარებისას ტერენტი გრანელის დასკვნა იდუმალი და კატეგორიულია:

*აჲდ ვიყავი, ნუხელ ვკვებობდი,  
ახლა მივინებს, ალბათ, ზოზია,  
გალაკტიონში არის დემონი  
და ჩემში უფრო ანგელოზია.  
(„მე და გალაკტიონი“)*

გარდა იმ პოეტური ავტოპორტრეტისა, როდესაც პოეტი თავის თავს სასაფლაოს თანამდეგ მნუხარე სულად, სასაფლაოს მკვიდრად წარმოიდგენს, ტერენტი გრანელის პოეზიაში „გრანელურ“ ავტოპორტრეტს კიდევ ორი ხაზგასმული შტრიხი ავსებს. ერთი პოეტი-პატიმარია, ციხის ვისოსებს მომდგარი ლირიკული გმირი, ხოლო მეორე შტრიხი აშკარად ნასაზრდოებია პოეტის ავადმყოფური ხილვებით და განსაკუთრებით იმ პერიოდს ეკუთვნის, როდესაც ტერენტი გრანელის გონება დროდადრო დაინისლებოდა და მის სუსტ ნერვებს ჰალუცინაციური, აშკარად ნერვული წარმოდგენები ეწვეოდნენ ხოლმე.

ტერენტი გრანელი თავისი ბოჰემური ცხოვრების და უფრო ბოლშევიკების საქართველოსთან აშკარად გამოხატული პროტესტის გამო რამდენ-

ჯერმე მოხვდა ციხეში. ცნობილია, რომ მისთვის შეითთხნილი სულით ავადმყოფის პირადი ისტორიის გაცნობის შემდეგ ტერენტი გრანელს ციხეში დიდხანს არ აჩერებდნენ. ყველაზე დიდხანს მან ორი თვე დაჰყო საპატიმროში, მაგრამ პატიმრობის ეს პერიოდიც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ციხეს მის ფაქიზ სულზე თავისი ტლანქი დანაშრევები დაეტოვებინა. ფრაგმენტი ციხის ლირიკული დღიურიდან:

*მზე დაემსგავსა გუშინ ობობას  
და გული მოკლეს ღამის ჩრდილებმა,  
თუ იცით ჩემი ავადმყოფობა?  
თუ იცით ჩემი დაპატიმრება?  
და ნუხელ თვლი ისევ ტირილდა.  
და ახლა ფიქრი ნელა ირხევა;  
ეს ციხე ჩემთვის რა საჭიროა,  
როდესაც მინა ჩემთვის ციხეა.  
მიყვები სადაც ფიქრების შრიალს,  
ძვირფასო დებო! მე ვიტანჯები,  
არ ვიცი, რა ვქნა, მე ციხეში ვარ,  
ირვლევი მარტყია რკინის ფანჯრები.  
(„ჩემს დებს“)*

ისედაც წამებად მიაჩნდა ტერენტი გრანელს ცხოვრება, ისედაც იტანჯებოდა მისი სული რეალობის მტკივნეული მარწუხებით და ორმაგი სასჯელი იყო მისთვის, თბილისს რომ ძალით მოაშორეს და დიდი საპატიმროდან მცირე საპატიმროში განაწმენეს:

*და ვფიქრობ ასე განმარტოებით  
და ვუცდი ისევ სხვა საოცრებას  
და მომამორეს თბილისის დროებით,  
თბილისი გახდა ჩემთვის ოცნება.  
ისევ ღამეა, ცა ელავს შავად  
და ჩემს წამებას ბოლო არ უჩანს,  
მგონი, ციხიდან ორ დღეში გავალ  
და ისევ დამლღის თბილისის ქუჩა  
(„მოვიდა ღამე ასე აშკარა“)*

ისევ ციხის პოეტური გრადაცია:

*ყოველი წამი ბოლოს მიმატებს  
და სოველია ციხის ფანჯრები,  
დიდი ხანია, რაც დავიბადე,  
დიდი ხანია, რაც ვიტანჯები.  
(„დატანჯულია მართლა პოეტი“)*

სად შეიძლება, რეალური ციხიდან გამოსული მარტოსული პოეტი სატუსაღოს კედლებიდან სხვა ვითარებაში აღმოჩნდეს? მისთვის უცხოა უნაპირო თავისუფლების ეიფორია. იგი კვლავ თავის წისქვილებთან არის, კვლავ საყდარშია დაუსრულებელი დარღებით გულში:

*ისევ ელვარებს დარღები გულში  
და ზამთარია და ასე ცივა,  
მე გამოვედი ციხიდან გუშინ  
და ახლა ისევ საყდარში ვზივარ.  
ისევ ელვარებს დარღები გულში,  
თან უფსკრულია, თან ასე მსურს მე,  
მე გამოვედი ციხიდან გუშინ  
და ახლა ისევ გალობას უწმენ.  
(„ისევ ელვარებს დარღები გულში“)*

გადიოდა წლები და პოეტს უფრო და უფრო იპყრობდა ფიქრი ნუთისოფლის ამაოებაზე. მან თვითონვე თქვა უარი დამლელი ცხოვრების ყოველდღიურობაზე და თავისი ნებით გადასახლდა მისტურ სამყაროში, საიდანაც უკან დაბრუნება უადრესად ძნელი იყო და, შეიძლება ითქვას, არც უცდია. ლექსებში თანდათანობით მატულობს იმგვარი პოეტური სახეები, საიდანაც ერთი ნაბიჯია კომპარულ მოჩვენებებამდე და ავადმყოფურ პალუცინაციებამდე. ნერვების უკიდურესობამდე დაჭიმვისა და სასონარკვეთის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, მის თანამედროვეთაგან ტერენტი გრანელის ვერშეცნობის და პოეტის ყურამდე მისული ბინძური ჭორების მწარე სინამდვილე:

*ახლა იქნებ ჭორებიც მომედება ტალახად,  
მე ხომ გეღმა გამოიყა, თანაც მტანჯავს ციება.  
ახლა ჩემში ძნელია გენიოსის დანახვა,  
ახლა ჩემი გაკილეა ყველას ეპატეობა.  
თუმცა თვალებს ცეცხლიანს არ ეტყობათ დალაღვა,  
ვიცი, გაფთვარებული ვავარ შემოღამებას.  
ნიჭმა ვეღარ მიშველა, როგორც ზეცამ მაღალმა, —  
არ თავდება ვარამი და იობის წამება.  
(„დაბრუნება სოფელში“)*

არამარტო მისი დრო ქცეულა პოეტისათვის ჯოჯოხეთად, იგი ვერც მომავალში პოულობს რაიმე საიმედოს:

*ჩემს წყეულ სახელს შეაჩვენებს ავი ლანდები,  
ოქროს ვარდებში დამანეება გულზე ამარტი.  
ისევ ბურუსით შეიმოსა რკინის დაღმართი,  
კუდიანებმა დამატყვევა მაცდურ ფანდებით.  
(„სონეტი“)*

მორჩა, სინამდვილესთან შეგუების გზების ძიება დამთავრდა. მიუსაფარი პოეტი შველას აღარსაიდან ელის და ეჩვენება, რომ ირვლევი მხოლოდ მკვლევებია და გამცემლები:

*ვერ ვავარღვიე ბოროტების შავი რკალები,  
მუდამ თან დამიდევს მე უსაზღვრო მონწილეობა.  
მოვა სლამო და ოცნებით დაიდობლები,*

სულს უხარია თითოი ლამე და უძილობა.  
ჩემი ცხოვრება უცნაური ქრება ცრემლებით,  
არავინ არ მყავს, არსაიდან შევლას არ ველი.  
ო, ჩემს გარშემო მკვლევლებია და გამცემლები,  
უფალი იყოს ამ ქალაქში ჩემი მფარველი.  
(„ვედრება უფალთან“)

უძილო ლამეებს მოჩვენებათა იდუმალი შრი-  
ალოც ერთვის:

ჩემი ნამება უკვე ნახულია,  
ნამება სპეტაკი და მუღამ ნამდილი.  
თავზე სიჩუმის ფარდა მახურია  
და რალაც ირხევა კუთხესთან ლანდივით.  
ისევ მიწყნარდნენ მალა სართულები,  
ქარმა შუალამეს ღონე შეალია,  
დავიწყე ფიქრი სხვა მიმართულებით  
და ოთახის კართან რალაც შრიალია.  
(„უძილო ლამეებიდან“)

ნახევრად შეშლილი პოეტის ძილ-ღვიძილში  
ბურუსიდან ძვირფას მიცვალებულთა აჩრდილები  
გამოდინა:

თითქოს ნისლია, არაფერს ვხედავ  
და თითქოს მქონდა შავი ნილაბი.  
და მიცვალებულს ვხედავ მე დედას  
და შეკითხება, შენ სად იყავი!  
იყო და ვაჰქრა შავი ნილაბი;  
ჩამონვა ნისლი, არაფერს ვხედავ.  
მას ვუპასუხე — მე სად ვიყავი  
და სადაც ნელა მივყავარ დედას.  
(„სიზმარი“)

მოჩვენებათა გამა ტერენტი გრანელის დღი-  
ურბშიც გაკრთება: „მივდივარ ნათელულის სად-  
გურში... ჯიბგირები თამაშობენ კამათელს და  
მუხლზე ირტყამენ ხელებს. მაგათ აქეთ დანა. მე  
ძლიერ მემშინია დანის... („5 აპრილი“).

ოთრიოდე კვირის შემდეგ ავადმყოფური ჰალუ-  
ცინაცია უფრო კონკრეტული ხდება: „დილით მი-  
ვიდივარ კუქიის სასაფლაოზე, ვნახულობ კლაედა  
ზელისსკაიას მიტოვებულ საფლავს. შევდივარ  
ისევ გერმანელების სასაფლაოზე, შესვლისთანავე  
გამომეკიდა ყვავი და მომდევს უკან. მე მემშინია,  
არ მიკბინოს. („17 აპრილი“).


ეპოქის სულისშემძვრელი ტრავმებით და  
პირადი უბედობით დაღლილი პოეტისთვის არც  
დევნის მანის მსგავსი განცდებია უცხო:

მე ვნუხვარ, ეს დრო გავიდა ტანჯვით,  
ქარისგან ტოტი ირხევა სადაც.  
მე მომელანდა კაცო ჩემს ფანჯრით  
და ვილაც კაცი კარებთან დადგა.  
ეს გულწრფელობა არ ნიშნავს ნილაბს,

ჩემთვის ერთია გული და ლექსი.  
ვნევარ და თითქოს მეძახის ვილაც,  
ვნევარ და კარის კაკუნი მესმის.  
(„ლამეა, მივდევ საკუთარ ილაბს“)

ბოლოს ისე, როგორც არაერთგზის ალუნიშ-  
ნათ, ტერენტი გრანელზე დანერლი მშვენიერი  
ნიგნების ავტორებს (ლ. ალიმონაკი, გ. ცქიტოშვი-  
ლი, ე. უბილავა, რ. მიშველაძე...), ტერენტი გრანე-  
ლის გაშიშვლებული ნერვები გიზგიზა შინაგანმა  
ცეცხლმა და ეული კაცის ბედ-ილაბმა (როდე-  
საც ასე იგვიანებდა დიდი პოეტისთვის ესოდენ  
აუცილებელი ყურადღება და მეგობართა მიერ  
გამონვდილი ხელი) სამუდამოდ გადასწვა და  
დააუძლურა:

სიცოცხლე ქრება, მე რალაც მშველის,  
ესელში გავები, როგორც ობობა.  
მე ახლა ვნევარ და სიკვდილს ველი,  
ეს ისევ კამოს სავადმყოფოა.  
აეად ვარ, თუმცა სიცხე კლებულობს,  
თქვენც დაილაღეთ, ჩემო მკლავებო,  
მშვიდობით, მთვარე, გაყვითლებული,  
მშვიდობით, ზეცავ და ვარსკვლავებო.  
(„ასე თავდება ჩემი ცხოვრება“)



## კურამ ყორანაშვილი

### დიდი მეცნიერი და საბჭოური ტოტალიტარიზმი

(ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების მაგალითზე)

ივანე ჯავახიშვილის პიროვნების, ცხოვრების გზისა და შემოქმედების თაობაზე ბევრი რამ დანერილა, მაგრამ დიდი პიროვნების წინაშე მაინც ვალში ვრჩებით. მით უფრო, რომ საჭიროა აღნიშნული თემატიკის გაშუქება ახლებური მეცნიერული, საისტორიო აზროვნებით. ამიტომ მისასალმებელია, რომ გასულ წელს ისტორიკოსებმა ვახტანგ გურულმა და მერაბ ვაჩნაძემ გამოცეცეს დიდი მოცულობის კრებული „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე“ (გამომცემლობა „არტანუჯი“) შესავალი წერილითა და კომენტარებითურთ.

უპირველესად, აღსანიშნავია კრებულის ნაწილი, რომელიც ეხება კონდრატიევშჩინას საქართველოში. აქ მოთავსებულია დოკუმენტები და მასალები „დისკუსიისა“, 1930 წლის 13-17 დეკემბერს რომ გაიმართა საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ეს იყო დაბოლოებული უნივერსიტეტის ერთ-ერთი განყოფილება). კარგია, რომ მოტანილ მასალას ამიერიდან მკითხველთა უფრო ფართო წრე გაეცნობა და მისი მეშვეობით შეექმნება სათანადო წარმოდგენა საბჭოური ტოტალიტარიზმის ავტორიტეტის ხასიათზე, ძველ, ნამდვილ, პატრიოტულ ინტელიგენციას რომ დაატყდა თავს. ამ „დისკუსიის“ დროს მთავარ სამიზნედ, რასაკვირველია, ივანე ჯავახიშვილი რჩებოდა, რაც სულაც არ არის გასაკვირი: ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, განსაკუთრებით, მისმა რადიკალურმა ფრთამ — ბოლშევიკებმა, ხომ თავის დროზე იმსხვერპლეს უდიდესი ქართველი ილია, მაშ, რატომ მოერიდებოდა გამარჯვებული, მყარად დამკვიდრებული რეჟიმი შესაბამისი პერი-

ოდის დიდ ქართველს?

მაგრამ კონდრატიევშჩინის დამოზარაზებული დაწყებას საქართველოში უფრო ადრე ჰქონდა ადგილი. იგი, თითქოსდა „დისკუსიის“ სახით, მოენცო 1930 წლის 30 ნოემბერს საფინანსო-კოოპერატიულ ინსტიტუტში. მთავარი მომხსენებელი იყო დანესებულების დირექტორი ალექსანდრე ერქომანიშვილი. გამოსვლები მოხსენების ორგვლივ გრძელდებოდა მომდევნო დღეების განმავლობაში, ყოველივე ეს კი აისახა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ნომრებში. კრებულის შემდგენლებს არ გამოჰპარვიათ ეს გამოხვედრები, მაგრამ ისინი მოუთავსებიათ კრებულის დანართში. ჩვენი შეხედულებით კი მათი მოთავსება უპირიანი იქნებოდა ძირითად ტექსტში და თანაც თავში.

მაგრამ ივანე ჯავახიშვილს ოდენ აღნიშნული „დისკუსიები“ არ აკმარეს და მის იდეურ-პოლიტიკურ ჩანისხლვას შემდგომშიც არაერთგზის ჰქონდა ადგილი. განსაკუთრებული მძინვარებით გამოირჩეოდა აღდგენილ უნივერსიტეტში რექტორ კარლო ორაგველიძის მოხსენება და მის გარშემო გამართული „კამათი“ (1936 წლის 23, 26, 28, 31 მარტს და 2 აპრილს). რაც იმ დღეებში ხდებოდა, მას კარგად ესადაგება სიტყვები: „უმეცრების (აგრესიული) ზეიმი“, „უგუნურების ბაკქანალია“. კითხულობ მსგავს გამოსვლებს და გიკვირს: როგორ გახდა შესაძლებელი მსგავსი რამ მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში? ამ მასალის გამოქვეყნებითაც მკითხველები ბევრ ჭკუისსასწავლს შეიტყობენ.

საერთოდ, კრებულში მოთავსებული ვებერ-თელა დანართი ნაკლებად ეხება კრებულის ძირით-

თად თემას. მაგალითად, რა კავშირი აქვს ძირითად თემასთან ივანე ჯავახიშვილის 34 კერძო წერილს, მიმართულს პროფ. ვარლამ დინდუასადმი თანდაართული — კომენტარებითურთ (უკანასკნელის მიერ), ანდა ნაწყვეტის მოტიანას ლავრენტი ბერიას ცნობილი პლაგიატიდან, მასზე „პრავდაში“ გამოქვეყნებულ გამოხმაურებას? და ა.შ. ვფიქრობთ, მსგავსი მასალის გამოქვეყნებლობით კრებული არავფის ნააგებდა.

კრებულიდან ისე ჩანს, თითქოს მოქმედების „მთავარი გმირი“ რექტორი კარლო ორაგველი იმე მთლად დამოუკიდებლად მოქმედებდა, მაგრამ საბჭოური ტოტალიტარიზმის პირობებში ეს ნაკლებსავარაუდოა. მოხსენებელმა მკაცრად გააკრიტიკა ფილიპე მახარაძისული ეროვნული ინოვაციები (იხ. გვ. 124-126), კერძოდ, მისი უაზრო შეხედულებანი რუსთაველზე (გვ. 124). როცა უახლეს პერიოდზე ჩერდებოდა, მომხსენებელი აღნიშნავდა: „ის ისტორიკოსები, რომლებიც ამ საკითხებზე წერდნენ, იძლეოდნენ არა ნამდვილს, არამედ ფალსიფიცირებულ ისტორიას“ (გვ. 126). ამ სიტყვებით კი, უპირველესად, რა თქმა უნდა, კელაღ და კელაღ ფილიპე მახარაძე იგულისხმებოდა. სამაგიეროდ, კარლო ორაგველიძის ცაში აპყავდა ლავრენტი ბერიას იმხანად დიდად გახმაურებული პლაგიატი. იგი დიდი რიხით დასძინდა: „ამხ. ლავრენტი ბერიამ თავის ისტორიულ მოხსენებაში (1935 წელს, გ.ყ.) მოგვცა უნდ ბრწყინვალე მაგალითი იმისა, თუ როგორ ჩვენ იქნას დაყენებული ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე ჩვენი პარტიული ორგანიზაციებისა და ხალხის ისტორიის შესწავლის საქმე... საქართველოს ისტორიის ფონტზე მომუშავე მეცნიერული!) მუშაკები ვადრებულნი არიან გააკეთონ სათანადო დასკვნები ამხანაგ ლავრენტ ბერიას მოხსენებიდან თავის შემდგომი მუშაობისათვის. პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი ისტორიკოსები და ჩვენი საამაყო საბჭოთა ახალგაზრდობის რიგებისაგან გამოსული მზარდი ახალი კადრები, ჩვენი პარტიის და დიდი სტალინის მიითთებების საფუძველზე, ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით, გამარჯვების მტკიცე რწმენით გამსჭვალულნი, მუწენ-ლებელი პრძოლვენ შესდლებენ საქართველოს ისტორიის მეცნიერების მწვერვალების დაუფლებას“ (გვ. 172).

სწორად გვესახება მკვლევარ დურმიშხან ცინცაძის მიხედვრა: „ლ. ბერიას ავტორობით მოვლენილი ნაშრომი არა მარტო დ. მახარაძეს, არამედ ყველა ქართველ ისტორიკოსს ავალბდა წარსულის გადაფასებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან დაშვებული იქნა კიდევ დიფექტივა ისტორიის ფონტზე დისკუსიების ჩატარების შესახებ“; „ლ. ბერიამ თბილისის უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს კ. ორაგველიძეს დაავალა მოეწყო ლაშქრობა ქართული ისტორიო-

გრაფიის და მისი მესვეურის ივანე ჯავახიშვილის დასარბევად“ (იხ. „სახალხო განათლება“, 1989, №27). დიდად სამწუხაროდ, ვახტანგ გურულსა და მერაბ ვაჩნაძეს მხედველობიდან გამორჩათ აღნიშნული ვარემობა.

ასევე დიდად სამწუხაროდ, კრებულის მიმართ მრავალი შენიშვნის გამოთქმა შეიძლება. დავიცნებთ შემდეგებს.

„დისკუსიაში“ მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა — ერთ დროს ივანე ჯავახიშვილის საყვარელმა მოწაფეებმა. საკითხავია თუ როგორ გაართვეს მათ თავი უმძიმეს სიტუაციას. თუ ცოტათი პროფესორებს: ნოდარ ლომოურს, ედიშერ ხოშტარია-ბროსესა და სხვებს დავუჯერებთ, — ბრწყინვალედ: მათ თითქოს დაიცვეს მასწავლებელი და თანაც ისე, რომ მონაწილედგეგმბა ამის თაობაზე ვერაფერი ვერ გაიგეს. საუბედუროდ, უკანასკნელი სულაც არ იყვნენ ქართული ზღაპრების პერსონაჟი დევეების მსგავსი ბრიყვი არსებანი და მათი ვაცუცურაკება იოლი საქმე როდი იყო.

როგორ განმარტავენ კრებულის შემდგენლები აღნიშნულ მომენტს? ისინიც უწყყმანოდ იმერებენ წინა თაობების ქართველ ისტორიკოსთა კონფორმისტულ მოსაზრებებს სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის ამ გამოსვლათა შესახებ. მათეული აზროვნების ლოგიკა ცხადაზე უცხადესია: წინაპართა კონფორმისტული ქცევის გამართობით სურთ ახსნან, გაამართლონ თავიანთი, მსგავსი პერმანენტული ქცევები. კერძოდ, ასევე იქცევიან კრებულის შემდგენლებიც. ისინი წერენ: „კიდევ უფრო მცირერიცხოვანმა ჯგუფმა მოქალაქეობრივ და მეცნიერულ სინდისს ვერ უალატა და ხელისუფლების თვალის ახვევის მიზნით ივანე ჯავახიშვილის შეხედულებებისა და მეცნიერული მეცნიერების ზეულე (უქბილო) კრიტიკის ფონზე პრაქტიკულად დაიცვა ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქი. ეს ამდამინებენ მეცნიერული კარიერის დაღუპვისა და, შეიძლება, სიცოცხლის ფასადაც კი დასჯდომობათ“ (გვ. 16); „საბედნიეროდ,... იყვნენ ადამიანები, რომელთა მოქალაქეობრივ და მეცნიერული სინდისი, ადამიანური ღირსებები სამსახურებრივ კარეიასა და სიცოცხლეზე მეტადაც კი დააყენეს, პირნათელნი დარჩნენ დემოკრის, უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილისა და შთამომავლობის წინაშე“ (გვ. 26). რასაკერძეულა, აქ იგულისხმებიან სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი (ღირს შესხსენებად, რომ პირველი 1936 წელს და შემდგომაც ლ. ბერიას ფავორიტი გახლდათ, ხოლო მეორე კი ამ დროს და შემდგომაც აქებ-ადიდებდა ფილიპე მახარაძეს).

ჯერ კიდევ წინა „დისკუსიის“ დროს (1930 წლის 15 დეკემბერი) სიმონ ჯანაშია აღიარებდა: „მე უნდა განვაცხადო, რომ ივანე ჯავახიშვილის უდიდესი პატივისცემა მაქვს, მან დიდი შთაბეჭ-

დილება(?) დასტოვა ქართულ ისტორიულ მატერი-  
ალიზმში (ცხადია, უნდა იყოს „მეცნიერება“, გ.ყ.).  
მე პატივს ვცემ მას, როგორც კარგ, ნიჭიერ მეც-  
ნიერს, მაგრამ მე არავითარი საერთო არა მაქვს  
ამ ჯგუფთან (ივანე ჯავახიშვილის მომხრეთა,  
გ.ყ.) და მათი ინტერესები ჩვენ არ გვაქვს. ჩვენი  
საზოგადოებრივი ურთიერთობა განსაზღვრული  
არის იმ ფაქტით, რომ ჩვენ გვიხიბდა მუშაობა ერთ  
და იმავე ინსტიტუტში საქართველოს კათედრის“  
(გვ. 69-70). ნიკო ბერძენიშვილმა კი ასე განაცხა-  
და: „რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას პროფ.  
ივანე ჯავახიშვილთან, ასეთი არის. მე მას უღრმეს  
პატივს ვცემ, როგორც ჩვენს ხელმძღვანელს, გან-  
საკუთრებით ისტორიის დარგში, მაგრამ ყველა  
ეს მე სრულიად არ მიძლის ხელს არ გავიზიარო  
მისი იდეოლოგიური კონცეპცია“ (გვ. 79). მეტიც,  
იგივე პირდაპირ აღიარებდა: „ამხანაგებო, რა თქმა  
უნდა, მე თვითონ კარგად არ ვიცი, თუ რთიმელ  
დაჯგუფებაში ვარ, მაგრამ მართალი უნდა მოვახ-  
სენთ, რომ არ ვიცი, რომელ დაჯგუფებაში მო-  
მათაგაა პატივცემულმა მომხსენებელმა პროფ.  
ივ. ვაშაყმაძემ (ვაშაყმაძე ჯავახიშვილის). თუ  
ჯავახიშვილის ჯგუფში ვარ, უნდა განვაცხადო,  
რომ ჩემი აზრი არის სამუხარობი. მე არ უნდა მოვე-  
თავსებინეთ ჯავახიშვილის ჯგუფში“ (გვ. 78-79).

არანაკლებ გაემიჯნენ სიმონ ჯანაშია და ნიკო  
ბერძენიშვილი ივანე ჯავახიშვილს 1936 წლის  
მარტ-პრილის „დიკუსიის“ დროს. ამ მიმარ-  
თულებით უფრო შორს წავიდა ნიკო ბერძენი-  
ვილი. აი მისი აზრები: „გადაჭრით შეიძლება  
ითქვას: იმ დროინდელი (X-XII სს. გ.ყ.) ქართული  
ისტორიოგრაფია ისე როდი ჩამორჩებოდა თა-  
ვის დროს, როგორც აწინდელი ჩამორჩება ჩვენს  
პრაქტიკას“ (გვ. 188); მაევანი, მათ შორის კრე-  
ბულის შემდგენელნი, დიდი სიამოვნებით ვახაზა-  
ვენ ხოლმე ნიკო ბერძენიშვილისეულ სიტყვებს:  
„გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პროფ.  
ივანე ჯავახიშვილმა ძლიერად წასწია წინ ქარ-  
თული ისტორიოგრაფიის საქმე“ (გვ. 190), მაგრამ  
ცნობილი ისტორიკოსი ხომ იქვე აღიარებდა:  
„მტკრამ ისიც ხომ უნდავა, რომ მან ქართული  
ისტორიოგრაფია სამარცხვინო ჩამორჩენილი-  
დან ვერ გამოიყვანა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო,  
ჩვენი დღევანდელი სხდომა სულ სხვა ხასიათისა  
იქნებოდა“. კარგი იქნებოდა, რომ მავანთ ეს ორი  
აზრი, ცალკეულ კი არა, არამედ ერთობლიობაში  
გაეცნობიერებინათ! (შეადარეთ, ივანე ვაშაყმაძე,  
1930 წელი: „ისტორიული აზროვნება საქართვე-  
ლოში 1921 წლამდე ძალზე ჩამორჩენილი იყო  
და ნაწილობრივ ივ. ჯავახიშვილის მეოხებით ეხ-  
ლა ჩამორჩენილი“).

მოდიეთ კვლავ მიეყვით ნიკო ბერძენიშვილის მს-  
გავსაზრებს: „კვლევის ანალიტიკურ-ინდუქციური  
მეთოდით და იდეალისტური მსოფლმხედველო-  
ბით მოწინავე ისტორიოგრაფიის შექმნა ამ მარქ-

სიზმის ეპოქაში, რა თქმა უნდა, მას არ შეეძლო“  
(იქვე); „პატივცემულ მომხსენებელს, ამბ. ორ-  
ავგულოძეს ასეთივე ნარმატივით, როგორც ეს მან  
წინმოვიციინა და საფუძვლიანობით ადვილად  
შეეძლო კიდევ უფრო გაზრდავლებინა პროფ. ივ.  
ჯავახიშვილის ნაშრომებიდან ანტიმარქსისტულ  
დებულებათა მაგალითები“ (იქვე); „ოქტომბრის  
რევოლუციიდან, ე.ი. საქართველოს მშრომელთა  
ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან განთავ-  
ისუფლების დღიდან ქართული ისტორიოგრაფია  
სრულიად მოუშადადებელი აღმოჩნდა“ (გვ. 191).

რას ნიშნავს ყოველივე ზემოხსენებული?  
ჩვენი აზრით, იმას, რომ სიმონ ჯანაშია და ნიკო  
ბერძენიშვილი გაემიჯნენ ერთ დროს ძვირფას  
მასწავლებელს, მოძღვარს და ფაქტობრივად ხე-  
ლისუფლებას ამოუდგნენ მხარში. სხვათა შორის,  
პროფ. ლევან სანიკიძე ნერდა: „მე არც იმას გუწოდებ  
მეგანს და მეგანს, დღეს ვინმეს „გასამაგებლად“  
1936 წლის შავი სტენოგრაფები ამოქექონ, თორემ  
ვაითუ ბადეს უფრო დიდი „ლლაგებიც“ ამო-  
ჰყვენ, ვიდრე ვინმე წვრილმანი ფუნქციონერ“  
და აგრძელებდა: „ახლა მხოლოდ იმის თქმა ვიკ-  
მაროთ, რომ მაშინ ივანე ჯავახიშვილი სრულიად  
მარტო იყო და ყველა დანარჩენი „დიდიც“ და  
„მცირეც“ და „მოწაფეც“ იმ მარტოხელა ბუმბერა-  
ზს ებრძოდა“ (იხ. ავტორის სტატია „Sine iza“,  
„სახალხო განათლება“, I XI, 1990).

დიდი მისწობა როდია საჭირო იმის გასაგებად,  
რომ ამ შემთხვევაში სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერ-  
ძენიშვილი იყვნენ ნაჯულისხმევი და ამაში პროფ.  
ლევან სანიკიძე უთუოდ სწორი გახლდათ. ასე  
რომ, სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილისგან  
განსხვავებით იმ შავნელ დროს მართალი, ზნეო-  
ბრივი პოზიციის დაიკავა აკაკი შანიძემ, რომელმაც  
სიამაყის გრძნობით წარმოითქვა: „მე არ ვეკუთ-  
ვნი იმ პირებს, რომლებსაც სურთ ჯავახიშვილის  
ჩანჩლავით გაიკეთონ თავიანთი კარიერა. რაც  
შეეხება სტუდენტობას, რომ მე ასე მახასიათებენ,  
ალბათ, სხვა რაიმე იქნება და ჯავახიშვილის წი-  
ნაალმდეგ გალაშქრებით იკეთებენ კარიერას. მე  
ეს კაცი არა ვარ“ (გვ. 112).

ან რა ერთიან ჯავახიშვილის სკოლავ შეიძლე-  
ბა ლაპარაკი ჯერ კიდევ 1930-იანი წლების დასაწყ-  
ისიდან მოკიდებული, როდესაც სიმონ ჯანაშია და  
ნიკო ბერძენიშვილი თავგანმრღობით დაადგნენ ე.წ.  
მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობასა და  
მეოლოგიკოსს, რითაც აგრეთვე, ცხადია, მკვე-  
თრად გაემიჯნენ დიდ ივანე ჯავახიშვილს?

იქნებ დაფიქრდეთ: ვსჯელობთ ერთი და  
იგივე საისტორიო წყაროს ბაზაზე, თითქმის ერთ-  
ნაირი ფაქტებით, მაგრამ ვაკეთებთ სხვადასხ-  
ვაგვარ დასკვნებს. იქნებ ამაში საისტორიო მეც-  
ნიერებისა და ისტორიკოსის ხელობის საიდუმ-  
ლოება და ხიბლი?!

გასაოცარია რომ ვახტანგ გურულსა და მერაბ



ვანჩაძეს კრებულში არ შეუტანიათ ივანე ჯავახიშვილის ორი ნერილი (და ნერილი 1936 წლის 12 აპრილს და 1937 წლის 23 იანვარს), მიმართული პროფ. ვარლამ დონდუასადმი, რომლებიც დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობის“ 1987 წლის მეცხე ნომერში. პირველ მათგანში ვკითხულობთ: „უკანასკნელ დროს კვლავ განახლდა ჩემს წინანდლმდე ბრძოლა ტ.ს. უნივერსიტეტში. რექტორმა კ. ორაგველიძემ 3-საათიანი მოხსენება წაიკითხა უ-ტში, რომელშიც ყველა ჩემი ნაშრომის უფარვისობის დამტკიცებას ლამობდა იმის გამო, რომ მარქსისტული არ არის, რაც არავისთვის ახალ აღმოჩენას არ წარმოადგენდა. ამას მოჰყვა „კამათი“ ოთხი დღის განმავლობაში, რომლის დროსაც ბევრი მხანი პრორექტორმა გრ. ჯანელიძემაც წამოაბნათა... და ზოგმა ჩემ ყოფილ მონაფეთქავანმაც თავი ისახეცლა (ხაზგასმა ჩვენი, გ.ყ.). ამბობდნენ, რომ ეს ვითამც ჩვეულებრივი კამპანიის დასაწყისია და ყურადღება არ უნდა მიაქციოთო, მაგრამ მე გადავწყვიტე, რომ ამის შემდეგ უ-ტში დარჩენა აღარ შეიძლებოდა, რათან ეს ჩემი თავმოყვარეობის სრულ შელახვას უდრიდა და ამიტომ განათლების კომისიას განცხადება ვდავეცი, რომ ტ.ს. უ-ს თავს ვანებებ, შევწყვიტე ჩემი ნაშრომების გამოქვეყნებაც და სულ სხვა საქცილობის საკითხებზე უნდა დავინფო მუშაობა. უნდა უ-ს ყველა წიგნებიც დაეჭურჭნო. ამით არის გამოწვეული ჩემი დუმილი...“

თუ ვინ, რომელი პიროვნებები მოიაზრებიან ამ შემთხვევაში სიტყვებში: „ზოგმა ჩემ ყოფილ მონაფეთქავანმაც თავი ისახეცლა“, არავისათვის საიდუმლოება არ უნდა იყოს. სინტურესოა თუ რა კომენტარს გაუკეთებდნენ კრებულის 36-დგენილი მოტიანი სიტყვებს? იქნებ მავანთა მსგავსად ისინიც დაგვიწყებდნენ მტკიცებას, რომ დიდი მეცნიერი და მამულიშვილი სათანადოდ ვერ გაერკვა სიტუაციამ და ჭორებს, ცილისმამებებს აპყვა?!

შეორე ნერილი ივანე ჯავახიშვილმა დანერა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ კარლ ორაგველიძემ ამჯერად შთამომავლობის სსოვნაში „სახელი უკვდავყო“ თავისი ოპუსის (მოხსენების სახით რომ წაიკითხა) დაბეჭდვით.

დაე, ვახტანგ გაურულმა და მერაბ ვანჩაძემ ბარემ ისიც აგვისხნან, რომ 1931 წლის 12 აპრილიდან ივანე ჯავახიშვილმა მიმონერა შესწყვიტა სიმონ ჯანაშიასთან და ამ დღეს დაწერილ ბარათში პირველი აღარ მიმართავს გულითადობის გრძობის გამომსახველ სიტყვებს და მიმონერა განახალა მხოლოდ 1937 წლის 19 ივნისიდან.

კრებულის მიმართ სხვა მრავალი შენიშვნაც გვაქვს. ასე მაგალითად, წინასიტყვაში დასახელებულ ნიშან-თვისებებში, საბჭოთა სისტემას რომ წარმოაჩენენ, ვკითხულობთ: „1. კოსმოპოლიტიზმი, რაც პრაქტიკულად ნიშნავდა პროფნული ბარენი-

მენის უარყოფას და „მსოფლიო სოციალისტური სახელმწიფოსა“ და „მსოფლიო მოქალაქის“ ჩამოყალიბების აუცილებლობის აღიარებას“ (გვ. 4). მაგრამ აქვე მეხუთე და მეექვსე ნიშან-თვისებებზე აღნიშნულია: „ველიკოდერეფული პოლიტიკის ფორმალური უარყოფის ფონზე ახალი — საბჭოთა იმპერიის შექმნის მიხედვით“, „არარუსი ერების ასიმილიაცია“. აქედან ვამომდინარე, კარგად ჩანს, რომ რუსეთის ბოლშევიკურ-კომუნისტური იმპერია ძველი იმპერიის აღორძინება იყო და მიზნად ისახავდა უპირველესად რუსეთისათვის ტრადიციული იმპერიალიზმისა და ექსპანსიონიზმის, რუსული „ეროვნული ფენომენის“ გაძლიერება-განმტკიცებას (ვითომ!).

მექვსე გვერდზე მოტანილია „PGY“ — მაშინდელი (1928 წლის) უფროსის ლაგრენტი ბერიას მოხსენებითი ბარათი ვილაც ინკოვნიტო პირისადმი. მაგრამ კრებულის შემდგენელთ ხომ კარგად მოეხსენებათ, რომ ამ შემთხვევაში იგულისხმებოდა ლევან ლოლობერიძე — საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი.

ვერ დავთანხმებთ მოსაზრებას, რომ 1930-იან წლებში „სინამდვილეში ეს არ იყო იდეური ბრძოლა. იდეურ ბრძოლას სჭირდება ორი დაპირისპირებული მხარე. საზოგადოებაში კი ასეთი დაპირისპირების მიზეზი არ არსებობდა. დაპირისპირება არსებობდა საბჭოთა კავშირის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში“ (გვ. 11). საბედნიეროდ, კერძოდ საქართველოში ასეთი დაპირისპირება საზოგადოებაში უცლილობად იყო და მას განასახიერებდა ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმი და ეროვნული ძალეობა, უპირველესად ძველი ინტელიგენცია. აკი კრებულის შემდგენელნი 1936 წლის მიმართ აღნიშნავენ: „მოუხედავად ამისა, ხელისუფლებას დაემკვიდრების საფუძველი არ ჰქონდა“. ძველი პროფესურა თავის პოზიციას არ თმობდა“ (გვ. 18).

ჩანს, კრებულის შემდგენელებს ამ ინტელიგენციაც არასწორი წარმოდგენა ჰქონიათ რაკი წერენ: „მეცნიერთა ეს თაობა რუსეთის იმპერიაში სოციალურად პრივილეგირებულ ფენას მიეკუთვნებოდა — პოლიტიკური რეჟიმი მათ მეცნიერულ მოღვაწეობას არ ზღუდავდა, პირიქით, ყოველგვარ პირობას უქმნდა შემოქმედებითი შრომისთვის. ამასთან ერთად, უნივერსიტეტის პროფესურა მატერიალურადაც კარგად იყო უზრუნველყოფილი. ამიტომ უნდა იყოს, რომ ძველი ინტელიგენცია არც 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციასა და მონარქიის დამხობას არ მისალმებია“ (გვ. 12). მსგავსი გამონათქვამი ივანე ჯავახიშვილისა და სხვათა მიმართ მკრეხელობად მიგვაჩნია — ისინი ოპოზიციამ (ლიბერალურ) ედგენენ მეფის ხელისუფლებას და თებერვლის რევოლუციასაც მხურვალედ მიესალმნენ, რისი დამადასტურებელი ფაქტებიც ბევრია.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ გარემოებას, კრებულის შემდგენელთაგან განსხვავებით, ნათლად აცნობიერებდა ნახევრადნივინიერი ვანო ალიხანაშვილი, რომელიც წერდა: „ჩვენი ქართველი პროფესორები ცარიზმის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფრიად პროგრესიულ ძალას წარმოადგენდნენ, მათ უფლებას არ აძლევდნენ თავისუფალ მოქმედებისა და ამიტომ იგი (პროფესორა, გ.ყ.) ყოველთვის იყო და არის უაღრესად დემოკრატიული პრინციპებით აღჭურვილი! ამ ნიადაგზე ხშირად ატარებდნენ ისინი რევოლუციონურ სახელს“ (იხ. სარეცენზიო კრებული, გვ. 321).

კრებულის შემდგენელი ვალდებულნი იყვნენ განემარტათ მოტანილი ტექსტების რიგი ადგილებსა. მაგალითად, მე-19 გვერდზე მოხსენიებული ჩ. შარაშიძე უფრო ცნობილია ქრისტიანე შარაშიძის სახელით (ჩიტო მისი მეორე სახელი ვახლდათ). 59-ე — მე-60-ე გვერდებზე მოთავსებული ტექსტის ავტორი „ამხ. მეგრელიძე“ არის ცნობილი ფილოსოფოსი კიტა მეგრელიძე. 81-ე გვერდზე როცა თითქოსდა ორბელზეა ლაპარაკი, სინამდვილეში იგულისხმება გრიგოლ ორბელიანი. ასპირანტი ს. ყალიჩავა პროფ. მიხეილ პოლიევქტოვის საწინააღმდეგოდ აცხადებდა: „25 ნელში (ე.ი. 1925 წელს, გ.ყ.), როდესაც მე ვერ ვიყავი(!) პირველი კურსის სტუდენტი, მან შემდეგი დებულება წამოაყენა — დღევანდელი ლენინგრადი ეს არის ბოროტება ისტორიის წინაშე. ლენინგრადი ლენინმა კი არ შექმნა, არამედ პეტრემო და ამისთვის კამათობდა“ (გვ. 92). მკითხველი ალბათ უთუოდ დაიბნევა თუ რაზე მიდის აქ საუბარი — უბრალოდ იმაზე, რომ პროფ. მიხეილ პოლიევქტოვი პროტესტს გამოსთქვამდა პეტროგრადის ლენინგრადად გადაარქმევის გამო. 97-ე და 98-ე გვერდებზე მოთავსებული ტექსტის ავტორი თოიძე ცნობილი მხატვარი მოსე თოიძე ვახლდათ და კრებულის შემდგენელთ ეს უნდა დაეზუსტებინათ.

თვით ტექსტები თავის დროზე უფიცი სტენოგრაფისტების მიერ იქნა ჩაწერილი. მაგრამ რიგი გაუგებარი სიტყვების გაშიფვრა ვახტანგ გურულასა და მერაბ ვაჩნაძეს არ გაუჭირდებოდათ თუკი ისინი, რასაკვირველია, სათანადოდ გაიარებოდნენ. მაგალითად, 44-ე გვერდზე აღნიშნულია ფრ. ენგელსის „ლიფერბახი“, ცხადია, „ლუდვიგ

ფიფერბახის“ ნაცვლად. 74-ე გვერდზე აღნიშნულია „მარშვალი პარტია“, ხოლო ცნობილი ისტორიკოსი ალექსანდრე ნერეთელი „მაშველთა პარტიის“ ნეგრად არის გამოცხადებული (გვ. 54). მაგრამ აქ ხომ მამურალთა პარტიაზე არის საუბარი. სიტყვა „დიხევიროვიზმი“ (გვ. 87), ცხადია, უაზრობაა, უნდა იყოს — „მიპევიორიზმი“. 112-ე გვერდზე მითითებული მომხსენებელი „პროფ. ჩუბინიშვილი“, რა თქმა უნდა, იყო გიორგი ჩუბინაშვილი.



ივანე ჯავახიშვილის დასაფლავებაზე ორი გამომსვლელი ასეთი რიგითობითაა წარმოდგენილი — ჯერ გიორგი სტურუა (იმდროინდელი სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე) (გვ. 463-64) და შემდეგ — აკაკი შანიძე (გვ. 465-67). თუ კომუნისტების მმართველობის უამს ამგვარი რამ მიღებული იყო, ახლა, ცხადია, მიტოვებული უნდა იქნას.

კრებულის დასასრულს (გვ. 468) მოტანილია მეცნიერის ისტორიკოს პროფ. ვახტანგ პარკაძის მოგონება ივანე ჯავახიშვილზე. მოგონების ავტორი მომხდარ ფაქტს უკავშირებს 1935 წელს, ბოლოს კი ისე ჩანს, რომ ზულიგანთა მიერ ივანე ჯავახიშვილის ლექციის ჩაშლის ფაქტი თითქოს მოხდა უკანასკნელის სახელმწიფო ბუჩუქში (გვ. დასვლის წინა ხანს, ე.ი. 1931 წელს. ამკარაა, რომ ავტორი გულისხმობდა 1936 წელს, როცა ადგილი ჰქონდა დიდი მეცნიერის უკანასკნელ მასირებულ იდეურ-პოლიტიკურ ჩაქოლვას.

ავტორებს გამოჩენიათ კოტე გორდელაძის სიტყვა „კონდრატევიშჩინა საქართველოში“, წარმოთქმული საქართველოს საფინანსო-კოოპერატიული ინსტიტუტში (დაიბეჭდა ცალკე ბროშურის სახით „ზაკნივას“ მიერ 1931 წელს).

დასასრულს კიდევ ერთხელ დაეძინეთ, რომ მოსაწონია კრებულის ავტორთა ჩანაფიქრი მკითხველთა ფართო წრისათვის ბეჭდური სახით მიწოდებინათ ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების უმძიმესი პერიოდები (საბჭოური ტოტალიტარიზმის პირობებში (1930-1937 წლების მანძილზე). მაგრამ კრებულში ზედმეტი მასალაცაა უხვად წარმოდგენილი. აქ გამოთქმულ შენიშვნათა დიდი ნაწილის თავიდან აცილება ადვილად შეიძლებოდა, თუკი კრებულის შემდგენლები და რეცენზენტები საქმეს უფრო სერიოზულად მოეკიდებოდნენ.

# ახალი წიგნები



7 22/6



გატყავნბუ გამოყნბულთა მალხაზ თავაძის ნამუშევართა რეპროდუქციები

